

ადამიტოს აზიული

სამართალდარღვევა

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:
http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2017, №1

Decisions of the Supreme Court of Georgia
on **Administrative Cases**
(in Georgian)
2017, №1

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2017, №1

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2017, №1

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298-21-03; www.supremecourt.ge

შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

1. პასუხისმგებლობა უნებართვო ეშენებლობის გამო

უძრავი ქონების დემონტაჟის სანაცვლოდ საკომპანეაციო თანხის განსაზღვრა

განხილვა

№ბს-334-330(კ-13)

26 მარტი, 2015 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. შურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა

აღნერილობითი ნაწილი:

თვითმმართველი ქალაქის ბათუმის საკურებულოს თავჯდო-
მარის 27.11.09. №92 განკარგულებით დამტკიცდა ქ. ბათუმის
ტერიტორიაზე განლაგებული ობიექტის დემონტაჟის შემთხვევ-
ვაში გასაცემი საკომპენსაციო თანხის მიზნით. განკარგულე-
ბა მიზნად ისახავდა ქ. ბათუმის იერსახის მოწესრიგების მიზ-
ნით, უწესრიგოდ აშენებული ავტოფარეხების, ასევე სხვა სა-
ზოგადოებრივი (არასაცხოვრებელი) ობიექტების დემონტაჟი-
სათვის მათი მფლობელებისთვის გონივრული კომპენსაციის მი-
ცემას. განკარგულების თანახმად, ქალაქის ტერიტორიაზე მშე-
ნებლობის ნებართვით აშენებული კაპიტალური ავტოფარეხე-
ბის დემონტაჟისას, მისი მფლობელის მოთხოვნის შემთხვევა-
ში, დემონტირებული ავტოფარეხის მფლობელზე კომპენსაცი-
ის გაცემა 1 კვ.მ-ზე 100 ლარის ოდენობით; კაპიტალური საზო-
გადოებრივი (არასაცხოვრებელი) ობიექტის დემონტაჟისას
1 კვ.მ-ზე – 250 ლარის ოდენობით; საცხოვრებელი სახლის დე-
მონტაჟისას – 1 კვ.მ-ზე 250 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის
ოდენობით; მშენებლობის ნებართვის გარეშე აშენებული ავტო-
ფარეხის და სხვა საზოგადოებრივი (არასაცხოვრებელი) ობი-
ექტის დემონტაჟისას – სულ 1500 ლარის ოდენობით; ნებარ-
თვის გარეშე აშენებული არაკაპიტალური ავტოფარეხის დემონ-
ტაჟისას – სულ 800 ლარის ოდენობით. მითითებული განკარგუ-
ლების 6.3 პუნქტის თანახმად, განკარგულების მიზნებისათვის,
ობიექტი ჩაითვლება მშენებლობის ნებართვით აშენებულად წე-

რილობით განცხადებასთან ერთად არქიტექტურის სამსახურის
მიერ გაცემული წერილის წარმოდგენის შემთხვევაში, რომელიც
ადასტურებს ობიექტის სამართლებრივ რეგისტრაციაში გატა-
რების ფაქტს. ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ქალაქ-
მშენებლობის სამმართველოს, ქალაქის მთავარი არქიტექტუ-
რის 28.10.1996 წ. წერილით უ. გ-ს განცხადების პასუხად ეცნო-
ბა, რომ მერიის 30.09.1996წ. ტექნიკური კომისიის №4 ოქმის თა-
ნახმად, სამართლებრივ რეგისტრაციაში გატარდა ... ქ. №11-ში
უ. გ-ზე რიცხული შენობა.

ქ. ბათუმში ... ქ. №108, ბ. №34-ში მცხოვრები უ. გ-იმა №გ-171
განცხადებით მოითხოვა ქ. ბათუმში, ... ქ. №11-ში 44 კვ. მ. შენო-
ბის, როგორც საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის, დე-
მონტაჟის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის გაცემა. ბათუ-
მის საკრებულოს თავმჯდომარის 13.10.106. №02/85 ბრძანებით
შექმნილი კომისიის 19.10.106. №4 ოქმის მიხედვით, კომისიამ
მიუთითა, რომ კომპენსაციის გაცემის საფუძვლად წარმოდგე-
ნილ დოკუმენტში არ არის მითითებული საზოგადოებრივი (არა-
საკონვენციული) ობიექტის მშენებლობის შესახებ, შესაბამისად
საკრებულოს 27.11.096. №92 განკარგულების საფუძველზე
1კვ.მ.-ზე გაიცა 100ლ. ოდენობის კომპენსაცია, ამდენად დე-
მონტირებული ფართის ოდენობის (47.6კვ.მ.), შესაბამისად, უ.
გ-ზე გაიცა 4760 ლარის ოდენობის საკომპენსაციო თანხა.

უ. გ-მა 15.04.136. სარჩელი აღძრა ქ. ბათუმის მერიისა და მე-
რიის ზედამხედველობის სამსახურის მიმართ, რომლითაც მო-
ითხოვა ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათ-
ვის საკომპენსაციო თანხის გაცემის დავალება კვ.მ-ზე 250 აშშ
დოლარის ოდენობით, რაც ჯამში შეადგენს 11900 აშშ დოლა-
რის ექვივალენტს ლარში. მოსარჩელემ 20.06.136. დააზუსტა
მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვა საკომპენსაციო თანხის
ოდენობის განმსაზღვრელი კომისიის 13.10.106. №4 ოქმის სა-
ოქმო გადაწყვეტილების უ. გ-ის ნაწილში ბათილად ცნობა, კერ-
ძოდ იმ ნაწილში ბათილად ცნობა, რომლითაც დემონტაჟირე-
ბული ფართის ღირებულება 1 კვ.მ-ზე 100 ლარით, ხოლო მთლი-
ანი საკომპენსაციო თანხა - 4760 ლარით განისაზღვრა. მოსარ-
ჩელემ მოითხოვა აგრეთვე მერიისათვის აქტის გამოცემის და-
ვალება, რომლითაც მოსარჩელეს საკომპენსაციო თანხა განი-
საზღვრება 1 კვ.მ-ზე 250 აშშ დოლარით, ხოლო მთლიანი თანხა
- 11.900 აშშ დოლარით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ დემონტაჟს
დაკვემდებარებული შენობა-ნაგებობა რეალურად იყო კო-
მერციული ფართი, რომელშიც მესაკუთრის თანხმობით სამე-
ნარმეო რეესტრში რეგისტრირებულ ინდ.მენარმე ს. გ-ეს კე-

თილმოწყობილი ჰქონდა საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულება – აბანო. ჟ. გ-მა მიმართა ქ. ბათუმის მერიას განცხადებით, რომლითაც „თვითმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე განლაგებული ობიექტების დემონტაჟის შემთხვევაში გასაცემი საკომპენსაციო თანხის ოდენობის შესახებ“ საკრებულოს 27.11.09წ. №92 განკარგულების მე-3 მუხლის საფუძველზე მოითხოვა 1კვ.მ. 250 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობის კომპენსაციის გაცემა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 17.09.13წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაემაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა ჟ. გ-ის მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 07.03.13წ. გადაწყვეტილებით ჟ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი საკრებულოს 13.10.10წ. №02/90 ბრძანება და ამ ბრძანებით დამტკიცებული საკომპენსაციო თანხის განმსაზღვრელი კომისიის სხდომის №4 ოქმი ჟ. გ-ზე თანხის გაცემის ნაწილში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათუმის მერიას დაეკისრა ჟ. გ-ზე ქ. ბათუმში, ... ქ. №11-ში (ამჟამად ... ქ. №20-ში) მდებარე უძრავი ქონების (47.6 კვ.მ.) დემონტაჟის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის გადახდა 1კვ.მ-ზე 250 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტის კუთვნილი ნაგებობა იყო კაპიტალური საზოგადოებრივი ობიექტი, შესაბამისად ანაზღაურება უნდა გაიცეს საკრებულოს თავმჯდომარის 27.11.09წ. №92 განკარგულების მე-2 პუნქტის დანაწესის მიხედვით, რომლის თანახმად დემონტირებული ობიექტის მფლობელზე 1კვ.მ-ზე გასაცემი კომპენსაცია შეადგენს 250 ლარს. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება დემონტაჟირებული ობიექტის მფლობელზე 1კვ.მ-ზე 250 აშშ დოლარის კომპენსაციის გაცემის შესახებ, ვინაიდან ამ ოდენობის კომპენსაცია გაიცემა მხოლოდ საცხოვრებელ სახლზე, ასევე სხვა შენობა-ნაგებობაზე მშენებლობის ნებართვით განსახორციელებელი უსახური მიშენების დემონტაჟის შემთხვევაში, რასაც ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა ქ. ბათუმის მერიის მიერ და მერიის საზედამხედველო სამსახურის მიერ. კასატორებმა აღნიშნეს, რომ ჟ. გ-ის მიერ საკომპენსაციო თანხის განსაზღვრის მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტში (ქ. ბათუმის მთავარი არქიტექტორის მიერ 28.10.1996წ. გაცემულ №10-12/150 წერილში), რომელიც განკარ-

გულების მიზნებისთვის ითვლება მშენებლობის ნებართვად, პირდაპირ არ არის მითითებული, რომ სამართლებრივ რეგისტრაციაში გატარდა საზოგადოებრივი (არასაცხოვრებელი) ობიექტი. დავის გადაწყვეტისას სასამართლოს უნდა გამოეყენებინა განკარგულების მე-8 და 1-ლი პუნქტები და არა მე-2 პუნქტი. შესაბამისად, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. განკარგულების 1-ლი მუხლის თანახმად, საკონცენსაციო თანხის იდენტობა 1 კვ.მ-ზე 100 ლარს შეადგენს. განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გაცემა, განკარგულების მე-8 პუნქტის თანახმად, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის გაცემის საფუძვლად წარმოდგენილ დოკუმენტში პირდაპირაა მითითებული, რომ მშენებლობის ნებართვა გაიცა საზოგადოებრივი (არასაცხოვრებელი) ობიექტის მშენებლობისათვის. სანამ მე-8 პუნქტი ძალაშია, მისი გამოყენება სავალდებულოა.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორების წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და ითხოვეს მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარე კანონით დაგენილი წესით შეტყობინების მიუხედავად, სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

უ. გ-ის სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილების, თვითმმართველ ქალაქ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის 19.10.10ნ. №02/90 ბრძანების ბათოლად ცნობის და ქ. ბათუმის მერიისათვის 1 კვ.მ.-ზე 250ლ. ოდენობით საკომპენსაციო თანხის აპელანტის სასარგებლოდ დაკისრების საფუძვლად სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებულია ბათუმის საკრებულოს 27.11.09ნ. №92 განკარგულება, რომლითაც დამტკიცდა თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე განლაგებული ობიექტის დემონტაჟის შემთხვევაში გასაცემი საკომპენსაციო თანხის ოდენობა.

წერილობით განცხადებასთან ერთად, არქიტექტურის სამსახურის წერილი, რომელიც ადასტურებს ობიექტის სამართლებრივ რეგისტრაციაში გატარებას, თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 27.11.09ნ. №92 განკარგულების მე-

6 პუნქტის შესაბამისად, განკარგულების მიზნებისათვის, მშენებლობის ნებართვით აშენებულად მიჩნევის საფუძველს იძლევა და განკარგულების 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად საკომპენსაციო თანხის გაცემის საფუძველს წარმოადგეს. ამასთანავე, განკარგულების მე-8 პუნქტის თანახმად საკომპენსაციო თანხა განკარგულების მეორე პუნქტის შესაბამისად (1 კვ.მ.-ზე 250 ლარის ოდენობით) გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის გაცემის საფუძვლად წარმოდგენილ დოკუმენტში პირდაპირაა მითითებული მშენებლობის ნებართვის საზოგადოებრივი (არასაცხოვრებელი) ობიექტის მშენებლობისათვის გაცემის შესახებ.

საქმეში დაცული დოკუმენტები, კერძოდ საჯარო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 15.02.07 წ. წერილი, შენობის გეგმა, ქალაქის მთავარი არქიტექტურის 28.10.1996 წ. წერილი ქმნის, საკრებულოს 27.11.09 წ. №92 განკარგულების მიზნებში, შენობის ნებართვის საფუძველზე აშენებულად მიჩნევის საფუძველს. ამასთანავე, მართებულია კომისიის მითითება, რომ კომპენსაციის გაცემის საფუძვლად წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის მითითებული საზოგადოებრივი (არასაცხოვრებელი) ობიექტის მშენებლობის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა კაპიტალურ საზოგადოებრივ (არასაცხოვრებელი) ობიექტის დემონტაჟს, სასამართლომ დაადგინა, რომ ობიექტში ფუნქციონირებდა აბანო, ნაგებობა მოსარჩელეს მიქირავებული ჰქონდა ინდ. მეწარმე ს. გ-ზე, რომელიც ახორციელებდა სამეწარმეო საქმიანობას. სააპელაციო სასამართლო კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის საფუძვლად უთითებს საკრებულოს თავმჯდომარის 27.11.09 წ. №92 განკარგულებით დამტკიცებული გასაცემი საკომპენსაციო თანხის ოდენობებს. ხსენებული განკარგულებით სხვადასხვა ობიექტის დემონტაჟისათვის, კერძო და საჯარო ინტერესების ერთიანობის, ურთიერთშეფასებისა და განვითარების საფუძველზე, დამტკიცებულია კომპენსაციის სხვადასხვა თანხები. საკომპენსაციო თანხის განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო 27.11.09წ. №92 განკარგულების მე-2 პუნქტის დანაწეს, რომლის მიხედვით დემონტირებული ობიექტის მფლობელზე 1 კვ.მ.-ზე გასაცემი კომპენსაცია 250 ლარს შეადგენს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის მიერ ხსენებული პუნქტის საფუძველზე კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა არის დაუსაბუთებელი, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს 17.09.03წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმა-

ყოფილდა საკრებულოს 27.11.09წ. №92 განკარგულების მე-8 პუნქტზე მითითებით, რომლის თანახმად კაპიტალური საზოგადოებრივი ობიექტის დემონტაჟისათვის დადგენილი საკომპენსაციო ოდენობა გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის გაცემის საფუძვლად წარმოდგენილ დოკუმენტში პირდაპირაა მითითებული საზოგადოებრივი (არასაცხოვრებელი) ობიექტის მშენებლობისათვის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ, სააპელაციო სასამართლომ საკრებულოს 27.11.09წ. №92 განკარგულების მე-8 პუნქტთან დაკავშირებით ყოველგვარი მსჯელობის გარეშე გააუქმა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და კომპენსაციის ოდენობა განსაზღვრა აღნიშნული პუნქტის მოთხოვნის გაუთვალისწინებლად.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჟ. გ-ის კუთვნილი ობიექტი აშენდა მშენებლობის ნებართვის გარეშე, შენობის მშენებლობის გარეშე აშენება ჟ. გ-ს სადაცოდ არ გაუხდია. მშენებლობის ნებართვით აშენებულად ობიექტი მიჩნეულ იქნა მხოლოდ ქ. ბათუმის საკრებულოს 27.11.09წ. №92 განკარგულების მიზნებისათვის ანუ აღსრულებული დემონტაჟის სანაცვლოდ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისათვის. ამდენად, გადაწყვეტილი მნიშვნელობა კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისათვის უნდა მიენიჭოს არა იმას, თუ რა მიზნით იყენებდა უნდართვოდ აშენებულ ობიექტს მოსარჩელე, არამედ ხსენებული განკარგულებით დადგენილ პირობებს. თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს 27.11.09წ. №92 განკარგულების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით (კვ.მ.-ზე 250 ლარი) კომპენსაცია გაიცემა მხოლოდ იმ პირობით, თუ კომპენსაციის გაცემის საფუძვლად წარმოდგენილ დოკუმენტში პირდაპირი იქნებოდა მითითებული საზოგადოებრივი (არასაცხოვრებელი) ობიექტის მშენებლობა. საქმეში დაცული დოკუმენტის მიზნებში შენობის მშენებლობის ნებართვით აშენებულად მიჩნევის საფუძველს, ამასთანავე, დოკუმენტაცია არ შეიცავს მითითებას ობიექტის დანიშნულებასთან დაკავშირებით. ასეთ მითითებას არ შეიცავს ქალაქის მთავარი არქიტექტორის წერილი, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მასალები. ამდენად, არ დასტურდება სააპელაციო პალატის მიერ გამოყენებული კომპენსაციის თანხის გაანგარიშების საფუძველი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა მავალდებელი სარჩელი (სასკ-ის 23-ე მუხ.), მო-

სარჩელე მოითხოვს 1 კვ.მ.-ზე 250 ლარის ოდენობით კომპენსაციის გაცემის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაკისრებას ადმინისტრაციულ ორგანოზე. მავალდებელი სარჩელი დასაბუთებულად მიიჩნევა, თუ აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნა შესაბამის სამართლებრივ საფუძველს ემყარება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს მოთხოვნილი აქტის გამოცემის უფლებამოსილებას და დაინტერესებული პირიც უფლებამოსილია მოითხოვოს აქტის გამოცემა. მოსარჩელის კანონიერი უფლების და ინტერესის არსებობა დგინდება მატერიალური სამართლის საფუძველზე. მოსარჩელე სადაც აქტის გაუქმების და მისთვის კომპენსაციის ოდენობის მინიჭების შესახებ აქტის გამოცემის დავალების სამართლებრივ საფუძვლად უთითებს საკრებულოს 27.11.09წ. №92 განკარგულებას. აქტის გამოცემის დავალების აუცილებელი პირობა არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. საერთო წესის თანახმად სასამართლოს გადაწყვეტილებით აქტის გამოცემის დავალება შეუძლებელია, თუ ბათილად არ გამოცხადდება ადმინისტრაციული ორგანოს ის აქტი, რომლითაც უარყოფილია მოსარჩელის მოთხოვნა. სააპელაციო პალატამ გამოცემული აქტის კანონიერებაზე მსჯელობის გარეშე დააქმაყოფილა მოთხოვნა ახალი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას სადაც აქტის უკანონობის შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარის 19.10.10წ. №02/90 სადაც პრძანებით დამტკიცდა კომისიის 19.10.10წ. №4 ოქმი რომლის მე-3 პუნქტის თანახმად ჟ. გ-მა №გ-171 განცხადებით მოითხოვა ქ.ბათუმში, ... ქ. №11-ში 44 კვ.მ. შენობის დემონტაჟის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის იმ ოდენობით გაცემა, რომელიც განსაზღვრულია 27.11.09წ. №92 განკარგულებით საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის დემონტაჟისათვის. ოქმში შითითებულია, რომ კომპენსაციის გაცემის საფუძვლად წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის მითითებული საზოგადოებრივი (არასაცხოვრებელი) ობიექტის მშენებლობისათვის ნებართვის გაცემაზე. კომისიის პოზიცია ემყარება საკრებულოს 27.11.09წ. №92 განკარგულებას, რომლის საფუძველზეც მოითხოვს ჟ. გ-ი სარჩელით კომპენსაციის გაცემას. სააპელაციო სასამართლოს მითითება 27.11.09წ. №92 განკარგულების 6.3 პუნქტზე, რომლის თანახმად არქიტექტურის ნერილი საკომპენსაციო თანხის გაცემის საფუძველს წარმოადგენს, არ ქმნის 1 კვ.მ.-ზე 250 ლ. ოდენ

ნობის (2 პ.) კომპენსაციის განსაზღვრის საფუძველს, ვინაიდან განკარგულების მე-8 პუნქტი ამ ოდენობის კომპენსაციის განსაზღვრის პირობად იმპერატიულად მოითხოვს განკარგულებით მშენებლობის ნებართვად მიჩნეულ დოკუმენტში პირდაპირ იმის მითითებას, რომ მშენებლობის ნებართვა საზოგადოებრივი (არასაცხოვრებელი) ობიექტის მშენებლობისათვის იყო გაცემული. ჟ. გ-ის მიერ წარდგენილ მთ.არქიტექტორის 28.10.1996წ. №01-12/150 წერილში მითითებულია მხოლოდ შენობის სამართლებრივ რეგისტრაციაში გატარების თაობაზე. ამდენად, გაურკვეველია თუ რა მოსაზრებებით უარყო სააპელაციო პალატამ 27.11.02წ. №92 განკარგულების მე-8 და 1-ლი პუნქტებით დადგენილი კომპენსაციის განსაზღვრის წესები, რა მოსაზრებების გამო მიიჩნია სააპელაციო პალატამ კომისიის 19.10.10წ. №4 ოქმით განსაზღვრული კომპენსაციის ოდენობა უმართებულოდ და რის გამო ცნო ბათილად საკრებულოს თავმჯდომარის 19.10.10წ. №02/90 ბრძანება ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს საკრებულოს თავმჯდომარის 13.10.10წ. №02/85 ბრძანებით შექმნილი კომისიის 19.10.10წ. სხდომის №4 ოქმი ჟ. გ-ზე საკომპენსაციო თანხის გაცემის ნაწილში. ამასთანავე, სააპელაციო პალატის 07.03.13წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითება თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს საკრებულოს თავმჯდომარის 19.10.10წ. №02/90 ბრძანების და ამ ბრძანებით დამტკიცებული კომისიის სხდომის №4 ოქმის ჟ. გ-ზე საკომპენსაციო თანხის გაცემის ნაწილში ბათილად ცნობის შესახებ (სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი) ადასტურებს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს საკრებულოს თავმჯდომარის 19.10.10წ. №02-90 ბრძანება მთლიანად და არა მხოლოდ კომისიის №4 ოქმის ჟ. გ-ის განცხადებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების ნაწილში, რითაც სააპელაციო სასამართლო სსკის 248-ე მუხლის დარღვევით გასცდა სასაჩიელო მოთხოვნის ფარგლებს.

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 27.11.09წ. №92 განკარგულების მე-13 პუნქტის თანახმად საკრებულოს 28.03.06წ. №3-7 დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ კომპენსაცია გაიცემა მხოლოდ იმ ობიექტზე, რომლის დემონტაჟიც 28.03.06წ. №3-7 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა. სააპელაციო პალატამ ამ გარემოების გამოკვლევის გარეშე მოახდინა კომპენსაციის გადაანგარიშება.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება დემონტირებული ობიექტის 1 კვ.მ-ზე 250 აშშ დოლარით განსაზღვრის შესახებ, რადგან 27.11.09წ. №92 განკარგულების თანახმად ამ ოდენობის თანხა გაიცემა მხოლოდ საცხოვრებელი სახლის ან შენობა-ნაგებობაზე მშენებლობის ნებართვით განხორციელებული უსახური მინაშენის დემონტაჟის შემთხვევაში. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულს ადგილი არ ჰქონია. ანალოგიური მოტივაციით მოსარჩელის მოთხოვნის ამ ნაწილს უარი ეთქვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. აღნიშნულს მიუხედავად სააპელაციო პალატამ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 17.09.13წ. გადაწყვეტილება გააუქმა მთლიანად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი, სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეწუნქტით გათვალისწინებული დარღვევა, რაც თავის მხრივ გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. ბათუმის მერიისა და ზედამხედველობის სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.03.2013წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაჯარიმება უნებართვო მშენებლობისათვის

განერიცხვა

№ბს-478-467(2კ-14)

4 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

2013 წლის 28 ნოემბერს ბ. ჩ-ამ სასარჩელო განცხადებით
მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხების – ქ. თბილისის მერიისა და ქ.
თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მი-
მართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი უსახლკაროა და ამასთან,
რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთი-
ან პაზაში და სოციალური დახმარება მისთვის ერთადერთ შე-
მოსავალს წარმოადგენს. მან არაურთვზის მიმართა საქელმწი-
ფოს სხვადასხვა ორგანოებს დახმარებისა და თავშესაფრის გა-
მოყოფის თხოვნით, მაგრამ უშედეგოდ. აღნიშნულის შემდეგ,
მოსარჩელემ საკუთარი ძალებით მონახა ობიექტი, სადაც სა-
ძირკველი უკვე აშენებული იყო და შეეცადა მის მოწესრიგებას.
2013 წლის 3 ივლისს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის
საქალაქო სამსახურისგან მიიღო მითითება მის მიერ განხორ-
ციელებული სამშენებლო სამუშაოების დემონტაჟის შესახებ და
განესაზღვრა 7-დღიანი ვადა ამ მითითების შესასრულებლად,
რა დროშიც იგი შეეცადა დანგრეული სახლის საძირკველს პირ-
ვანდელი, დანგრეული იერსახე მიეღო. 2013 წლის 6 აგვისტოს
ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
№000307 დადგენილებით მოსარჩელე დაჯარიმდა 10 000 ლა-
რით. აღნიშნული დადგენილება ბ. ჩ-ამ გაასაჩივრა ქ. თბილისის
მერიაში, რომელმაც არ დააკმაყოფილა წარდგენილი ადმინის-
ტრაციული საჩივარი.

მოსარჩელის მითითებით, ზედამხედველობის სამსახურის
მიერ არ მოხდა არსებული გარემოებების სრულად შესწავლა,

კერძოდ, არ გამოკვლეულა ის ფაქტი, რომ მითითების მიღების შემდეგ მან საძირკველი პირვანდელ მდგომარეობაში მოიყვანა.

ამდენად, მოსარჩელემ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 6 აგვისტოს №000307 დადგენილებისა და ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 21 ოქტომბრის №2375 განკარგულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით ბ. ჩ-ას სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემებით, თბილისის სარეგისტრაციო ზონაში მიმდინარე პერიოდზე ბ. ჩ-ას სახელზე უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება არ არის რეგისტრირებული.

ქ. თბილისში, აფრიკა, ..., ... მიმდებარედ ბ. ჩ-ას მიერ განხორციელდა სამშენებლო სამუშაოები (მოწყობილია ლენტური საძირკველი და ბლოკის წყობა) შესაბამისი სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2013 წლის 3 ივლისს შედგა მითითება №000307, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 7 კალენდარული დღე უნებართვოდ მოწყობილი ლენტური საძირკვლისა და ბლოკის მოწყობის დემონტაჟის განსახორციელებლად. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2013 წლის 12 ივლისს შედგენილ იქნა შემოწმების აქტი №000307, რომლითაც დაფიქსირდა მითითების პირობების შეუსრულებლობა.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში სამშენებლო სამართალდამრღვევის ფაქტთან დაკავშირებით 2013 წლის 22 ივლისს გაიმართა საქმის ზეპირი განხილვა; სხდომაზე გამოცხადდა თავად ბ. ჩ-ა, რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება და განმარტა, რომ მიწა არ წარმოადგენდა მის საკუთრებას, ხოლო მშენებლობა დაიწყო 2013 წლს და მის მიერ მოხდა უკვე არსებულ საძირკველზე კედლების აშენება.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახუ-

რის 2013 წლის 6 აგვისტოს №000307 დადგენილებით პ. ჩ-ა და-ჯარიმდა 10 000 ლარით, ქ. თბილისში, აფრიკა, ..., ... (საკადას-ტრო კოდი №...) მიმდებარედ სამშენებლო სამუშაოების უნე-ბართვოდ წარმოებისთვის. მასვე დაევალა უნებართვოდ გან-ხორციელებული სამშენებლო სამუშაოების დემონტაჟი.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახუ-რის 2013 წლის 6 აგვისტოს №000307 დადგენილება პ. ჩ-ამ 2013 წლის 16 აგვისტოს გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიაში. წარდგე-ნილ საჩივართან დაკავშირებით თბილისის მერიამ დაიწყო ად-მინისტრაციული წარმოება; საქმის გარემოებათა გამოკვლევის მიზნით 2013 წლის 3 და 9 სექტემბერს გაიმართა საქმის ზეპირი განხილვები; სხდომაზე გამოცხადდა თავად პ. ჩ-ა, რომელმაც განმარტა, რომ ობიექტზე საძირკველი უკვე აშენებული იყო და მან მხოლოდ გაზარდა საძირკველის მოცულობა და ერთ მეტ-რამდე ამოიყვანა ბლოკის კედელი. ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 21 ოქტომბრის №2375 განკარგულებით პ. ჩ-ას უარი ეთ-ქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაქმუყოფილებაზე.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ საქმის მასალე-ბით დადგენილად მიიჩნია, რომ პ. ჩ-ას მიერ ქ. თბილისში, აფრი-კა, ..., ... (საკადასტრო კოდი №...) მიმდებარედ, სახელმწიფო სა-კუთრებაში არსებულ შინის ნაკვეთზე, განხორციელდა უნებარ-თვო სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნულთან დაკავშირებით ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მი-ერ შედგა 2013 წლის 3 ივლისის №000307 მითითება, სამართლ-დამრღვევმა ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში ვერ უზრუნველყო მითითებით დადგე-ნილი დარღვევების აღმოფხვრა, რის შესაბამისადაც ქ. თბილი-სის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ შედგა 2013 წლის 12 ივლისის №000307 შემოწმების აქტი, რის საფუძველზეც თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალა-ქო სამსახურმა მიიღო 2013 წლის 6 აგვისტოს №000307 დადგე-ნილება პ. ჩ-ას დაჯარიმებისა და უნებართვოდ განხორციელე-ბული სამშენებლო სამუშაოების დემონტაჟის შესახებ.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტები იმის თაობაზე, რომ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალა-ქო სამსახურის 2013 წლის 6 აგვისტოს №000307 დადგენილე-ბის მიღებამდე შესრულდა ქ. თბილისის მერიის ზედამხედვე-ლობის საქალაქო სამსახურის მითითება, რის შესაბამისადაც არ არსებობდა სადაც დადგენილების მიღების საფუძველი. რამდენადაც მითითებული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში არ მოიპოვებოდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 3 აგვისტოს №000307 დადგენილება მიღებულ იქნა მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის განმხილველმა ორგანომ, ქ. თბილისის მერიამ, საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და შესაბამისად არ არსებობდა 2013 წლის 21 ოქტომბრის №2375 განკარგულების ბათილად ცნობის საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ჩ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით ბ. ჩ-ას სააპელაციო სააჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბ. ჩ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 6 აგვისტოს №000307 დადგენილება და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და ურთიერთშეჯვერების შემდეგ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; ამასთან, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 21 ოქტომბრის №2375 განკარგულება.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ სამართალარმოებაში დაცული დოკუმენტაციის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 2 ივნისის ამონანერის მიხედვით დასტურდება, რომ აპელანტი – ბ. ჩ-ა (მცხოვრები: 0168, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, აფრიკა, 360 კმ., №...) რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, მისი მოქმედი სარეიტინგო ქულაა 41920 და იღებს შემწეობას. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2009 წლის აგვისტოს

თვიდან 2012 წლამდე ბ.ჩ-ამ არაერთხელ მიმართა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციულ ორგანოებს თავ-შესაფრის გამოყოფის მოთხოვნით.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალა-ქო სამსახურის თანამშრომლის მიერ 2013 წლის 7 ივლისს შედ-გა №000307 მითითება, რომელშიც აღინიშნა, რომ ბ.ჩ-ამ ქ. თბი-ლისში, აფრიკა, ..., ... მიმდებარედ განახორციელა უნებართვო მშენებლობა, კერძოდ, მოწყობილია ლენტური საძირკველი და ბლოკის წყობა. დარღვევის გამოსხორების მიზნით, ბ.ჩ-ას გა-ნესაზღვრა შვიდი დღის ვადა უნებართვოდ მოწყობილი ლენ-ტური საძირკვლის და ბლოკის წყების დემონტაჟისთვის. სამარ-თალნარმოების მასალებით ასევე დასტურდება, რომ სადავო ობიექტი წარმოადგენს ლენტური საძირკველით და ბლოკის წყობით არსებულ გადაუხურავ კონსტრუქციას, რომელიც არ არის შემოსაზღვრული კედლებით და არ ქმნის გადახურულ ჩა-ეტილ სივრცეს. მინა დავის განხილვის მომენტისათვის საკუთ-რების უფლებით აღრიცხული არ არის.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მიზა-ნია სამშენებლო საქმიანობის განხორციელების უზრუნველყო-ფა სამშენებლო სფეროს ტექნიკური რეგლამენტებითა და სა-ქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრუ-ლი დაცვით. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვი-ლა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსა-ხურის 2013 წლის 6 აგვისტოს №000307 დადგენილების გამო-ცემის სამართლებრივ საფუძველზე. კერძოდ, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლი ითვალისწინებს უნებართვო მშენებლობის, რეკონ-სტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოებას მშენებლობის გან-ხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენი-ლია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟი-მი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქა-ლაქ თბილისის ტერიტორიაზე. აღნიშნული მუხლის პირველი ნა-ნილის „ა“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის წარმოება მშენებლობის განხორციე-ლების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშე-ნებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზ-

ლვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც ინვენტ შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, გამოიწვევს დაჯარიმებას: სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – 10 000 ლარით.

რამდენადაც სააპელაციო სასამართლომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 24 იანვრის № 15302 წერილით დადგენილ გარემოებად მიიჩნა, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში არსებული ჩანაწერების მიხედვით ქ. თბილისში, აფრიკა, ..., ... მიმდებარედ არსებული უძრავი ნივთი საკუთრების უფლებით რეგისტრირებული არ არის, სადაც ბრძანებით განსაზღვრული მინის ობიექტი განეკუთვნება სახელმწიფო საკუთრებას, ამრიგად, იგი მოექცევა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის რეგულირების სფეროში. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა აღნიშნული მუხლის შენიშვნას, რომლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გაბარიტების ცვლილებად განიხილება ისეთი სამშენებლო საქმიანობა, რომლის დროსაც იცვლება შენობა-ნაგებობის საძირკვლის, გარე შემომზღვდავი კონსტრუქციების ან/და სახურავის პარამეტრები (მიშენება, დაშენება, შენობა-ნაგებობის სიმაღლის გაზრდა და ა. შ.), ხოლო მშენებლობის შედეგად ნარმოქმნილი ობიექტი არის შენობა-ნაგებობის არსებითი შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევება შეუძლებელია მთლიანი შენობა-ნაგებობის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იმისთვის, რომ სამშენებლო სამართალდარღვევა დაეფუძნოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლს, აუცილებელია, რომ უნებართვო მშენებლობა განხორციელდეს განსაკუთრებული, გამორჩეული, სპეციალური სტატუსის მქონე ტერიტორიის (ზონის) ფარგლებში; კერძოდ, ისეთი ტერიტორიის ფარგლებში, როგორიც არის: 1) სპეციალური რეჟიმის ზონა, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, 2) ტყის ფონდისა და „ნების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიები, 3) კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები, 4) საკურორტო-სარეკრეაციო ზონები, ან კიდევ 5) ქალაქ თბილისის ტერიტორია, იმ პირობებში, როდესაც უნებართვო მშენებლობა იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო

დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მართალია პ. ჩ-ამ შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე მოაწყო ბლოკის წყობა, მაგრამ სამართალნარმოებაში დაცული დოკუმენტაციით ასევე დასტურდება აღნიშნული წყობის მოშლის ფაქტი; დაუდგენელია ის ფაქტობრივი გარემოება, აღნიშნული მოქმედება უსწრებდა თუ არა სადაც ბრძანების გამოცემსა დროში. სადაც ბრძანებაში ასევე არ არის ნამსჯელი იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ პ. ჩ-ას მითითებით დასტურდებოდა ლენტური საძირკვლის არსებობის ფაქტი, რამდენადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სადაც ლენტების შემთხვევაში ადმინისტრაციული აღნიშნული მითითებით დაასაბუთოს მისი კანონშესაბამისობა, მით უფრო იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მითითების შეუსრულებლობა კანონმდებლობით იწვევს პასუხისმგებლობის ლონისძიების გამოყენების შესაძლებლობას. ქალაქ თბილისის მერია სულ მცირე ვალდებული იყო პასუხისმგებლობის ლონისძიების გამოყენების შემთხვევაში დაესაბუთებინა, რომ სადაც მითითების შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაშიც ადმინისტრაციული ორგანო აღჭურვილი იყო კანონისმიერი შესაძლებლობით პ. ჩ-ას მიმართ გამოყენებინა სადაც მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გადაცდომის 44.1. მუხლით დაკვალიფიცირებისთვის არ კმარა იმ გარემოებაზე მითითება, რომ მოწყობილია ლენტური საძირკველი და ბლოკის წყობა სათანადო დოკუმენტაციის გარეშე. საყურადღებოა, რომ პ. ჩ-ას შემთხვევაში უნდა დადგინდეს, არის თუ არა მის მიერ მოწყობილი ლენტური საძირკველი, ასევე უნდა დადგინდეს, თუ როდის შესარულა მან თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მითითება დემონტაჟის შესახებ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე სააპენაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დაჯარიმება განხორციელებულია ყველა არსებობითი მნიშვნელობის მქონე გარემოების შეჯერების გარეშე. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციულ ორგანოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის მიზნით შეეძლო (უფრო მეტიც, ვალდებული იყო) განმარტება მიეღო მინის ნაკვეთის მეზობელი მინის ნაკვეთის მფლობელებისგან, ნამდვილად იყო თუ არა ლენტური საძირკველი მინის ნაკვეთზე მოწყობილი, ასეთი ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კი აღარ იარსებებდა პ. ჩ-ას დაჯარიმების სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება სა-

კასაციონ წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიამ და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოიხსევეს.

კასატორის – ქ. თბილისის მერიის განმარტებით, მოსარჩელე თავად აღიარებს მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, თუმცა, საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა დემონტაჟის წარმოების ანუ სამართალდარღვევის გამოსწორების ფაქტს. კასატორი – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური ასევე მიუთითებს, რომ მოსარჩელეს – ბ. ჩ-ას მითითება არ შეუსრულებია და დემონტაჟი არ განუხორციელებია. ამასთან, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის განმარტებით, მშენებლობა არის სრულიად ახალი, რომელიც გამოვლენილ იქნა მიმდინარე სტადიაზე, ხოლო მოსარჩელის მითითება თითქოს არსებობდა და საძირკველი და მან მხოლოდ ბლოკის კედლები დააშენა, საქმეზე არ დასტურდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციონ საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციონ საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 26 მარტის განჩინებით ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციონ საჩივრების განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენით, 2015 წლის 30 აპრილს, 12:30 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციონ სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწ

მების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედ-ველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასა-ბულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბ. ჩ-ას მიმართ 2013 წლის 3 ივნისს შედგენილ იქნა №000307 მითითება, რომლითაც მხა-რეს განესაზღვრა 7 დღის ვადა უნებართვოდ მოწყობილი ლენ-ტური საძირკვლისა და ბლოკის მოწყობის დემონტაჟის განსა-ხორციელებლად. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სა-ქალაქო სამსახურის 2013 წლის 6 აგვისტოს №000307 დადგენი-ლებით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქ-ცევის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნ-ქტის საფუძველზე, ბ. ჩ-ა დაჯარიმდა 10 000 ლარით ქ. თბილის-ში, აფრიკა, ..., ... (ს.კ. №...) მიმდებარედ სამშენებლო სამუშაოე-ბის უნებართვოდ წარმოებისთვის; მასვე დაევალა უნებარ-თვოდ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების დემონ-ტაჟი. აღნიშნული დადგენილება ბ. ჩ-ამ გაასაჩივრა ქ. თბილი-სის მერიაში, რომელმაც 2013 წლის 21 ოქტომბრის №2375 გან-კარგულებით არ დააკმაყოფილა წარდგენილი ადმინისტრაცი-ული საჩივრი.

ამასთან, საქმეზე დადგენილია, რომ მოსარჩეულე – ბ. ჩ-ა (მცხოვრები: 0168, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, აფრი-კა, 360 კმ., №...) რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებს შემწეობას. ასე-ვე დადგენილია ის გარემოება, რომ 2009 წლის აგვისტოს თვი-დან 2012 წლამდე ბ. ჩ-ამ არაერთხელ მიმართა შესაბამისი უფ-ლებამოსილების მქონე ადმინისტრაციულ ორგანოებს თავშე-საფრის გამოყოფის მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემ-თხვევაში დავის საგანს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავი-სუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალ-დარღვევისთვის ბ. ჩ-ას დაჯარიმების კანონიერების დადგენა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პროდუქტის უსაფ-რთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის პირველი მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მიზანია სამ-

შენებლო საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა სამ-შენებლო სფეროს ტექნიკური რეგლამენტებითა და საქართვე-ლოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრული დაც-ვით. აღნიშნული კოდექსით მოწესრიგებულია სამშენებლო სა-მართალდარღვევისას სანქციის დაკისრების წინაპირობები. ამასთან, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქ-ცევის კოდექსის 44-ე მუხლი ეხება უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოებას მშენებლო-ბის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებუ-ლი რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემ-კვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე. აღნიშნული მუხ-ლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დად-გენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რე-ჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანო-ნით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრე-ობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, გამოიწვევს დაჯარიმე-ბას სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრება-ში არსებულ უძრავ ქონებაზე – 10 000 ლარით.

ამასთან, აღნიშნული მუხლის შენიშვნის მე-2 პუნქტის მი-ხედვით, გაბარიტების ცვლილებად განიხილება ისეთი სამშე-ნებლო საქმიანობა, რომლის დროსაც იცვლება შენობა-ნაგებო-ბის საძირკვლის, გარე შემომზღვდავი კონსტრუქციების ან/და სახურავის პარამეტრები (მიშენება, დაშენება, შენობა-ნაგებო-ბის სიმალლის გაზრდა და ა. შ.), ხოლო მშენებლობის შედეგად წარმოქმნილი ობიექტი არის შენობა-ნაგებობის არსებითი შე-მადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევება შეუძლებელია მთლიანი შენობა-ნაგებობის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე. ამდენად, იმისთვის, რომ სამშენებლო სამართალდარღვევა დაეფუძნოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლს, აუცილებელია, რომ უნებართვო მშენებლობა განხორ-ციელდეს განსაკუთრებული, გამორჩეული, სპეციალური სტა-ტუსის მქონე ტერიტორიის (ზონის) ფარგლებში, კერძოდ, ისე-თი ტერიტორიის ფარგლებში, როგორიც არის: 1) სპეციალური

რეუიმის ზონა, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეუიმი, 2) ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიები, 3) კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები, 4) საკურორტო-სარეკრეაციო ზონები, ან კიდევ 5) ქალაქ თბილისის ტერიტორია, იმ პირობებში, როდესაც უნებართვო მშენებლობა იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ განსახილველი სამართლურთიერთობის მიმართ გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს და მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ სადაც დადგენილების გამოცემისას დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა, სადაც დადგენილება გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რა დროსაც ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე დაჯარიმა ბ. ჩ-ა, რომ არ გამოიკვლია და არ დაადგინა ლენტური საძირკველი ბ. ჩ-ას მიერ იყო თუ არა აშენებული. მოსარჩელის მტკიცებით, მან უკვე არსებულ საძირკველზე განახორციელა ბლოკის წყობის მოწყობა, შესაბამისად, მხოლოდ იმ მშენებლობის დემონტაჟი განახორციელა, რომელიც მან აწარმოა, მოანგრია ბლოკის კედელი, ხოლო ლენტური საძირკველის მოშდა, რომელიც მისი მოწყობილი არ ყოფილა, მას არ ევალებოდა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სადაც დადგენილების გამოცემისას ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს არც მეზობელი მინის ნაკვეთების მფლობელების განმარტებების მოპოვების გზით არ დაუდგენია და არც ექსპერტიზა ჩაუტარებია, რომლის მეშვეობითაც დადგინდებოდა, თუ როდის იქნა მოწყობილი ლენტური საძირკველი. ასევე, არ არსებობს მითითების შედგენის მომენტისთვის არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტო ან ვიდეო მასალა, რომელიც დადგენილების გამოცემის დროს არსებულ მდგომარეობასთან შედარების საშუალებას მისცემდა სასამართლოს. შესაბამისად, განსახილველი სამართალურთიერთობის შეფასებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოების დადგენას, არის თუ არა ბ. ჩ-ას მიერ მოწყობილი ლენტური საძირკველი, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს სადაც დადგენილების გამოცემისა და ბ. ჩ-ას დაჯარიმების დროს არ გამოუკვლევია.

ამასთან, გამოსარკვევია თუ როდის შესარულა ბ. ჩ-ამ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ

2013 წლის 3 ივნისს შედგენილი №000307 მითითება დემონტაჟის თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანოების მტკიცებით, მოსარჩევეს მითითებულ ვადაში დემონტაჟი არ განუხორციელებია, თუმცა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ვერც აღნიშნული გარემოება დაადასტურეს. აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეზე არ წარმოდგენილა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც აქტის კანონიერება ხდება სადავო, მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი მთელი რიგი მტკიცებულებები. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ვერ შეძლეს დაემტკიცებინათ სადავო აქტების კანონიერება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი ადმინისტრაციულ ორგანოს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას ავალდებულებს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ნერილობითი ფორმით გამოცემული აქტი საჭიროებს დასაბუთებას. აქტში მოცემული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინამძღვრები, რომელთა საფუძვლზეც გამოიცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად, სრულყოფილად არ გამოიკვლიეს და არ შეაფასეს საქმის გარემოებები სამართალდარღვევის ფაქტის დადგენისა და მისი სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის მიზნით. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ზემოაღნიშნული წორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნე-

ლობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტის გამოცემა დაავალოს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საპელაციო სასამართლოს მიერ სწორად იქნა გამოყენებული საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, ვინაიდან, სადაც დადგენილება გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ ქ. თბილისის მერიას – როგორც ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს გასაჩივრებული აქტის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების ვალდებულება წარმოიშობა მაღალი ხარისხით, ვინაიდან, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოწმდება აქტის არა მხოლოდ კანონიერება, არამედ მიზანშეწონილობაც, რაც მოცემული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონეა. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ-სამართლებლივ აქტს კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ამოწმებს ადმინისტრაციული ორგანო. ადმინისტრაციული ორგანოს პრეროგატივა მის კომპეტენციაში შემავალი საკითხი გადაწყვიტოს არა მხოლოდ კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი კანონის მოთხოვნებს, არამედ, ადმინისტრაციულმა ორგანომ აქტის გამოცემისას უნდა იხელმძღვანელოს მიზანშეწონილობის კრიტერიუმებითაც. მიზანშეწონილობა გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს შესაძლებლობას საჯარო ინტერესების გათვალისწინებით ოპტიმალურად გადაწყვიტოს სადაც საკითხი და განახორციელოს შესაბამისი მმართველობითი ღონისძიება. შესაბამისად, ქ. თბილისის მერია ვალდებული იყო ბ. ჩ-ას ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას ემსჯელა, რამდენად მიზანშეწონილი იყო ბ. ჩ-ასთვის სადაც დადგენილებით გათვალისწინებული სანქციის დაკისრება და წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრი უნდა გადაწყვიტა სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების შეჯერების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, იმისათვის, რომ შესრულდეს კანონის მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს კანონშესაბამისი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მნიშვნელოვანი და სავალდებულო წინაპირობაა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ამ გარემოებათა შეფასების შედეგად, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ადმინისტრაციული ორგანოს დაუსაბუთებელი დასკვნის გაკეთება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კასატორებს – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს არ წარმოუდგენიათ დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომელიც გააძათილებდა სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება არსებითად სწორია, არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი და იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, დატოვებულ უნდა იქნეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამშენებლო სამართალდარღვევისთვის საქციის დაკისრეაბის სუბიექტი

განხილვა

№ბს-704-690(2_3-14)

7 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 19 ივლისს შპს „ქ...“ წარმომადგენელმა სარჩე-
ლით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა კოლეგიას ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ და
მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახურის 2013 წლის 11 მარტის №000191 მითითების, 2013
წლის 15 მარტის №000191 შემოწმების აქტის, 2013 წლის 11 აპ-
რილის №000191 დადგენილებისა და ქ. თბილისის მერიის 2013
წლის 12 ივნისის განკარგულების ბათილად ცნობა.

მოსარჩელის განმარტებით, 2013 წლის 11 მარტს ზედამხედ-
ველობის სამსახურის სპეციალისტებმა შეადგინეს №000191 მი-
თითება, რომლითაც განესაზღვრა 3 დღე, რათა მოეხდინა,
ქ. თბილისი, ... გამზირი №2-ში მის კუთვნილ ტერიტორიაზე გან-
თავსებული, რკინის კონსტრუქციის დემონტაჟი, რომელიც წარ-
მოადგენდა გადაადგილებად სტაციონარულ კონსტრუქციას. 15
მარტს, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სპეციალის-
ტის მიერ შედგენილ იქნა შემოწმების აქტი №000191 მასზე, რომ
მითითება არ შესრულდა, ხოლო 2013 წლის 11 აპრილს ადმინის-
ტრაციულ ორგანომი გამართულ ზეპირ განხილვაზე უნებარ-
თვო მშენებლობისთვის დაავარიმეს 8 000 ლარით, რის შემდგო-
მაც ზედამხედველობის სამსახურის მიერ, 2013 წლის 11 აპ-
რილს, გამოიცა შესაბამისი №000191 დადგენილება დაჯარიმე-
ბის შესახებ. აღნიშნული დადგენილება გაასაჩივრა ქალაქ თბი-
ლისის მერიაში, რომლის №1185 განკარგულებით შპს „ქ...“ საჩი-
ვარი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნუ-

ლი კონსტრუქცია, რის გამოც მოხდა მათი დაჯარიმება, წარმო-ადგენს, გადაადგილებად ლითონის გორგოლაჭებიან ურიკას (სა-ზიდარს), რასაც არ სჭირდება არავითარი ნებართვა, გარდა ამი-სა, მითითების შედგენის შემდეგ კომპანიამ მოახდინა ამ კონ-სტრუქციის ერთ ადგილას დასაწყობება, რის გამოც მიაჩინა, რომ უკანონოდ მოხდა მათი კომპანიის დაჯარიმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 2013 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „ქ...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაა-საჩივრა შპს „ქ...“ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტი-ლების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკ-მაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ქ...“ სააპელაციო საჩივრაში დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბი-ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-ლეგიის 2013 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩე-ლე შპს „ქ...“ სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 11 აპრილის №000191 დადგენილება და ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 12 ივნისის №1185 განკარგულება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბი-ლისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სპე-ციალისტებმა 2013 წლის 11 მარტს შპს „ქ...“ დაავალეს ქ. თბი-ლისში, ... გამზირი №2-ში მდებარე რეკინის ლითონის კონსტრუქ-ციის განთავსების თაობაზე ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი სანე-ბართვო დოკუმენტაციის წარდგენა, ან კონსტრუქციის დემონ-ტაჟი, დარღვევის გამოსწორებისთვის განისაზღვრა ვადა – 3 კალენდარული დღე.

თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახუ-რის სპეციალისტებმა 2013 წლის 15 მარტს შპს „ქ...“ მიმართ შე-ადგინეს შემონწების აქტი №000191 მასზედ, რომ შპს „ქ...“ არ შეასრულა თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამ-სახურის 2013 წლის 11 მარტის მითითებით განსაზღვრული მოთ-ხოვნები.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახუ-რის 2013 წლის 11 აპრილის №000191 დადგენილებით შპს „ქ...“ დაჯარიმდა 8000 ლარით, ქ. თბილისში, ... გამზირი №2-ში რკი-

ნა-ლითონის კონსტრუქციების უნებართვოდ განთავსებისთვის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

შპს „ქ...“ წარმომადგენლის მიერ 2013 წლის 2 მაისს ქალაქ თბილისის მერიაში წარდგენილ იქნა ადმინისტრაციული საჩივარი. ქ.თბილისის მერიის 2013 წლის 12 ივნისის №1185 განკარგულებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 11 აპრილის №000191 დადგენილება.

ქ.თბილისში, ... გამზირი №2-ში მდებარე 3 163 კვ.მ ფართის მიწის ნაკუთხეთი საკუთრების უფლებით ეკუთვნის შპს „ქ...“ (საკადასტრო კოდი №...) .

სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვის დროს წარმომადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შემონმებისას უდავოდ მიიჩნია, რომ მხარეებს შორის 01.04.2013 წლის იჯარის ხელშეკრულების დადებას დროში უსწრებდა თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 11 მარტის №000191 მითითების, ასევე 2013 წლის 15 მარტის №0000191 შემონმების აქტის შედგენა, ანუ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების დროისათვის სწორედ შპს „ქ...“. ფლობდა მომავალში იჯარით გასაცემ ტერიტორიას, რომელზედაც უკვე განთავსებული იყო მსუბუქი კონსტრუქციის დახლები; მაგრამ სააპელაციო პალატა დაეყრდნო რა აპელანტის შპს „ქ...“, მესამე პირების – შპს „...“ და გ. ა-ის განმარტებებს, ასევე მხარეებს შორის დადებულ 25.11.2012 წლის წინასწარ ხელშეკრულებას, ასევე შპს „ქ...“ შპს „...“ მიერ გაგზავნილი 20.01.2014 წლის წერილის შინაარსს, დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 11 მარტის №000191 მითითებაში, ასევე 2013 წლის 15 მარტის №000191 შემონმების აქტში მითითებული ლითონის მსუბუქი კონსტრუქციები – დახლები დაამზადა და შპს „ქ...“ ტერიტორიაზე განათავსა შპს „...“.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად ცნო ის ფაქტი, რომ ზედამხედველობის სამსახურის მიერ შედგენილი მითითების შემდგომ შპს „ქ...“ მიერ მოხდა კონსტრუქციების გადატანა და დასაწყობება ერთ ადგილზე, სანარმოს კუთვნილ ტერიტორიაზე. პალატამ ასევე დაადგინა, რომ ლითონის კონსტრუქციების განთავსებას არ გამოუწევეთა სხვა რომელიმე ნაგებობის გაბარიტების შეცვლა, აღნიშნული დახლები განთავსებული იყო სხვა შენობებისგან განცალკევებით, დამოუკიდებლად.

სააპელაციო სასამართლომ, „მშენებლობის ნებართვის გა-ცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართვე-ლოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაზე დაყრდნობით განმარტა, რომ რკინა-ლითონის კონსტრუქცია (დახლი) წარმოადგენს დროებით შენობა-ნაგებობას, რომელიც მიიჩნევა I კლასს დაქვემდებარებულ ნაგებობად, რომლის გან-თავსებასაც ესაჭიროება კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს არა ნებართვა, არამედ დასტური. სასამართლომ გაი-ზიარა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების პოზიცია მას-ზე, რომ აღნიშნული რკინა-ლითონის კონსტრუქცია განთავსე-ბული იყო ზემოხსენებული დასტურის გარეშე, რაც წარმოად-გენს უნებართვო მშენებლობას, და სამშენებლო სამართალდამ-რღვევ სუბიექტად მიჩნეულ უნდა იქნეს ის, ვინც განათავსა კონსტრუქცია.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზედამხედველობის სა-ქალაქო სამსახურის მიერ სამართალდარღვევის საქმის წარმო-ება განხორციელდა არა იმ სუბიექტის მიერ, ვინც ჩაიდინა აღ-ნიშნული სამართალდარღვევა. საქმეში არსებული მასალები-დან გამომდინარე მიიჩნია, რომ დახლები, რომლის უნებართვო განთავსებისთვისაც დაჯარიმდა შპს „ქ...“ წარმოადგენს შპს „...“ მიერ შეძენილ და განთავსებულ ნაგებობას. შესაბამისად, შპს „ქ...“ დაჯარიმება იმის გამო, რომ კონსტრუქცია განთავსებუ-ლი იყო მათ კუთვნილ ტერიტორიაზე, არ წარმოადგენს საკმა-რის საფუძველს მისი დამრღვევად მიჩნევისა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტების მიერ შედგენილი მითითებიდან შემოწმების აქტამდე გასული დროის განმავლობაში სამართალ-დარღვევა აღმოფხვრილი იყო, კერძოდ, ხსენებული კონსტრუქ-ცია გადაადგილებულ და დასაწყობებულ იქნა ერთ კონკრეტულ ადგილას და არ იყო გამართული საექსპლუატაციოდ, ანუ მისი გამოყენება არ ხდებოდა. სასამართლო მიიჩნია, რომ გაურკვე-ველია ადმინისტრაციული ორგანოების პოზიცია, იმასთან და-კავშირებით, რომ საწარმოს აღნიშნული კონსტრუქცია უნდა დაენგრია, დაეშალა. სასამართლომ განმარტა, რომ დემონტაჟი ამ კონკრეტულ შემთხვევაში წარმოადგენს არა ამ ნაგებობის ნაწილებად დაშლას და განადგურებას, არამედ მისი საექსპლო-ატაციო დანიშნულების გაუქმებას და იმ ადგილიდან გადატა-ნას, სადაც განთავსებული იყო. სასამართლოსთვის ასევე გა-ურკვეველია ადმინისტრაციული ორგანოების მოთხოვნა იმას-თან დაკავშირებით, რომ მესაკუთრემ კონსტრუქცია არ უნდა შეინახოს კუთვნილ ტერიტორიაზე. აღნიშნული ფაქტი წარმო-

ადგენს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლების არამართლზომიერ შეზღუდვას. კომპანიას ჰქონდა უფლება თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მოეხდინათ კონსტრუქციის დასაწყობება და ამ უფლების შეზღუდვა დაუშეებელია. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ტერიტორია, რომელზეც განთავსებული იყო კონსტრუქცია, არ მდებარეობდა არც ერთ იმ სპეციალურ ზონაში, რომელსაც განსაზღვრავს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსს“ 44-ე მუხლი. აგრეთვე, კონსტრუქციის განთავსებას შედეგად არ შეცვლილა სხვა რომელიმე შენობის გაბარიტები, რაც აუცილებელი პირობებია იმისათვის, რომ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმე წარიმართოს ამ მუხლის გამოყენებით. შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს შპს უნდა დაეჯარიმებინა არა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 44-ე მუხლით, არამედ 43-ე მუხლით, რომლის „ა“ პუნქტიც ადგენს უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოებისათვის პასუხისმგებლობას, კერძოდ, ასეთი ქმედება განხორციელებული - თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ კოდექსის 44-ე მუხლში აღნიშნული ტერიტორიისა, - გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისა და თბილისის მერიის მიერ არ იყო გამოკლევული საქმის არსებითი გარემოებები, რასაც ავალდებულებდათ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, არასწორად იყო შეფარდებული კანონი და ამასთანავე სამართალდამრღვევად მიჩნეული იყო არასათანადო სუბიექტი, რის გამოც უკანონო და დაუსაბუთებელია ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გამოცემული დადგენილება და ქალაქ თბილისის მერიის მიერ გამოცემული განკარგულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა და ქ. თბილისის მერიამ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი ქ.თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური საკასაციო საჩივრები მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი დარღვევებით, ადგილი აქვს ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციას, რამაც გავლენა

იქონია საბოლოო შედეგზე. კასატორის განმარტებით, არამართებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ შპს „...“ დამრღვევად მიჩნევა, ვინაიდან სამართალდარღვევა უკვე არსებობდა და იჯარის ხელშეკრულება დაიდო მხოლოდ ამის შემდგომ. გარდა ამისა, იჯარის ხელშეკრულების შესახებ მათვის ცნობილი გახდა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში წარმართულ სხდომაზე. ვასატორი, ასევე, არ იზიარებს სასამართლოს პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ სამართალდარღვევა აღმოფხვრილ იქნა და მიჩნევს, რომ აღნიშნულის შეფასების არც კომპეტენცია და არც სამართლებრივი უფლებამოსილება სასამართლოს არ აქვს. ადგილი ჰქონდა არა რეკონსტრუქციის დემონტაჟს, არამედ რამდენიმე მეტრით გადაადგილებას, სამართალდარღვევის ობიექტი არ იქნა გატანილი სამართალდარღვევის ადგილიდან, რაც არ ათავისუფლებს დამრღვევს პასუხისმგებლობისგან.

კასატორის განმარტებით, ასევე არასწორია სასამართლოს მსჯელობა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 44-ე მუხლთან მიმართებაში. აღნიშნულ მუხლში გამიჯნულია უნებართვო მშენებლობა და რეკონსტრუქცია, სასამართლომ კი სანახევროდ გააუქმა ნორმის დისპოზიცია და პასუხისმგებლობა დაანესა მხოლოდ რეკონსტრუქციაზე. სხვადასხვა დეფინიცია აქვს „უნებართვო მშენებლობასა“ და „რეკონსტრუქციას“. უნებართვო მშენებლობა არის კრებითი ცნება, რომელიც მოიაზრებს ნებისმიერ სახის სამშენებლო საქმიანობას, რომელიც განხორციელდა სათანადო ნებართვის გარეშე, მათ შორის, ახალი მშენებლობა. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად ახალი მშენებლობა არის მშენებლობა, რომელიც ხორციელდება მინის ნაკვეთის იმ ნაწილში, სადაც არ დგას შენობა-ნაგებობა, ან ხდება არსებულის მთლიანად ჩანაცვლება. შესაბამისად, გამორიცხულია ახალი მშენებლობა სხვა რომელიმე შენობის გაბარიტების ცვლილებას იწვევდეს. კასატორის განმარტებით, საერთოდ გაუგებარია რას ნიშნავს სხვა ნაგებობის გაბარიტების შეცვლა. რაც შეეხება ნორმის შეფარდებას, სასამართლომ ასევე არასწორად მიუთითა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 43-ე მუხლზე, რომლის „ა“ პუნქტი ადგენს უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოებისათვის პასუხისმგებლობას, კერძოდ ასეთი ქმედება განხორციელებული – თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ კო-

დექსის 44-ე მუხლში აღნიშნული ტერიტორიისა, – გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარით;

კასატორის განმარტებით, აღნიშნული ნორმების დისპოზიციიდან ნათელია, რომ ეს ნორმები მოქმედებს იმპერატიულად და ტერიტორიული პრინციპით. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 43-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი არის ზოგადი ხასიათის, მიემართება ქვეყნის იმ ტერიტორიაზე, რომელიც არ არის განსაზღვრული ამავე კოდექსის 44-ე მუხლით, ხოლო ამ უკანასკნელ მუხლში ნათლად არის ასახული, რომ სპეციალურ ზონად ითვლება ქალაქ თბილისის ტერიტორია. შესაბამისად, გამორიცხულია ამ სამართალდარღვევის შემთხვევაში გამოყენებული ყოფილიყო პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 43-ე მუხლი.

კასატორი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია კანონის მოთხოვნა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა. ამასთანავე, გადაწყვეტილების დასაბუთება არის იმდენად არასრული, რომ შეუძლებელია სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება. კასატორი განმარტავს, რომ სამართალდარღვევად მითითებული იყო სათანადო სუბიექტი – შპს „ქ...“. მის მიერ არ იქნა აღმოფხვრილი სამართალდარღვევა და შესაბამისად, დაჯარიმება მოხდა კანონის სრული დაცვით. კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მოსაზრებას, იმასთან დაკავშირებით რომ სამართალდამრღვევი არის შპს „....“, ვინაიდან მხარეებს შორის იჯარის ხელშეკრულება დაიდო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შემდგომ. კასატორი იზიარებს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის პოზიციას და მიიჩნევს, რომ ამ კონკრეტულ სამართალდარღვევაზე საქმის წარმოება გაიმართა კანონის სწორი გამოყენებით და სამართალდამრღვევს სახდელი უნდა დადებოდა სწორედ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედ-

ველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შპს „ქ...“ მიმართ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სპეციალისტებმა 2013 წლის 11 მარტს შეადგინეს მითითება №000191, რომლითაც შპს „ქ...“ დაევალა ქ. თბილისში, ... გამზირი №2-ში მდებარე რკინის ლითონის კონსტრუქციის განთავსების თაობაზე, ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარდგენა, ან კონსტრუქციის დემონტაჟი. დარღვევის გამოსწორებისათვის განისაზღვრა ვადა 3 კალენდარული დღე.

2013 წლის 15 მარტს თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის შემოწმების აქტით №000191 დაფიქსირდა თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 11 მარტის მითითებით განსაზღვრულ მოთხოვნათ შეუსრულებლობა.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 11 აპრილის №000191 დადგენილებით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „ქ...“ დაჯარიმდა 8000 ლარით ქ. თბილისში, ... გამზ. №2-ში (ს.კ. ...) რკინა-ლითონის კონსტრუქციების უნებართვოდ განთავსებისათვის.

აღნიშნული დადგენილება შპს „ქ...“ გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიაში, რომლის 2013 წლის 12 ივნისის №1185 განკარგულებით შპს „ქ...“ ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალ-დარღვევისთვის შპს „ქ...“ დაჯარიმების კანონიერების დადგენა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის პირველი მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მიზანია სამშენებლო საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა სამშენებლო სფეროს ტექნიკური რეგლამენტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრული დაც-

ვით. აღნიშნული კოდექსით მოწესრიგებულია სამშენებლო სა-მართალდარღვევისას სანქციის დაკისრების წინაპირობები. სა-კასაციო სასამართლოს მითითებით, ამავე კოდექსის მე-14 მუხ-ლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილა სუბიექტები, რომელთა სამ-შენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სფეროში ვრცელ-დება ამ კოდექსის მოქმედება, ერთ-ერთი მათგანი არის სამშე-ნებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან მოსარგებლე, თუ დაუდ-გენელია მშენებლობის მნარმოებელი პირი. აქვე საკასაციო სა-სამართლო განმარტავს, რომ მესაკუთრესა და მოსარგებლეზე სამშენებლო სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ არის დადგენილი მართლსანინააღმდეგო ქმედების ჩამდენი კონკრეტული პირი, არ ადასტურებს უძრავი ქონების მესაკუთრისათვის/მოსარგებ-ლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას სხვისი ბრალისათ-ვის, ასეთ შემთხვევაში მესაკუთრე/მოსარგებლე პასუხს აგებს არა სხვისი, არამედ თავისი ბრალისათვის, რომელიც გამოვლი-ნებას პოულობს მის უმოქმედობაში: მოსარგებლეს მესაკუთ-რის მსგავსად ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს სათა-ნადო სამშენებლო ნორმების დაცვა, მის სარგებლობაში არსე-ბული ნაგებობის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისო-ბა და შემდგომში კანონშესაბამისი ექსპლუატაცია. ამდენად, მოსარგებლის მიერ ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა იწ-ვევს მისთვის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლო-ბის დაკისრებას. აღნიშნული ხდება იმ შემთხვევაში, თუ არ არის დადგენილი უნებართვო მშენებლობის მნარმოებელი პირი.

კონკრეტულ შემთხვევში, როგორც საქმის მასალებით დას-ტურდება შპს „ქ...“ დაჯარიმდა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის „ბ“ ქვე-პუნქტით. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული მუხლი ეხება უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოებას მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლო-ბის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდი-სა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებ-სა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვე-პუნქტი ადგენს, რომ უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონ-სტრუქციის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეცია-ლური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის გან-ხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც ინვენტ შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, გამოიწვევს დაჯარიმებას სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – 10 000 ლარით; ხოლო კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – 8 000 ლარით.

ამასთან, აღნიშნული მუხლის შენიშვნის მე-2 პუნქტის მიხედვით, გაბარიტების ცვლილებად განიხილება ისეთი სამშენებლო საქმიანობა, რომლის დროსაც იცვლება შენობა-ნაგებობის საძირკვლის, გარე შემომზღვდავი კონსტრუქციების ან/და სახურავის პარამეტრები (მიშენება, დაშენება, შენობა-ნაგებობის სიმაღლის გაზრდა და ა. შ.), ხოლო მშენებლობის შედეგად წარმოქმნილი ობიექტი არის შენობა-ნაგებობის არსებითი შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევება შეუძლებელია მთლიანი შენობა-ნაგებობის ან ამ ნაწილის განადგურების ან/და მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე. ამდენად, იმისთვის, რომ სამშენებლო სამართალდარღვევა დაეფუძნოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლს, აუცილებელია, რომ უნებართვო მშენებლობა განხორციელდეს განსაკუთრებული, გამორჩეული, სპეციალური სტატუსის მქონე ტერიტორიის (ზონის) ფარგლებში, კერძოდ, ისეთი ტერიტორიის ფარგლებში, როგორიც არის: 1) სპეციალური რეჟიმის ზონა, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, 2) ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიები, 3) კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები, 4) საკურორტო-სარეკრეაციო ზონები, ან კიდევ 5) ქალაქ თბილისის ტერიტორია, იმ პირობებში, როდესაც უნებართვო მშენებლობა ინვენტ შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას.

კონკრეტულ შემთხვევაში, შპს „ქ...“ სადაც ხდის რეინალითონის კონსტრუქციების უნებართვოდ განთავსებისათვის ჯარიმის სახით 8000 ლარის დაკისრებას. თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მართალია, ადგილი ჰქონდა სამართალდარღვევის ფაქტს, მაგრამ სადაცო ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 11 აპრილის №000191 დადგენილება გამოცემული იყო იმ პირის მიმართ, ვისაც რეალურად არ ჩაუდენია სამშენებლო სამართალდარღვევა (უნებართვო მშენებელობა).

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორების მოსაზრებას, იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება, და არასწორად მიიჩნია შპს „ქ...“ ნაცვლად შპს „...“ სამართალდამრღვევად, რაც გახდა ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი სარჩელის დაკავშიროვად გიყვას და აღნიშნულთან დაკავშირებით ეთანხება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მიუთითებს, რომ ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს.

საქმის გარემოებების გამორკვევა და ფაქტების დადგენა მართლმსაჯულების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, სწორედ დადგენილი ფაქტების საფუძველზე ხდება ნორმათშეფარდება.

საქმის მასალებით კი დადგენილია, რომ თბილისში, ... გამზ. №2-ში მდებარე 3 163 კვ.მ. ფართის მინის ნაკვეთი საკუთრების უფლებით ეკუთვნის შპს „ქ...“ (მინის ნაკვეთის საკადასტრო კოდია №...).

2012 წლის 25 ნოემბერს შპს „ქ...“ და შპს „...“ შორის დაიდო წინასწარი ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, 2013 წლის 5 აპრილამდე იმავე მხარეებს შორის დაიდებოდა იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც შპს „ქ...“ თავისი კუთვნილი მინის ნაკვეთის (მდებარე ქ. თბილისი, ... გამზ. №2) ნაწილს – 500 კვ.მ. იჯარით გადასცემდა შპს „...“; მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ წინასწარი ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან შპს „...“ უფლებამოსილი იყო, შესაბამისი ხარჯის გაღების გზით განეხორციელებინა საიჯარო ქონების სარგებლობასთან დაკავშირებული სამუშაოები.

2013 წლის 1 აპრილს შპს „ქ...“ და შპს „...“ შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც შპს „ქ...“ თავისი კუთვნილი მინის ნაკვეთის (მდებარე ქ. თბილისი, ... გამზ. №2) ნაწილს – 500 კვ.მ.-ს და მასზე განთავსებულ დროებითი მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობას იჯარით გადასცემს შპს „...“ (ხელშეკრულების 1-ლი თავი); ამავე ხელშეკრულების 3.2.6. პუნქტის თა-

ნახმად შპს „ქ...“ იკისრა მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობის არქიტექტურული პროექტის მომზადების და საკადასტრო რუკაზე დატანილი პარამეტრების მიხედვით დამტკიცების ვალდებულება.

შპს „....“ მიერ 2014 წლის 20 იანვარს შპს „ქ...“ გაგზავნილ წერილში მითითებულია, რომ სწორედ შპს „...“ გაიღო მისთვის ოჯარით გადასაცემი ტერიტორიის კეთილმოწყობის (სამშენებლო სამუშაოების), კერძოდ, 50 კვ.მ. ფართის ავტოსამრეცხაოს და 23 კვ.მ. ფართის საერთო სარგებლობის საპრფარეშოს აშენების, 30 მოვაჭრისთვის განკუთვნილი 80 კვ.მ. ფართის ბაზრის-თვის გათვალისწინებული დახლების დამზადების ხარჯი.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, უდავოდ დასტურდება, რომ შპს „ქ...“ კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული ლითონის მსუბუქი კონსტრუქციები – დახლები დაამზადა და განათვასა შპს „...“ ანუ სწორედ ეს უკანასკნელი ნარმოადგენს იმ უნებართვო მშენებლობის მწარმოებელ პირს, რომლის გამოც დაჯარიმდა შპს „ქ...“. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს საპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას იმასთან მიმართებაში, რომ მიუხედავად იმისა, რომ ლითონის მსუბუქი კონსტრუქციები (დახლები) განთავსებული იყო შპს „ქ...“ კუთვნილ ტერიტორიაზე უნებართვო მშენებლობა ანარმოა არა მინის მესაკუთრებ – შპს „ქ...“, არამედ შპს „....“.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ამავე ნორმის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს ანარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირნი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით. სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლი განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებე-

ბისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლის თვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილი კი მოთხოვს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი მუხლები ადგენენ ადმინისტრაციული გადაცდომისათვის კანონით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების საერთო წესს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მითითებით, დაუშვებელია სამართალდარღვევის სუბიექტის დადგენის გარეშე სამართალდარღვევის სანქციის შეფარდება.

კონკრეტულ შემთხვევაში კი საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „ქ...“ არ წარმოადგენდა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლით განსაზღვრული სამშენებლო სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელ სუბიექტს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დაუსაბუთებელია აღნიშნულთან მიმართებაში კასატორების პრეტენზია.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ დასაბუთებას სამართალდარღვევის საერთოდ არსებობის ან იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ ასევე 2013 წლის 15 მარტის მდგომარეობით (ანუ შემოწმების აქტის შედგენის დღეს) აღარ არსებობდა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის გაგრძელების და სანქციის დაკისრების თაობაზე დადგენილების გამოცემისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოება – უნებართვო მშენებლობის გახსნორციელების ფაქტი, აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდან, სადაც აქტების ბათილად ცნობის ძირითად საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა 2013 წლის 11 მარტის №000191 მითითება, ასევე 2013 წლის 15 მარტის №000191 შემოწმების აქტი შეადგინა და ასევე 2013 წლის 11 აპრილის №000191 დადგენილება გამოსცა არასათანადო პირის – შპს „ქ...“ მიმართ, შესაბამისად, აზრს მოკლებულია აღნიშნულ ფაქტზე სააპელაციო სასამართლოს შეფასების კანონიერებაზე მსჯე-

ლობა, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ დავის კანონიერად გა-დაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი იყო იმ საკითხის გამორკვევა ნარმოადგენს თუ არა შპს „ქ...“ სამშენებლო სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელ სუბიექტს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ არ იზიარებს, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით 44-ე მუხლთან მიმართებაში, კერძოდ, „გადაცდომის 44.1. მუხლით დაკვალიფიცირებისთვის არ კმარა იმ გარემოებაზე მითითება, რომ უნებართვო მშენებლობა ნაწარმოებია თვითმმართველი ერთეულის – თბილისის ტერიტორიაზე, გარდა მშენებლობის ადგილისა, მუხლის გამოყენებისთვის აუცილებელია, რომ იმავ-დროულად არსებობდეს მეორე მაკვალიფიცირებელი ელემენტი – ახალი (უნებართვო) ნაგებობის მშენებლობის გზით სხვა, უკვე არსებული, აშენებული ნაგებობის გაბარიტების შეცვლა“ და განმარტავს, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის დისპოზიცია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის ნარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონ-დისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც ინვესტ შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, გამოიწვეს დაჯარიმებას...“. შეუძლებელია ახალი ნაგებობის მშენებლობის დროს მშენებლობამ გამოიწვიოს სხვა რომელიმე ნაგებობის შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლა. ეს შემთხვევა სახეზე იქნება მაშინ, თუ არსებობს უკვე აშენებული ნაგებობა და მისი რეკონსტრუქციით გაიზრდება მისივე გაბარიტები. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად ახალი მშენებლობა არის მშენებლობა, რომელიც ხორციელდება მიწის ნაკვეთის იმ ნაწილში, სადაც არ დგას შენობა-ნაგებობა, ან ხდება არსებულის მთლიანად ჩანაცვლება. ამ მუხლიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხსენებული რკინა-ლითონის კონსტრუქციის განთავსება ნარმოადგენს ახალ მშენებლობას, და სიტყვები: „რომელიც ინვესტ შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას“ დაკავშირებულია „რეკონსტრუქციის ნარმო-

ებისკენ“ და არა „უნებართვო მშენებლობასთან. ამასთან, საკა-
საციონ სასამართლოს განმარტებით, პროდუქტის უსაფრთხოე-
ბისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლში მი-
თითებულია, რომ უნებართვო მშენებლობის განხორციელების,
ასევე რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოებისას, რო-
მელიც გამოიჩვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილე-
ბას დამრღვევი დაჯარიმდება იმ შეთხვევაში, თუ აღნიშნული
გადაცდომა მოხდება, 1) მშენებლობის განხორციელების სპე-
ციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია: მშენებლობის
განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი; 2) ტყის ფონდისა
და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტე-
რიტორიებზე; 3) კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებ-
ში; 4) საკურორტო-სარეკრეაციო ზონებაში; 5) ქ. თბილისის ტე-
რიტორიაზე, ანუ უნებართვო მშენებლობის სპეციალური ზო-
ნის დადგენა არ არის სამართლებრივი შედეგის მომტანი, ვინა-
იდან, მუხლი სხვა წინაპირობების არსებობის გარეშე ითვალის-
წინებს სუბიექტის დაჯარიმებას იმ შემთხვევაში, თუ უნებარ-
თვო მშენებლობა ან/და რეკონსტრუქცია წარმოებულია ქ. თბი-
ლისის ტერიტორიაზე. რაც შეეხება ამავე კანონის 43-ე მუხლს
აღნიშნული ეხება თვითმმართველ ქალაქებს, გარდა თბილისი-
სა, ვინაიდან, „ა“ ქვეპუნქტში მითითებულია, რომ „თვითმმარ-
თველ ქალაქში, გარდა ამ კოდექსის 44-ე მუხლში აღნიშნული
ტერიტორიის“, 44-ე მუხლში კი ჩამოთვლილი ტერიტორიების
გარდა ასევე მითითებულია ქ. თბილისი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მართალია სააპელა-
ციონ სასამართლოს მიერ ადგილი ჰქონდა რიგი სამართლებრივი
გარემოებების არასწორ შეფასებას, მაგრამ იმის გათვალისწი-
ნებით, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინა-
რე, დადგინა, რომ სადაც ადმინისტრაციული აქტები გამოცე-
მული იყო არასათანადო დამრღვევის მიმართ და დაუშვებელია
ერთი სამართალდარღვევის სუბიექტის მიერ ჩადენილი დარ-
ღვევის გამო პასუხი აგოს სხვა სუბიექტმა, აღნიშნულის გათ-
ვალისწინებით, საკასაციო სასამართლო სარჩელს საფუძვლია-
ნად მიიჩნევს არა სააპელაციო სასამართლოს მიერ წარმოდგე-
ნილი განმარტებების საფუძველზე, არამედ სააპელაციო სასა-
მართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სწო-
რად შეფასების საფუძველზე, რომლითაც სარჩელი საფუძვლი-
ანია.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, სასკ-ის 410-ე
მუხლის თანახმად, არ არსებობს ქ. თბილისის მუნიციპალიტე-
ტის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქა-

ლაქო სამსახურის საკასაციო საჩივრების დაქმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. ძალაში დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქ. თბილისის ტერიტორიაზე უნებართვო მშენებლობის გამო დაჯარიმება

განხილვა

№ბს-311-307(2კ-14)

14 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: 6. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

კ. ბ-მა 29.06.2012წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპა-

სუხეების: ქ.თბილისის მერიისა და ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 09.11.2011წ. №001385 დადგენილებისა და ქ. თბილისის მერიის 30.12.2011წ. №3088 განკარგულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩევემ აღნიშნა, რომ ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 09.11.2011 წ. №001385 დადგენილებით დაჯარიმდა 10 000 ლარით ქ.თბილისში, ... ქუჩა №1-ის მიმდებარედ, 2007 წლის 01 იანვრამდე უნებართვოდ აშენებული ავტოფარეხს სარემონტო სამუშაოებისათვის. სარემონტო სამუშაოები გამოწვეული იყო მერიის კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლების ბრალეული ქმედების შედეგად (მოჭრილი ხე დაეცა ავტოფარეხს და ჩაინგრა სახურავი). ვინაიდან, დაზიანებული ავტოფარეხის სახურავი საფრთხეს უქმნიდა ეზოში მყოფ ბავშვებს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პროცედის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილების თანახმად, მოსარჩევემ ჩაატარა ავტოფარეხის სარემონტო სამუშაოები ზომისა და მასალის შეუცვლელად. ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 09.11.2011 წლის №001385 დადგენილებით კ. ბ-ს დაევალა აგრეთვე ავტოფარეხის დემონტაჟი. აღნიშნული დადგენილება კ. ბ-მა 30.11.2011. გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიაში, საიდანაც პასუხი არ მიუღია. მოსარჩევემ მოგვიანებით – 27.02.2012 წ. შეიტყო, რომ ქ. თბილისის მერიის 30.12.2011 წ. №3088 განკარგულებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად იქნა დატოვებული ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 09.11.2011 წ. №001385 დადგენილება. უფრო მეტიც, ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 17.04.2012წ. №000319/ს დადგენილებით მოსარჩევეს დაერიცხა საურავი – 10000 ლარის ოდენობით, რადგან გადახდილი არ იყო ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 09.11.2011 წლის №001385 დადგენილებით დარიცხული ჯარიმა. კ. ბ-მა აღნიშნილი დადგენილება გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიაში, რომლის 23.05.2012წ. №1368 განკარგულებით საჩივარი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 17.04.2012წ. №000319/ს დადგენილება საურავის დარიცხვის შესახებ. მოსარჩევემ მიუთითა აგრეთვე, რომ 06.02.2012წ. სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ დაუდასტურდა ავტოფარეხის რეკონსტრუქციის შესაძლებლობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.04.2013წ. გადაწყვეტილებით კ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის 30.12.11წ. №3088 განკარგულება, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 09.11.2011წ. №001385 დადგენილება, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. საქალაქო სასამართლომ მიუთითა „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლზე, ზაკ-ის 53.5 და 96.2 მუხლებზე და აღნიშნა, რომ სადაც აქტები არ შეესაბამებოდა ზემოაღნიშნული ნორმების მოთხოვნებს, კერძოდ, მოპასუხის მიერ წარმოდგენილ წარმოების მასალებში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რომელზე დაყრდნობითაც ადმინისტრაციულ ორგანოს შეეძლო დაედგინა უკანონობების განმახორციელებელი სუბიექტი. სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ არ არის დადგენილი სხვა სამსახურის მიერ სახურავის დაზიანების ფაქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.04.2013წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა და ქ. თბილისის მერიამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.12.2013წ. განჩინებით ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.04.2013წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა ნანილობრივ განსხვავებული სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. კერძოდ, პალატამ გაითვალისწინა, რომ 19.01.2011 წ. მდგომარეობით ქ.თბილისში, ... ქ. №1-ის მიმდებარედ კ. ბ-ის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო რკინის (მეტალის) მსუბუქი კონსტრუქციის ავტოფარეხი, რომელსაც გარედან, სამი მხრიდან ამოშენებული ჰქონდა სამშენებლო მასალის – ე.ნ. ბლოკისაგან აგებული კედლები და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ფაქტობრივად განხორციელდა ახალი მშენებლობა, რადგან მოხდა

არსებული რკინის (მეტალის) მსუბუქი კონსტრუქციის ავტოფარეხის ბლოკისგან კაპიტალურად ნაგები ავტოფარეხით მთლიანად ჩანაცვლება, თუმცა როდის და ვის მიერ მოხდა აღნიშნული ჩანაცვლება, კონკრეტულად ვინ აღმართა ბლოკის კედლები, სასამართლოს მოსაზრებით მხარეებმა ვერ დაადასტურეს შესაბამისი სახის და შინაარსის მტკიცებულებებით. სააპელაციო პალატამ მიუთითა „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონზე და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წ. №57 დადგენილების მე-2, მე-4 მუხლზე და აღნიშნა, რომ მოპასუხე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა კ. ბ-ის საქმის ხელახალი განხილვისას უნდა დაადგინოს ორი ძირითადი საკვანძო ფაქტობრივი გარემოება. კერძოდ, უნდა დადგინდეს ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, თუ ვინ და როდის განახორციელა ქ.თბილისში, ... ქ. №1-ის მიმდებარედ არსებული რკინის (მეტალის) მსუბუქი კონსტრუქციის ავტოფარეხის ბლოკისგან კაპიტალურად ნაგები ავტოფარეხით მთლიანად ჩანაცვლება, ანუ ავტოფარეხის ბლოკით ნაშენი კედლების აღმართვა. სააპელაციო პალატამ მიუთითა აგრეთვე, რომ დადგენას საჭიროებდა განაპირობა თუ არა ავტოფარეხის სახურავის გამოცვლად არსებული, ბლოკით ნაგები ავტოფარეხის ექსტერიერის (შენობის ფასადის, სახურავის) არქიტექტურული ნაწილების/ელემენტების გაბარიტების შეცვლა 2%-ზე და 0.1 მეტრზე მეტად ან/და არქიტექტურული ნაწილების/ელემენტების, კონსტრუქციების, ტექნიკური საშუალებების დამატება/მოკლება, რაც არსებითად ცვლის შენობის ექსტერიერს. სასამართლომ აღნიშნა აგრეთვე, რომ ორგანომ უნდა გაითვალისწინოს და სათანადოდ შეაფასოს ასევე თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.02.2012წ. №48572 გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეს დაუდასტურდა ქ. თბილისში, ... ქ. №1-ის მიმდებარედ მის კუთვნილ 39 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთზე 1-ლი კლასის ავტოფარეხის რეკონსტრუქციის შესაძლებლობა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით თუ დადგინდება, რომ ახალი მშენებელობა თავად კ. ბ-მა ანარმოა, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო უნდა გათავისუფლდეს მეორე ფაქტის კვლევა-დადგენის ვალდებულებისგან, რადგან უდავოა, რომ ახალი მშენებლობის განხორციელების პირობებში შენობის გადახურვისას ადგილი აქვს არა შენობის ექსტერიერის რეკონსტრუქციის ან მითუმეტეს – შენობის შეკეთებას (რემონტს), არამედ მთლიანობაში ახალ მშენებლობას.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-18 მუხლის გამოყენების რაიმე საფუძველი, რადგან კ. ბ-მა სათანადო მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა, რომ მის მიერ ავტოფარეხის სახურავის შეცვლა განპირობებული იყო უკიდურესია აუცილებლობით, მან ვერ მიუთითა იმ საფრთხეზე, რომელიც მუდმივად ემუქრებოდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ წესრიგს, საკუთრებას, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, მმართველობის დადგენილ წესს და რომელის თავიდან ასაცილებლადაც იგი იძულებული გახდა გამოეცვალა ავტოფარეხის სახურავი სამშენებლო სამართლურთიერთობების მომწესრიგებელი კანონებით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წინაპირობებისა და წესების დაუცველად. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სათანადო მტკიცებულებებით ვერ იქნა დადასტურებული თბილისის მერიის დასუფთავების და კეთილმოწყობის საქალაქი სამსახურის თანამშრომელთა ბრალით ... ქ. №1-ში წაცეული ხის დაცემა მის ავტოფარეხზე, ამ უკანასკნელის სახურავის დაზიანება, თუმცა აღნიშნულ ფაქტს რომც ჰქონდა ადგილი, ეს მოცემული საქმის ფარგლებში არ საჭიროებს მტკიცებას და დადასტურებას, რადგან სამშენებლო ურთიერთობების სფეროში დადგენილი საჯარო მართლწესრიგის დაცვის მიზნებისთვის არაარსებითია საკითხი იმის შესახებ, თუ რა იყო ავტოფარეხის სახურავის დაზიანების მიზეზი. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 20.12.2011 წ. №5558-რს კანონზე, რომლის თანახმად შეიცვალა „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის რედაქცია და კანონს დაემატა ახალი, 22¹ მუხლი. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 20.12.2011წ. №5558-რს კანონი „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნდა 29.12.2011წ., „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 20.12.2011 წ. №5558-რს კანონის მე-3 მუხლის თანახმად კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე (ანუ 30.12.2011 წ.). სააპელაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებს არსებითი მნიშვნელობა აქვს კ. ბ-ის სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისთვის იმ თვალსაზრისით, რომ კანონის 22-ე მუხლის რედაქციის შეცვლით და კანონში ახალი, 22¹ მუხლის დამატებით ფაქტობრივად შემსუქრდა იმ სახის სამშენებლო სამართალდარღვევისთვის დადგენილი პასუხისმგებლობის ზომა, რომლის გამოც კ. ბ-ის

მიმართ გამოტანილი იყო სადაც 09.11.2011 წ. დადგენილება, კერძოდ, კანონის 22-ე მუხლით მოწესრიგებული საკითხი 20.12.2011 წ. საკანონმდებლო ცვლილების პირობებში, გარკვეული შესწორებებით და დაზუსტებებით, ორ ნაწილად გაიყო ახალი რედაქციის 22-ე და 22¹ მუხლებს შორის ისე, რომ თუკი მანამდე თბილისის ტერიტორიაზე ჩადენილი ქმედება – უნებართვო მშენებლობა, რეკონსტრუქცია ან/და დემონტაჟი ყველა შემთხვევაში და უპირობოდ იწვევდა დამრღვევზე 10 000-ლარიანი ჯარიმის დაკისრებას, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად იგივე ქმედება ანუ თბილისის ტერიტორიაზე ჩადენილი ქმედება – უნებართვო მშენებლობა, რეკონსტრუქცია ან/და დემონტაჟი, რომელიც არ იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, განაპირობებს პირის მიმართ უფრო მსუბუქი სანქციის – 3 000-ლარიანი ჯარიმის გამოყენებას. ამდენად, ქმედების მაკვალიფიცირებელი დამატებითი, ახალი ელემენტის – შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილების შესახებ საკითხის კანონში შემოტანით ირკვევა, რომ ქ. თბილისის ტერიტორიაზე განხორციელებული უნებართვო მშენებლობა, რეკონსტრუქცია ან/და დემონტაჟი, რომელიც არ იწვევს არსებული შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, თავისი მნიშვნელოვნებით და აქედან გამომდინარე სანქციის (ჯარიმის) ოდენობით გაუთანაბრდა საქართველოს მასშტაბით ნებისმიერი თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე ჩადენილ იგივე სახის გადაცდომას და მოექცა ახალი რედაქციით ჩამოყალიბებული კანონის 22-ე მუხლით რეგულირების სფეროში. შესაბამისად, ქ. თბილისის ტერიტორიაზე განხორციელებული უნებართვო მშენებლობა, რეკონსტრუქცია ან/და დემონტაჟი, რომელიც იწვევს არსებული შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, თავისი სიმძიმისა და მნიშვნელობის აღმატებული ხარისხის გამო, ითვლება რა უფრო მძიმე გადაცდომად, უნდა დაკვალიფიცირდეს კანონის ახალი, 22¹ მუხლით, რომელიც 22-ე მუხლისგან განსხვავებით, ადგენს უფრო მძიმე სანქციას – ჯარიმას 10 000 ლარის ოდენობით. სასამართლო მიუთითა, რომ ორგანომ საკითხის ხელახალი განხილვისას უნდა დაადგინოს სათანადო ფაქტობრივი გარემოებები და მანვე პასუხისმგებლობის შემასუბუქებელი ნორმის უკუქცევითობის პრინციპებზე დაყრდნობით უნდა გადაწყვიტოს ქმედების კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხები.

სააპელაციო პალატამ, საქმეში დაცულ 2000წ., 2005-2007 წ.წ. ორთოფოტოების საფუძველზე, დადგენილად მიიჩნია, რომ ამჟამად კ. ბ-ის საკუთრებაში რიცხული ქ.თბილისში, ... ქ. №1-ის

მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე 2000 წლიდან განთავსებულია ავტოფარეხი, თუმცა იმის მტკიცება, რომ ავტოფარეხი თავიდანვე იყო ბლოკისგან ნაგები კაპიტალური ნაგებობა ან რკინის (მეტალის) მსუბუქი კონსტრუქცია შეუძლებელია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 05.12.2013წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩინერეს ქ. თბილისის მერიამ და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა.

კასატორმა – ქ.თბილისის მერიამ აღნიშნა, რომ ავტოფარეხი აშენებულია უნებართვოდ და მითითების გაცემის დროის-თვის, სათანადო საპროექტო დოკუმენტის გარეშე, მიმდინარებდა მშენებლობა, რომელიც განთავსებული იყო სახელმწიფოს საკუთრებაში რიცხულ მიწის ნაკვეთზე. მშენებლობას უშუალოდ აწარმოებდა კ.ბ-ი, შესაბამისად, „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის 22¹.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კ. ბ-ს უნდა დაკისრებოდა ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით და უკანონო მშენებლობის დემონტაჟი. არასწორია სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ დადგენას საჭიროებს მშენებლობის სპეციალურ ზონაში არსებობა, რადგან მშენებლობა წარმოებულია ქ. თბილისში. კასატორმა აღნიშნა, რომ ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ტერმინები: რეკონსტრუქცია და ახალი მშენებლობა, რომელიც შინაარსობრივად გამორიცხავს გაბარიტების ცვლილებას, რადგან შენობა ჯერ არ არსებობს, შესაბამისად ვერც შეიცვლება.

კასატორმა – ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა აღნიშნა, რომ სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ახალი მშენებლობის განხორციელება, რადგან მსუბუქი კონსტრუქცია ჩანაცვლდა კაპიტალური ნაგებობით. კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ დაუსაბუთებლად გაიზიარა კ. ბ-ის განმარტება სახურავი შეცვლის თაობაზე, რადგან მხარის ახსნა-განმარტების გარდა აღნიშნული არც ერთი მტკიცებულებით არ დადასტურებულა. კასატორმა მიუთითა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე (06.06.2013წ. №215-213(კ-12) განჩინება) და აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ დგინდება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირი, მესაკუთრეს ეკისრება სათანადო სამშენებლო ნორმების დაცვის უზრუნველყოფის, შენობის კანონშესაბამისი ექსპლუატაციის ვალდებულება, ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, არ აქვს მნიშვნელობა იმ გარემოების დადგენას, თუ კონკრეტულად ვინ აღმართა ავტოფარეხის ბლოკის კედლები. კასატორი მიიჩნევს, რომ მშენებლობა არის სრულიად ახალი, რაც საქმეში წარმოდგენილი ფოტოებიდან აშ-

კარად ჩანს, ხოლო საქმეში დაცულ ორთოფოტოებზე (2000წ., 2011წ.) სადავო ავტოფარეხი არ ფიქსირდება. კასატორმა მიუ-თითა, რომ სასამართლო არ ასახელებს კონკრეტულად რა მტკი-ცებულებები უნდა გამოიკვლიოს დამატებით ორგანომ, რათა დადასტურებულად იქნეს მიჩნეული უკანონო მშენებლობის ფაქტი. კასატორი მიიჩნევს, რომ დადგენას არ საჭიროებს უნე-ბართვო მშენებლობის სპეციალურ ზონაში არსებობის ფაქტიც, რადგან მშენებლობა განხორციელებულია ქ. თბილისში, რომელ-საც იმთავითვე აქვს მინიჭებული განსაკუთრებული ზონის სტა-ტუსი, ამასთანავე გაბარიტების ცვლილებაზე მსჯელობა მნიშ-ვნელოვანია რეკონსტრუქციისას და არა ახალი მშენებლობი-სას, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში იქმნება სრულიად ახა-ლი ობიექტი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხა-რეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული განჩი-ნებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ კ. პ-ი ქ.თბილისში, ... ქ. №1-ის მიმდებარედ ავტოფარეხის უნებართვო მშენებლობისათვის ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 09.11.2011წ. №001385 დადგენილებით დაჯარიმდა 10 000 ლა-რით, მასვე დაეკისრა აგრეთვე უნებართვოდ აშენებული ავტო-ფარეხის დემონტაჟი. საჯარო რეესტრის მონაცემების თანახ-მად, ქ.თბილისში, ... ქ. №1-ის მიმდებარედ არსებული 39 კვ.მ. მიწისა და მასზე განთავსებული ნაგებობის მესაკუთრეა კ. ბ-ი, უფლების რეგისტრაციის თარიღია: 31.01.2012წ., ხოლო საფუძ-ველი – ქ.თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამარ-თლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არ-სებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კო-მისიის მიერ 24.01.2012წ. გაცემული №6583 საკუთრების მოწ-მობა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია და მხარეები სადა-ვოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ აღნიშნული 39 კვ.მ. მიწის ნაკვეთი არის სწორედ ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავ-სებულია კ. ბ-ის კუთვნილი ავტოფარეხი.

მოცემულ საქმეში კ. პ-ი სადავოდ ხდის უნებართვო მშენებ-ლობის გამო ჯარიმის სახით 10 000 ლარის დაკისრების და დე-მონტაჟის დავალების შესახებ ქ. თბილისის მერიის ზედამხედ-ველობის საქალაქო სამსახურის 09.11.2011წ. №001385 დადგე-

ნიღებას და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის 30.12.116. №3088 განკარგულებას. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მიჩნიეს, რომ არსებობდა სადაც საკითხის გადაუწყვეტლად სსიპ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის და ზედამხედველობის ორგანოსათვის საქმის არსებითი მნიშვნელობის მეონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძვლი. სააპელაციო პალატამ მიჩნია, რომ ვინაიდნა ქ.თბილისში, ... ქ. №1-ის მიმდებარედ კ. ბ-ის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო რკინის (მეტალის) მსუბუქი კონსტრუქციის ავტოფარეხი, რომელსაც გარედან, სამი მხრიდან ამოშენებული ჰქონდა ბლოკებისგან აგებული კედლები და ფაქტობრივად სწორედ ბლოკებისგან აგებული კაპიტალური ნაგებობით იქნა ჩანაცვლებული რკინის (მეტალის) მსუბუქი კონსტრუქცია, ამდენად სახეზეა ახალი მშენებლობა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მართალია, სახეზეა ახალი მშენებლობა, თუმცა ზედამხედველობის ორგანომ უნდა დაადგინოს უნებართვო მშენებლობის განხორციელების დრო და განმახორციელებელი სუბიექტი, რადგან საქმეში დაცული მტკიცებულებებით რომელიმე კონკრეტული პირის, მათ შორის, კ. ბ-ის მიერ უნებართვო მშენებლობის ფაქტი არ დასტურდება, ხოლო მოსარჩელე კ. ბ-ი უარყოფს მშენებლობის განხორციელებას და აღნიშნავს, რომ მას ავტოფარეხი არსებულ მდგომარეობაში გადაეცა ძველი მესაკუთრისგან, შესაბამისად მისთვის სანქციის დაკისრება სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ კ. ბ-ი არ არის სამშენებლო სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელი სუბიექტი და აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიმართ სამართალდარღვევის საქმის წარმოების დროს მოქმედი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის 2.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამ კანონის მოქმედება სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სფეროში ვრცელდებოდა სამშენებლო მინის ნაკვეთის მესაკუთრეზე ან მოსარგებლეზე იმ შემთხვევაშიც, თუ მშენებლობის მნარმებელი პირი იყო დაუდგენელი. საკითხის ანალოგიურ მოწევს-რიგებას ითვალისწინებს აგრეთვე ამჟამად მოქმედი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ (მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი). საქმის მასალებით დასტურდება, რომ კ. ბ-ი საჯარო რეესტრის 24.01.2012წ.

ამონაწერის თანახმად, უნებართვო ნაგებობის მესაკუთრეა, თუმცა სახლელის დაკისრების მომენტში (09.11.2011.) სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ იგი არ იყო აღრიცხული. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „შესახებ“ კანონის შესაბამისად, მოსარგებლე არის ფიზიკური ან იურიდიული პირი (გარდა იმ პირისა, რომელსაც სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე წარმოეშვა ნივთით დროებითი სარგებლობის უფლება), რომელსაც „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის შესაბამისად აქვს საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი და სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის ამ უფლების რეგისტრაცია არ განუხორციელებია. განსახილველ შემთხვევაში ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა საფუძველზეც ქ.თბილისს საკურებულოს ფიზიკური და იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ 24.01.2012ნ. მოხდა კ. ბ-ისათვის უძრავ ქონებაზე საკუთრების აღიარება, არსებობდა აგრეთვე 2011 წელს, უნებართვო მშენებლობის გამო მიმდინარე სამართალდარღვევის საქმის წარმობისას, კ. ბ-ი თავად უთითებს, რომ ავტოფარეხი და აღიარებული მიწის ნაკვეთი შეიძინა 2006 წელს, საცხოვრებელ სახლთან ერთად. ამდენად, მოსარგებლე აღნიშნული კანონის მიზნებისათვის გათანაბრებულია მესაკუთრესთან, ვინაიდან რეალურად სახეზე იყო საკუთრების უფლების წარმომობის ყველა ფაქტობრივი საფუძველი. მესაკუთრესა და მოსარგებლეზე სამშენებლო სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ არის დადგენილი მართლასანინააღმდეგო ქმედების ჩამდენი კონკრეტული პირი, არ ადასტურებს უძრავი ქონების მესაკუთრისათვის/მოსარგებლობასათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას სხვისა ბრალისათვის, ასეთ შემთხვევაში მესაკუთრე/მოსარგებლე პასუხს აგებს არა სხვისი, არამედ თავისი ბრალისათვის, რომელიც გამოვლინებას პოულობს მის უმოქმედობაში: მოსარგებლეს მესაკუთრის მსგავსად ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს სათანადო სამშენებლო ნორმების დაცვა, მის სარგებლობაში არსებული ნაგებობის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა და შემდგომში კანონშესაბამისი ექსპულატაცია. ამდენად, მოსარგებლის მიერ ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს მისთვის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ის, რომ კ. ბ-ი არ იყო უძრავი ნივთის მესაკუთრე არ წარმოადგენს პასუხისმგებლობას.

ბის გამომრიცხავ გარემოებას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ 19.10.11ნ. №001385 მითითებით მოსარჩელეს მიეცა ობიექტის დემონტაჟის წინადადება, რაც მის მიერ არ შესრულდა. საქმეზე აგრეთვე დადგენილია და სადაცო არ არის, რომ არც 19.10.11ნ. მითითების შედგენის დღეს და არც 09.11.11ნ. დადგენილების გამოცემის მომენტისათვის კ. ბ-ს არ გააჩნდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვა ავტოფარების მშენებლობის ან რეკონსტრუქციის თაობაზე. კ. ბ-ს ავტოფარების რეკონსტრუქციის შესაძლებლობა დაუდასტურდა მოგვინებით, თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 06.02.12ნ. №48572 გადაწყვეტილებით, რაც თავისთავად უარყოფს მოსარჩელის მოსაზრებას, რომ მის მიერ შესრულდა მხოლოდ სარემონტო სამუშაოები. მართალია პირველი კლასის მშენებლობა არ საჭიროებს ნებართვას, თუმცა მშენებლობის მწარმებელი პირი ვალდებულია განზრახული მშენებლობის შესახებ აცნობოს მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“) საქართველოს მთავრობის 24.03.09ნ. №57 დადგენილების 66-ე მუხ.). ამასთანავე, არ არის სათანადოდ დასაბუთებული მოსაზრება კ.ბ-ის მიერ მხოლოდ გადახურვითი სამუშაოების ჩატარების შესახებ. სააპელაციო სასამართლოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ უნდა დადგინდეს მოჰყვა თუ არა გადახურვითი სამუშაოების ჩატარებას შედეგად შენობის გაბარიტების ცვლილება ენინაალმდეგება სააპელაციო პალატის მიერვე დადგენილ ფაქტორივ გარემოებას ახალი მშენებლობის განხორციელების შესახებ, ვინაიდან უკეთუ სახეზეა ახალი მშენებლობა, გაუგებარია გადახურვის ცალკე ქმედებად მიჩნევა, რადგან ახალი მშენებლობა კომპლექსური პროცესია და მოიცავს სხვადასხვა, მათ შორის გადახურვით სამუშაოებსაც. ახალი მშენებლობის შედეგად იქმნება ახალი ობიექტი ან ხდება არსებულის სრულიად ჩანაცვლება („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მთავრობის 24.03.2009ნ. №57 დადგენილების 3.5 მუხლი), შესაბამისად აზრს არის მოკლებული გაბარიტების ცვლილებაზე მსჯელობა. ვინაიდან არ დასტურდება ავტოფარების აგების სამართლებრივი საფუძველი, სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული ორგანოსათვის გაბარიტების ცვლილების საკითხის გამოკვლევის დავალება, აღნიშნული არ ქმნიდა ზედამხედველობის ორგანოსათვის საკითხის ხელახალი გადაწყვეტილისათვის დაბრუნების პირობას. დაუსაბუთებელია აგრეთვე სააპელაციო პალატის მოზარება, რომ ავტოფარები 2000 წლიდან არის

აშენებული, რადგან საქმეში სხვადასხვა პერიოდის ორთოფოტოების მიხედვით აღნიშნული არ დასტურდება, ხოლო საქმის მასალების მიხედვით მიწერილობის შედგენის დროისთვის მშენებლობა იყო მიმდინარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს სადაცვო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბათილად ცნობის და სადაცვო საკითხის გადაუწყვეტლად საზედამხედველო ორგანოსათვის ხელახალი განხილვისა და ახალი გადაწყვეტილების მისაღებად დაბრუნების დასაბუთებას. სასამართლო დავის გადაუწყვეტლად აქტს ბათილად ცნობს იმ შემთხვევაში, როდესაც აშენარა, რომ გადაწყვეტილების მიღება საჭიროებდა გარკვეული გარემოებების გამოკვლევას, რომელიც არ იქნა გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ამასთანავე ამ გარემოების გამოკვლევას არსებითი მნიშვნელობა აქცს გადაწყვეტილების მიღებისათვის. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ორგანოს მიერ დადგენას საჭიროებს სამართალდარღვევის ჩადენის დრო, მისი ჩამდენი სუბიექტი, აგრეთვე გადახურვის შედეგად გაპარიტების ცვლილება და მშენებლობის სპეციალურ ზონაში არსებობა, თუმცა აღნიშნული გარემოებები არ ქმნიდა ადმინისტრაციული ორგანოსათვის ხელახალი განხილვისათვის საკითხის დავალების საფუძველს. გადაწყვეტილებაში არ არის აგრეთვე მითითებული სასკ-ის მე-4, მე-19 მუხლების დანაწესების მიუხედავად სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების დადგენის შესაძლებლობის გამომრიცხავი გარემოებები. სასკ-ის 32.4. მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალნარმოების ფარგლებში ვერ ხერხდება სადაცვო ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, რაც თავის მხრივ შეუძლებელს ხდის სადაცვო ადმინისტრაციული აქტების კანონიერებაზე მსჯელობას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში დაცული მტკიცებულებები იძლეოდა სადაცვო საკითხის არსებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას. რაც შეეხება დადგენილი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საჭიროებას (ნორმის უკუძალის გამოყენება, თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.02.12ნ. №48572 გადაწყვეტილება, მინის ნაკვეთის საკუთრების უფლების 24.01.12ნ. №6583 მოწმობა), აღნიშნული ასევე არ ქმნის სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების საფუძლებს, აღნიშნული გარემოებების სამართლებრივი შედეგების დადგენა თავად სასამართლომ უნდა მო-

ახდინოს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლი 20.12.11წ. №5558 კანონით შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის თანახმად საჯარიშო სანქციების დიფერენცირება მოხდა იმის მიხედვით, თუ ვის კუთვნილ უძრავ ქონებაზე მოხდა უნებართვო მშენებლობა ან/და რეკონსტრუქცია, დაწესდა აგრეთვე შემცირებული სანქცია გაბარიტების შეუცვლელად უნებართვო მშენებლობისა და რეკონსტრუქციის თვის. „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის დაჯარიშობის მომენტში მოქმედი რედაქციის მსგავსად კანონში შეტანილი დამატების შედეგად ჩამოყალიბებული 22¹ მუხლის მიხედვით დაჯარიშობას ექვემდებარებოდა უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის ნარმოება მშენებლობის განხორციელებას სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „ნყლის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და აგრეთვე ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მშენებლობა, თუმცა ახალი რედაქციის მიხედვით ჯარიშობის ოდენობა დამოკიდებული გახდა უძრავი ნივთის მესაკუთრესა და შენობის გაბარიტების ცვლილებაზე. ამდენად, სააპელაციო პალატის მითითება, რომ სადავო აქტის გამოცემისას ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს არ გამოკვლევია ტერიტორიის სპეციალური რეჟიმის ზონაში ყოფნა, ტყის ფონდის და „ნყლის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ, საკურორტო-სარეკრეაციო ზონაში ყოფნა – არ ადასტურებს სადავო აქტის გაუქმებას და ორგანოსათვის ხელახლი განხილვისათვის საკითხის დაბრუნების საფუძვლიანობას, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სადავო მშენებლობა წარმოებულია ქ. თბილისში, შესაბამისად, დავის გადაწყვეტისთვის უნებართვო მშენებლობის სპეციალურ ზონაში არსებობის დადგენა არ არის სამართლებრივი შედეგის მომტანი, რადგან „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის დაჯარიშობის მომენტში მოქმედი რედაქცია, ისევე როგორც შემდგომში კანონის 22¹ მუხლი, სხვა ნინაპირობების დადგენის გარეშე ითვალისწინებდა სუბიექტის დაჯარიშობას იმ შემთხვევაში, თუ უნებართვო მშენებლობა ან/და რეკონსტრუქცია წარმოებული იყო ქ.თბილისის ტერიტორიაზე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარე-

მოქმედება, რომ სადაც აქტით ჯარიმის დაკისრების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია ჯარიმის დადების პერიოდში მოქმედი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზეც კ. ბ-ი უნებართვო მშენებლობისათვის დაჯარიმდა 10 000 ლარით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონში 20.12.2011 წ. №5558 კანონით შეტანილი ცვლილებების თანახმად, ქ.თბილისის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე უნებართვო მშენებლობისა ან/და რეკონსტრუქციისათვის დადგინდა ჯარიმა 8000 ლარის ოდენობით (22!.1 მუხ. „ბ“ ქვეპუნქტი). ანალოგიური შინაარსის დებულებას შეიცავს ამჟამად მოქმედი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 44-ე მუხლი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამაჟამებელ აქტს აქვს უაუქცევითი ძალა, ე.ი. ვრცელდება ამ აქტის გამოცემამდე ჩადენილ სამართალდარღვევებზე. სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დრო, თუ კანონით გაუქმებულა ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა. სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არა მხოლოდ ორგანოს მიერ მისი გამოყენების მომენტს, არამედ აგრეთვე ზემდგომი ორგანოების ან სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემოწმების პერიოდს. ზემოაღნიშნულის გარდა, იმის გათვალისწინებით, რომ სადაც აქტების გასაჩივრება აჩერებს საჯარიმო თანხის გადახდის ვალდებულებას, ამასთანავე სადაც აქტების გასაჩივრების შემთხვევაში პირისათვის საბოლოო შედეგს იწვევს სასამართლო გადაწყვეტილება და არა სადაც აქტები, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს სადაც სამართალურთიერთობების მიმართ სამართალდარღვევის შემდგომ მიღებული შედავათიანი რეჟიმის გამოყენების შესაძლებლობაზე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით კ. ბ-ი ირიცხება ქ.თბილისში, ... ქ. №1-ის მიმდებარედ არსებული 39 კვ.მ. მინის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრედ. აღნიშნული უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება სააპელაციო პალატამ დავის ხელახალი განხილვისას უნდა გაითვალისწინოს იმ კუთხითაც, რომ სადაც აქტით კ. ბ-ს დაკისრებული აქვს არამარტო ჯარიმა, არამედ იმ უნებართვო ნაგებობის დემონტაჟი, რომ-

ლის მესაკუთრედაც არის რეგისტრირებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ქმნის განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ საქმეში არსებულ მტკიცებულებებს არ მისცა სათანადო სამართლებრივი შეფასება, რის გამოც არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს საქმეში დაცული მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მერიის და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.12.2013წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პროექტის დარღვევით მშენებლობისთვის დაჯარიმების კანონიერება

განცილება

№ბს-504-491(2_14)

14 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობით: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

შპს „...“ 22.10.2013წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-
ლეგიას მოპასუხების – თბილისის მერიისა და თბილისის მერი-
ის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ ქ. თბი-
ლისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 24.06.2013წ. №000240 დადგენილებისა და ქ. თბილისის მერიის
02.08.2013წ. №1623 განკარგულების ბათილად ცნობის მოთხოვ-
ნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისში, ... გამზ. №56-ში მიმ-
დინარეობს შპს „...“ საკუთრებაში არსებული ისტორიული შე-
ნობის კულტურის უძრავი ძეგლის რეკონსტრუქცია-რესტავ-
რაცია, თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის მიერ
30.08.11წ. №01/2577 ბრძანებით შეთანხმებული შენობის რე-
კონსტრუცია-რესტავრაციის, ... გამზ. №56-ის მიმდებარედ არ-
სებული სკვერის მოწესრიგების არქიტექტურული პროექტისა
და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსა-
ხურის მიერ 30.08.2011წ. გაცემული „უძრავ ძეგლზე სამუშაოე-
ბის სანებართვო მოწმობა“ №ნ/2708-1 ნებართვის საფუძველ-
ზე. 07.05.2013წ. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქა-
ლაქო სამსახურმა შეადგინა №000240 მითითება, რომელშიც
აღინიშნა, რომ შპს „...“ დაარღვია ქ. თბილისის მერიის სსიპ არ-
ქიტექტურის სამსახურის მიერ 30.08.2011წ. გაცემული ბრძანე-
ბით შეთანხმებული პროექტი, კერძოდ, ჩამოშლილია გუმბათი
და უკანა ფასადის მხარეს 1-18 მონაკვეთში არსებული კედე-
ლი, შპს „...“ დაევალა ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალის-

წინებით შეთანხმებული კორექტირებული პროექტის წარმოდგენა. დარღვევის გამოსასწორებლად განცესაზღვრა 20 ფლის ვადა. მითითების შეუსრულებლობის გამო ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 24.06.2013 წ. №000240 დადგენილებით შპს „...“ დაჯარიმდა 3000 ლარით პროექტის დარღვევით მე-3 კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის. აღნიშნული დადგენილება შპს „...“ მიერ გასაჩივრდა ქ. თბილისის მერიაში ადმინისტრაციული საჩივრით. ქ. თბილისის მერიის 02.08.2013 წ. №1623 განკარგულებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ გუმბათი და კედელი ჩამონაგრა სიძველის გამო, ზედამხედველობის სამსახური წერილობითაც გააფრთხილეს გუმბათის ჩამონაგრევის საშიშროების შესახებ და მოითხოვეს კომისიური შემოწმების ჩატარება, რაზეც მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არანაირი რეაგირება არ მოუხდენია. მოსარჩელის განმარტებით, გაუგებარია რაში გამოხატება მშენებლობის პროექტის დარღვევა, როდესაც მშენებლობა ჩამონაგრევის შემდეგ შეჩერებულია და არსებული შეთანხმებული პროექტით არანაირი მშენებლობა არ მიმდინარეობს. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 24.06.2013 წ. №000240 დადგენილებაში „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოცევის კოდექსის“ 45-ე მუხლზე მითითება დაუსაბუთებელია, ვინაიდან გუმბათის დაზიანების შემდეგ მშენებლობა შეჩერებულია და შეუძლებელია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი დაირღვეს იმ დროს, როდესაც არანაირი სამუშაო მის მშენებლობასთან დაკავშირებით არ ხორციელდება. უსაფუძვლო და არაგონივრულია მითითებით განსაზღვრული 20-დღიანი ვადა, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს არ უნდა მიეცა არანაირი ვადა, მაგრამ თუ მისცემდა იგი უნდა ყოფილიყო გონივრული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.12.2013 წ. გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 24.06.2013 წ. №000240 დადგენილება და ქ. თბილისის მერიის 02.08.2013 წ. №1623 განკარგულება. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...“ მშენებლობა არ განუხორციელებია პროექტის დარღვევით, არამედ მოხდა შენობის გუმბათის და უკანა ფასადის მხარეს კედლის ნაწილის ჩამოშლა, რაც გამოწვეული იყო ნაგებობის სიძველით. სასამართლომ აღნიშნა, რომ სამშენებლო საქმიანობის კონტროლის რეგულაციები დადგენილია სპეციალური კანონით, მაგრამ ის წარმოადგენს ამ კანონით გან-

საზღვრულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და მასზე ჩვეულებრივი წესით ვრცელდება ის ზოგადი ნორმები, რომლებიც დადგენილია სამართალდარღვევისათვის. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. ამავე კოდექსის 33.1 მუხლი მოითხოვს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს სახდელი დაედოს იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი მუხლები ადგენენ ადმინისტრაციული გადაცდომისთვის კანონით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების საერთო წესს. სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლზე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წ. დადგენილების 55-ე, 74-ე მუხლებზე, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2, მე-8, მე-10 და 33-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ სამშენებლო სამართალდარღვევა თავისი ბურებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს. იმისათვის, რომ პირი მივიჩნიოთ სამართალდამრღვევად, სახეზე უნდა იყოს სამართალდარღვევის შემადგენლობა, წინააღმდეგ შემთხვევში გამორიცხულია პირის, როგორც სამართალდამრღვევის, დაჯარიმება. სამართალდამრღვევად მიჩნევისათვის სახეზე უნდა იყოს მოსარჩელის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება და ბრალი (მოსარჩელის დამოკიდებულება მის მიერ განხორციელებული ქმედების მიმართ). საქალაქო სასამართლომ მიჩნია, რომ ადგილი არ აქვს ზაკ-ის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას, გასაჩივრებულ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება არ შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.12.2013წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წე-

სით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქა-ლაქო სამსახურმა და ქ. თბილისის მერიამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.03.2014წ. გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.12.2013წ. გადაწყვეტილება ნაწილობრივ, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 24.06.2013წ №000240 დადგენილების ბათილად ცნობის ნაწილში და დავის ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 24.06.2013წ №000240 დადგენილება, შესაბამისად, მოპასუხე – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დაევალა შპს „...“ საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.12.2013წ. გადაწყვეტილება ქ. თბილისის მერიის 02.08.2013წ. №1623 განკარგულების ბათილად ცნობის და საპროცესო ხარჯების (სახელმწიფო ბაჟის) შესახებ საკითხის გადაწყვეტის ნაწილში. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ შენობის რეკონსტრუქცია-რესტავრაციის პირობებში შპს „...“ უნდა შეენარჩუნებია შენობა უცვლელად. საკითხი იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა კედლის ჩამონგრევა შპს „...“ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების, კერძოდ აქტიური მოქმედების ან/და უმოქმედობის შედეგს, საჭიროებს თავად ადმინისტრაციული ორგანოს – მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მხრიდან გამორკვევას და ერთმნიშვნელოვნად დადგენას. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მიზნებისათვის გუმბათისა და კედლის ჩამონგრევა ანუ უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე შენობის დაზიანება წარმოადგენს კონკრეტული პირის (პირების) მხრიდან ჩამონგრევამდე განხორციელებული მოქმედების ან უმოქმედობის შედეგს, რაც თავის მხრივ იმაზე მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს გამოვლენილი გადაცდომის სამშენებლო სამართალდარღვევად

სწორად დაკვალიფიცირების ინტერესთა ჭრილში უნდა შეეძლოს იმ მოქმედების ან/და უმოქმედობის ზუსტად აღწერა-დახსასიათება, რომელსაც შედეგად მოჰყვა ძეგლის დაზიანება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დამოკიდებულება შპს „...“ მიერ ჩადგნილი მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების ანუ სამშენებლო სამართალდარღვევის არსის მიმართ წინააღმდეგობრივია, კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ჰქონდეს მკაფიო და ნათელი პასუხი კითხვაზე იმის შესახებ, თუ რა ეთვლება შპს „...“ სამშენებლო სამართალდარღვევად – ბრალეული ქმედებით (მოქმედებით/უმოქმედობით) ძეგლის სტატუსის მქონე შენობის დაზიანება, თუ 07.05.2013 წ. №000240 მითითებაში განსაზღვრული მოთხოვნის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოარკვიოს თუ რა იგულისხმება კორექტირებული პროექტის წარდგენაში, ევალება თუ არა შპს „...“ დაზიანებული გუმბათისა და კედლის აღდგენა, ევალება თუ არა შპს „...“, რომ რეკონსტრუქციისა და რესტავრაციის არსებული პროექტი დააკორექტიროს იმგვარად, რომ მასში გაითვალისწინოს ასევე აღსადგენი გუმბათისა და კედლის აღდგენის, ხელახლა აშენების საკითხი. პალატამ აღნიშნა აგრეთვე, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოარკვიოს მითითებით განსაზღვრულ 20-დღიან ვადაში კორექტირებული პროექტის თბილისის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმების მოსწრების შემთხვევაში შექმნიდა თუ არა ასეთი აქტივობა იმის თქმის საფუძველს, რომ შპს „...“ არ ჩაუდენია სამშენებლო სამართალდარღვევა და რომ მას არ უნდა დაეკისროს ჯარიმის სახით პასუხისმგებლობა. სააპელაციო პალატის განმარტებით, შპს „...“ კუთვნილ, ქ. თბილისში, ... გამზ. №56-ში მდებარე მინის ნაკვეთზე განთავსებული უძრავი ქეგლის სტატუსის მქონე შენობის გუმბათისა და კედლის ჩამონ-გრევის ფაქტის კოდექსის 23-ე მუხლის მთლიანობაში და განსაკუთრებით – 23-ე მუხლის 23-ე ნაწილის ჭრილში შემოწმებისა და ანალიზის შედეგი იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური ვალდებული იყო შპს „...“ მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება დაეწყო მითითების (და არა პირდაპირ შემოწმების აქტის) შედგენის გზით, რასაც რეალურად ჰქონდა კიდეც ადგილი. ამდენად, პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ სადაცო შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შპს „...“ მიმართ მითითების შედგენა, მითითების ფარგლებში მისთვის კონკრეტული მოქმედების განხორციელების დავალე-

ბა და ამ დავალების შესასრულებლად ვადის დაწესება წარმო-ადგენს სავალდებულოდ განსახორციელებელ პროცედურულ ეტაპს, რომელმაც თანმდევი შედეგების მიხედვით შესაძლოა გამოიწვიოს პირის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება. შესაბამისად, თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა შეფასება უნდა მისცეს საკითხს იმის შესხებ, იყო თუ არა საკამარისად გონივრული შპს „...“ მითითებით დაწესებული 20-დღიანი ვადა კორექტირებული პროექტის მოსაპოვებლად.

სააპელაციო სასამართლოს 31.03.2014 წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიამ და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური საკასაციო საჩივრები აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება ენინააღმდეგება სასამართლო პრაქტიკას, ზედამხედველობის სამსახურის საქმიანობის ძირითად პრინციპებს. კასატორი თვლის, რომ შეუძლებელია სასამართლო გადაწყვეტილების რაციონალური ახსნა. ზედამხედველობის სამსახური ამონებს სამშენებლო პროექტის შესაბამისობას არსებულ მდგომარეობასთან და შეუსაბამობის შემთხვევაში ავალებს დარღვევის გამოსხირებას ან ფაქტობრივად ან დოკუმენტაციურად. გაუგებარია რა გზით უნდა დაადგინოს ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტმა (არქიტექტორმა, ინჟინერ-მშენებელმა) დარღვევის ჩადენამდე შპს „....“ განზრას თუ გაუფრთხილებლობით მოქმედებდა, როგორ უნდა გამოავლინოს დემონტაჟის განმახორციელებელი კონკრეტული პირი, საამისოდ გამოძიების ჩატარება იქნება საჭირო. მოქმედი კანონმდებლობით დამკვეთი ვალდებულია დაიცვას სამშენებლო პროექტი, მისაგან ყოველგვარი გადახვევა იწვევს მის პასუხისმგებლობას. ამ პრინციპიდან გადახვევა შეუძლებელს გახდის სამშენებლო კონტროლს, წარმოუდგენელია ქალაქში ათასობით სამშენებლო ობიექტს უმტკიცო პროექტის განზრას თუ გაუფრთხილებლობით დარღვევა, მოახდინო კონკრეტული პირების გამოვლენა, ამ პირების ქმედებების აღნერა მაშინ, როდესაც პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს. აღნიშნული გადაულახავ პრობლემებს უქმნის ადმინისტრაციულ ორგანოს, სასამართლომ არ გაითვალისწინა სამართალდარღვევის სპეციფიკურობა, რაც დასტურდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსზე მითითებით მაშინ, როდესაც სამშენებლო სამართალდარღვევას ცალკე არეგულირებს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, რომელიც ამომწურავად აწესრიგებს

სამშენებლო სფეროში წარმოშობილ სამართალურთიერთობებს. კასატორი აღნიშნავს, რომ სახეზეა პროექტის დარღვევა, დაზიანებულია კულტურის უძრავი ძეგლი, მიუხედავად ამისა სასამართლომ აღმოაჩინა არა შპს „...“, არამედ ზედამხედველობის სამსახურის ქმედებაში წინააღმდეგობა. კულტურის ძეგლის უმნიშვნელო ცვლილება, საუბარი აღარ არის გუმბათისა და კედლის მოშლაზე, საჭიროებს შესაბამისი წესით შეთანხმებას (პროექტის კორექტირებას), ობიექტზე არსებული მდგომარეობა მოითხოვდა პროექტის კორექტირებას, რომლის წარმოდგენა მოთხოვეს შპს „...“. კასატორისათვის გაუგებარია, რაში მდგომარეობს წინააღმდეგობა. კორექტირების ფუნქცია აკისრია არქიტექტურულ სამსახურს, ამდენად, უსაფუძვლოა სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ნათლად არ იყვეთება რა იგულისხმა სამსახურმა პროექტის კორექტირებაში, ევალებოდა თუ არა მხარეს კორექტირების დროს კედლის და გუმბათის აღდგენა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს 31.03.2014წ. გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქ. თბილისის მერია საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული. გამომდინარე იქედან, რომ დამტკიცებული პროექტით არ იყო გათვალისწინებული გუმბათის და კედლის ჩამოშლა, შპს „...“ ასეთი სამუშაოების დავალება ვერ იქნებოდა კანონშესაბამისი, ამიტომ შპს „...“ დაევალა არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით შეთანხმებული პროექტის წარმოდგენა. კასატორი შეთანხმებული პროექტის წარმოსადგენად განსაზღვრული 20-დღიანი ვადის შეფასების საჭიროებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ამ ვადაში შესაძლებელია პროექტის შეთანხმება, თუმცა შპს „...“ მხრიდან არც კი დაწყებულა მითითებით გათვალისწინებული მოქმედებები, მას არც ვადის გაზრდის მოთხოვნით მიუმართავს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისათვის. კასატორი თვლის, რომ სამართალდარღვევის საქმეზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებისას და ასევე მერიის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას გამოკვლეული და შეფასებული იქნა საქმისათვის ყველა მნიშვნელობის მქონე გარემოება. კასატორმა მოითხოვა ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორებმა მოითხოვეს სა-

კასაციონ საჩივრების დაკმაყოფილება, საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. მოწინააღმდეგე მხარემ საკასაციო საჩივრის საფუძვლები არ ცნო და მოითხოვა საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილი-სის საპატიო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 24.06.13წ. დადგენილებით შპს „...“ პროექტის დარღვევით მე-3 კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის პროცესში დაშვებული დარღვევებისათვის დაჯარიმდა 3 000 ლარით. დაჯარიმებას საფუძვლად დაედო „პროექტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „ა.ბ“ ქვეპუნქტები, რომელთა თანახმად სამშენებლო დოკუმენტაციითა და სამშენებლო რეგლამენტებით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას: მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქ.თბილისის ტერიტორიაზე, მესამე კლასის შენობა-ნაგებობისთვის – 3 000 ლარით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის მერიის სსპ თბილი-სის არქიტექტურის სამსახურის 30.08.11წ. №01/2577 ბრძანებით შეთანხმებულია შენობის რეკონსტრუქცია-რესტავრაციის, ... გამზ. №56-ის მიმდებარედ არსებული სკვერის მოწესრიგების არქიტექტურული პროექტი და ქ.თბილისის მერიის სისპ არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულია 30.08.11წ. №6/2708-1 „უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობა“, რომელიც ძალაშია 2016 წლის 1 სექტემბრამდე. შპს „...“ მიმართ სამართალდარღვევის საქმის წარმოებას სათავე დაუდო შპს „...“ კუთვნილი, ქ. თბილისში, ... გამზ. №56-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე შენო-

ბის გუმბათის და უკანა ფასადის მხარის 1-18 მონაკვეთში არ-სებული კედლების ჩამოქცევა. შენობის რეკონსტრუქცია-რესტავრაციის პროექტის ფარგლებში შპს „...“ არ გააჩნდა შენობის გუმბათის და უკანა ფასადის მხარეს 1-18 მონაკვეთში არსებული კედლის დემონტაჟის უფლებამოსილება, პირიქით პროექტი ითვალისწინებდა შენობის, რეკონსტრუქცია-რესტავრაციის პირობებში შენობის, მათ შორის გუმბათის და უკანა ფასადის კედლის უცვლელად დატოვებას.

სადავო აქტების (ზედამხედველობის სამსახურის 24.06.13ნ. №4-1/დ304-13 დადგენილება №000240, ქ.თბილისის მერიის 02.08.13ნ. №1623 განკარგულება) გამოცემის დროს მოქმედი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის 21³ მუხლის თანახმად, ქ.თბილისის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციის ამტკიცებს და მშენებლობის ნებართვას (გარდა არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვისა, საკულტო ნაგებობებზე სამუშაოების ნებართვებისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის ნებართვისა) გასცემდა ქ.თბილისის მერია ქ.თბილისის მერიისა და სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ.თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს დასკვნის საფუძველზე. „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 23.10.13ნ. №275 დადგენილების თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე სამუშაოების ნებართვები, რომელთა გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოება ქ.თბილისის მერიაში 2013 წლის 25 სექტემბრამდე არის დაწყებული, ქ.თბილისის მერიის მიერ გაიცემა. შესაბამისად, ძეგლებზე სამუშაოების ნებართვების საფუძველზე შესრულებული შუალედური და საბოლოო ანგარიშების მიღება, ასევე სანებართვო პირობების კონტროლი ქ.თბილისის მერიის მიერ ხორციელდება (დადგენილების მე-2 და მე-3 მუხლები). ამდენად, მერია, მერიის სსიპ ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილი იყო განეხორციელებია ობიექტზე სამშენებლო ზედამხედველობის კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო საეკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 24.05.13ნ. №000240 დადგენილება და მოპასუხეს – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დაევალა შპს „...“ საქმესთან დაკავშირებუ-

ლი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდიციდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 26.12.13წ. გადაწყვეტილება ქ.თბილისის მერიის 02.08.13წ. № 1623 განკარგულების პათილად ცნობის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელად დარჩა. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ახალი აქტის გამოსაცემად ზედამხედველობის ორგანოსათვის მიცემული დავალებები საფუძველს არის მოკლებული და წინააღმდეგობრივია. სააპელაციო პალატა ერთი მხრივ აღნიშნავს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იმსჯელოს და ნათელი პასუხი გასცეს საკითხს იმის შესახებ, იქნებოდა თუ არა სახეზე სამშენებლო სამართალდარღვევა იმ შემთხვევაში, თუკი შპს „...“ წარუდგენდა კორექტირებულ პროექტს თბილისის არქიტექტურის სამსახურს, ხოლო მეორე მხრივ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მითითების მიცემა არის საგადაფებულოდ განსახორციელებელი პროცედურული ეტაპი, რომელსაც თანმდევი შედეგის მიხედვით შეუძლია გამოიწვიოს პირის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება.

სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო დამრღვევის მიმართ სამართალდარღვევის საქმიანობის წარმოებას იწყებს მითითების გაცემით (საქმის წარმოების შემონმების აქტის შედგენით დაწყების საგამონაკლისო შემთხვევები გათვალისწინებულია კოდექსის 23.23 მუხლი). ზედამხედველობის ორგანოს მიერ მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამონტებს დამრღვევას, რაზეც დგება შემონმების აქტი. შემონმების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგრადარღობა მითითების პირობებთან მიმართებაში („პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის მე-2, მე-5 წაწილები). სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება უნდა დაწყებულიყო მითითების და არა პირდაპირ შემონმების აქტის შედგენის გზით. აღნიშნული არ წარმოადგენს სადავო აქტების გაუქმების საფუძველს, ვინაიდან ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ სამართალდარღვევის საქმის წარმოება სწორედ რომ 07.05.13წ. №000240 მითითების შედგენით დაიწყო. მითითებაში აღინიშნა, რომ დარღვეულია ქ.თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 30.08.11წ.

№01/2577 ბრძანებით შეთანხმებული პროექტი, კერძოდ, ჩამოწლილია გუმბათი და უკანა ფასადის მხარის 1-18 მონაკვეთში არსებული კედელი. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ ამჟამინდელი მდგომარეობით ადმინისტრაციული ორგანო მოკლებულია შესაძლებლობას კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დაცვით გამოსცეს აქტი, ვინაიდან შპს „...“ მიერ სადაც აქტით დაჯარიმების შემდეგ, წარდგენილი კორექტირებული პროექტის საფუძველზე, მოხდა ქ. თბილისში, ... გამზ. №56-ში მდებარე მინის ნაკვეთზე განთავსებული უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე შენობის ჩამონარეული გუმბათის და უკანა ფასადის მხარის 1-18 მონაკვეთში არსებული კედლის აღდგენა. სადლეისოდ გუმბათიც და კედელიც აღდგენილია. აღნიშნული გარემოება მხარეებს შორის დავას არ იწვევს. ამდენად, შეუძლებელია „პროდექტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსს“ 25.2 მუხლით სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების ხელახლა ჩატარება, რადგან დღის მდგომარეობით არ არსებობს შპს „...“ მხრიდან სანებართვო პირობების დარღვევა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საზედამხედველო სამსახურის სადაც აქტით შპს „...“ მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევისათვის გამოყენებულია არა აღდგენითი, არამედ საჯარიმ სანქცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, საფუძველს არის მოკლებული სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ განჩინებაში იმის მითითება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული წარმოების ხელახლი ჩატარების შედეგად პასუხი უნდა გასცეს საკითხს იმის შესახებ, თუ რა იგულისხმება მითითებით დავალებული კორექტირებული პროექტის წარდგენაში, კერძოდ, გულისხმობს თუ არა ის შპს „...“ დავალდებულებას აღადგინოს გუმბათი და კედელი, პროექტის იმგვარად დაკორექტირებას, რომ მასში გათვალისწინებული იქნეს გუმბათის და კედლის აღდგენა. პროექტის ცვლილების შეთანხმებას ბრძანებით ახდენს არა ზედამხედველობის სამსახური, არამედ არქიტექტურის სამსახური. ზედამხედველობის სამსახური ახდენს უკვე დამტკიცებულ პროექტთან ობიექტის შესაბამისობას. ამდენად, საფუძველს არის მოკლებული პროექტის კორექტირების მითითებაში ზედამხედველობის სამსახურის მოსაზრების გარკვევის დავალება, ასეთი მოტივაციით სადაც აქტის ბათილად ცნობა და საქმის ხელახლი განხილვისათვის ზედამხედველობის სამსახურისათვის დაბრუნება.

სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე აქტის ბათილად ცნობის და ხელახლი განხილვის დავალების პირობას არ ქმნის აგრეთ-

ვე სააპელაციო პალატის მითითება იმის შესახებ, რომ შეფასებას საჭიროებს საზედამხედველო ორგანოს მითითებით განსაზღვრული კორექტირებული პროექტის წარმოდგენის ოცდლიანი ვადა. სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე აქტის გაუქმება შესაძლებელია საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების იგნორირების, მისი გამოკვლევის გარეშე გამოცემის შემთხვევაში. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადის გონივრულობა არ წარმოადგენს სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების პირობას, ადმინისტრაციულმა ორგანომ იცდლიანი ვადის განსაზღვრით გონივრულად მიიჩნია იგი, ხოლო სააპელაციო პალატას საკითხის განსახილველად ხელახალი დაბრუნების გარეშე თავად შეეძლო შეეფასებინა ოცდლიანი ვადის დადგენის გონივრულობა, მით უფრო, რომ პროექტის კორექტირების წარმოდგენისათვის ვადის გონივრულობა შეფასდება არა მხოლოდ მითითებით განსაზღვრული 20-დღიანი ვადით, არამედ დაჯარიმების შესახებ დადგენილების გამოტანით, ვინაიდან კანონმდებლობა ითვალისწინებს კორექტირებული პროექტის წარდგენის შესაძლებლობას დადგენილების გამოტანამდე („პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 27.5 მუხ.). შპს „...“ ვადის გაზრდის მოთხოვნით ზედამხედველობის სამსახურისათვის არ მიუმართავს, შესაბამისად გაუგებარია ამ საკითხის გარკვევის დავალება ადმინისტრაციული ორგანოსათვის. ზემოაღნიშნულთან ერთად მხედველობაშია აგრეთვე მისაღები, რომ ადგილი ჰქონდა კულტურის ძეგლის წაწილის ჩამოქცევას. უდავოა, რომ შენობის რეკონსტრუქცია-რესტავრაციის არქიტექტურული პროექტის ფარგლებში შპს „...“ არ გააჩნდა შენობის გუმბათის და უკანა ფასადის მხარეს 1-18 მონაკვეთში არსებული კედლის არათუ მონგრევის, არამედ რაიმე ცვლილების შეტანის უფლებამოსილება, სააპელაციო სასამართლო თავად აღნიშნავს, რომ პროექტის მიხედვით შენობის რეკონსტრუქცია-რესტავრაციის პირობებში შპს „...“ ვალდებული იყო შეენარჩუნებია შენობა უცვლელად, მათ შორის, შენობის ხსენებული ორი დეტალი – გუმბათი და უკანა ფასადის კედელი. ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლინდა პროექტის დარღვევა, გამოვლენილ დარღვევაზე გაიცა მითითება, ვინაიდან ვერ იქნა წარმოდგენილი ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი კორექტირებული პროექტი, მიღებულ იქნა დადგენილება საჯარიმ სანქციის გამოყენების შესახებ. წებართვის მფლობელი პასუხისმგებელია სანებართვო პირობების შესრულებაზე. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის თა-

ნახმად ძეგლის მესაკუთრე ვალდებულია არ დაუშვას ძეგლზე რაიმე სახის თვითნებური ზემოქმედება, მათ შორის, ძეგლის ნაწილების ან ფრაგმენტების გადაკეთება, დანაწევრება, დაშლა (28.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი). დასაშვებია ძეგლის მხოლოდ იმგვარი გამოყენება, რომელიც არ აზიანებს ან ამის საფრთხეს არ უქმნის მას, არ ამცირებს მის კულტურულ ან ისტორიულ ღირებულებას, არ იწვევს მისი ავთენტიკური ელემენტების ცვლილებებს, არ აუარესებს მის აღქმას (23-ე მუხ.). თუ ნებართვის საფუძველზე ძეგლზე ჩატარებული სამუშაოებისას წარმომობა შესაბამისი სანებართვო პირობების ცვლილების აუცილებლობა, ნებართვის მფლობელი ვალდებულია სანებართვო პირობების ცვლილების მოთხოვნით, განცხადებით მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს, სანებართვო პირობების (ცვლილების საფუძველია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (53-ე მუხ.).) სამუშაოს ჩატარება კორექტირებული პროექტის მიხედვით შესაძლებელია მხოლოდ სანებართვო პირობების ცვლილების აქტით დამტკიცების შემდეგ. სამშენებლო კანონმდებლობის თანახმად, მითითების მიცემა არის საჯარი-მო სანქციის დაკისრების აუცილებელი წინაპირობა, შუალედური აქტი, რომელიც თავისთავად უშუალო სამართლებრივ შედეგს არ იწვევს, დაჯარიმებას იწვევს არა მითითების შედეგნა, არამედ მითითებით განსაზღვრული პირობების – მოცემულ შემთხვევაში კორექტირებული პროექტის განსაზღვრულ ვადაში არნარდგენა. კორექტირებული პროექტის, ახალი სამშენებლო პირობების დამტკიცება არ გულისხმობს უძრავი კულტურის ძეგლზე უკანონო ზემოქმედების, ძეგლის კედლის ნაწილის და გუმბათის ჩამოქცევის ლეგალიზაციის შესაძლებლობას, ობიექტისათვის მინიჭებული კულტურის ძეგლის სტატუსი ცხადყოფს, რომ შპს „...“ განესაზღვრა ვადა დამტკიცებული პროექტისაგან გადახვევის დასადასტურებლად არქიტექტურული სამსახურის მიერ უკვე დამტკიცებული პროექტის წარდგენისათვის, ასეთი არსებულ ფაქტობრივ გარემოებასთან შესაბამისობაში მყოფი პროექტი უნდა შედგენილიყო მანამდე და არა ზედამხედველობის ორგანოს მიერ ვადის განსაზღვრის შემდეგ. ამდენად, დაუსაბუთებელია სააპელაციის პალატის მითითება იმაზე, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იმსჯელოს პროექტის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადის გონივრულობაზე.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ გუმბათის და კედლის ჩამოშლასთან დაკავშირებით სამართალნარმოების დაწყებამდე, სადავო აქტების გამოცემამდე, ქ.თბილისში, ... გამზ. №56-

ში მდებარე შენობის და მასთან არსებული სკვერის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტის მიმდინარე სამშენებლო სამართალდარღვევასთან მშენებლობის ეტაპზე ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 01.03.13ნ. №000215 მითითებაზე შედგა შემოწმების აქტი, რომლითაც მშენებლობის ეტაპზე დაფიქსირდა სსიპ არქიტექტურის სამსახურის მიერ 30.08.11ნ. პრძანებით დამტკიცებული პროექტის რიგი დარღვევები, სხვა დარღვევებთან ერთად დაფიქსირდა კედლების და გადახურვის მოშლა. ობიექტის მესაკუთრე უარყოფდა კედლების მოშლას და ამტკიცებდა მათი სიძეველის გამო ჩამოქცევას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული მასალის შესწავლის, ამ დარღვევების სადაც აქტებში აღნიშნულ დარღვევასთან შესაძლო კავშირზე მსჯელობის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება. პროექტი არ ითვალისწინებდა სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შედეგად გუმბათის და კედლის ჩამოშლის შესაძლებლობას, პირიქით უძრავი ძეგლის ცენტრალური კონსტრუქციული ელემენტი, გუმბათი უნდა შენარჩუნებულიყო, რესტავრაცია ხომ სწორედ შემორჩენილი ავთენტიკური მასალის და ელემენტების ფარგლებში თანამედროვე ტექნიკურობის გამოყენებით ძეგლის დაზიანებული ფრაგმენტების თავდაპირველი სახით აღდგენას გულისხმის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „შ“ კვეპუნქტი). უკეთუ სიძეველის გამო სამუშაოების ჩატარება არ იყო შესაძლებელი გუმბათის დემონტაჟის გარეშე, აღნიშნული საჭიროებდა სამშენებლო სამუშაოების ჩატარებას დამტკიცებულ პროექტში კორექტირების შეტანის შემდეგ, ასეთი საქმის მასალებით არ დასტურდება. ამდენად, გაურკვეველია რაზე განაპირობა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში იმის აღნიშვნა, რომ გარკვევას საჭიროებს თუ რა იგულისხმება ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა წერილობით მითითებაში. ამის გარკვევა სავსებით შესაძლებელია სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცესში, შესაბამისად, ხსენებული ვერ იქნება მიჩნეული სადაც საკითხის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი.

სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ხდება საქმის ფაქტობრივი და არა სამართლებრივი გარემოებების გაურკვევლობის გამო. ამდენად, აქტის გაუქმებას არ ასაბუთებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაბრუნების საფუძვლად დავის სამართლებრივი ასპექტების გარკვევის საჭიროებაზე მი-

თითება (შექმნიდათ არა თბილისის არქიტექტურის სამსახურ-თან შეთანხმებული კორექტირებული პროექტის წარმოდგენა ჯარიმის სახით პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების სა-ფუძველს; არის თუ არა კედლის და გუმბათის ჩამონგრევა მარ-თლსაზინააღმდეგო).

დაუსაბუთებელია აგრეთვე სააპელაციო სასამართლოს გან-ჩინებაში ბრალეული ქმედების გარკვევის საჭიროებაზე, კერ-ძოდ იმის გარკვევის საჭიროებაზე მითითება წარმოადგენს თუ არა შპს „...“ მართლსანინააღმდეგო ბრალეული ქმედება აქტი-ური მოქმედების ან/და უმოქმედობის შედეგს, სააპელაციო პა-ლატა გადაწყვეტილებაში უთითებს აგრეთვე, რომ ადმინისტრა-ციული პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნებისათვის გუმბა-თის და კედლის ჩამონგრევა ანუ უძრავი ძეგლის სტატუსის მქო-ნე შენობის დაზიანება წარმოადგენს კონკრეტული პირის (პი-რების) მხრიდან ჩამონგრევამდე განხორციელებული მოქმედე-ბის ან უმოქმედობის შედეგს, რაც თავის მხრივ სააპელაციო პალატის აზრით მიუთითებს იმაზე, რომ ადმინისტრაციულ ორ-განოს, გამოვლენილი გადაცდომის სამშენებლო სამართალდარ-ღვევად სწორად დაკვალიფიცირების ინტერესთა ჭრილში, უ-და შეეძლოს იმ მოქმედების ან/და უმოქმედობის ზუსტად აღ-ნერა-დახასაითება, რომელსაც შედეგად მოჰყვა ძეგლის დაზი-ანება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ბრალი პასუ-ხისმგებლობის (დისციპლინური, ადმინისტრაციული, სისხლის-სამართლებრივი) სავალდებულო კომპონენტია. დაუშვებელია იურიდიული პირის ბრალის გარეშე ადმინისტრაციული პასუხის-მგებლობა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არის ბრა-ლეული მოქმედება (უმოქმედობა) ფიზიკური ან იურიდიული პი-რისა. ამსთანავე, იურიდიული პირის ბრალის ცნებას განსხვა-ვებული შინაარსი აქვს, სამშენებლო სამართალში იურიდიული პირის მიმართ ბრალის ხასიათის გარკვევა განზრახვის ან გა-უფრთხილებლობის კლასიკური ცნების თვალსაზრისით უსაგ-ნოა. იურიდიული პირი მიიჩნევა ბრალეულად ადმინისტრაცი-ულ სამართალდარღვევაში უკეთუ იურიდიულ პირს ჰქონდა დადგენილი წესების და ნორმების დაცვის შესაძლებლობა, მაგ-რამ პირის მიერ არ იქნა მიღებული ყველა საჭირო და აუცილე-ბელი ზომა მათ დასაცავად, დარღვევის თავიდან ასაცილებ-ლად. ასეთ გარემოებაზე მითითებას სააპელაციო პალატა ვერ ახდენს. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით შეთანხმებული პროექტის დაცვა და სანებართვო პირობების შესრულება წარ-მოადგენს დამკვეთის ვალდებულებას, ამ ვალდებულების დარ-ღვევა იწვევს საჯარიმ სანქციის გამოყენებას დამკვეთის მი-

მართ. იურიდიული პირის ბრალის კომპლექსური გაგება შეიცავს მის ობიექტურ და სუბიექტურ ასპექტებს. ბრალის ობიექტური ასპექტი ვლინდება თუ დადგენილია, რომ იურიდიულ პირს გა-აჩნდა დადგენილი წესების დაცვის, დარღვევის თავიდან აცი-ლების შესაძლებლობა, ხოლო მის მიერ არ იყო მიღებული ყვე-ლა საჭირო ზომა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საქმარისია პირის მიერ წესის, დამტკიცებული პროექტის, მშენებლობის ნე-ბართვის დარღვევის კონსტატაცია, ბრალი ასეთ შემთხვევაში პრეზიუმირდება. რაც შეეხება ბრალის ფორმებს (განზრახვა, გაუფრთხილებლობა), კონკრეტული ფიზიკური პირების ქმედე-ბას, სამშენებლო სამართალდარღვევისათვის იურიდიული პი-რის პასუხისმგებლობისათვის მათ არ აქვთ არსებითი მნიშვნე-ლობა. ასეთი მექანიზმი იძლევა სამშენებლო სამართალდარ-ღვევის ჩადენის სუბიექტად არამხოლოდ ფიზიკური, არამედ აგრეთვე იურიდიული პირის ცნობის შესაძლებლობას. სწორედ იურიდიულ პირზე საჯარიმო სანქციის სახით პასუხისმგებლო-ბის დაკისრების საკითხი შეადგენს განსახილველი დავის სა-განს. იურიდიულ პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება მიუხე-დავად იმისა, დადგენილია თუ არა სამართალდარღვევის ჩამ-დენი კონკრეტული ფიზიკური პირი, აგრეთვე მიუხედავად ამ პირის ბრალის ფორმისა. ბრალის ფორმას მნიშვნელობა აქვს ფი-ზიკური პირის პასუხისმგებლობისათვის (ასე მაგ. „კულტურუ-ლი მექანიზმების შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის თანახმად, ძეგლზე განზრახ იმგვარი ზემოქმედების მოხდენა, რის გამოც ძეგლს ემუქრება გამოუსწორებელი დაზიანება ან განადგურე-ბა, გამოიწვევს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლო-ბას). იურიდიული პირის ბრალის სუბიექტური ასპექტი ვლინ-დება ადმინისტრაციის, კონკრეტული თანამდებობის პირის და-მოკიდებულებაში სამართალდარღვევის მიმართ. მართალია, იუ-რიდიული პირისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება არ გამორიცხავს სამშენებლო სამართალდარღვე-ვისათვის ფიზიკური პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაკის-რებას და პირიქით, ფიზიკური პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება არ გამორიცხავს მის დაკისრებას იურიდიული პირი-სათვის, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში კონკრეტული ფიზიკუ-რი პირების პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა, შესაბა-მისად, საფუძველს არის მოკლებული საპელაციო პალატის და-ვალება კონკრეტული ფიზიკური პირების მოქმედების ზუსტი დადგენის საჭიროების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს სა-

დავონ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბათილად ცნობის და სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ადმინისტრაციული ორგანოსათვის ხელახალი განხილვისათვის და ახალი გადაწყვეტილების მიღებისათვის დაბრუნების შესაძლებლობის დასაბუთებას. სასკ-ის 32.4 მუხლის მიხედვით სასამართლო დავის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობს აქტს იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება. სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოსათვის საკითხის ხელახალი გადაწყვეტის დაკისრების აუცილებელი პირობათაგანია ადმინისტრაციული წარმოების ახლიდან ჩატარების სამართლებრივი შესაძლებლობა, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის. ამდენად, დაუსაბუთებელია სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო აქტის ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული ორგანოსთვის საკითხის ხელახალი განხილვის დავალება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის და თბილისის მერიის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 31.03.2014 წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
2. მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაჯარიმება უნებართვო მშენებლობისათვის

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-149-146(3კ-14)

17 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

თ. ლ-ემ სარჩელი აღმრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხების ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისა და ქ. თბილისის მერიის მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 18 იანვრის №000028 დადგენილებისა და ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 12 მარტის №375 განკარგულების ბათილად ცნობა.

მოსარჩელე სარჩელში მიუთითებდა, რომ 2012 წლის შემოდგომაზე განახორციელა კაპიტალური შენობა-ნაგებობის მშენებლობა ქ. თბილისში, ..., ... მე-... ჩიხი, სადაც ცხოვრობს დღესაც, უკიდურეს გაჭირვებაში დედასთან და მცირენლოვან შვილთან ერთად. არის მარტოხელა დედა და ამასთან, არის ორსულად. რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთიან რეესტრში.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 18 იანვრის №000089 დადგენილებით დაჯარიმდა 10000 ლარით უნებართვო მშენებლობისათვის და ამასთან, დაევალა ქ. თბილისში, ... მე-... ჩიხში, უნებართვოდ აშენებული საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი. აღნიშნული დადგენილება გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიაში, რომლის 2013 წლის 28 იანვრის №375 განკარგულებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელის განმარტებით, საცხოვრებელი სახლის დემონტაჟით რჩება უსახლკაროდ, რადგან ეს სახლი არის მისი ერთა-დერთი თავშესაფარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2013 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით თ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2012 წლის 10 ოქტომბრის №0000028 მითითების თანახმად, თ. ლ-ეს განესაზღვრა 4-დღიანი ვადა მის მიერ წარმოებული უნებართვო მშენებლობის დემონტაჟისათვის ან სეპარაციის მისათვის არ შეასრულო შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

2012 წლის 16 ოქტომბერს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ შედგა №000028 შემონმების აქტი, რომელშიც დაფიქსირდა, რომ თ. ლ-ემ №000028 მითითებით გათვალისწინებული პირობები არ შეასრულა.

2013 წლის 18 იანვარს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №000028 დადგენილებით თ. ლ-ე ქ. თბილისში, ... ქ. №....-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ კაპიტალური შენობა-ნაგებობის უნებართვო მშენებლობისათვის დაჯარიდა 10000 ლარით.

ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 12 მარტის განკარგულებით №375 თ. ლ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ საქართველოს კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქ. თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც იწვევს შენობა-ნაგებობების გაბარიტების ცვლილებას, გამოიწვევს დაჯარიმებას სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე 10000 ლარით.

ამავე კანონის 25-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თუ შემონმების აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, აქტის საფუძველზე სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას: ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ; ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე უნებართვო მშენებლობისა და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ; გ)

დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და დემონტაჟის შესახებ.

საქალაქო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელემ ვერ შეძლო საწინააღმდეგო არგუმენტაციისა და იმ სამართლებრივი ნორმის მითითება, რომელიც დაადასტურებდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებისა და მის მიერ მიღებული აქტის კანონსაწინააღმდეგო ხასიათს, ვერ მიუთითა კანონის ისეთ დარღვევაზე, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება, რის გამოც არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩინოა თ. ლ-ემ და მოითხოვა გასაჩინოებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ საჩივრის განმხილველმა ორგანომ (ქ. თბილისის მერიამ) საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და შესაბამისად, არ არსებობს ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 12 მარტის №375 განკარგულების ბათილად ცნობის საფუძველი, ასევე არ იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მითითების დარღვევის გამოსასწორებლად განსაზღვრული 10-დღიანი ვადა არ იყო გონივრული და აღნიშნულ ვადაში აპელანტისათვის ფიზიკურად შეუძლებელი იყო დარღვევის გამოსწორება.

აპელანტის განმარტებით, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა აპელანტის და მისი ოჯახის სოციალური მდგომარეობა და ის ფაქტი, რომ თ. ლ-ე ზემოთხსენებულ მისამართზე ცხოვრობს მცირებლოვან შვილებთან ერთად. მოსარჩელის ოჯახი ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. მოსარჩელის ოჯახის არც ერთი წევრი არ მუშაობს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გა-

უქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით თ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადაც საკოთხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 18.01.2013 წლის №000028 დადგენილება ნაწილობრივ, კერძოდ, 1-ლი, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, ანუ თ. ლ-ის 10 000 ლარით დაჯარიმებისა და ჯარიმის გადახდის/გადაუხდელობის თანმდევი შედეგების თაობაზე გაკეთებული განმარტებების ნაწილში; შესაბამისად, მოპასუხეს – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დაევალა თ. ლ-ის საქმეს-თან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოიცემა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის – ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 12 მარტის №375 განკარგულება ნაწილობრივ, კერძოდ, დაჯარიმების ნაწილში ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 18 იანვრის №000028 დადგენილების თაობაზე თ. ლ-ის მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის არდაკმაყოფილების ნაწილში; თ. ლ-ეს უარი ეთქვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 18 იანვრის №000028 დადგენილების მე-2 პუნქტის, ანუ შენობის დემონტაჟის დავალდებულების ნაწილში ბათილად ცნობაზე; თ. ლ-ეს უარი ეთქვა მოპასუხის – ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 12 მარტის №375 განკარგულების ნაწილობრივ, კერძოდ, შენობის დემონტაჟის ნაწილში ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 18 იანვრის №000028 დადგენილების თაობაზე თ. ლ-ის მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის არდაკმაყოფილების ნაწილში ბათილად ცნობაზე.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ლ-ემ 2012 წელს ნამდვილად ააშენა ქ. თბილისში, ... ქუჩაზე, №...-ე საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთსართულიანი კაპიტალური შენობა შესაბამისი ნებართვის და პროექტის გარეშე; ასევე, მიწა, რომელზედაც აშენებულია ნაგებობა, წარმოადგენს თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას.

ქ. თბილისში, ... ქუჩაზე, №...-ე საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია, რომელზედაც თ. ლ-ემ განახორციელა უნებართვო

მშენებლობა, არ მდებარეობს არც 1) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დაფგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, 2) არც ტყის ფონდის ტერიტორიაზე, 3) არც „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, 4) არც კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, 5) არც საკურორტო-სარეკრეაციო ზონაში.

ასევე ქ. თბილისში, ... ქუჩაზე, №...-ე საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე (თვითმმართველი ერთეულის კუთვნილ ტერიტორიაზე) ერთსართულიანი კაპიტალური შენობის აშენებას არ გამოუწვევია სხვა რომელიმე ნაგებობის გაბარიტების შეცვლა, უნებართვოდ აშენებული შენობა მდებარეობს სხვა შენობებისგან განცალკევებით, დამოუკიდებლად.

ქ. თბილისში, ... ქუჩაზე, №...-ე საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს საცხოვრებელ ზონაში.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 18 იანვრის №000028 დადგენილება (კერძოდ, ჯარიმის დაკისრების ნაწილში) გამოცემულია თ. ლ-ის საქმესთან დაკავშირებული გარემოების გამოკევლებისა და შეფასების გარეშე; კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, თ. ლ-ემ მართალია, ჩაიდონა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“ გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, მაგრამ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა გადაცდომას მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება, მართლსაწინააღმდეგო ქმედება დააკალიფიცირა არასწორად; კერძოდ, დადგენილების გამოცემის სამართლებრივი საფუძვლის – პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილით უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ჯარიმდება: а) სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე 10 000 ლარით; ბ) კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე 8 000 ლარით.

ასევე, 44-ე მუხლის შენიშვნის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ გაბარიტების ცვლილებად განიხილება ისეთი სამშენებლო საქმიანობა, რომლის დროსაც იცვლება შენობა-ნაგებობის საძირკვლის, გარე შემომზღვდავი კონსტრუქციების ან/და სახურავის პარამეტრები (მიშენება, დაშენება, შენობა-ნაგებობის სიმაღლის გაზრდა და ა. შ.), ხოლო მშენებლობის შედეგად წარმოქმნილი ობიექტი არის შენობა-ნაგებობის არსებითი შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევება შეუძლებელია მთლიანი შენობა-ნაგებობის ან ამ ნაწილის განადგურების ან/და მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, იმისთვის, რომ სამშენებლო სამართალდარღვევა დაეფუძნოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლს, აუცილებელია, რომ უნებართვო მშენებლობა განხორციელდეს განსაკუთრებული, გამორჩეული, სპეციალური სტატუსის მქონე ტერიტორიის (ზონის) ფარგლებში; კერძოდ, ისეთი ტერიტორიის ფარგლებში, როგორიც არის: 1) სპეციალური რეჟიმის ზონა, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, 2) ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიები, 3) კულტურული მემკვიდრეობის დაშცავი ზონები, 4) საკურორტო-სარეკრეაციო ზონები, ან კიდევ 5) ქალაქ თბილისის ტერიტორია, როდესაც უნებართვო მშენებლობა ინვესტიციების გაბარიტების ცვლილებას.

საქმის მასალებით კი დადგენილია, რომ თ. ლ-ეს უნებართვო მშენებლობა არ უნარმოებია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სპეციალური სტატუსის მქონე ტერიტორიებიდან არც ერთის ფარგლებში, ასევე თ. ლ-ემ უნებართვო მშენებლობა მართალია ანარმო თვითმმართველი ერთეულის – თბილისის კუთვნილ ტერიტორიაზე, მაგრამ ერთსართულიანი შენობის აშენებას არ გამოუწვევია სხვა რომელიმე შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილება; შესაბამისად, გადაცდომის 44.1. მუხლით დაკვალიფიცირებისთვის არ კმარა იმ გარემოებაზე მითითება, რომ უნებართვო მშენებლობა ნაწარმოებია თბილისის ტერიტორიაზე, გარდა მშენებლობის ადგილისა, მუხლის გამოყენებისთვის აუცილებელია, რომ იმავდროულად არსებობდეს მეორე მაკვალიფიცირებელი ელემენტი – ახალი (უნებართვო) ნაგებობის მშენებლობის გზით სხვა, უკვა არსებული, აშენებული ნაგებობის გაბარიტების შეცვლა; უდავოა, რომ თ. ლ-ის შემთხვევაში არ შეცვლილა სხვა რომელიმე

შენობა-ნაგებობის საძირკვლის, გარე შემომზღვდავი კონსტრუქციების ან/და სახურავის პარამეტრები, ანუ ადგილი არ ჰქონია მიშენებას, დაშენებას, შენობა-ნაგებობის სიმაღლის გაზრდას და ა.შ.;

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ თ. ლ-ეს არ ჩაუდენია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა; მაგრამ სააპელაციო პალატის განმარტებით, ეს არ ნიშნავს, იმას, რომ მოსარჩევემ, ააშენა რა კაპიტალური ნაგებობა უნებართვოდ, სხვის (თვითმმართველი ერთეულის) კუთვნილ ტერიტორიაზე, ამით საერთოდ არ ჩაუდენია რაიმე სახის სამართალდარღვევა; პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 43-ე მუხლით დადგენილია, რომ უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის ნარმოება: ა) თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ კოდექსის 44-ე მუხლში აღნიშნული ტერიტორიისა გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარით; ბ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში ქალაქში, გარდა ამ კოდექსის 44-ე მუხლში აღნიშნული ტერიტორიისა, გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარით; გ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში დაბაში ან სოფელში, გარდა ამ კოდექსის 44-ე მუხლში აღნიშნული ტერიტორიისა გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარით.

პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს – თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს თ. ლ-ის საქმის განხილვისას მხედველობაში უნდა მიეღო კოდექსის 43.„ა“ და არა 44.1. მუხლის შინაარსი და სწორედ 43.„ა“ მუხლზე დაყრდნობით უნდა წარეგართა თ. ლ-ის სამშენებლო სამართალდარღვევის საქმე. უდავოა, რომ 43.„ა“ მუხლთან შედარებით 44.1. მუხლით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა უფრო მძიმეა და მისი ჩამდენი პირი უფრო მკაცრად ისკევდა.

რაც შეეხება შენობის დემონტაჟის საკითხს, სააპელაციო პალატა მიუთითებს, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილზე და განმარტავს, იმის მიუხედავად, რომ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა თ. ლ-ის მიერ ჩადენილ სამშენებლო სამართალდარღვევას მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო, დაედგინა უნებართვო შენობა-ნაგებობის დემონტაჟი გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხისთვის თავიდანვე

ცნობილი იყო უნებართვო მშენებლობის მწარმოებელი პირი, ხოლო მიწის ნაკვეთი, რომელზედაც ნაგებობა არის განთავსებული, თვითმმართველი ერთეულის საკუთრება იყო, რაც შეეხება ქმედების კვალიფიკაციას, ამ საკითხთან მიმართებაში მოპასუხის მიერ დაშვებული შეცდომა გავლენას ვერ ახდენს დემონტაჟის საკითხზე, რადგან გადაცდომის როგორც კოდექსის 43-ე, ისე – 44-ე მუხლით კვალიფიკაციის პირობებში (ანუ ორივე შემთხვევაში) სავალდებულოა, რომ ზედამხედველობის სამსახურმა მიიღოს გადაწყვეტილება უნებართვო მშენებლობის დემონტაჟის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზედამხედველობის სამსახურს თავიდანვე სწორად რომ შეერჩია გადაცდომის მაკვალიფიცირებელი ნორმა, იგი მაინც ვალდებული იქნებოდა, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილზე დაყრდნობით იმავდროულად მიეღო გადაწყვეტილება შენობის დემონტაჟის თაობაზე, რასაც რეალურად ჰქონდა კიდეც ადგილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტები შენობის დემონტაჟის ნაწილში კანონიერია, აქტები სრულად შეესაბამება პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნებს და არ არსებობდა მათი ბათილად ცნობის საფუძველი.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრება თ. ლ-ემ, ქ. თბილისის მუნიციპიალიტეტის მერიამ და ქ. თბილისის მუნიციპიალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა.

კასატორი ქ. თბილისის მუნიციპიალიტეტის მერია საკასაციო საჩივრში მიუთითობდა, რომ სააპელაციო პალატის მიერ დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე „ე“ და „ე¹“ ქვეპუნქტები, სასამართლომ განჩინების მიღებისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი.

კასატორის განმარტებით, არასწორია სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა სამშენებლო სამართალდარღვევას მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება და მართლსაწინააღმდეგო ქმედება დაკავალიფიცირა არასწორად, კერძოდ, ზედამხედველობის სამსახურს თ. ლ-ე უნდა დაეჯარიმებინა 3000 ლარით და არა 10000, ანუ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 43-ე მუხლის შესაბამისად და არა 44-ე მუხლის თანახმად. სააპელაციო პალატას მიაჩნია,

რომ თუ მშენებლობა ნაწარმოებია თბილისის ტერიტორიაზე და არ არის სხვა რაიმენაირი სახის სპეციალური ზონა ან/და არ ცვლის სხვა შენობა-ნაგებობის გაბარიტებს სამართალდამრღვევი უნდა დაჯარიმდეს აღნიშნული კოდექსის 43-ე მუხლით, რაც კასატორის განმარტებით, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან, მოცემული დავის საგანი სასამართლო პრაქტიკისათვის არ წარმოადგენს პირველ საქმეს და ანალოგიურ საქმეებზე მიღებულია არაერთი გადაწყვეტილება და არასდროს არ ყოფილა დავა იმაზე, რომ ზედამხედველობის სამსახურს, თურმე თბილისის ტერიტორიაზე უნებართვოდ ნაწარმოებ მშენებლობაზე სამართალდამრღვევი პირი უნდა დაეჯარიმებინა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 43-ე მუხლით, რადგან ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური ხელმძღვანელობს ზემოაღნიშნული კოდექსით, რომლის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად: უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების საკუთრივი დადგენილი განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ჯარიმდება სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე 10 000 ლარით; აღნიშნულ მუხლში კანონმდებლობას, ერთმანეთისგან განცალკევებული აქვს ორი ტერმინი: უნებართვო მშენებლობა და რეკონსტრუქცია. უნებართვო მშენებლობა არის ნებისმიერი სახის სამშენებლო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სათანადო ნებართვის გარეშე, მათ შორის, ახალი მშენებლობა. „მშენებლობის ნებართვის გაცემის ნესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების 3.5 მუხლის შესაბამისად, მშენებლობა არის, რომელიც ხორციელდება მიწის ნაკვეთის იმ ნაწილში, სადაც არ დგას შენობა-ნაგებობა, ან ხდება არსებულის მთლიანად ჩანაცვლება. აღნიშნული განმარტებიდან, კასატორის შეფასებით, ახალი მშენებლობა ლოგიკურად გამორიცხავს „გაბარიტის ცვლილებას, ვინადან, რაც არ არსებობს ვერც შეიცვლება. ანუ თავისუფალი მიწის ნაკვეთზე შენობის აშენებამ შეიძლება გამოიწვიოს სხვა შენობის გაბარიტების ცვლილება, რაც შეეხება რეკონსტრუქციის აღნიშნული უდავოდ გულისხმობს გარკვეულ ცვლილებას არსებული ობიექტების რაიმე სა-

ხით შეცვლას, რაც სანქციის თვალსაზრისით უთანაბრდება უნებართვო მშენებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებას სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

მეორე კასატორი – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სააპელაციო პალატის მიერ დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე „ე“ და „ე!“ ქვეპუნქტები, სასამართლომ განჩინების მიღებისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი. არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა არასწორი კვალიფიკაცია მისცა სამართალდარღვევას, გამოიყენა რა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის 44-ე მუხლი უნებართვო მშენებლობასთან მიმართებაში.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მუ-3 მუხლის 74-ე ქვეპუნქტზე, რომელშიც განმარტებულია თუ რა არის უნებართვო მშენებლობა და მისი ანალიზის საფუძველზე, დაასკვნა თუ რა არის „ერთსართულიანი კაპიტალური ნაგებობის აშენება“, მაგრამ არ გაითვალისწინა ამავე მუხლის 47-ე და 78-ე ქვეპუნქტები, სადაც განმარტებულია: ნაგებობა – სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობებისგან შექმნილი კონსტრუქციული სისტემა, რომელიც გრუნტთან უძრავადა დაკავშირებული; შენობა – ნაგებობა, რომელიც ქმნის გადახურულ სივრცეს, შემოსაზღვრულია კედლებით, კოლონებით ან/და სხვა შემომზღვდავი კონსტრუქციებით. ანუ, ნებისმიერ გადახურულ სივრცეს, რომელიც შემოსაზღვრულია კედლებით, ეწოდება „შენობა“ და სასამართლოს მიერ მითითებული „ერთსართულიანი კაპიტალური ნაგებობა“ არის „ახალი ტერმინი“, ამასთან, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ლ-ეს მშენებლობა არ უნარმოებია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ სპეციალური სტატუსის ტერიტორიაზე, თუმცა მშენებლობა ნანარმოებია „თვითმართველი ერთეულის – თბილისის კუთვნილ ტერიტორიაზე. კასატორის განმარტებით, გაუგებარია რას გულისხმობს სასამართლო ზემოაღნიშნულ; ტერმინში – თბილისის

კუთვნილი ტერიტორია.

კასატორის განმარტებით, არ იზიარებს ასევე სასამართლოს მოსაზრებას, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის 44-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებაში, სასამართლო თავისი განმარტებით, ფაქტობრივად სანახევროდ აუქმებს დისპოზიციას და პასუხისმგებლობას ანე-სებს მხოლოდ სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე, ხოლო უნებართვო მშენებლობა (ახალი მშენებლობა) თბილისის ტერიტორიაზე, სასამართლოს მსჯელობიდან გამომდინარე (ვინაიდან, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის 43-ე მუხლი ქ. თბილის საერთოდ არ ეხება) სამართალ-დარღვევას აღარ წარმოადგენს. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის 44.1 მუხლა ადგენს: „უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც იწვევს შენობა-ზაგებობის გაბარიტების ცვლილებას, გამოიწვევს დაჯარიმებას“. აშკარაა, რომ ერთმანეთისგან განცალკევებულია ორი ტერმინი: „უნებართვო მშენებლობა“ და „რეკონსტრუქცია“. კასატორის განმარტებით, უნებართვო მშენებლობა არის კრებითი ცნება, რომელიც მოიაზრებს ნებისმიერი სახის სამშენებლო საქმიანობას, რომელიც განხორციელებულია სათანადო ნებართვის გარეშე, მათ შორის ახალი მშენებლობა. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 3.5 მუხლის შესაბამისად, არის მშენებლობა, რომელიც ხორციელდება მიწის ნაკვეთის იმ ნაწილში, სადაც არ დგას შენობა-ზაგებობა, ან ხდება არსებულის მთლიანად ჩანაცვლება. აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ახალი მშენებლობა გამორიცხავს „გაბარიტის ცვლილებას“, რაც შეეხება ტერმინს „რეკონსტრუქცია“ (მშენებლობის ერთ-ერთი სახე), აღნიშნული უდავოდ გულისხმობს გარკვეულ ცვლილებას, არსებული ობიექტის რაიმე სახით შეცვლას, რომელიც დაკონკრეტებულია 44-ე მუხლის შენიშვნაში. ანუ „გაბარიტის ცვლილება“ ეხება ტერმინს „რეკონსტრუქცია“ და მოცემული განმარტება, თუ რა სახის უნებართვო რეკონსტრუქცია უთანაბრდება, სანქციის თვალსაზრისით,

უნებართვო მშენებლობას. კანონმდებელი გამოყოფს ორი სახის რეკონსტრუქციას: პირველი – როდესაც არ იცვლება არსებული შენობის გაბარიტები და მეორე – როდესაც იცვლება არსებული შენობის გაბარიტები. სააპელაციო პალატა, „გაბარიტების ცვლილება“ არალოგიკურად დაუკავშირა ტერმინ „უნებართვო მშენებლობას“ და დაადგინა, რომ ვინაიდან, თ. ლ-ის მიერ განხორციელებულ მშენებლობას „არ გამოუწვევია სხვა რომელიმე შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილება“ შესაბამისად სახეზე არ არის 44.1 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა.

კასატორის განმარტებით, ასევე არამართებულია სააპელაციო სასამართლოს პოზიცია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 43-ე მუხლთან მიმართებაში. სასამართლოს მოსაზრებით, ზედამხედველობის სამსახურს საკითხის გადაწყვეტისას უნდა გამოეყენებინა ამავე კოდექსის 43-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. აღნიშნული ნორმა იმპერატორიულად უთითებს, რომ მისი მოქმედება ვრცელდება თვითმმართველ ქალაქებზე, გარდა 44-ე მუხლი აღნიშნული ტერიტორიისა, ანუ ნორმა რეგულაციებს აწესებს ტერიტორიული პრინციპით და არ ვრცელდება იმ ტერიტორიებზე, რომელიც მითითებულია 44-ე მუხლში. აღნიშნულ მუხლში კი მითითებულია ქ. თბილისის ტერიტორია, რაც ავტომატურად გამორიცხავს 43-ე მუხლის მოქმედებას მასთან მიმართებაში. აღნიშნული ნორმა არის იმპერატორიული და ტერიტორიული პრინციპით განსაზღვრულია, რომ 43-ე მუხლი მოქმედებს ზოგადად ქვეყნის მასშტაბით, გარდა იმ ტერიტორიებისა რაც მითითებულია 44-ე მუხლში, რომელიც პირდაპირ დათქმას აკეთებს ქ. თბილისის ტერიტორიაზე. აღნიშნული კი იძღვნად აშკარაა, რომ გამორიცხავს ყოველივე სხვაგვარ განმარტებას, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ ფაქტობრივად კანონი დაუქვემდებარა საკუთარ გადაწყვეტილებას, რაც მიუღებელია.

კასატორის განმარტებით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44.2 მუხლის შესაბამისად, უნებართვო სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომელიც არ იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას (მაგალითად, ფანჯრის ღიობის გამოჭრა), ექვემდებარება დაჯარიმებას 4000 ლარით, ხოლო ახალი უნებართვო მშენებლობა (მაგალითად, მრავალბინაზე საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა სახელმწიფო მიწაზე) სასამართლოს მოსაზრებით ექვემდებარება 3000-ლარიან დაჯარიმებას, იმავე კოდექსის 43-ე მუხლის თანახმად. ანუ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის გაზიარებისას გა-

მოვა, რომ საკუთარ სახლში ფანჯრის ღიობის გამოჭრა, შედარებით სერიოზული სამართალდარღვევაა, ვიდრე სახელმწიფოს მინაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

მესამე კასატორი – თ. ლ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებას ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 18 იანვრის №0000028 დადგენილებისა და ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 12 მარტის №375 განკარგულების დემონტაჟის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებზე უარის თქმის ნაწილში გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა მისი ოჯახური მდგომარეობა და ის ფაქტი, რომ იგი ამ სახლში ცხოვრობს მცირენლოვან შვილებთან ერთად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, თ. ლ-ის საკასაციო საჩივრი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილადაა ცნობილი, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 10 ოქტომბრის №0000028 მითითებით, თ. ლ-ეს განესაზღვრა 4-დღიანი ვადა მის მიერ ქ. თბილისში, ... ქუჩაზე, №...-ე საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოებული უნებართვო მშენებლობის დემონტაჟისათვის ან მითითების გაცემის მომეტისათვის არსებული შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2012 წლის 16 ოქტომბერს შედგენილ იქნა შემოწმების აქტი, რომლის თანახმადაც თ. ლ-ემ 2012 წლის 10 ოქტომ-

ბრის №000028 მითითებით გათვალისწინებული პირობები არ შეასრულა.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 14 დეკემბრის №4-3/22-გ/12 ბრძანებით ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2012 წლის 10 ოქტომბრს გაცემული №000028 მითითების საფუძველზე (შემონმების აქტი შედგენილია 2012 წლის 16 ოქტომბერს) მოქ. თ. ლ-ის მიმართ დაწყებული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვის ვადა გაგრძელდა 2 თვით.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 18 იანვრის №000028 დადგენილებით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თ. ლ-ე დაჯარიმდა 10000 ლარით ქ. თბილისში, ... ქუჩაზე, №...-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ უნებართვოდ აშენებული კაპიტალური შენობა-ნაგებობისათვის, მასვე დაევალა დემონტაჟი.

აღნიშნული დადგენილება თ. ლ-ემ გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიაში, რომლის 2013 წლის 12 მარტის №375 განკარგულებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევისთვის თ. ლ-ის დაჯარიმების კანონიერების დადგენა წარმოადგენს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით თ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის - ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 18.01.2013 წლის №000028 დადგენილება ნაწილობრივ, კერძოდ, 1-ლი, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, ანუ თ. ლ-ის 10 000 ლარით დაჯარიმებისა და ჯარიმის გადახდის/გადაუხდელობის თანმდევი შედეგების თაობაზე გაცემული განმარტებების ნაწილში; შესაბამისად, მოპასუხეს - ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დაევალა თ. ლ-ის საქმეს-

თან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის – ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 12 მარტის №375 განკარგულება ნაწილობრივ, კერძოდ, დაჯარიმების ნაწილში ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 18 იანვრის №000028 დადგენილების თაობაზე თ. ლ-ის მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის არდაკმაყოფილების ნაწილში; თ. ლ-ეს უარი ეთქვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 18 იანვრის №000028 დადგენილების მე-2 პუნქტის, ანუ შენობის დემონტაჟის დავალდებულების ნაწილში ბათილად ცნობაზე; თ. ლ-ეს უარი ეთქვა მოპასუხის – ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 12 მარტის №375 განკარგულების ნაწილობრივ, კერძოდ, შენობის დემონტაჟის ნაწილში ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 18 იანვრის №000028 დადგენილების თაობაზე თ. ლ-ის მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის არდაკმაყოფილების ნაწილში ბათილად ცნობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა როგორც ფიზიკურმა პირმა – თ. ლ-ემ ასევე ადმინისტრაციულმა ორგანოებმაც.

მოსარჩევე – თ. ლ-ემ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა შენობის დემონტაჟის ნაწილში ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 18.01.2013 წლის №000028 დადგენილებისა და ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 12 მარტის №375 განკარგულების თაობაზე, ხოლო რაც შეეხება ადმინისტრაციულ ორგანოებს მათი საკასაციო პრეტენზია ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა თ. ლ-ის მიერ ჩადენილი სამშენებლო სამართალდარღვევა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 43-ე მუხლით და მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს თ. ლ-ის სამართალდარღვევის საქმის განხილვისას უნდა გამოყენებინა აღნიშნული კოდექსის 43. „ა“ და არა 44.1 მუხლი.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქარ-

თველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზე-მოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გა-მო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წე-სით. ამავე ნორმის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარ-ღვევათა საქმეებს ანარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამ-დებობის პირი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შე-უფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებ-ლობის ზუსტი შესაბამისობით. სამართალდარღვევათა კოდექ-სის მე-10 მუხლი განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციულ სამარ-თალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან სა-ზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებე-ბისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გა-უფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პა-სუხისმგებლობა. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწი-ლი კი მოითხოვს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვე-ვისათვის პირს სახდელი დაედოს იმ ნორმატიული აქტით დაწე-სებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლო-ბას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ამ კოდექ-სის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი მუხლები ადგენენ ადმინისტრაციული გადაცდომისათვის კანონით გათვალისწი-ნებული სანქციის გამოყენების საერთო წესს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მითითებით, დაუშვე-ბელია სამართალდამრღვევის სუბიექტის დადგენის გარეშე სა-მართალდარღვევის სანქციის შეფარდება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარე-მოებაზე, რომ კასატორი (მოსარჩელე) – თ. ლ-ე სადავოდ არ ხდის სამართალდარღვევის არსებობის ფაქტს, ვინაიდან, რო-გორც საქმის მასალებით დადგენილია უნებართვო მშენებლო-ბის გამო მიმდინარე სამართალდარღვევის საქმის წარმოები-სას, თ. ლ-ე თავად უთითებს, რომ ქ. თბილისში, ... ქუჩაზე მდე-ბარე ...-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ, სახელმწიფო საკუთ-რებაში არსებულ მიწაზე 2012 წელს ნამდვილად ააშენა კაპიტა-ლური შენობა-ნაგბობა. ანუ უდავოა ის გარემოება, რომ თ. ლ-ემ ქ. თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე ...-ე საჯარო სკოლის მიმდე-ბარედ მშენებლობა განახორციელა კანონის მოთხოვნათა დარ-

ღვევით, კერძოდ, დარღვეულია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, რომლის მე-15 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევა ეს არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი მოთხოვნების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა, რისთვისაც პასუხისმგებლობა განსაზღვრულია ამ თავით. ამავე კოდექსის პირველი მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მიზანია სამშენებლო საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა სამშენებლო სფეროს ტექნიკური რეგლამენტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზედამხედველობის სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა გამოავლინოს და აღკვეთოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით წარმოებული მშენებლობები. მოცემულ შემთხვევაში დავას არ ინვევს ის ფაქტი, რომ კასატორმა თ. ლ-ემ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე განახორციელა ისეთი სახის სამშენებლო საქმიანობა, რომელსაც ესაჭიროებოდა სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვა, რითაც მან ჩაიდინა სამშენებლო სამართალდარღვევა და რომლისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით.

კონკრეტულ შემთხვევაში, თ. ლ-ე დაჯარიმდა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, რომლის შესაბამისად, უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც იწვევს შენობანაგებობის გაბარიტების ცვლილებას, გამოიწვევს დაჯარიმებას სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – 10 000 ლარით; ხოლო კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – 8 000 ლარით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსს 25-ე მუხლზე, რომლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თუ უნებართვო მშენებლობის მნარმოებელი პირი დადგენილია და მიწის ნაკვეთი სახელმწიფო ან/და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაა, უფლებამოსილი ორგანო მითითების გაცემისა და შემოწმების აქტის შედგე-

ნის საფუძველზე იღებს დადგენილებას უნებართვო მშენებლობის დემონტაჟისა და დამრღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, რომლის გასაჩივრებაც არ აჩერებს აღნიშნული დადგენილების მოქმედებას დემონტაჟის ნაზილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის, თ. ლ-ის, მოსაზრებას გასაჩივრებულ ნაწილში ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 18.01.2013 წლის №000028 დადგენილებისა და ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 12 მარტის №375 განკარგულების უკანონობასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრებს, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მათი საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს და უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაზილში, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს, საპელაციო სასამართლოს დასაბუთებას პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისიუფალი მიმოქცევის კოდექსის 43-ე და 44-ე მუხლებთან მიმართებაში და უსაფუძვლოდ მიაჩნია საპელაციო პალატის დავალება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისათვის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული მსჯელობისა და მოსაზრების გათვალისწინებით თ. ლ-ის მიმართ ახალი აქტის გამოცემის თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, არამართებულია საპელაციო სასამართლოს მსჯელობა: „გადაცდომის 44.1. მუხლით დაკვალიფიცირებასთვის არ კმარა იმ გარემოებაზე მითითება, რომ უნებართვო მშენებლობა ნაწარმოებისა თვითმმართველი ერთეულის – თბილისის ტერიტორიაზე, გარდა მშენებლობის ადგილისა, მუხლის გამოყენებისთვის აუცილებელია, რომ იმავდროულად არსებობდეს მეორე მაკვალიფიცირებელი ელემენტი – ახალი (უნებართვო) ნაგებობის მშენებლობის გზით სხვა, უკვე არსებული, აშენებული ნაგებობის გაბარიტების შეცვლა“ და განმარტავს, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის დისპოზიცია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის ნაწარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „ნებულის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და

საკურორტო-საარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, გამოიწვეს დაჯარიმებას...“ ამასთან, საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს აღნიშნული მუხლის შენიშვნის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, უნებართვო მშენებლობის ნარმოება უძრავ ქონებაზე, რომელიც კერძო, სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის თანასაკუთრების ობიექტია, გამოიწვევს დაჯარიმებას ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ხოლო მე-2 მუხლის შესაბამისად, კა გაბარიტების ცვლილებად განიხილება ისეთი საქმიანობა, რომლის დროსაც იცვლება შენობა-ნაგებობის საძირკვლის, გარე შემომზღვდავი კონსტრუქციების ან/და სახურავის პარამეტრები (მიშენება, დაშენება, შენობა-ნაგებობის სიმაღლის გაზრდა და ა. შ.), ხოლო მშენებლობის შედეგად ნარმოქმნილი ობიექტი არის შენობა-ნაგებობის არსებითი შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევება შეუძლებელია მთლიანი შენობა-ნაგებობის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე. საკასაციო პალატის განმარტებით, შეუძლებელია ახალი ნაგებობის მშენებლობის დროს მშენებლობამ გამოიწვიოს სხვა რომელიმე ნაგებობის შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლა. ეს შემთხვევა სახეზე იქნება მაშინ, თუ არსებობს უკვე აშენებული ნაგებობა და მისი რეკონსტრუქციით გაიზრდება მისივე გაბარიტები. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად ახალი მშენებლობა არის მშენებლობა, რომელიც ხორციელდება მინის ნაკვეთის იმ ნაწილში, სადაც არ დგას შენობა-ნაგებობა, ან ხდება არსებულის მთლიანად ჩანაცვლება. ამავე დადგენილების მე-4 მუხლში ჩამოთვლილია მშენებლობის სახეები, კერძოდ, მშენებლობად ითვლება: ა) ახალი მშენებლობა (მათ შორის, მონტაჟი); ბ) რეკონსტრუქცია: გ) რემონტი-შეკეთება, მოპირკეთება/ადგურვა (არ საჭიროებს ნებართვას); დ) დემონტაჟი; ე) ლანდშაფტური მშენებლობა; ვ) დროებითი შენობა-ნაგებობის მონტაჟი/განთავსება. მე-2 პუნქტის შესაბამისად, შენობა-ნაგებობების ახალი მშენებლობა ისეთი მშენებლობაა, რომელიც ხორციელდება მინის ნაკვეთის იმ ნაწილში, სადაც არ დგას შენობა-ნაგებობა ან ხდება არსებულის მთლიანად ჩანაცვლება. მე-3 მუხლი ასევე აკონკრეტებს თუ რა სახის შეიძლება იყოს რეკონსტრუქცია: ა) შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია – შენობა-ნაგებობაზე ახალი სართულების დაშენება, ან არსებული სართულების დემონტაჟი, აგრეთვე მისი ნებისმიერი სართულის გა-

ნაშენიანების ფართობის შეცვლა 1მ²-ზე მეტად; ბ) ექსტერიერის რეკონსტრუქცია – ექსტერიერის (შენობის ფასადის, სახურავის) არქიტექტურული ნანილების/ელემენტების გაძარიტების შეცვლა 2%-ზე და 0.1 მეტრზე მეტად ან/და არქიტექტურული ნანილების/ელემენტების, კონსტრუქციების, ტექნიკური საშუალებების დამატება/მოკლება, რაც არსებითად ცვლის შენობის ექსტერიერს; გ) მზიდი ელემენტების რეკონსტრუქცია – მზიდი კონსტრუქციის ახლით ან/და სხვა ტიპის კონსტრუქციით შეცვლა, ასევე დაზიანებული/მწყობრიდან გამოსული მზიდი კონსტრუქციის გამაგრება, მზიდი კონსტრუქციის მოშირება, შენობის ინტერიერში მზიდ კონსტრუქციაში ღიობის გამოჭრა. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც მითითებული მუხლის დეფინიციიდან ირკვევა ახალი მშენებლობა ეს არის მხოლოდ ისეთი სახის მშენებლობა, რომელიც ხორციელდება ისეთ მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც არ დგას არანაირი შენობა-ნაგებობა, ან ხდება ძველი შენობა-ნაგებობის მთლიანად ახლით ჩანაცვლება, ხოლო რაც შეეხება რეკონსტრუქციას, იგი როგორც ახალი მშენებლობა ასევე არის მშენებლობის ერთ-ერთი სახე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ქ. თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე ...-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მინაზე თ. ლ-ემ ააშენა კაპიტალური შენობა-ნაგებობა, რომელიც არის ახალი მშენებლობა, და სიტყვები: „რომელიც ინკვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას“ დაკავშირებულია „რეკონსტრუქციის ნარმებისეკნ“ და არა „უნებართვო მშენებლობასთან“.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისიუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლში მითითებილია, რომ უნებართვო მშენებლობის განხორციელების, ასევე რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის ნარმობისას, რომელიც გამოიწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას დამრღვევი დაჯარიმდება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გადაცდომა მოხდება, 1) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია: მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი; 2) ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე; 3) კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში; 4) საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში; 5) ქ. თბილისის ტერიტორიაზე, ანუ უნებართვო მშენებლობის სპეციალური ზონის დადგენა არ არის სამართლებრივი შედეგის მომტანი, ვინაიდან, მუხლი სხვა წინაპირობების არსებობის გარეშე ითვალისწინებს სუბიექტის დაჯარიმებას იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა 1)

უნებართვო მშენებლობა ან/და 2) რეკონსტრუქცია წარმოებული ქ. თბილისის ტერიტორიაზე. რაც შეეხება ამავე კანონის 43-ე მუხლს, რომლის დეფინიციაც შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება: а) თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ კოდექსის 44-ე მუხლში აღნიშნული ტერიტორიისა, – გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარით; б) მუნიციპალიტეტის დასახლებაში – ქალაქში, გარდა ამ კოდექსის 44-ე მუხლში აღნიშნული ტერიტორიისა, – გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარით; გ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში – დაბაში ან სოფელში, გარდა ამ კოდექსის 44-ე მუხლში აღნიშნული ტერიტორიისა – გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარით“, ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მუხლი ეხება მხოლოდ თვითმმართველ ქალაქებს, გარდა თბილისისა, ვინაიდან, მუხლში მითითებულია, რომ „თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ კოდექსის 44-ე მუხლში აღნიშნული ტერიტორიისა“, 44-ე მუხლში კი ჩამოთვლილი ტერიტორიების გარდა ასევე მითითებულია ქ. თბილისი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ჯარიმის ნაწილში არ შეიცავს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბათილად ცნობის და სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ადმინისტრაციული ორგანოსათვის ხელახალი განხილვისათვის და ახალი გადაწყვეტილების მიღებისათვის დაბრუნების შესაძლებლობის დასაბუთებას. სასკ-ის 32.4 მუხლის მიხედვით სასამართლო დავის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობს აქტს იმ შემთხვევაში, თუ ამკარაა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის გადაწყვეტილებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება. სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოსათვის საკითხის ხელახალი გადაწყვეტის დაკისრების აუცილებელი პირობათაგანია ადმინისტრაციული წარმოების ახლიდან ჩატარების სამართლებრივი შესაძლებლობა, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის. ამდენად, დაუსაბუთებელია სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო აქტის ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული ორგანოსთვის საკითხის ხელახალი განხილვის დავალება.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, თ. ლ-ის მიერ ჩადენილი სამართლდარღვევისათვის გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა გათვალისწინებული პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით 44.1 მუხლის „ა“ ქვე-

პუნქტით, რის გამოც არ არსებობს ქ. თბილისის მერიის ზედამ-ხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 18 იანვრის №000028 დადგენილებისა და ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 12 მარტის №375 განკარგულების ბათილად ცნობის სამართლებ-რივი საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამი-სად, სახეზეა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბი-ლისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალა-ქო სამსახურის საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების, ხო-ლო თ. ლ-ის საკასაციო საჩივრის არ დაკმაყოფილების სამარ-თლებრივი საფუძველი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვე-ტილების ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამ-სახურის 2013 წლის 18 იანვრის №000028 დადგენილების მე-2 პუნქტისა და ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 12 მარტის №375 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე უცვლელად დატო-ვების, ხოლო ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსა-ხურის 2013 წლის 18 იანვრის №000028 დადგენილების ნაწილობრივ; კერძოდ, 1-ლი, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობისა და ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 12 მარტის №375 განკარგულების არსებითად ბათილად ცნობის ნაწილში გაუქმდისა და ამ ნაწილ-ში საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მი-ლების პროცესუალური წინაპირობები, რითაც თ. ლ-ის სარჩელი ამ ნაწილშიც არ დაკმაყოფილდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა რა ადმინისტრა-ციული საპროცესო კოდექსის 1.2. მუხლით, საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3 და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. თ. ლ-ის საკასაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამ-სახურის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სა-

ქალაქო სამსახურის 2013 წლის 18 იანვრის №000028 დადგენილების მე-2 პუნქტისა და ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 12 მარტის №375 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე;

4 გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 18 იანვრის №000028 დადგენილების ნაწილობრივ; კერძოდ, 1-ლი, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობისა და ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 12 მარტის №375 განკარგულების არსებითად ბათილად ცნობის ნაწილში და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; თ. ლ-ის სარჩელი ამ ნაწილშიც არ დაკამაყოფილდეს;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაჯარიმება უცეპართვო მიშენების განხორციელებისათვის

განხილვა

№ბს-785-771(კ-14)

5 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

თ. თ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ.თბილისის მერიისა და ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 22.07.2013წ. №000273 დადგენილების და საჩივრის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქ.თბილისის მერიის

25.10.2013წ. №2429 განკარგულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ არის აფხაზეთიდან დევნილი, სოციალურად დაუცველი და ცხოვრობს მისამართზე: ქ.თბილისი, ორხევის დასახლება, ... ქ. 26. თ. თ-ი უთითებს, რომ ჩასახლებისას ფართი იყო საცხოვრებლად უვარებისა, რის გამოც იძულებული გახდა საკუთარი ხარჯით აღედგინა შენობის კედლები, გადაეხურა, გაეყვანა წყლისა და კანალიზაციის მიღები და მიეშენებინა აივანი, რომელზეც მოაწყო საპირფარეშო. აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ, 2007 წელს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მოახდინა თ. თ-ის ოჯახის დასახელებულ ფართში რეგისტრაცია. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ აღნიშნული მშენებლობის გამო, უკანონოდ დაეკისრა ჯარიმის – 10 000 ლარის გადახდა და მშენებლობის დემონტაჟი, რადგან რეალურად მოსარჩელის მიერ გამაგრდა შენობის საძირკველი, რამაც ხელი შეუწყო ნაგებობის შენარჩუნებას და თავიდან აიცილა მისი ნგრევა. თ. თ-ი თვლის, რომ მისი ოჯახის კანონიერ მფლობელობასა და სარგებლობაში მყოფ ობიექტზე საპირფარეშოს მიშენება არ შეიძლება ჩაითვალოს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტის მიშენებად, რადგან მიშენება აუცილებელია ნორმალური ცხოვრებისათვის და არ ქმნის ნგრევის ან სხვა მავნე შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არ არღვევს მეზობელთა ინტერესებს, არ ცვლის შენობის გაბარიტებს. მოსარჩელე აღნიშნავს აგრეთვე, რომ ობიექტზე მისი საკუთრების უფლება ფარავს შესაძლო სამართალდარღვევას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 03.04.2014წ. გადაწყვეტილებით თ. თ-ის სარჩელი არ დაკამყოფილდა. საჯარო რეესტრის 05.09.2012წ. ამონანერის საფუძველზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ.თბილისში, ... ქ. №26-ში მდებარე ფართი აღრიცხული იყო სახელმწიფოს საკუთრებად, რომელმაც პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – ერთ ლარად, საკუთრებაში გადასცა თ. თ-ს, რაც აღირიცხა საჯარო რეესტრში. ქ.თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 06.06.2013წ. შედგა №000273 მითითება, რომლის მიხედვით თ. თ-მა პირველი სართულის დონეზე მიშენების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ანარმოა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე, დარღვევის გამოსწორების მიზნით მას დაევალა ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა ან მითითების შედეგის მომენტამდე გაცემული მშენებლობის სანებართვო მოწმობის წარმოდგენა. ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის სა-

ქალაქო სამსახურის მიერ 18.06.2013წ. შედგა შემონმების აქტი, რომლის მიხედვით თ. თ-ის მიერ მითითება არ შესრულდა. ზედამხედველობის სამსახურის 22.07.2013წ. დადგენილებით თ. თ-ი დაჯარიმდა 10 000 ლარით და მას დაევალა უნებართვო მიშენების დემონტაჟი, რაც ქ.თბილისის მერიაში გაასაჩივრა თ. თ-მა. ქ.თბილისის მერიის 25.10.2013წ. განკარგულებით თ. თ-ის საჩივრი არ დაკმაყოფილდა. სსკ-ის 102-ე მუხლისა და სასკ-ის მე-17 მუხლის საფუძველზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ.თ-ის მიერ სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა შესაბამისი ნებართვის გარეშე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ფართზე, რადგან მოსარჩელეს ქ.თბილისში, ... ქ. №26-ში არსებული ფართი საკუთრებაში გადაეცა საქართველოს მთავრობის „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ 13.02.2014წ. №278 განკარგულების თანახმად. შესაბამისად, ზედამხედველობის სამსახურის მიერ შემონმების აქტის შედგენისას აღნიშნული ფართი სახელმწიფოს საკუთრება იყო. სასამართლომ მიუთითა სასკ-ის 22.1, 2.1, ზაკ-ის მე-60¹ მუხლებზე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. დადგენილების 33-ე მუხლზე, „ვროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 44.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით აღნიშნა, რომ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ მითითების შედგენის და თ. თ-ის დაჯარიმების მომენტისათვის ფართი იყო სახელმწიფო საკუთრებაში, ხოლო მიშენება განხორციელდა სათანადო ნებართვის გარეშე, ამდენად ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 22.07.2013წ. დადგენილება მიღებულია მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. სასამართლომ მიუთითა აგრეთვე სზაკ-ის 185-ე, 201.1 მუხლებზე და მიიჩნია, რომ საჩივრის განმხილველმა ორგანომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო საწინააღმდეგო მტკიცებულებებისა და იმ სამართლებრივი საფუძვლის მითითება, რომელიც დაადასტურებდა მოპასუხეთა ქმედებების უკანონობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 03.04.2014წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა თ. თ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 21.10.2014წ. განჩინებით თ. თ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და დამატებით აღნიშნა, რომ ზედამხედველობის სამსახურს აქვს კანონისმიერი ვალდებულება რეაგირება მოახდინოს სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევებზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თ. თ-ის მიერ, სსკ-ის 102.3 მუხლის შესაბამისად ვერ იქნა წარდგენილი გასაჩივრებული აქტების უკანონობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.10.2014წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა თ. თ-ის მიერ.

კასატორი აღნიშნავს, რომ მიშენება არსებობდა 2007 წლამდე, 2013 წელს მას სველი წერტილები შეჰქავდა. მიშენების განხორციელების დროისათვის არ მოქმედებდა ნორმა, რომელიც საფუძვლად დაედო თ. თ-ის დაჯარიმებას. მიშენების განხორციელების დროისათვის არ მოქმედებდა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 24.2 მუხლის, საქართველოს კონსტიტუციის 42.5 მუხლის თანახმად ნორმას არ აქვს უკუქცევითი ძალა. კასატორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან 28.02.14 წ. გაფორმებული ხელშეკრულებით გახდა მიწის და მასზე განლაგებული ნაგებობის მესაკუთრე.

სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების, გასაჩივრებული განჩინების და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 06.06.13წ. შედგა №000273 მითითება, რომლითაც თ. თ-ს განესაზღვრა 10 დღიანი ვადა ობიექტის პირველდედ მდგომარეობაში მოსაყვანად ან მითითების შედგენის მომენტისათვის არსებული საწებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად. 18.06.13წ. სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000273, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა. ქ. თბი-

ლისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 22.07.13ნ. მიღებული იქნა №000273 დადგენილება, რომლითაც „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „“ქვეპუნქტის საფუძველზე თ. თ-ი დაჯარიმდა 10 000 (ათი ათასი) ლარით უნებართვო მიშენების განხორციელებისათვის, თ. თ-ს დაევალა უნებართვოდ განხორციელებული მიშენების დემონტაჟი. ქ. თბილისის მერიის 25.10.13ნ. №2429 განკარგულებით თ. თ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საქმეში დაცული დევნილის მოწმობითა და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონანერით დასტურდება, რომ თ. თ-ი, მ. დ-თან და ე. დარბაისელთან ერთად, რეგისტრირებულია ისანი-სამგორის რაიონში, მისამართზე: ორხევი, ... ქ. №26. მოსარჩევე აღნიშნავს, რომ მითითებულ მისამართზე თ. თ-ი ჩასახლდა სახელმწიფოს მიერ. მისივე განმარტებით ბინა საცხოვრებლად იყო უვარგისი, რის გამოც იძულებული გახდა საკუთარი ხარჯებით აღედგინა შენობის კედლები, გადახეურა, გაეყვანა წყლისა და კანალიზაციის მილები, მან არსებულ ნაგებობას მიაშენა აივანი, სადაც მოაწყო სველი წერტილი. მითითებული ფაქტობრივი გარემოებები მხარებს სადაცოდ არ გაუხდიათ.

საქართველოს მთავრობის 13.06.2012ნ. განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები-დან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ 1.3. პუნქტის თანახმად, სახელმწიფო სტრატეგიის მთავარი მიზანია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. საქართველოს მთავრობის 13.06.12ნ. №1162 განკარგულებით დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის ღონისძიებები მოიცავდა დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტების საცხოვრებელ ბინებად დევნილებისათვის საკუთრებაში გადაცემას, შენობების რეაბილიტაციას (2.2.3.). გადაწყვეტილებები რეაბილიტაციის პროცესის თაობაზე მიიღება დევნილთა ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით, შესაძლებლობის შემთხვევაში დაინტერესებულ დევნილთა მონაწილეობით (2.2.4.3.). ამასთანავე, ფართის დაკანონებაზე უარის თქმა უქმნის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლე-

ბისა და ლტოლვილთა სამინისტროს ალტერნატიული შეთავაზების ვალდებულებას (2.1.2. პ.). თ. თ-მა, აუცილებელი საყოფაცხოვრებო საჭიროებიდან გამომდინარე, საკუთარი ხარჯებით გაიუმჯობესა საცხოვრებელი პირობები, მიაშენა შენობას აივანი, განათავსა მასში სველი წერტილი.

მიუხედავად იმისა, რომ ნარმოდებენილი არ არის თ. თ-ის მითითებულ მისამართზე დროებითი განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტი, საქმეში დაცული დევნილის მოწმობით დასტურდება, რომ სახელმწიფო სადავოდ არ ხდიდა თ. თ-ის მითითებულ მისამართზე ჩასახლების ფაქტს, დევნილის მოწმობა გაიცა სამინისტროს მიერ და თ. თ-ის დროებით საცხოვრებელ ადგილად დარეგისტრირდა ორხევი, ... ქ. №26. შემდგომში ამ მისამართზე მისი ინტეგრაციის მიზნით მოხდა უძრავი ქონების სახელმწიფოს მიერ თავის სახელზე დარეგისტრირება და თ. თ-ისათვის პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემა. საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს მთავრობის 13.06.12ნ. განკარგულებით დამტაკეცული სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები უქმნიდა თ. თ-ს კანონიერ მოლოდინს იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ მისი და მისი ოჯახის ფართში განთავსების შემდეგ, სახელმწიფო მას საკუთრებაში გადასცემდა ფართს, თ. თ-ს გააჩნდა კანონიერი მოლოდინი იმისა, რომ სახელმწიფო მას უზრუნველყოფდა საცხოვრისით და მისი დროებითი საცხოვრებელი ბინა გახდებოდა მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოს 05.09.2012ნ. ამონანერით დასტურდება, რომ სახელმწიფომ დაირეგისტრირა თ. თ-ის დროებითი საცხოვრისის მთლიანი ფართი 121.73 კვ.მ.. საკასაციო პალატა ყურადღებას ამავეილებს იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში ალირიცხა მთლიანი ფართი, მათ შორის, თ. თ-ის მიერ მშენებლობის ნებართვის გარეშე მიშენებული ფართიც. საქართველოს მთავრობის 13.02.14ნ. №278 განკარგულებით თ. თ-ს პირდაპირი მიყიდვის წესით, სიბმოლურ ფასად (1 ლარად) საკუთრებაში გადაცეა მისთვის დროებით საცხოვრებლად გადაცემული ბინა, მისამართზე – ქ. თბილისი, ორხევის დასახლება, ... ქ. 26, ფართით – 121.73 კვ.მ., საკუთრებაში გადაცემული ფართი მოიცავს თ. თ-ის მიერ მშენებლობის ნებართვის გარეშე მიშენებულ ფართსაც.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 6³ მუხლი ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძუ-

ლებით გადაადგილებული პირებისათვის – დევნილებისათვის. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად საკითხს ამზადებს და საქართველოს მთავრობას წარუდგენს ქონების მმართველი, საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი აქტის მიღების შემდეგ იდება შესაბამისი ხელშეკრულება. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 04.12.136. წერილის თანახმად საქართველოს ქონების ეროვნულ სააგენტოს გადაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტთან შუამდგომლობის №05/01-14/49115 წერილი სხვადასხვა აბიექტებზე მცხოვრებ დევნილებისათვის (10 ოჯახი, მათ შორის, მოსარჩელის ოჯახი) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართების, პირდაპირი მიყყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად გადაცემის თაობაზე. საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ სამინისტრომ 01.07.156. განცხადებით მიმართა მერიას ზედამხედველობის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეჩერების შესახებ. ამდენად, სამინისტრო არათუ სადაც არ ხდიდა თ.თ-ის მიერ ბინის დაკავების ფაქტს, არამედ პირიქით ზრუნავდა აღნიშნული ფართის მისთვის გადაცემაზე.

სასამართლოს მიერ საქმეზე არ არის დადგენილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირისათვის – თ. თ-ის ოჯახისათვის სახელმწიფოს მიერ თავდაპირველად სარგებლობისათვის გამოყოფილი ფართის ოდენობა, თ. თ-ის მიერ მიშებული ფართის ოდენობა. საქმეში დაცული ლ. სამსარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 27.05.146. დასკვნით თ. თ-ის ოჯახს საცხოვრებლად გადაეცა 25.96 კვ.მ. ფართი, ხოლო საქართველოს მთავრობის 13.02.146. №278 განკარგულების დანართით თ. თ-ს საპრიგატიზაციოდ გადაეცა 121.73 კვ.მ. ფართი. ამდენად, დაუსაბუთებელია მოპასუხის – ქ. თბილისის მერიის შესაგებელში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს მიერ საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონება არ მოიცავს იმ ნაგებობას, რომლის გამოც მხარეს დაეკისრა ჯარიმა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ფართის თ. თ-ის საკუთრებაში აღრიცხვის ფაქტი თავისთავად არ წარმოადგენს სანქციისაგან განთავისუფლების საფუძველს. უნებართვო მშენებლობის წარმოება როგორც პრივატიზებულ, ისე არაპრივატიზებულ ობიექტებზე იწვევს დაჯარიმებას შესაბამისი ოდენობით, ობიექტის სტატუსი არ წარმოადგენს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს. ამასთანავე, ვინაიდან სახელმწიფოს სახელზე ფართის საკუთრებაში აღრიცხვა და შემდგომ-

ში პრივატიზაცია მოხდა მიშენებული ფართის ჩათვლით, ადგილი აქვს სახელმწიფოს მხრიდან ფართის კანონიერების აღიარება, თ. თ-ის გონივრულ მოლოდინს, რომ სახელმწიფომ საკუთრებაში გადასცა უნაკლო ნივთი, მისცა მას შესაძლებლობა მოეხდინა კანონიერი პროცედურით ქონების პრივატიზება, მით უფრო, რომ ნაგებობა არ ლაბაც სხვა პირთა უფლებებს ან ინტერესებს, ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 27.05.14წ. დასკვნის მიხედვით თ. თ-ის მიერ მიშენებული შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, შესაბამისად ნაგებობა არ ქმნის საფრთხეს სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის.

„სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 13.02.14წ. №278 განკარგულების თანახმად, საპრივატიზაციო პირობად განისაზღვრა, რომ ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული ფიზიკური პირები, მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე არ მოითხოვენ რაიმე სახის კომპენსაციას ან უძრავი ქონების საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემას. განკარგულების დანართის თანახმად თ. თ-ს გადაეცა ქ. თბილისში, ... ქ. №26-ში 121.73 კვ.მ ფართი, ანუ პრივატიზებულ ფართში შედიოდა მიშენებული ფართი. მხედველობაშია აგრეთვე მისაღები, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 21.03.14წ., 19.03.14წ. წერილების, საჯარო რეესტრიდან 17.06.11წ. ამონანერის თანახმად, ქ. თბილისში, ... ქ. 26-ში მდებარე უძრავ ნივთზე სახელმწიფო საკუთრების უფლება რეგისტრირებულია 14.06.11წ., ანუ სადავო აქტების გამოცემისას ფართი, მათ შორის მიშენებული ნაგებობა, სახელმწიფო საკუთრებაში იმყოფებოდა, 121,73 კვ.მ. ფართზე თ. თ-ის საკუთრების უფლება 28.02.14წ. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე აღირიცხა თ. თ-ის საკუთრებაში, ფართი თ. თ-ის საკუთრებაში აღირიცხა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, მათ შორის იმ პირობით, რომ დევნილის სტატუსიდან გამომდინარე მოსარჩელის ოჯახი არ მოითხოვს სხვა უძრავი ქონებით მის დაკმაყოფილებას. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებილ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის 13.4 მუხლის თანახმად, თუ დევნილის ოჯახი უზრუნველყოფილია გრძელვადიანი საცხოვრებლით, სახელმწიფოს ეხსნება დევნილის ან მისი ოჯახის წევრთა საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილების ვალდებულება, მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თანამედროვე საზო-

გადოებაში მოსახლეობის საპინაო საკითხი პირველად სოციალურ მოთხოვნად განიხილება. სათანადო საცხოვრებელი მოიცავს სახლის უკანონო დანგრევისაგან დაცვას, საკუთრების უფლების სამართლებრივი უზრუნველყოფის იგნორირებისაგან თავის შეკავებას. ადმინისტრაციულ ორგანოებს და სასამართლოს არ უშველია იმაზე თუ რამდენად იქნება უზრუნველყოფილი დევნილის სტატუსის მქონე პირები საცხოვრებლით ფართის ნაწილის დემონტაჟის, მისი პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის შედეგად სათანადო საცხოვრებლით, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობები („საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტი), წარმოებობა თუ არა სახელმწიფოს დევნილის სტატუსის მქონე პირებისათვის ფართით უზრუნველყოფის ვალდებულება, ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში სასამართლომ უნდა იმსჯელოს სასკ-ის მე-16 მუხლის საფუძველზე საქმეში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და სახელმწიფო ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანოს ჩაბმის საჭიროებაზე.

სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება უპირველეს ყოვლისა არის სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორების მიზნით ჩატარებული საქმის წარმოება. თუ მითითება დროულად არ შესრულდა, მაგრამ სამართალდარღვევა გამოსწორდა დადგენილების მიღებამდე, დამრღვევი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. დარღვევის გამოსწორება, სამშენებლო სამართალდარღვევის გამომრიცხავი გარემოება – იწვევს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტას („პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის მე-7 და მე-11 ნაწილები). დაინტერესებული პირის სასარგებლოდ იმ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლა, რომელიც საფუძვლად დაედო აქტის გამოცემას, აგრეთვე ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებენ პირის უფრო ხელსაყრელი აქტის გამოცემას, სზაკ-ის 102-ე მუხლის თანახმად წარმოადგენს ერთიდამიავე საკითხზე ხელახალი მიმართვისა და განხილვის საფუძველს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არამხოლოდ არქიტექტურის სამსახურის მიერ მისი გამოყენების მომენტს, არამედ აგრეთვე ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ

სანქციის გამოყენების კანონიერების შემოწმების პერიოდს. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო აქტების გასაჩივრება აჩერებს საჯარიმო თანხის გადახდის, დემონტაჟის განხორციელების ვალდებულებას (კოდექსის 25.22 მუხლის შესაბამისად გასაჩივრება არ აჩერებს სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების აღსრულებას მშენებლობის ან დემონტაჟის შეჩერების ნაწილში), ამასთანავე, სადავო აქტის გასაჩივრებისას პირისათვის საბოლოო შედეგს იწვევს სასამართლო გადაწყვეტილება და არა ზედამხედველობის სამსახურის და მერიის სადავო აქტები, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებს უნდა ემსჯელათ სადავო სამართალურთიერთობის მიმართ სადავო აქტების გამოცემის შემდგომ შექმნილი შეღავათიანი რეჟიმის, შეცვლილი ობიექტური გარემოებების მნიშვნელობაზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისათვის. ვითარების შეცვლა, საზოგადოებრივი საშიშროების განმსაზღვრელი პირობების გაუქმება, როგორც პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი, უნდა შეფასდეს დავის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. ის გარემოება, რომ სადავო აქტების გამოცემის დროს ფართი არ იყო პრივატიზებული არ ადასტურებს სასარჩელო მოთხოვნის დაკამაყოფილებაზე უარის თქმას, ვინაიდან სზაკ-ის მე-60¹ მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი შეიძლება შეწყდეს არა მხოლოდ მისი ძალაში შესვლის დღიდან, არამედ სხვა მომენტიდანაც. სააპელაციო პალატას არ უმსჯელია მიშენების ფართის სახელმწიფოს სახელზე აღრიცხვიდან, ფართის პრივატიზების მომენტიდან სადავო აქტების პათილად ცნობის შესაძლებლობაზე.

თ. თ-ს მის მიერ დაკავებული მოხლი ფართი – 121, 73 კვ.მ., მათ შორის მშენებლობის ნებართვის გარეშე მიშენებული ფართი საკუთრებაში გადაეცა იერარქიულად უფრო მაღალი დონის – საქართველოს მთავრობის 13.02.14წ. №278 განკარგულებით. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ თ. თ-ისათვის საკუთრებაში გადაცემული ფართის ნაწილის დემონტაჟი უნდა განხორციელდეს მაშინ, როდესაც კანონით დადგენილი პროცედურის დაცვით, რომელიც სადავო არ გამხდარა, ხსნებული ფართი საკუთრებაში გადაეცა კასატორს. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია მიშენების სახელმწიფოს სახელზე აღრიცხვის, საქართველოს მთავრობის მიერ მიშენების თ. თ-ის საკუთრებაში გადასვლის, ვითარების შეცვლის მნიშვნელობის, მისი უკუქცევითი, რეტროაქტიუ-

ლი ძალის შესახებ, სააპელაციო პალატას არ დაუსაბუთებია თუ რატომ არ განეკუთვნება ხსენებული გარემოება სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას.

სადავო აქტების შესაბამისად მოსარჩელე დაჯარიმდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე უნებართვო მშენებლობისთვის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 44.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ამასთანავე, ხსენებული ნორმის თანახმად, ქ. თბილისის ტერიტორიაზე უნებართვო მშენებლობისათვის დანესხებული ჯარიმის ოდენობა განახევრდება იმისდა მიხედვით თუ სად არის ნანარმოები უნებართვო მშენებლობა – სახელმწიფო საკუთრებაში თუ კერძო საკუთრებაში. სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პერიოდში შენობა-ნაგებობა პრივატიზებული იყო, შესაბამისად არ არსებობდა სულ ცოტა კოდექსის 44.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე უნებართვო მშენებლობა) საჯარიმ სანქციის (10000ლ.) გამოყენების საფუძველი, აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს განჩინებით გასაჩივრებული აქტები უცვლელად დარჩა ჯარიმის ოდენობის ნაწილში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო სასამართლოს განჩინება არ არის დასაბუთებული, რაც სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად არის საკასაციო საჩივრის ნაწილობრივი დაკმაყოფილების, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდება მხარე, რომელიც იღებს საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით (სსკ-ის 46-ე მუხ. პირველი ნაწ. „ვ“ ქვეპ.). „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 28.07.2006წ. №145 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად საარსებო შემწეობის მიღების უფლება აქვს ოჯახს, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა ნაკლებია ამ წესით დადგენილი საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე. ამავე დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა არის 57001. საქმეში დაცული ამონაწერით თ. თ-ის ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 21510, რის გამოც იგი განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. აღნიშ-

ნულიდან გამომდინარე თ. თ-ს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე 27.11.2014წ. №7197.139.1 საგადახდო დავალებით ზედმეტად გადახდილი 300 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. თ. თ-ის საკასაციო საჩივარი დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.10.2014წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. თ. თ-ს (3.6. ...) დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე 27.11.2014წ. №7197.139.1 საგადახდო დავალებით ზედმეტად გადახდილი თანხა – 300 ლარი.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მშენებლობის ხეპართვაზე უარის გასაჩივრება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-211-210(კ-16)

4 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

ქ. ქ-ემ თბილისის საქალაქო სასამართლოში სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წინააღმდეგ სარჩელი აღდრა, რომლითაც სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 1 ივლისის №303 ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/546-15), სადაც საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 6 იანვრის №1654479 გადაწყვეტილება ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ... ქუჩა №19-ში მდებარე მინის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №...) სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე უარის თქმის შესახებ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ... ქუჩა №19-ში მდებარე მინის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №...) სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხთან დაკავშირებით ქ. ქ-ის მიერ წარდგენილ განცხადებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა მოსარჩელე მხარის 2014 წლის 19 დეკემბრის №AR1274430 განცხადება ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით მინის ნაკვეთის სამშე-

ნებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ და 2015 წლის 1 ივლისის №303 ბრძანებით მოსარჩელეს დაუსაბუთებლად, საკითხის გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე უთხრა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე; ამასთან, ვინაიდან მიმდებარე ტერიტორია სრულიად განაშენიანებულია, აშენებულია რამდენიმე ინდივიდუალური სახლი, ასევე მრავალბინანი საცხოვრებელი კორპუსი, არ არსებობს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. მოპასუხე მხარეს არ შეუსწავლია საქმის ფაქტობრივი გარემოები, ადმინისტრაციული წარმოების დროს არ ყოფილა გამოკვლეული ქ. ქ-ის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, შესაბამისად, სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 1 ივლისის №303 ბრძანება მიღებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით და არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქ. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ქ. ქ-ემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 იანვრის განჩინებით ქ. ქ-ის სააპელაციო საჩივრარი არ დაკმაყოფილდა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2014 წლის 10 აპრილს, 20 მაისს, 10 ივნისსა და 30 ივნისს ქ. ქ-ემ განცხადებებით მიმართა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ... ქუჩა №19-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი – №...) საცხოვრებელი სახლის დასაგეგმარებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 21 მაისის №1277875, 2014 წლის 5 ივნისის №1296500, 2014 წლის 26 ივნისის №1350972 და 2014 წლის 24 ოქტომბრის №1532344 ბრძანებებით ქ. ქ-ეს უარი ეთქვა საპროექტო ობიექტის სამშენებლოდ განვითარებაზე. უარყოფითი გადაწყვეტილებები განპირობებული იქნა იმ გარემოებით, რომ მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის, აქტიური გამნვანების,

რთული რელიეფისა და საცხოვრებელი სახლისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება მიზანშენონილი არ იყო. აღნიშნული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა.

2014 წლის 12 დეკემბერს ქ. ქ-ემ განმეორებით განცხადებით მიმართა ქ.თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ... ქუჩა №19-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით №... ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 დეკემბრის №1644862 ბრძანებით ქ. ქ-ეს უარი ეთქვა განცხადების განხილვაზე იმ საფუძვლით, რომ საკითხი არაერთხელ განიხილა ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიამ, რომლის უარყოფითი რეკომენდაციების გათვალისწინებით, სამსახურმა მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები. ახალი გარემოებების არარსებობის გამო, კანონმდებლობის შესაბამისად, სამსახური რჩებოდა იმავე პოზიციაზე.

2014 წლის 19 დეკემბერს, ქ. ქ-ემ კვლავ მიმართა განცხადებით ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ... ქუჩა №19-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი – №...) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

ქ.თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 6 იანვრის №1654579 ბრძანებით ქ. ქ-ეს უარი ეთქვა განცხადების განხილვაზე იმ საფუძვლით, რომ საკითხი არაერთხელ განიხილა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიამ, რომლის გადაწყვეტილების თანახმად, ნაკვეთის კონფიგურაციის, აქტიური გამნვანების, რთული რელიეფისა და საცხოვრებელი სახლისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, სამსახურს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენება ქალაქებებითი თვალსაზრისით მიზანშენონილად არ მიაჩნდა. ახალი გარემოებების არარსებობის გამო, კანონმდებლობის შესაბამისად, სამსახური რჩებოდა იგივე პოზიციაზე.

თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 6 იანვრის №1654579 ბრძანება ქ. ქ-ემ გასაჩივრებულა.

რა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიაში და მოითხოვა მისი ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2015 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე
3/549-15) ქ. ქ-ის სარჩელი დაქმაყოფილდა ნაწილობრივ. სადა-
ვო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბი-
ლისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015
წლის 6 იანვრის №1654479 გადაწყვეტილება ქ.თბილისში, ვა-
კის რაიონში, ... ქუჩა №19-ში მდებარე მინის ნაკვეთის (საკა-
დასტრო კოდი: №...) სამშენებლოდ გამოყენების პირობების
დადგენაზე უარის თქმის შესახებ და ქ. თბილისის მუნიციპალი-
ტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამ-
სახურს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემო-
ების შესწავლის, გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების სა-
ფუძველზე, დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაცი-
ულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ქ. თბილისში, ვაკის რაი-
ონში, ... ქუჩა №19-ში არსებული მინის ნაკვეთის (საკადასტრო
კოდი: №...) სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის
საკითხთან დაკავშირებით ქ. ქ-ის მიერ ნარდგენილ განცხადე-
ბაზე, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი
თვის ვადაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2015 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებაში სასა-
მართლომ აღნიშნა, რომ ქ. ქ-ის მიერ 2014 წლის 19 დეკემბერს
ნარდგენილ განცხადებაში დასმული საკითხი ქ. თბილისის ტე-
რიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების
საკითხთა კომისიის სხდომაზე არ განხილულა. ქ.თბილისის მე-
რიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2015
წლის 6 იანვრის №1654579 ბრძანების მიღებისას, ქ. თბილისის
მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური დაეყრდნო
არა კომისიის მიერ გაცემულ უარყოფით რეკომენდაციას (რო-
გორც წინა შემთხვევებში), არამედ ქ. ქ-ეს უარი ეთქვა განცხა-
დების განხილვაზე იმ საფუძვლით, რომ საკითხი არაერთხელ
განიხილა ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განა-
შენიანების რეგულირების საკითხთა კომისიამ, რომლის გადაწ-
ყვეტილების თანახმად, ნაკვეთის კონფიგურაციის, აქტიური
გამნვანების, რთული რელიეფისა და საცხოვრებელი სახლისათ-
ვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, სამსა-
ხურს მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენება ქალაქების
რებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ მიაჩნდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2015 წლის 4 მაისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 2015 წლის 1 ივნისს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ მიღებულ იქნა №303 ბრძანება, რომლის თანახმად, ქ. ქ-ეს უარი ეთქვა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ... ქუჩა №19-ში არსებული მიწის ნაკვეთისათვის (საკადასტრო კოდით №...) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე უფლებამოსილი იყო, უარი ეთქვა ქ. ქ-ისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებზე, ვინაიდან იმავე საკითხზე (იმავე უძრავი ქონების განვითარებაზე) უკვე იმსჯელა 2014 წლის 21 მაისის, 2014 წლის 5 ივნისის, 2014 წლის 26 ივნისის, 2014 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებებით, ამასთან გასაჩივრებული 2015 წლის 1 ივნისის ბრძანება ეფუძნება ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 15 მაისის (ოქმი №19), 2014 წლის 19 ივნისის (ოქმი №23), 2014 წლის 2 ივლისისა (ოქმი №25) და 2014 წლის 3 ოქტომბრის (ოქმი №33) საოქმო გადაწყვეტილებებს და ზონალური საბჭოს გადაწყვეტილებებს, რომლითაც უარი ეთქვა ქ. ქ-ეს ქ. თბილისში ... ქ. №19-ში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენებაზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, თავდაპირველად მოსარჩეულე ითხოვდა ორბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენას, შემდეგ ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის გამოყენებას, მაგრამ ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლოდ მიწის გამოყენება არ წარმოადგენს ახალ, შეცვლილ გარემოებას, იმ პირობებში, როდესაც ასაშენებელი შენობის ფართი და მოცულობა არსებითად განსხვავებული არ არის. ხელისშემშლელ ფაქტორად რჩება ტერიტორიის გამწვანება, რთული რელიეფი და მშენებლობისათვის შეუსაბამო კონფიგურაცია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ქ. ქ-ემ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ადმინისტრაციული ორგანო საკითხს განიხილავდა ფორმალურად, საქმის გარემოებების შესწავლისა და შეფასების გარეშე. სააპელაციო სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში, რომ 2015 წლის 4 მაისის თბილისის საქალაქო სასა-

მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა ასევე გაერკვია იმ პირობებში, როდესაც, ქ. თბილისში, ... ქ. №19-ის მიმდებარე ტერიტორია მიეკუთვნება საცხოვრებელ ზონა 3-ს და მრავლადა მინის ნაკვეთზე, როგორც მრავალბინიანი ასევე ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები, სხვადასხვა პირის მიმართ ხომ არ იყო მიღებული განსხვავებული გადაწყვეტილებები და ასეთის არსებობის შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა დაესაბუთებინა კანონით გათვალისწინებული რა არსებითი სახის საფუძველი არსებობდა, რომელმაც განაპირობა განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება. ადმინისტრაციულ ორგანოს სასამართლოს ეს მოთხოვნა არ შეუსრულებია, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. ქ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემონადათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემონადა:

1. 2014 წლის 10 აპრილს, 20 მაისს, 10 ივნისსა და 30 ივნისს ქ. ქ-ებ განცხადებებით მიმართა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ... ქუჩა №19-ის მიმდებარედ არსებულ მინის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი – №...) საცხოვრებელი სახლის დასაგეგმარებლად მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა;

2. ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 21 მაისის №1277875, 2014 წლის 5 ივნისის №1296500, 2014 წლის 26 ივნისის №1350972 და 2014 წლის 24 ოქტომბრის №1532344 ბრძანებებით ქ. ქ-ეს უარი ეთქვა საპროექტო ობიექტის სამშენებლოდ განვითარებაზე. უარყოფითი გადაწყვეტილებები განპირობებული იქნა იმ გარემონადით, რომ მინის ნაკვეთის კონფიგურაციის, აქტიური გამწვანების, რთული რელიეფის და საცხოვრებელი სახლისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენება მიზანშემნილი არ იყო. აღნიშნული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა.

3. 2014 წლის 12 დეკემბერს ქ. ქ-ებ განმეორებით განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტუ-

რის სამსახურს და მოითხოვა ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ... ქუჩა №19-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით №...) სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა;

4. ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 დეკემბრის №1644862 ბრძანებით ქ. ქ-ეს უარი ეთქვა განცხადების განხილვაზე იმ საფუძვლით, რომ საკითხი არაერთხელ განიხილა ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიამ, რომლის უარყოფითი რეკომენდაციების გათვალისწინებით, სამსახურმა მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები. ახალი გარემოებების არარსებობის გამო, კანონმდებლობის შესაბამისად, სამსახური რჩებოდა იმავე პოზიციაზე;

5. 2014 წლის 19 დეკემბერს, ქ. ქ-ემ კვლავ მიმართა განცხადებით ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ... ქუჩა №19-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი-№...) სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

6. ქ.თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 6 იანვრის №1654579 ბრძანებით ქ. ქ-ეს უარი ეთქვა განცხადების განხილვაზე იმ საფუძვლით, რომ საკითხი არაერთხელ განიხილა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიამ, რომლის გადაწყვეტილების თანახმად, ნაკვეთის კონფიგურაციის, აქტიური გამწვანების, რთული რელიეფისა და საცხოვრებელი სახლისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, სამსახურს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება ქალაქებებითი ოვალსაზრისით მიზანშეწნილად არ მიაჩნდა. ახალი გარემოებების არარსებობის გამო, კანონმდებლობის შესაბამისად, სამსახური რჩებოდა იმავე პოზიციაზე;

7. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 6 იანვრის №1654579 ბრძანება ქ. ქ-ემ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში და მოითხოვა მისი ბათილად ცნობა;

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე 3/549-15) ქ. ქ-ის სარჩელი დაკამაყოფილდა ნაწილობრივ. სადა-

ვო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 6 იანვრის №1654479 გადაწყვეტილება ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ... ქუჩა №19-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №...) სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე უარის თქმის შესახებ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დაევალა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ... ქუჩა №19-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №...) სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხთან დაკავშირებით ქ. ქ-ის მიერ წარდგენილ განცხადებაზე, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. ქ-ის მიერ 2014 წლის 19 დეკემბერს წარდგენილ განცხადებაში დასმული საკითხი ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე არ განხილულა და ქ.თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2015 წლის 6 იანვრის №1654579 ბრძანების მიღებისას, ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური დაეყრდნო არა კომისიის მიერ გაცემულ უარყოფით რეკომენდაციას (როგორც წინა შემთხვევებში), არამედ ქ. ქ-ეს უარი ეთქვა განცხადების განხილვაზე იმ საფუძვლით, რომ საკითხი არაერთხელ განხილა ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიამ, რომლის გადაწყვეტილების თანახმად, ნაკვეთის კონფიგურაციის, აქტიური გამწვანების, რთული რელიეფისა და საცხოვრებელი სახლისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, სამსახურს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენება ქალაქებგმარებითი თვალსაზრისით მიზანშენონილად არ მიაჩნდა.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 მაისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 2015 წლის 1 ივლისს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ მიღებულ იქნა №303 ბრძანება, რომლის თანახმად, ქ. ქ-ეს უარი ეთქვა ინდივიდუალური ერთბინიანი საც-

ხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ... ქუჩა №19-ში არსებული მინის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით №...) სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

კასატორს ზემოაღნიმზული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენია.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, მოახდინოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილ წესითა და დადგენილ ფარგლებში.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით. ამავე წესის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ნაკვეთის დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. ამავე პუნქტის თანახმად, I სტადია არის ქალაქითმშენებლობითი პირობების დადგენა (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება) – არა უმეტეს 12 დღისა.

ამავე დადგენილების 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ნებართვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების სამიერე სტადიას ანარმოებს მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც გამოსცემს შემდეგი სა-

ხის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს: I სტადია – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს; II სტადია – არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს; III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ნებართვის გაცემის სტადიებთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებს უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით ადმინისტრაციული აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30.12.2014 წლის №20-104 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების)“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფლებამოსილებას მიეკუთვნება დადგენილი წესით სამშენებლოდ მინის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა და კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათში ცვლილებების შეტანა.

სააპელაციო სასამართლომ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ მოპასუხე უფლებამოსილი იყო, უარი ეთქვა ქ. ქ-ისათვის მინის ნაკვეთის (ს/კ ...) სამშენებლოდ გამოყენების პირობების განსაზღვრაზე, ვინაიდან იმავე საკითხზე (იმავე უძრავი ქონების განვითარებაზე) უკვე იმსჯელა 2014 წლის 21 მაისის, 2014 წლის 5 ივნისის, 2014 წლის 26 ივნისის, 2014 წლის 24 ოქტომბრის „გადაწყვეტილებებით, ამასთან გასაჩივრებული 2015 წლის 1 ივლისის ბრძანება ეფუძნება ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 15 მაისის (ოქმი №19), 2014 წლის 19 ივნისის (ოქმი №23), 2014 წლის 2 ივლისისა (ოქმი №25) და 2014 წლის 3 ოქტომბრის (ოქმი №33) საოქმო გადაწყვეტილებებს და ზონალური საბჭოს გადაწყვეტილებებს, რომლითაც უარი ეთქვა ქ. ქ-ეს ქ. თბილისში, ... ქ. №19-ში არსებული მინის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასა-

მართლოს აღნიშნული დასკვნა დაუსაბუთებელია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სასამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არ სებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სასამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს მინიჭებული აქს პროცესუალური კომპეტენცია, შეამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის კანონიერება. სასამართლო კონტროლის განხორციელებისას მხოლოდ დისკრეციულ უფლებამოსილებაზე მითითება არ ნარმოადგენს აქტის კანონიერების დადასტურების საკმარის საფუძველს, რამდენადაც სასამართლომ უნდა შეაფასოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის კანონიერება და დასაბუთებულობა. სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფლებამოსილებას მიეკუთვნება მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება, რაც, მართალია, არ გულისხმობს უპირობოდ მოთხოვნის დაქმაყოფილებას, თუმცა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაასაბუთოს და მიუთითოს რა გარემოებებზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება. ადმინისტრაციული ორგა-

ნოს დისკრეციული უფლებამოსილება არ ნიშნავს თანაზომიერების და კანონიერების პრინციპის უგულებელყოფის შესაძლებლობას. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, რათა ადგილი არ ჰქონდეს პროცედურულ დარღვევებს, კანონის ფარგლების გაცდენას, რასაც შესაძლოა შედეგად მოჰყვეს საკუთრების ხელყოფა, კანონიერების, სუბიექტის უფლებების დარღვევა. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ უნდა გამოიწვიონ პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. დასაბუთების ვალდებულება განპირობებულია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების მიზნით. სასამართლომ დავის გადაწყვეტისას უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლობის მოთხოვნებით და არა მხოლოდ მიზანშეწონილობის მოსაზრებებით, რამდენადაც დისკრეციული უფლებამოსილება არ არის აბსოლუტური უფლება და მისი გამოყენება იზღუდება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 მაისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. აღნიშნული გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება და კონკრეტული გარემოებების გამოკვლევა, რაც სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს არ შეუსრულებია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი, შემოფარგლულიყო მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ საკითხი უკვე განიხილა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლზე მითითებით ეთქვა უარი განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული აქტი ბათილად იყო ცნობილი დაუსაბუთებლობის გამო და გადაწყვეტილებაში მითითებული იყო ის დარღვევები, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ხელახალი წარმოების ჩატარების გზით უნდა გამოესწორებინა.

საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება სასამართლო უნდა გამოიყენოს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტორივი გარემოებების დადგენა და შეფასება. შესაბამისად, შეუძ

ლებელი ხდება სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

აღნიშნული პროცესუალური შესაძლებლობა ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებულ მმართველობის კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის სრულფასოვან რეალიზაციასა და მართლმსაჯულების ეფექტიან განხორციელებას. იმ პირობებში, როცა ადმინისტრაციულ ორგანოს საერთოდ არ მოუხდენია ფაქტობრივი გარემოებების დადგენა-შეფასება, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში რიგ შემთხვევებში შეუძლებელი ხდება მათი გამოკვლევა, ამასთან, სასამართლის მითითებას, გარევეული გარემოებების შესწავლა-გამოკვლევის აუცილებლობის თაობაზე, ადმინისტრაციული ორგანოსათვის სავალდებულო ძალა აქვს.

სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო, რომ განსახილველ შემთხვევაში, არქიტექტურის სამსახურმა გაიმეორა ბათილად ცნობილი 2015 წლის 6 იანვრის №1654479 გადაწყვეტილების მოყლე დასაბუთება, ასევე მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლზე და საკითხი ფორმალურად გადაწყვიტა, რითაც არ შეუსრულებია სასამართლო გადაწყვეტილების მითითება სადავო საკითხის გადასაჭრელად აუცილებელი გარემოებების გამოკვლევისა და დასაბუთებული ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ გაუგებარია არქიტექტურის სამსახურის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე უარი იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ქ. ქ-ს კუთვნილი ნაკვეთი დატერიტულია ხე-ნარგავებით. აღსანიშნავია, რომ მოცემული მინის ნაკვეთი მიეკუთვნება არა სარეკრეაციო ზონას, არამედ საცხოვრებელ ზონა 3-ს. ასევე დაუსაბუთებელია, კონკრეტულად რაში მდგომარეობს მოცემული მინის ნაკვეთის „სამშენებლოდ შეუსაბამო კონფიგურაცია“.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას, რომ 2015 წლის 4 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა ასევე გაერკვია იმ პირობებში, როდესაც თბილისში, ... ქ. №19-ის მიმდებარე ტერიტორია მიეკუთვნება საცხოვრებელ ზონა 3-ს და მინის ნაკვეთზე მრავლადაა როგორც მრავალბინიანი ასევე ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები, სხვადასხვა პირის მიმართ ხომ არ იყო მიღებული განსხვავებული გადაწყვეტილებები და ასეთის არსებობის შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა დაესაბუთები-

ნა კანონით გათვალისწინებული რა არსებითი სახის საფუძველი არსებობდა, რომელმაც განაპირობა განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ეს მოთხოვნა ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუსრულებია. სააპელაციო სასამართლომ კი, ეს დარღვევა სამართლებრივად არ შეაფასა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა, რომ, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ... ქ. №19-ის მიმდებარებული ტერიტორია ათვისებულია და განთავსებულია მრავალბინიანი ან ერთბინანი საცხოვრებელი სახლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთ პირობებში, არქიტექტურის სამსახურს დეტალურად უნდა დაესაბუთებინა, რა თავისებურებებით გამოიჩინა ქ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთი, რაც მასზე ერთბინანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას გამორიცხავს. ამგვარი დასაბუთება კი გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ აქტში მოცემული არ არის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე“ ქვეპუნქტების თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები არ არსებობს და საკასაციო სასამართლოს, შეუძლია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო განმარტვას, რომ სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე გულისხმობს აქტის კანონიერების, დასაბუთებულობის შემოწმებას და არა შენაარსის კონტროლს. სასამართლო ვალდებულია, შეაფასოს გამოცემულია თუ არა სადაც აქტი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად, საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელი ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს,

რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მინშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ეს აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 1 ივლისის №303 ბრძანება და არქიტექტურის სამსახურს დაევალოს კანონით დადგენილ ვადაში ახალი აქტის გამოცემა, რადროსაც, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იხელმძღვანელოს წინამდებარე გადაწყვეტილების დასაბუთებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე იდენტობით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა ქ. ქ-ეს უნდა აუნაზღაუროს სამი-ვე ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 550 ლარი.

მოსარჩელე აგრეთვე ითხოვს ადვოკატის მომსახურების ხარჯის – 1250 ლარის გადახდის მოპასუხისათვის დაკისრებას. საქმეში წარმოდგენილია თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნა-

წილზე დაყრდნობით, კასატორის აღნიშნული მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 53-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ 3 ი ტ პ:

1. ქ. ქ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 იანვრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ქ. ქ-ის სარჩევი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 1 ივლისის №303 ბრძანება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს დაევალოს ქ. ქ-ის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, სულ 550 ლარის, ანაზღაურება;
6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს დაევალოს ქ. ქ-ის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ განეული ადვოკატის მომსახურების ხარჯის, 1250 ლარის, ანაზღაურება;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დაჯარიმება საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე
უსაფრთხოების ცენტრის დარღვევისათვის**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელი**

№ბს-493-488(2კ-16)

15 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

იბა „...“ წარმომადგენლებმა მ. ხ-ემ, გ. ხ-ემ, რ. ა-ამ და ნ. ა-ამ
თბილისის საქალაქო სასამართლოში ქალაქ თბილისის მუნიცი-
პალიტეტის მერიის და ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედვე-
ლობის საქალაქო სამსახურის წინააღმდეგ სარჩელი აღძრეს ქ.
თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
2013 წლის 4 ივნისის №000234 დადგენილებისა და ქ. თბილისის
მუნიციპალიტეტის მერიის 2013 წლის 12 აგვისტოს №1688 გან-
კარგულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2014 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ.
ხ-ის, გ. ხ-ის, რ. ა-ას და ნ. ა-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელეებმა სააპელაციო
წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2015 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილე-
ბით მ. ხ-ის, გ. ხ-ის, რ. ა-ას და ნ. ა-ას სააპელაციო საჩივარი დაკ-
მაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასა-
მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23
დეკემბრის გადაწყვეტილება; ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ.
ხ-ის, გ. ხ-ის, რ. ა-ას და ნ. ა-ას სარჩელი; სადაც საკითხის გადა-
უწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზე-
დამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 4 ივნისის
№000234 დადგენილება და მოპასუხე ქალაქ თბილისის მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დაევალა საქმისთვის

არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა კანონით დადგენილ ვადაში; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2013 წლის 12 აგვისტოს № 1688 განკარგულება ბათილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 1 დეკემბრის № 01/2753 ბრძანების თანხმად, გაცემულ იქნა მრავალბინანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა ქ. თბილისში (ზონა თბილისი, სექტორი ...), ... ხევი № 19-21-ში.

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ, 2010 წლის 7 დეკემბერს გაცემულ იქნა № 6/2996 - 1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ, 2013 წლის 1 მაისს შედგენილ იქნა № 0000234 მითითება, რომელშიც აღნიშნულია, რომ იბა „...“-ის მიერ ქ. თბილისში, ... ხევი № 19-21-ში, მრავალფუნქციური, მრავალბინანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას დარღვეულ იქნა მშენებლობის უსაფრთხოების მოთხოვნები, კერძოდ, ჩამოინგრა ქვაბულის ფერდი, შევიწროვდა გზა და საფრთხე შეექმნა მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე არსებულ შენობა – ნაგებობას. აღნიშნულის თაობაზე, შედგა მითითება და დარღვევის გამოსწორების მიზნით მშენებლობის განმახორციელებელ პირებს დაევალათ ქვაბულის ჩამოინგრეული ფერდი მოეყვანათ ისეთ მდგომარეობაში, რომელიც უზრუნველყოფდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთების დაზიანებამდე მდგომარეობის აღდგენას, ასევე დაევალათ ნარედინათ შესაბამისი საექსპერტო დასკვნა განხორციელებული ღონისძიებების მშენებლობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის შესახებ.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2013 წლის 23 მაისს შედგენილ იქნა № 0000234 შემოწმების აქტი, რომლის მიხედვით 2013 წლის 1 მაისს № 0000234 გაცემული მითითებით გათვალისწინებული პირობები არ იქნა შესრულებული.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 4 ივნისის № 0000234 დადგენილებით, ქ. თბილისში, ... ხევი № 19-21-ში, მრავალფუნქციური, მრავალბინანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის იბა „...“ დაჯარიმდა 3000 ლარით. აღნიშნული

დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად, სამართალდამრღვევს განემარტა, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხსელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდებოდა წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამაგი ოდენობით.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 4 ივნისის №000234 დადგენილება იბა „...“ თამაჯდომარე მ. ხ-ებ 2013 წლის 24 ივნისს გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიაში. ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 12 აგვისტოს №1688 განკარგულებით არ დაკმაყოფილდა იბა „...“ თავმჯდომარის მ. ხ-ის ადმინისტრაციული საჩივარი და ძალაში დარჩა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 4 ივნისის №000234 დადგენილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იბა „...“ წარმომადგენლის ახსნა-განმარტებაზე, რომლის თანახმად, ჩამოვარდა მხოლოდ ქვაბულის ფერდთან არსებული დემონტირებული სახლის საძირკვლის კედელი (ჩარჩენილი ნაწილი) და არა ქვაბულის ფერდი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა ფოტომასალაზე, რომელიც ასახავს სამართალდამრღვევის გამოვლენისა და შემდეგი პერიოდისათვის, იბა „...“ მიერ ქ. თბილისში, ... ხევი №19-21-ში მრავალფუნქციური, მრავალბინანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროცესს და მიიჩნია, რომ ამ მასალით არ დასტურდება ქვაბულის (გრუნტის ზედაპირის ღრმა თხრილი შენობის ფუნდამენტისათვის) ფერდის ჩამოვარდნა. სასამართლოს მითითებით, წარმოდგენილი ფოტომასალით ასევე არ დასტურდება ქვაბულის ფერდის ჩამოვარდნის შედეგად გზის შევიწროებისა და მომიჯნავე მინის ნაკვეთებზე არსებულ შენობა-ნაგებობებისათვის საფრთხის შექმნის ფაქტი.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 4 ივნისის №000234 დადგენილება, რომლის საფუძველზეც, ქ. თბილისში, ... ხევი №19-21-ში, მრავალფუნქციური, მრავალბინანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის იბა „...“ დაჯარიმდა 3000 ლარით, დაუსაბუთებელია ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამშენებლო სამართალდამრღვევად ცნობამდე, ადმინისტრაციულ ორგანოს

სათანადოდ არ გამოუკვლევია იბა „...ის“ სამშენებლო მოედნის ტერიტორია (აპელანტების განმარტებით, იგი ექცევა მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში). ადმინისტრაციულ ორგანოს ზუსტად არ დაუდგენია თუ რაში გამოიხატა სამშენებლო მოედანზე უსაფრთხოების წესების დარღვევა – ადგილი ქონდა ქვაბულის ფერდის თუ დემონტაჟს დაქვემდებარებული სახლის ჩარჩენილი ნაწილის ჩამოვარდნას. საქმის მასალებით ასევე არ დასტურდება იბა „...“ მიერ ქ. თბილისში, ... ხევი №19-21-ში არსებულ მისამართზე წარმოებული მშენებლობის შედეგად გზის შევიწროებისა და მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე არსებულ შენობა-ნაგებობებისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევა.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა 2013 წლის 1 მაისის მითითებაზე, სადაც ზედამხედველმა ორგანომ მითითხოვა ქვაბულის ჩამონვერებული ფერდის მოყვანა ისეთ მდგომარეობაში, რომელიც უზრუნველყოფს მომიჯნავე მიწის ნაკვეთის დაზიანებამდე მდგომარეობის აღდგენას. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტების მითითება, რომ მათ-თვის, როგორც ობიექტის მფლობელებისათვის, ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო, ზედამხედველი ორგანოს მითითების არსი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სადაც საკითხი საჭიროებდა ხელახლა გამოკვლევას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რა დროსაც ადმინისტრაციულმა ორგანომ სათანადოდ უნდა გამოიკვლიოს და შეფასება მისცეს იმ გარემოებას, თუ კონკრეტულად რა სამშენებლო სამართალდარღვევას ქონდა ადგილი. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მიმისათვის, რომ პირი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე, მითითების შეუსრულებლობის გამო, მიეცეს პასუხისმგებაში, უპირველეს ყოვლისა, სახეზე უნდა იყოს ზედამხედველი ორგანოს მიერ გაცემული ნათელი და მკაფიო მითითება დაფიქსირებული სამშენებლო დარღვევების შესახებ, ვინაიდან დადგენილ ვადაში დარღვევების გამოსწორება და მითითების შესრულება, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია (კოდექსის 25-ე მუხლის მე-11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი).

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ სათანადოდ უნდა გამოიკვლიოს იბა „...“ სამშენებლო მოედნის ტერიტორია და მისი საზღვრები მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების მიხედვით; კერძოდ, უნდა დაადგინოს სამშენებლო მოედნის საზღვრები მოქცეულია თუ არა იბა „...“ კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საზ-

ლვრებში; ასევე აქვს თუ არა ადგილი საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ წესის 84-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას ადგილი – საზოგადოებრივი სივრცეების/ტერიტორიების გამოყენებას მინიმალური შეზღუდვების ფარგლებში.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს, მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მტკიცებულებების არ არსებობის პირობებში მიიღო. სასამართლო დაუყრდნო მხარეების ზეპირ ახსნა-განმარტებას. სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის გადაწყვეტა საჭიროებდა სპეციალურ ცოდნას, სასამართლომ კი, ადგილზე არსებული ვითარების შესწავლის გარეშე მიიჩნია, რომ ქებულის ფერდი არ ჩამოვარდნილა. სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ფოტოების დათვალიერების შედეგად, რომელიც სამართალდარღვევის ჩადენიდან რამდენიმე თვის შემდეგაა გადაღებული. არასწორია სააპელაციო სასამართლოს შსჯელობა მითითების ბუნდოვანების თაობაზე.

ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი იმავე სამართლებრივ წანამდლვრებს ემყარება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპიალიტეტის მერიის და ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 1 დეკემბრის № 01/2753 ბრძანების თანხმად, გაცემულ იქნა მრავალბინაზი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა ქ. თბილისში (ზონა თბილისი, სექტორი ...), ... ხევი №19-21-ში;

2. ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ, 2010 წლის 7 დეკემბერს გაცემულ იქნა №6/2996 - 1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა;

3. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსა-

ხურის მიერ 2013 წლის 1 მაისს შედგენილ იქნა №000234 მითითება, რომელშიც აღნიშნულია, რომ იბა „... – ის“ მიერ ქ. თბილისში, ... ხევი №19-21-ში, მრავალფუნქციური, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას დარღვეულ იქნა მშენებლობის უსაფრთხოების მოთხოვნები, კერძოდ, ჩამოინგრაქვაბულის ფერდი, შევიწროვდა გზა და საფრთხე შეექმნა მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე არსებულ შენობა – ნაგებობას. აღნიშნულის თაობაზე, შედგა მითითება და დარღვევის გამოსხორების მიზნით მშენებლობის განმახორციელებელ პირებს დაევალათ ქვაბულის ჩამონგრეული ფერდი მოეყვანათ ისეთ მდგომარეობაში, რომელიც უზრუნველყოფდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთების დაზიანებამდე მდგომარეობის აღდგენას, ასევე დაევალათ წარედგინათ შესაბამისი საექსპერტო დასკვნა განხორციელებულ ღონისძიებების მშენებლობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის შესახებ;

4. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2013 წლის 23 მაისს შედგენილ იქნა №000234 შემოწმების აქტი, რომლის მიხედვით 2013 წლის 1 მაისს №000234 გაცემული მითითებით გათვალისწინებული პირობები არ იქნა შესრულებული;

5. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 4 ივნისის №000234 დადგენილებით, ქ. თბილისში, ... ხევი №19-21-ში, მრავალფუნქციური, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის იბა „...“ დაჯარიმდა 3000 ლარით. აღნიშნული დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად, სამართალდამრღვევს განემარტა, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამითვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდებოდა წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით;

6. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 4 ივნისის №000234 დადგენილება იბა „...“ თავმჯდომარე მ. ს-ებ 2013 წლის 24 ივნისს გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიაში. ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 12 აგვისტოს №1688 განკარგულებით არ დაკმაყოფილდა იბა „...“ თავმჯდომარის მ. ს-ის ადმინისტრაციული საჩივარი და ძალაში დარჩა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 4 ივნისის №000234 დადგენილება;

7. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა იბა „...“ წარმომად-

გენლის ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად, ჩამოვარდა მხოლოდ ქვაბულის ფერდთან არსებული დემონტირებული სახლის საძირკვლის კედელი (ჩარჩენილი ნაწილი) და არა ქვაბულის ფერდი;

8. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ფოტომასლით არ დასტურდება ქვაბულის (გრუნტის ზედაპირის ღრმა თხრილი შენობის ფუნდამენტისათვის) ფერდის ჩამოვარდნა. ნარმოდგენილი ფოტომასალით ასევე არ დასტურდება ქვაბულის ფერდის ჩამოვარდნის შედეგად გზის შევინწყობისა და მომიჯნავე მინის ნაკვეთებზე არსებულ შენობა-ნაგებობებისათვის საფრთხის შექმნის ფაქტი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). „დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია“ გულისხმობს მხარის მითითებას იმ პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე, რასაც ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა მოჰყვა შედეგად. განსაკუთრებით ეს ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XII თავით დადგენილი მტკიცებულებათა გამოკვლევისა და შეფასების წესების დაცვას.

მოცემულ შემთხვევაში კასატორებში ისარგებლეს აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული შედავების უფლებით და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ 7-8 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ დასაშვები პრეტენზია წარმოადგინეს.

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა რა შედავების სამართლებრივი საფუძვლები, მიიჩნევს, რომ კასატორების მოსაზრება გაზიარებულ უნდა იქნეს.

„პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს დამრღვევის მიმართ მითითების გაცემით, გარდა ამ მუხლის 23-ე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ამავე კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამონ-მებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემონმების აქტი. შემონმების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ: ა) მითითება შესრულდა; ბ) მითითება არ შესრულდა; გ) მითითება არადროულად სრულდება. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თუ შემონმების აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, აქტის საფუძველზე სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას: ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ; ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე უნებართვი მშენებლობისა და უნებართვი დემონტაჟის შეჩერების შესახებ; გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და დემონტაჟის შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის „მშენებლობის წებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ დადგენილების 33-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია: ამ დადგენილების შესაბამისად გაცემული მშენებლობის წებართვა, კანონმდებლობა, მათ შორის, ეს დადგენილება, სამშენებლო რეგულამენტი და ტერიტორიების სიყრცითი მოწყობისა და ქალაქ-თმშენებლობითი დოკუმენტების მოთხოვნები.

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 49-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარით;

„მშენებლობის წებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების 84-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სამშენებლო მოედანზე განხორციელებული ღონისძიებები უნდა უზრუნველყოფდნენ შესაბამისი სამ-

შენებლო საქმიანობის სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნებს, მათ შორის სამუშაოების წარმოების უსაფრთხოებას. ამავე დადგენილების 94-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მშენებლობის უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს, შესაბამისი დოკუმენტის ავტორს (შემსრულებელს) და მშენებლობის უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებელ პირს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამშენებლო სამუშაოების წარმოების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს, მოცემულ შემთხვევაში, – იბა „....“.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მოცემულ საქმეზე მტკიცების ტვირთის განაწილებაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მტკიცების ტვრითის განაწილებას შემდეგი თავისებურება ახასიათებს: როდესაც სადავოა ადმინისტრაციული აქტის მართლზომიერების საკითხი, მტკიცების ტვირთი მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილი), ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, თითქოს ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელზე მოსარჩელე სრულად თავისუფლდებოდეს მტკიცების ვალდებულებისაგან და მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებისაგან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მართალია, ერთ-ერთი მტკიცებულებაა მხარის ახსნა-განმარტება, მაგრამ ამ მტკიცებულების უაღრესად სუბიექტური ბუნების გათვალისწინებით, სასამართლომ ფაქტობრივი გარემოება მხოლოდ ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობით უნდა დაადგინოს იმ შემთხვევაში, თუ საქმის გარემოებების სხვაგვარად გამოკვლევა შეუძლებელია, ან მოწინააღმდეგე მხარე არ ხდის სადაცოდ განმარტებას და ა.შ.

მოსარჩელები ამტკიცებდნენ, რომ მათ სამშენებლო სამართალდარღვევა არ ჩაუდენიათ, ვინაიდან ჩამოვარდა მხოლოდ ქვაბულის ფერდთან არსებული დემონტირებული სახლის საძირკვლის კედელი (ჩარჩენილი ნაწილი) და არა ქვაბულის ფერდი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორებს, რომ ამ გა-

რემონტის გარკვევა შეუძლებელია მხოლოდ მხარის ახსნა-განმარტებით და ფოტოების შესწავლით, არამედ საჭიროებს სპეციალისტის მიერ ვითარების ადგილზე შესწავლას.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქმეში წარმოდგენილი ფოტოებით, ამასთან, არ გაითვალისწინა, რომ არ დგინდება აღნიშნული ფოტოების გადაღების პერიოდი – არის თუ არა ფოტოები გადაღებული სამართლდარღვევამდე, ან მისი ჩადენიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. მოპასუხეები მიუთითებდნენ, რომ ფოტოები ჩამონგრევიდან რამდენიმე თვის შემდეგაა გადაღებული, ვითარების გამოსწორების შემდეგ, რის თაობაზეც სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია. საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ამ ფოტოებით საერთოდ ვერ ირკვევა, მშენებლობის ადგილას რა ჩამონგრა (კედელი თუ ქვაბული), ან საერთოდ თუ მოხდა ჩამონგრევა და როგორ აისახა არსებულ გზაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს 2013 წლის 1 მაისის მითითებაზე (იხ. ზევით პუნქტი 3). აღნიშნული მითითებით მშენებლობის განმახორციელებელ პირებს დაევალათ ქვაბულის ჩამონგრეული ფერდი მოეყვანათ ისეთ მდგომარეობაში, რომელიც უზრუნველყოფდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთების დაზიანებამდე მდგომარეობის აღდგენას, ასევე დაევალათ წარედგინათ შესაბამისი საექსპერტო დასკვნა განხორციელებულ ღონისძიებების მშენებლობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ მითითების შინაარსი ბუნდოვანი იყო. მითითების ტექსტით ნათლად ირკვევა, რომ ზედამხედველობის სამსახურმა სამშენებლო სამართლდარღვევის ჩადენა დაადგინა, რაც გამოიხატა მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად ქვაბულის ჩამონგრევაში. სამართლდამრღვევებს დაევალათ დაზიანებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, ასევე ექსპერტიზის დასკვნის წარდგენა, იმის დასადგენად, რამდენად იყო დაცული მშენებლობის უსაფრთხოების წესები. ანუ, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სამსახურის სათანადო ცოდნით აღჭურვილი თანამშრომლების მიერ დადგინდა მშენებლობის უსაფრთხოების წესების დასადგენად, რამდენად იყო დაცული მშენებლობის უსაფრთხოების წესები. ანუ, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სამსახურის სათანადო ცოდნით აღჭურვილი თანამშრომლების მიერ დადგინდა მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა და სამართალდამრღვევს მიეცა მითითება. მოსარჩელებს მითითება არ შეუსრულებიათ. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თუ, რეალურად, არ ჩამონგრეულა ქვაბული და დემონტაჟის დროს ჩამოვარდა კედლის ნანილი და არ შევიწროებულა გზა, მოსარჩელებს არაფერი უშლიდათ ხელს, შესაბამისი დასკვნა წარედგინათ

ადმინისტრაციულ ორგანოში, რაც სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი გახდებოდა. ვინაიდან ამხანაგობას ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს მითითება არ შეუსრულებია, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოში სარჩელის აღდერის შემთხვევაში, მტკიცების ტკირთი სწორად მას ეკისრებოდა და ამხანაგობას უნდა დაედასტურებინა, რომ სამშენებლო სამართალდარღვევა ჩადენილი არ ყოფილა. მოსარჩელებს არც სასამართლოსთვის წარუდგენიათ მტკიცებულება, რომელიც სამართალდარღვევას გამოირიცხავდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებით დასტურდება ქ. თბილისში, ... ხევი №19-21-ში მრავალფუნქციური, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის განხორციელება უსაფრთხოების წესების დარღვევით, ასევე დასტურდება ის გარემოებაც, რომ იბა „...-ის“ მიერ არ იქნა აღმოფხვრილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 1 მაისს №000234 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რაც „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, იბა „...“ ჯარიმის დაკისრების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

მოსარჩელე ასევე ითხოვდა ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 12 აგვისტოს №1688 განკარგულების ბათოლად ცნობას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესები. ამავე კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ყვეტილება: а) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ; ბ) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე; გ) ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანხმად კი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ამონებს ადმინისტრაციული ორგანო. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონის იმ შოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის ნარმდგენ პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან უპირატესობას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის განმხილველმა ორგანომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და შესაბამისად, არ არსებობს ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 12 აგვისტოს №1688 განკარგულების ბათილად ცნობის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ხ-ის, გ. ხ-ის, რ. ა-ას, ნ. ა-ას სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ჟ ვ ი ტ ა:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. ხ-ის, გ. ხ-ის, რ. ა-ას, ნ. ა-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო დაჯარიმების პანონიერება

გადაწყვეტილება საკართველოს სახელით

№ბს-1853-1807(კ-10)

27 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წერებულებები (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

2009 წლის 1 სექტემბერს სს „...“ სარჩელი აღძრა მცხეთის
რაიონულ სასამართლოში სსიპ გარემოს დაცვის ინსპექციის აღ-
მოსავლეთ ცენტრალური ბიუროს მიმართ და მოითხოვა გარე-
მოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს
2009 წლის 26 ივნისის №20-34-12/325 გადაწყვეტილებისა და
2009 წლის 8 ივნისის №15787 დადგენილების ბათილად ცნობა
შემდეგი საფუძვლით:

საქმის გარემოებები:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსე-
ბის სამინისტროს სსიპ გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავ-
ლეთ ცენტრალური ბიუროს 2009 წლის 26 ივნისის №20-34-12/
325 გადაწყვეტილებით არ დაქმაყოფილდა სს „...“ საჩივარი და
ძალაში დარჩა 2009 წლის 8 ივნისის №15787 დადგენილება სს
„...“ ჯარიმის სახით 500 ლარისა და მიყენებული ზიანის სახით
1930 ლარის ანაზღაურების დაკასრების შესახებ.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული გადაწყვეტილება მი-
ლებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა
დარღვევით, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის
96.1, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 264-ე
მუხლების მოთხოვნათა დარღვევით. ბიურომ ვერ მოიპოვა
მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა მოსარჩელის
მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 151-

ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა. აღნიშნულის მიუხედავად, სადაცო გადაწყვეტილებით დადგენილად იქნა მიჩნეული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი სს „....“, კონკრეტულად კი მცხეთა-მთიანეთის ფილიალის, დუშეთის მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ, რასაც არ დაეთანხმა მოსარჩელე, რამდენადაც სს „....“ თანამშრომლების მიერ რაიმე ქმედების ჩადენა თავისთავად არ ნიშნავს ქმედების ჩადენას „....“ მიერ. მოსარჩელის მითითებით, გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს მიერ სადაცო დადგენილების გამოცემისას დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე, 252-ე და 264-ე მუხლების მოთხოვნები, საქმის განმხილველმა ორგანომ დავა განიხილა მოქმედი კანონმდებლობის სრული იგნორირებით, არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

ადმინისტრაციულმა ორგანომ სამართალდარღვევის ჩამდენად მიიჩნია სს „....“ კონკრეტულად – მცხეთა-მთიანეთის ფილიალის, დუშეთის მომსახურების ცენტრის თანამშრომლები. მოსარჩელის მითითებით, სამართალდარღვევის ოქმის ასლი არ ჩაპხარებია კომპანიის წარმომადგენელს. სადაცო გადაწყვეტილებაში მიეთითა, რომ სამართალდარღვევის ოქმის ერთი პირი ჩაპხარდა კომპანიის მენეჯერს – თ. ს-ს, რომელიც მიჩნეული იქნა კომპანიის უფლებამოსილ წარმომადგენლად, თუმცა სამართალდარღვევის ოქმი შედგენილი იყო თ. ს-ის, როგორც ფიზიკური პირის და არა კომპანიის მიმართ, მისი თანამდებობა არ ითვალისწინებდა სს „....“ სახელით რაიმე ქმედების განხორციელების ან კომპანიისათვის განკუთვნილი დოკუმენტების მიღების უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო უზრუნველეყო კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაბილეობა როგორც ოქმის შედგენისას, ასევე საქმის განხილვისას, სს „....“ არ შეუტყობინებიათ საქმის განხილვის შესახებ. ამასთან, სამართალდარღვევის ოქმი არ შეუდგენიათ ჟინვალში, ასევე არ შემდგარა ოქმი სამართალდარღვევის ჩადენის ან გამოვლენის დროს.

მოსარჩელის მითითებით, სადაცო აქტის გამოცემისას დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.5 მუხლის მოთხოვნები, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ გაითვალისწინა მხოლოდ ოქმში მითითებული გარემოებები, ადმინისტრაციული წარმოების დროს არ იქნა გამოკვლეული ფაქტები, რის შედეგადაც უკანონო გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

მოსარჩელემ დაუსაბუთებლად მიიჩნია სადაცო დადგენილება ასევე ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით. გარემოსათვის

მიყენებული ზიანის გაანგარიშების წესი რეგულირდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 5 ივნისის №538 ბრძანებით დამტკიცებული „გარემოსათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების მეთოდი-კით“, რომლის თანახმად, გარემოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის აუცილებელია მონაცემები ხის სახეობის, ამავე ნორმატიული აქტით განსაზღვრულ სიმაღლეზე გაზომილი დიამეტრის, რაოდენობისა და მდებარეობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში სამართალდარღვევის №019684 ოქმის თანახმად, დაზიანებული იყო იფნის ჯიშის 10 ხე, მითითებული დიამეტრებით, თუმცა, გაურკვეველია რა სიმაღლზე გაიზომა იგი.

მოსარჩელის მითითებით, სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება დაუსაბუთებელი და უკანონოა, მასში სამართალდამრღვევად დაფიქსირებული პირი საერთოდ არ მოიხსენიება სამართალდარღვევის ოქმით. ამდენად, მოსარჩელის მითითებით, სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია მნიშვნელოვანი დარღვევებით.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 24 მარტის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაერთო დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით სს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების მთავარი სპეციალისტის მიერ 2009 წლის 24 აპრილს ქ. დუშეთში შედგა სამართალდარღვევის ოქმი, სადაც სამართალდამრღვევად მიეთითა სს „...“ მცხეთა-მთიანეთის ფილიალის დუშეთის მომსახურების ცენტრი, წარმომადგენელი – თ. ს-ი. ოქმის მიხედვით, 2009 წლის 24 აპრილს დაბა ჟინვალში, კორპუსების გასწვრივ კომპანია „...“ მცხეთა-მთიანეთის ფილიალის დუშეთის მომსახურების ცენტრის თანამშრომლებმა თვითწებურად მოახდინეს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწაზე მწვანე ნარგავების დაზიანება. სამართალდარღვევის ოქმზე ახსნა-განმარტება შედგენილია დუშეთის მომსახურების ცენტრის მენეჯერის – თ. ს-ის მიერ, რომელიც დაეთანხმა ოქმი მოყვანილი ფაქტების სისწორეს და ხელი მოაწერა ოქმს. ჩგარემოს დაცვის სახელმწიფო ინსპექციის მიერ შედგენილი გარემოსათვის მიყე-

ნებული ზიანის გაანგარიშებით, კომპანიის მიერ მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 1930 ლარი. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს 2009 წლის 8 ივნისის №15787 დადგენილებით კომპანიას დაეკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით, ასევე დაეკისრა გარემოსათვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციო თანხის – 1930 ლარის გადახდა. 2009 წლის 19 ივნისს გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების მთავარმა ინსპექტორებმა შეადგინეს აქტი იმის თაობაზე, რომ თ. ს-მა უარი განაცხადა ოქმთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებების მიცემაზე. ასევე უარი განაცხადეს ახსნა-განმარტების მიცემაზე თ. ფ-მა და ბ. ზ-მა, რომლებმაც მოჭრეს ხეებზე ტოტები. გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს 2009 წლის 8 ივნისის დადგენილება საჩივრით გაასაჩივრა სს „...“, რაც არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაზე არ ვრცელდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის №472 ბრძანება, რომლითაც სს „...“ მიენიჭა სპეციალური ჭრების განხორციელების უფლებამოსილება სახელმწიფო ტყის ფონდში ელექტროგადამცემი ხაზებით დაკავებულ ფართობებზე, რამდენადაც დავა ხეება მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მინის ფართზე აღმოცენებული მწვანე ნარგავების დაზიანების ფაქტს. სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება, რომ დაბა ჟინვალში საცხოვრებელი კორპუსების წინ მდებარე გამწვანების ზოლი არ წარმოადგენს თვითმმართველობის ერთეულის ქონებას, რამდენადაც იგი კანონით დადგენილი წესით არ გადასცემია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. რაიონულმა სასამართლომ იხელმძღვანელა „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 20.2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით და განმარტა, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას აგტომატურად გადაეცა მითითებული კანონის 2.5 მუხლით განსაზღვრული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ძირითადი ქონება, მათ შორის დაბა ჟინვალში, საცხოვრებელი კორპუსების წინ მდებარე მწვანე ნარგავები.

რაიონულმა სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2009 წლის 24 აპრილს სს „...“ მცხეთა-მთიანეთის ფილიალის დუშეთის მომსაზურების ცენტრის თანამშრომლებმა თვითზებურად, სათანადო ნებართვის გარეშე დააზიანეს ხეები, რაზედაც

შედგა სამართალდარღვევის ოქმი კომპანიის მცხეთა-მთიანეთის ფილიალის დუშეთის მომსახურების ცენტრში, რადგან გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლებს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას არ დახვდათ კომპანიის თანამშრომლები.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ სამართალდარღვევა არ ჩაუდენიათ კომპანიის თანამშრომლებს სამსახურებოები მოვალეობის შესრულებისას და დადგენილად მიიჩნია, რომ ოქმი შედგა კომპანიის მცხეთა-მთიანეთის ფილიალის დუშეთის მომსახურების ცენტრის მიმართ, საქმის განხილვას ესწრებოდა კომპანიის მცხეთა-მთიანეთის ფილიალის დუშეთის მომსახურების ცენტრის ოფის-მენეჯერი და სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით არანაირი მტკიცებულება არ წარუდგენია.

რაიონულმა სასამართლომ ასევე გაიზიარა მოპასუხის მითითება, რომ მიყენებული ზიანის გამოანგარიშება მოხდა ტაქ-საციური დიამეტრით, დიამეტრიც გაიზომა მიწის ზედაპირიდან 10 სმ-ის სიმაღლეზე და ზიანის ოდენობაში შეადგინა 1930 ლარი.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ არ სებობდა გასაჩივრებული დაგვენილებისა და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ბათოლად ცნობის საფუძველი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „...“ და მოითხოვა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

აპელანტის მოსაზრებით, რაიონულ სასამართლოს არ გამოუკვლევია საქმისათვის მნიშვნლობის მქონე ყველა გარემოება, აპელანტმა არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მსჯელობა, რომ კომპანიის დუშეთის მომსახურების ცენტრის თანამშრომელმა ჩაიბარა სამართალდარღვევის ოქმი და შესაბამისად, კომპანიისათვის ცნობილი იყო აღნიშნულის თაობაზე. ენერგოკომპანიამ სადაც გახადა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ოქმი არსად არ ფიგურირებდა ენერგოკომპანია და იგი შედგენილი იყო ფიზიკური პირის – თ. ს-ის მიმართ. აპელანტის მოსაზრებით, ოქმი შედგენილია სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით. ასევე დაირღვა სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლი, რადგან ოქმის შედგენას არ დასწრებია კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

აპელანტის მითითებით, სახდელის დადების შესახებ დადგენილების მიღებისას დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კო-

დექსის 96-ე, სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე, 264-ე მუხლები, რაც კანონიერად მიიჩნია სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად. რაიონულ სასამართლოს არ გამოუკვლევია სად მოხდა სამართალდარღვევის ჩადენა, დაბა ჟინვალის ტერიტორია და თუნდაც კორპუსების მიმდებარე ტერიტორია ზოგადი მისამართია, დაბა ჟინვალი ძირითადად მოიცავს კორპუსების ტიპის დასახლებას, ამასთან, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორია განეკუთვნება კერძო საკუთრების სფეროს და არ წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საკუთრებას.

აპელანტმა ასევე არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს დასკვნა ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 14 სექტემბრის განჩინებით სს „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 377.1, 377.2 მუხლებით, 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით და მიიჩნია, რომ რაიონულმა სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და აპელანტებმა ვერ გააბათილეს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „...“ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 14 სექტემბრის განჩინების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორის მითითებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგბაში მიცემული პირის სავალდებულო მონაწილეობას ამავე კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაში, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ მომხდარა. კასატორის მითითებით, ოქმის შედგენას არ დასწრებია კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლი, ამასთან, ოქმი არ შემდგარა სამართალდარღვევის ადგილას, რითაც მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ დადგენილების მიღებისას დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლი და ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე და 264-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 9 მარტის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი სს „...“ საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად (აბსოლუტური კასაცია).

საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 31 მაისის საოქმო განჩინებით შეჩერდა საქმის წარმოება სს „...“ საკასაციო საჩივარზე გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ-ცენტრალური ბიუროს საპროცესო უფლებამონაცვლის დადგენამდე.

საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 29 ნოემბრის განჩინებით გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ-ცენტრალური ბიუროს უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა საქართველოს ენერგეტიკის ბუნებრივი რესურსების სსიპ – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახური და განახლდა საქმის წარმოება სს „...“ საკასაციო საჩივარზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიღდა იმ დასკვნამდე, რომ სს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 14 სექტემბრის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ; ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს 2009 წლის 26 ივნისის №20-34-12/325 გადაწყვეტილება სრულად მისი გამოცემის მომენტიდან, ასევე, სადაც საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს ინსპექტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტის ა. ჯ-ის 2009 წლის 8 ივნისის №15787 დადგენილება, მისი გამოცემის მომენტიდან და სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურს დაევალოს საქმის გარემოებებისა და შეჯერების შედეგად ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საკასაციო საჩივრის მოტივი განსახილველ საქმეში, რამაც შექმნა ადმინისტრაციუ-

ლი საპროცესო კოდექსის 34.3 „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული აბსოლუტური კასაციის წანამძღვრები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული კასაციის წამართლებრივი თვალსაზრისით, რამაც მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი, კერძოდ, სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლომ სამართლებრივი შეფასება მისცეს ქმედების ადმინისტრაციულ სამართლდარღვევად კვალიფიკაციისას მისი, როგორც არამართლზომიერი ქმედების შემადგენლობის განსაზღვრისა და გამორკვევის აუცილებლობას. კანონმდებელი მიჩნევს რა ქცევის კონკრეტულ წესს მართლსაწინააღმდეგოდ, კანონის ტექსტში მკაფიოდ და ცალსახად განსაზღვრავს თუ რა პირობებში და რა შემთხვევაში ექვემდებარება იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად კვალიფიკაცია დამოკიდებულია მომხდარი ფაქტის, სამართლის ნორმაში სწორედ ასეთად მიჩნეული ფაქტის, გარემოების სრულად და ზუსტად აღნერილთან თანადამთხვევაზე და შესაბამისობაზე, ანუ ქმედება ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კანონით ასეთად მიჩნეული ქმედების ნიშნების შემადგენლობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლების მხრიდან სამართალდარღვევათა სხვაგვარი, თავისუფალი შეფასების შემთხვევაში დაირღვევა სამართლებრივი უსაფრთხოების განცდა, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ერთერთი ქვაუთხედია და რის გარეშეც მოქალაქეთა კანონიერი მოლოდინი – პასუხისმგებლობა მხოლოდ კანონით ზუსტად გათვალისწინებული გარემოების დადასტურებისას, რაც შეესაბამება სამართლის პრინციპს: „აკრძალულია ის, რაც კანონით აკრძალულია“, უსაგნო და შინაარსგამოცლილი გახდება, რაც თავის მხრივ ენინააღმდეგება ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანეს – კანონიერების პრინციპს და კანონიერი ნდობის უფლებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულ საქმეზე ჩამოყალიბებული სასამართლო განმარტებები და დასკვნები სასამარგებლო იქნება როგორც ადმინისტრაციული, ისე სასამართლო ორგანოებისათვის და ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენისა და შეფარდების პროცესში ერთგვაროვანი სამართლებრივი ტენდენციის ჩამოყალიბებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადაცო ურთიერთობა წარმოშობილია ეკოლოგიური სამართალურთიერთობის

სფეროში ადმინისტრაციულ ორგანოსა და კ/ს იურიდიულ პირს შორის. საგულისხმოა, რომ მოსარჩელე თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ახორციელებს სახელმწიფოს ტყის ფონდში სპეციალურ ჭრებს ელექტროგადამცემი ხაზებით დაკავებულ ფართობებზე (იხ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის №472 ბრძანება).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შე-2 ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ განსახილვები დავა გადაწყვიტა არსებითად, მაშინ როცა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე იფიციალობის პრინციპის გამოყენებით სრულყოფილად არ არის მოპოვებული და გამოკვლეული საქმის გარემოებებთან დაკავშირებული მტკიცებულებები, ხოლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ობიექტური სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლებმა სამართლებრივი შეფასება მისცეს მტკიცებულებას, რომლებიც სადაც აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს განხილვისა და შეფასების საგანი არ ყოფილა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ასევე, არსებითად არის დარღვეული მისი მომზადების კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.2 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევით, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ბუნებრივი რესურ-

სების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურმა (სსიპ გარე-მოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს უფლებამონაცვლე) ისე გამოსცა 2009 წლის 8 ივნისის №15787 დადგენილება, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს №019684 ადმინისტრაციული სამარ-თალდარღვევის ოქმის საფუძველზე, რომ საერთოდ არ გამო-უკვლევია აღნიშნული ოქმი შედგენილ იქნა თუ არა საქართვე-ლოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო განჩარტავს, რომ ადმინისტრაცი-ული სამართალდარღვევები საქართველოში მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კო-დექსით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარ-ღვევას, რომელი ადმინისტრაციულ სახდელი, რომელი ორგა-ნოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაე-დოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩამდენს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩა-ითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთ-რების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმარ-თველობის დადგენილი წესის ხელყოფი მართლსაწინააღმდე-გო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწი-ნებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ამავე კოდექსის 151-ე მუხლის შესაბამისად, თვითმმართვე-ლი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწაზე მწვანე ნარგავე-ბის დაზიანება ან/და თვითნებურად მოჭრა, ან გამწვანებისათ-ვის გამოყოფილი ზოლის დაზიანება იწვევს დაჯარიმებას – 500 ლარის ოდენობით, ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი განმეორე-ბით, დაჯარიმებას – 1000 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული მუხლის საფუძ-ველზე, განმარტავს: იმისათვის, რომ ფიზიკური თუ იურიდიუ-ლი პირის ქმედება ზემოაღნიშნული მუხლით დაკვალიფიცირ-დეს, სახეზე უნდა იყოს არამართლზომიერი ქმედების როგორც დასჯადის, შემადგენლობა, კერძოდ: 1. მწვანე ნარგავის დაზი-ანების ფაქტი;

2. მიწის ნაკვეთი უნდა იყოს თვითმმართველი მუნიციპალი-ტეტის საკუთრება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამარ-

თალღარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დადგინდებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა ან არარსებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარემოებები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს მონაცემები დგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით... და სხვა დოკუმენტებით. ამასთან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ერთ-ერთ უტყუარ მტკიცებულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და დამრღვევის დასჯა ემსახურება მმართველობის კანონიერებას, საჯარო წესრიგს, ხოლო პროცედურული მოქმედებების ჩატარების ვალდებულება – კერძო ინტერესის – ადამიანის უფლების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფას. ასეთის იგნორირების პირობებში ირღვევა ადმინისტრაციული სამართლის ასევე უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი – კერძო და საჯარო ინტერესების პროცენტულობის პრინციპი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1. მუხლის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანის ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯვერების საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 252.1 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული

შეტყობინების შესახებ და მისგან არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე, ამასთან ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, 151-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმების განხილვისას ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის დასწრება სავალდებულოა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაში დამრღვევის მოწვევის ვალდებულება უზრუნველყოფს პირის უფლებას ისარგებლოს საპროცესო უფლებებით და მათი მეშვეობით დაიცვას თავისი მატერიალური უფლებები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლით სამართალდარღვევის ოქმისათვის დადგენილი რეკვიზიტებიდან და თავად სამართალდარღვევის ოქმის, როგორც იურიდიული დოკუმენტის მნიშვნელობიდან გამომდინარეობს, რომ მისი შედგენა უცილებელია სწორედ სამართალდარღვევის ადგილზე. სამართალდარღვევის ოქმით ფიქსირდება სამართალდარღვევის ფაქტი, გარემოებები, მონაწილე პირები და იმავდროულად იგი წარმოადგენს ერთ-ერთ და სარწმუნო მტკიცებულებას სამართალდარღვევის მოცემულ დროსა და ადგილას, მოცემულ ვითარებაში გამოვლენის და ამ ფაქტის მონაწილე პირების შესახებ. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის არა სამართალდარღვევის გამოვლენის ადგილზე შედგენა წარმოადგენს პროცედურის არსებით დარღვევას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე, იმ პირობებში, როცა საქმის მასალებით ცალსახად არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმში მითითებული დაზიანებული მწვანე წარგავები წარმოადგენს თუ არა დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, ადმინისტრაციულმა ორგანომ ხელახლა უნდა ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება, მით უფრო იმ ვითარებაში, როცა ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურის (სსიპ გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს უფლებამონაცვლე) 2009 წლის 8 ივნისის № 15787 დადგენილების გამოცემისას დარღვეულია დადგენილების გამოცემის მთელი რიგი პროცედურები, კერძოდ, დადგენილება ისე იქნა გამოტანილი, რომ მოწვეული არ ყოფილა ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირი, ასევე არ გამორკვეულა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გამოცემულია თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

ჩადენის ადგილას, მითითებულია თუ არა მასში სამართალდამ-რლვევი იურიდიული პირი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს იგი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი – მოცემულ შემთხვევაში სადავოა ქმედების სამართლდარღვევად არაკვალიფიციური მიჩნევა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით მინიჭებულ უფლება-მოსილებას სასამართლო იყენებს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

აღნიშნული პროცესუალური შესაძლებლობა ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებულ მმართველობის კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის სრულფასოვან რეალიზაციას და მართლმსაჯულების ეფექტიან განხორციელებას. იმ პირობებში, როცა ადმინისტრაციულ ორგანოს საერთოდ არ მოუხდენია ფაქტობრივი გარემოებების დადგენა – შეფასება, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში რიგ შემთხვევებში შეუძლებელი ხდება მათი გამოკვლევა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-7 ნაწილის „ა“ პუნქტისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს ინსპექტორების განყოფილე-

ბის მთავარი სპეციალისტის ა. ჯ-ის 2009 წლის 8 ივნისის №15787 დადგენილება, მისი გამოცემის მომენტიდან და ამასთან, მოპასუხეს უნდა დაევალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საქმის გარემოებების გამოკვლევისა და ობიექტური შეფასების საფუძველზე. ასევე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.1 მუხლის საფუძველზე ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს 2009 წლის 26 ივნისის №20-34-12/325 გადაწყვეტილება, სს „...“ საჩივრის არ დაემაყოფილების თაობაზე, რამდენადაც ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავის ნორმების საფუძველზე სრულყოფილად არ ჩაუტარებია ადმინისტრაციული წარმოება, რის გამოც იგი ცალსახად ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 53.1. მუხლის თანახმად, სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხე-თა-მთიანეთის სამსახურს სს „...“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე 399-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი თ ა:

1. სს „...“ საკასაციო საჩივარი დაემაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „...“ საკასაციო საჩივარი დაემაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს 2009 წლის 26 ივნისის №20-34-12/325 გადაწყვეტილება სრულად მისი გამოცემის მომენტიდან;
5. სადაც საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნას ცნობილი გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური

ბიუროს ინსპექტორების განყოფილების მთავარი სპეციალისტის ა. ჯ-ის 2009 წლის 8 ივნისის №15787 დადგენილება, მისი გამოცემის მომენტიდან და დაევალოს უფლებამონაცვლე - სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურს საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეჯერების შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

6. სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამსახურს დაეკისროს სს „...“ მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100, 150, 300 სულ 550 ლარის გადახდა სს „...“ სასარგებლოდ;

7. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაჯარიმება სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების ნარმოებისას ა. თბილისის ტერიტორიის დაზიანების გამო

გადაწყვეტილება საკართველოს სახელით

№ბს-585-575(კ-12)

5 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ნებლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩევე: შპს „...“

მოპასუხეები: ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური; ქ. თბილისის მერია

სარჩევის სახე: საქართველოს აღმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

სარჩელის საგანი:

1. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 8 ნოემბრის №000102 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობა.

2. ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 30 დეკემბრის №3115 განკარგულების ბათილად ცნობა.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოსარჩელის განმარტებით, შპს „...“ 2011 წლის აგვისტოსა და სექტემბერში ანარმობდა სამუშაოებს ... ქუჩაზე. თითოეული დაზიანება აღმოფხვრილ იქნა დაუყოვნებლივ, სათანადო წესით, რის თაობაზეც ეცნობა როგორც მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, ასევე კომპანიის კონტრაქტორ შპს „...“, რაც დასტურდება საქმეში არსებული ... ქუჩის ავარიასთან დაკავშირებული მასალებით და 2011 წლის 30 სექტემბრის მიღება-ჩაბარების აქტით შპს „...“ და „...“ შორის.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 8 ნოემბრის №000102 სამართალდარღვევის ოქმით შპს „...“ დაჯარიმდა – 2000 ლარით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152³. 1 მუხლით, კერძოდ, ქ. თბილისის ტერიტორიაზე, ... ქ. №2-ის მიმდებარედ, საავარიო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვებისათვის.

მითითებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შპს „...“ გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიაში, რომლის 2011 წლის 30 დეკემბრის №3115 განკარგულებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელის განმარტებით, სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დარღვეულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის მოთხოვნები. კერძოდ, ოქმი შედგენილია ზერელედ, ცალმხრივად, დამრღვევისა და მოწმეების ხელმოწერის გარეშე. ოქმზე დამრღვევის გრაფაში მინანერი „ჩავიბარე გადასაცემად – ა. ქ-ე“ შესრულებულია კომპანიის ცენტრალურ ოფისში, კანცელარიის თანამშრომლის მიერ. შესაბამისად, შპს „...“ არ მიეცა ახსნა-განმარტების საშუალება, რაც ოქმის შემდგენს შესაძლებლობას მისცემდა ობიექტურად მიეღო გადაწყვეტილება ოქმის შედგენასთან დაკავშირებით. ამასთან, ოქმი არ არის მითითებული არც ერთი მოწმე, რომელიც დაადასტურებდა დარღვევის არსებობის ფაქტს.

მოსარჩელის განმარტებით აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დროს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა მოისმინა რა კომპანიის არ-

გუმენტები, განაცხადა, რომ მართალია ტერიტორია მოყვანილი იქნა პირვანდელ მდგომარეობაში, მაგრამ ასფალტის საფარის აღდგენა არ მოხდა შესაბამისი ხარისხით და ტერიტორიაზე არ-სებობს ჯდენის ნიშნები. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული განცხადება არ არის კავშირში ადმინისტრაციულ-სამართალ-დარღვევის ოქმში მითითებულ დარღვევის არსთან და ეს ორი ცნება არ არის იდენტური.

სამართლებრივი: მოსარჩელე მიიჩნევს, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის შესაბამისად, სადაც აქტები ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

მოპასუხების – ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის შესაგებლები:

ფაქტობრივი: მოპასუხების განმარტებით, შპს „...“ მიერ შესრულებული სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, რიგ ობიექტებზე ტერიტორია არ იყო მოყვანილი პირვანდელ მდგომარეობაში, მათ შორის ... ქუჩაზე, რისთვისაც შპს-ს მიეცა 10-დღიანი ვადა დარღვევის გამოსასწორებლად, ასევე განემარტა მოსალოდნელი სანქციის შესახებ, ვინაიდან მოსარჩელის მხრიდან აღნიშნულ წერილს არ მოჰყოლია არავითარი რეაგირება, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება შპს „...“ დაჯარიმების თაობაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152.3 მუხლის შესაბამისად.

მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელის პოზიცია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არის დაუსაბუთებელი, ვინაიდან დამრღვევს არ მიეცა ახსნა-განმარტების შესაძლებლობა, ასევე არ არსებობს მოწმე, არის უსაფუძვლო, ვინაიდან დაჯარიმების საფუძველი გახდა დარღვევის გამოუსწორებლობა, ანუ უმოქმედობა, შესაბამისად, გაურკვეველია მოწმის სავარაუდო როლი აღნიშნულ საქმეზე.

სამართლებრივი: მოპასუხეთა განმარტებით, სადაც ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტები გამოცემულია კანონმდებლობის სრული დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძვლები.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

ზედამხედველობის სამსახურის 2011 წლის 27 სექტემბრის №07-16/11567 წერილით სამართალდამრღვევს ეცნობა, რომ რიგ ობიექტებზე, მათ შორის ... ქუჩაზე, ტერიტორია არ იყო მოყ-

ვანილი პირვანდელ მდგომარეობაში და მიეცა 10-დღიანი ვადა დარღვევის გამოსასწორებლად, ასევე განემარტა მოსალოდნელი სანქციის შესახებ.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2012 წლის 8 ნოემბერს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შპს „...“ დაჯარიმების თაობაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152.3 მუხლის შესაბამისად.

სამართალდარღვევის ოქმი შპს „...“ გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიაში, რომლის 2011 წლის 30 დეკემბრის №3115 განკარგულებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ სადაცვოდ მიჩნეული ფაქტები:

სადაცვოა ქ. თბილისში, ... ქუჩაზე მიმდებარედ, საავარიო სამუშაოების დასრულების შემდეგ, შპს „...“ მიერ ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვება.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახლელი, რომელი ორგანოს მიერ რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს. მითითებული კოდექსის 152³ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს ქ. თბილისის ტერიტორიაზე გადათხრის ადგილების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვება, რაც გამოიწვევს იურიდიული პირის დაჯარიმებას 2000 ლარის იდენტობით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 237-ე მუხლის მიხედვით, ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათ ერთობლიობაში, ხოლო 264-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

ამავე კოდექსის 236-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა ან არარსებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარემოები, მტკიცებულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტება და სხვა დოკუმენტები.

სასამართლოს განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რაც არც შეარებს გაუხდიათ სადაცოდ, რომ ... ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „...“ უკანასკნელ პერიოდში რამდენჯერმე ანარმოა სამუშაოები. ასევე დადგენილია, რომ ზედამხედველობის სამსახურის 2011 წლის 27 სექტემბრის №07-16/11567 წერილით სამართალდამრღვევს ეცნობა, რომ რიგ ობიექტებზე, მათ შორის ... ქუჩაზე, ტერიტორია არ იყო მოყვანილი პირვანდელ მდგომარეობაში და მიეცა 10-დღიანი ვადა დარღვევის გამოსასწორებლად, ასევე განემარტა მოსალოდნელი სანქციის შესახებ, თუმცა საქმეში წარმოდგენილი ფოტოსურათები ცხადყოფენ, რომ მიუხედავად გაფრთხილებისა, ტერიტორია პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე იქნა მიტოვებული.

სადაცოდ მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმსა და ქ. თბილის მერიის განკარგულებაში მითითებული გარემოებების გამაბაბათილებელი შესაბამისი მტკიცებულებები. შესაბამისად, სადაცო აქტების გამომტანმა ორგანომ მართებულად მიიჩნია, რომ შპს „...“ ჩაიდინა სამართალდარღვევა გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152³ მუხლის პირველი ნაწილით, ის ბრალეულია მის ჩადენაში და ექვემდებარება პასუხიმგებლობას. რაც შეეხება მითითებას მასზე, რომ მოსარჩელეს არ მიეცა ახსნა-განმარტების მიცემის შესაძლებლობა, სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული ვერ გახდება მისი სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

სასამართლოს დასკვნები:

სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სარჩელი უსაფუძვლოა, რადგან ადგილი არა აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას, გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ასა-

ხული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს, რის გამოც შპს „...“ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკია/:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. აპელანტი: შპს „...“

მოწინააღმდეგე მხარეები (მოპასუხე): ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური; ქ. თბილისის მერია

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და არასწორად ცნო დადგენილად ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ შპს „...“ ტერიტორია პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე იქნა მიტოვებული.

სამართლებრივი: მოსარჩელის განმარტებით, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლს, ასევე არასწორად გამოიყენა ადმინისტრაციულ სამართალდართვევათა კოდექსის 237-ე, 264-ე, 236-ე მუხლები. მოსარჩელის განმარტებით, სასამართლომ სრულად გაზიარა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში მოყვანილი გარემოებები და არ შეისწავლა და გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, მოსარჩელის პოზიცია იმის თაობაზე, რომ თანდართული ფოტოსურათებიდან არ ხერხდება ე.წ სამართალდარღვევის ადგილის იდენტიფიცირება და ასევე ფოტოსურათის გადაღების თარიღის განსაზღვრა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 16 მაისის განჩინებით შპს „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არ გაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელაციის მოტი-

ვები, პალატამ მიიჩნია, რომ მასში მითითებული გარემოებები არ ქმნიან საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

გასაჩივრებული გაჩინიების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

დადგენილი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ უსაფუძვლოა და შესაბამისად, არ არსებობს მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. მოსარჩელის მიერ ვერც სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, იმ გარემოებების დასადგენად, რომ სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია კანონის მოთხოვნათა ისეთი დარღვევით, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის შესაბამისად, შეიძლებოდა გამხდარიყო მათი ბათილად ცნობის საფუძვლი.

კასატორი: შპს „...“

მოწინააღმდეგე მხარეები: ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური; ქ. თბილისის მერია

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 16 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელის დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივები:

პროცესუალური: კასატორის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საქმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური: კასატორი საკასაციო საჩივარში ძირითადად მიუთითებდა სასარჩელო და სააპელაციო საჩივარში მითითებულ გარემოებებზე და ამასთან, განმარტა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში სამართალდარღვევის ჩადენის მოტივად მითითებულია საავარიო სამუშაოების დას-

რულების შემდგომ, ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვება. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას და შემდეგ სასამართლოში საქმის განხილვის დროს, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა მოისმინა რა მოსარჩელის არგუმენტები, განაცხადა, რომ მართლია ტერიტორია მოყვანილ იქნა პირვანდელ მდგომარეობაში, მაგრამ ასფალტის საფარის აღდგენა არ მოხდა შესაბამისი ხარისხით. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული განცხადება არ არის კავშირში სამართალდარღვევის ოქმში მითითებულ დარღვევის არსთან.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ ასევე არ გაიზიარა ის გარემოება, რომ საქმეში წარმოდგენილი ფოტომასალით საერთოდ არ დგინდება რაიმე სამართალდარღვევა, მით უმეტეს მისი ჩადენა შეს „....“ მიერ.

კასატორის განმარტებით სასამართლომ ასევე არ იმსჯელა და არანაირი შეფასება არ მისცა სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლს.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები: საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე განხილულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევით, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის შედეგზე.

მონინაალმდეგე მხარეებმა – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა და ქ. თბილისის მერიამ საკასაციო საჩივრარი არ ცნეს და მოითხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლითანობის, მხარეთა ახ-სნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და საქმის სასამართლოს განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შეს „....“ საკასაციო საჩივრარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მაისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შეს „....“ სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს

ცნობილი თბილისის მერიის 2011 წლის 30 დეკემბრის №3115 განკარგულება და ქ. თბილისის მერიას დაევალოს საქმის გარე-მოებების ხელახლა გამოკვლევის საფუძველზე ახალი ინდივი-დუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცე-მა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლომ გასა-ჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია მატერია-ლური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართვე-ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის მოთ-ხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოე-ყენებინა, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და დაგა არსებითად გადაწყვეტია მაშინ, როცა ადმინისტრაციული საპ-როცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე ოფი-ციალობის პრინციპის გამოყენებით სრულყოფილად არ არის მო-პოვებული და გამოკვლეული საქმის გარემოებებთან დაკავში-რებული მტკიცებულებები, ხოლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ობიექტური სამარ-თლებრივი დასკვნის ჩამოყალიბება შეუძლებელია.

მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ქ. თბილისის მერი-ამ ისე გამოსცა სადავო განკარგულება, საერთოდ არ გამოუკ-ვლევია სამართალდარღვევას ჰქონდა თუ არა ადგილი, ან სა-მართალდარღვევის ოქმი შედგენილი იყო თუ არა საქართვე-ლოს ადმინისტრაციულ სამართალადარღვევათა კოდექსისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვე-ვაში გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცე-სო კოდექსის 32.4. მუხლი, რამდენადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტი გამოსცა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ასევე, არსებითად არის დარღვეული მი-სი მომზადების კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვ-ნები, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხ-ლის მიხედვით დავის გადაუწყეტლად, აქტის ბათილად ცნო-ბის საფუძველს წარმოადგენს.

საქმის მასალების შესაბამისად, ქ. თბილისის მერიის ზედამ-ხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 27 სექტემბრის №07-16/11567 ნერილით შპს „...“ ეცნობა, რომ თბილისში, ... ქუ-ჩაზე ტერიტორია არ იყო მოყვანილი პირების დარღვეულ მდგომარეო-ბაში და მიეცა 10-დღიანი ვადა არსებული დარღვევის გამოსას-ნორებლად, ასევე განემარტა მოსალოდნელი პასუხისმგებლო-

ბის შესახებ.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 8 ნოემბრის №000102 სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, შპს „...“ დაჯარიმდა 2000 ლარით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152³.1 მუხლის საფუძველზე.

ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 30 დეკემბრის №3115 განკარგულებით შპს „...“ საჩივარი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 8 ნოემბრის №000102 სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს: ადმინისტრაციული სამართალდარღვევები საქართველოში მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას მათი სამართლებრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული პროცედურა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრაზი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ამავე კოდექსის 152³-ე მუხლით გათვალისწინებულია სანქცია ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ ქ. თბილისის ტერიტორიაზე სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების წარმოებისას ეზოების, ქუჩებისა და მოედნების თვითნებურად გადახსრის, მათი სამშენებლო მასალებით ჩახერგვის, გადაოხრის ადგილის პირვანდელ მდგომარებაში მოყვანის გარეშე მიტოვებისათვის ან/და უფლებამოსილი ორგანოს მიერ სამუშაოების წარმოებისთვის დადგენილი პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა იწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარით,

ხოლო იურიდიული პირის – 2000 ლარით.

საქასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული მუხლის საფუძვლზე, განმარტავს: იმისათვის, რომ ფიზიკური თუ იურიდიული პირის ქმედება ზემოაღნიშნული მუხლით დაკვალიფიცირდეს, სახეზე უნდა იყოს არამართლზომიერი ქმედების როგორც დასჯადის, შემადგენლობა, კერძოდ: ადგილი უნდა ჰქონდეს ტერიტორიის თვითნებურად გადათხრას, მისი სამშენებლო მასალებით დაბინძურებას და მის მიტოვებას სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე არსებული მდგომარეობაში მოყვანის გარეშე.

საქმის მასალების შესაბამისად, მოსარჩელე შპს „...“ თბილისის ზედამხედველობის სამსახურმა დააჯარიმა სწორედ ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, იმ საფუძვლით, რომ ქ. თბილისში, ... ქ. №2-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ შპს „...“ ტერიტორია მიატოვა პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე, შპს „...“ კი, სადაცოდ გახადა საერთოდ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი და აღნიშნა, რომ თბილისში, ... ქ. №2 მიმდებარე ტერიტორიაზე სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე შპს „...“ კი, სანამ მიმდებარე ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მიღების შემდეგ, ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მიღების შემდეგ მის კონტრაქტორ შპს „...“ აცნობეს ნერილით წყალსადენეკანალიზაციის ქსელებზე საავარიო-აღდგენითი სამუშაოების შედეგად დაზიანებული ასფალტის საფარის დაგების თაობაზე, რაც შპს „...“ შეასრულა დაუყოვნებლივ, რასაც ადასტურებს 2011 წლის 30 სექტემბრის შპს „...“ და შპს „...“ შორის შემდგარი მიღება-ჩაბარების აქტით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დადგინდებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა ან არარსებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარემოების, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს მონაცემები დაინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით... და სხვა დოკუ-

მენტებით. ამასთან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ერთ-ერთ უტყუარ მტკიცებულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და დამრღვევის დასჯა ემ-სახურება მმართველობის კანონიერებას, საჯარო წესრიგს, ხოლო პროცედურული მოქმედებების ჩატარების ვალდებულება – კერძო ინტერესის – პირის უფლების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფას. ასეთის იგნორირების პირობებში ირღვევა ადმინისტრაციული სამართლის ასევე უმნიშვნელოგანესი ინსტიტუტი – კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და მის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სპეციფიკური მმართველობის საქმიანობას წარმოადგენს. სამართალდარღვევის გამოვლენა იურიდიული ფაქტის დადგენა-დაფიქსირებას ნიშნავს, რაც შესაბამის იურიდიულ შედეგს იწვევს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება არსებითად განსხვავდება სხვა მმართველობით სფეროებში მიღებული გადაწყვეტილებისაგან. უპირველესად, მისი მომზადების და გამოცემის პროცედურის თვალსაზრისით.

ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად კვალიფიკაცია დამოკიდებულია მომხდარი ფაქტის, სამართლის ნორმაში სწორედ ასეთად მიჩნეული ფაქტის, გარემოების სრულად და ზუსტად აღნერილთან თანადამთხვევაზე და შესაბამისობაზე, ანუ ქმედება ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კანონით ასეთად მიჩნეული ქმედების ნიშნების შემადგენლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ პირობებში, ქ. თბილისის მერიამ ისე მიიღო სადაც განკარგულება, რომ დაეყრდნო მხოლოდ ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოკვლეულ და წარდგენილ მასალებს და თვითონ დამატებით სრულ-

ყოფილად და სარწმუნოდ არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები, კერძოდ, არ გამოუკვლევია მართლაც ჰქონდა თუ არა მოსარჩელის მიერ სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ ტერიტორიის მიტოვებას ადგილი, არ გამოუკვლევია რა მდგომარეობაში იყო სარემონტო სამუშაოების ჩატარებამდე ... ქუჩაზე ასფალტის საფარი, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ხელახლა უნდა ჩატაროს ადმინისტრაციული წარმოება და უნდა გამოიკვლიოს წარმოადგენს თუ არა მართლაც მოსარჩელე შპს „...“ ამ შემთხვევაში სამართალდამრღვევ იურიდიულ პირს, მოიპოვოს დამატებითი მტკიცებულებები და უნდა გამოიკვლიოს თუ როგორი იყო გზის საფარი შპს „...“ მიერ საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარებამდე ქ. თბილისში, ... ქ. №2-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, მანამდეც აღინიშნებოდა თუ არა ასფალტის ჯდენა, თუ ეს გამოწვეული იყო შპს „...“ მიერ ჩატარებული სამუშაოების გამო და დასრულების შემდგომ სრულყოფილად მოხდა თუ არა ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის მერიას, მის შესაბამის სამსახურებს როგორც დედაქალაქის მმართველობით ორგანოს, რომლის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, წარმოადგენს კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო სისტემის აღდგენა-განვითარება, აქვს თუ არა შემუშავებული სამართლებრივი მიდგომა ამ ტიპის სამუშაოების გადაცემა-ჩატარებაზე /მილება-ჩაბარების აქტით ან სხვა/, რაც განსაზღვრავდა ამ ტიპის ურთიერთობებში მხარეთა უფლება-მოვალეობებს მკაფიოდ და ცალსახად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირებისას, კინაიდან კანონმდებელი არ ადგენს მონმეთა აუცილებელ დასწრებას, ივარაუდება, რომ სამართალდარღვევის გამომვლენ მოხელეს გააჩნია შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები, ადეკვატურად და ობიექტურად შეაფასოს კონკრეტული ფაქტი, ქმედება. აღნიშნული, რასაკვირველია არ გამორიცხავს სამართალდარღვევის გამომვლენის მიერ უზუსტობას, მიკერძოებას ან არაობიერტური შეფასების კონკრეტული შემთხვევის დასაშვებობას (შესაძლებლობას).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ პირობებში, როცა სადაც აქტის კანონიერების განსაზღვრა დამოკიდებულია აქტით აღნერილ და გამოვლენილ იურიდიული ფაქტის ნამდვილობის დადგენაზე, ადმინისტრაციულმა ორგანომ დამატე-

ბით უნდა მოიპოვოს და გამოიკელიოს საქმის გარემოებები და ადმინისტრაციული წარმოებისას არ უნდა დაეყრდნოს მხოლოდ ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოპოვებულ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, მით უფრო იმ შემთხვევაში, როცა იგი ამონშებს მის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამარათლებრივი აქტის კანონიერებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად კვალიფიკაცია ადმინისტრაციული ორგანოს შეუძლია მხოლოდ შესაბამისი ფაქტების გამოკვლევა-შეფასება-დადგენის საფუძველზე, რაც ნიშნავს, რომ სწორედ ადმინისტრაციული ორგანო განსაზღვრავს თუ რა ფაქტების არსებობამ განაპირობა ქმედების ამგვარი კვალიფიკაცია. აღნიშნული გამომდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოს კანონისმიერი ვალდებულებიდან და სამართალდარღვევის ჩამდენის უფლებების უზრუნველყოფის სტანდარტებიდან.

ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უტყუარად უნდა დაამტკიცოს (დაასაბუთოს) მიღებულ გადაწყვეტილებაში იმ გარემოებათა არსებობა, რომელთაც განაპირობეს კანონსაწინააღმდეგოდ მიჩნეული ქმედების ფაქტის არსებობა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის სანქციის შეფარდება შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური გამოკვლევა-დადგენის გარეშე არ შეესაბამება საქართველოს სახელმწიფოში იურიდიულად უზრუნველყოფილ კანონიერი მმართველობის სტანდარტს, რაც საფრთხეს უქმნის ადმინისტრაციული წარმოების მონაწილეთა უფლებების სრულფასოვან რეალიზაციასა და დაცვას.

საკასაციო სასამართლოს მისაზრებით: ადმინისტრაციული საჩივრის ხელახლა განხილვისას თბილისის მერიამ თავის გადაწყვეტილებაში უნდა გააქარნებულოს საჩივრის ყველა მოტივი/არგუმენტი დასაბუთებულად, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, გაიზიაროს მათი საფუძვლიანობა, იმ ღოგივით, რომ სწორედ წორმათ შემფარდებელი ორგანოა (თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა სამშენებლო, სარემონტო სამუშაოების წარმოების წესების დაცვაზე, კერძოდ, მინის გადათხრასთან დაკავშირებით სამუშაოების ჩატარების და სამუშაოების დამთავრების შემდეგ ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანაზე ზედამხედველობა) ვალდებულია დაამტკიცოს სადაც აქტების ფაქტობრივი და სამართლებრივი კანონიერების საკითხი. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ზოგადი ადმინისტრა-

ციული კოდექსის XIII თავის „ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება“ მოთხოვნებიდან მმართველობის ორგანოების უფლებამოსილება – განახორციელონ ქვემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებების კანონიერებაზე კონტროლი, გულისხმობს მათ მიუკერძოებლად, ობიექტურად და კანონიერებისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით განხილვა-გადაწყვეტის ვალდებულებას. იმ შემთხვევაში, როცა ქვემდგომ ორგანოს დამაჯერებლად არ გამოიკვლევია აქტის გამოცემისათვის საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოება, ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს და მათი შეფასება-დადგენის საფუძველზე კანონიერად გადაწყვიტოს დავა.

აქვე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლით სამართალდარღვევის ოქმისთვის დადგენილი რეკვიზიტებიდან და თავად სამართალდარღვევის ოქმის, როგორც იურიდიული დოკუმენტის მნიშვნელობიდან, გამომდინარეობს, რომ მისი შედგენა აუცილებელია სწორედ სამართალდარღვევის ადგილზე. სამართალდარღვევის ოქმით ფიქსირდება სამართალდარღვევის ფაქტი, გარემოებები, მონაწილე პირები და იმავდროულად იგი წარმოადგენს ერთ-ერთ და სარწმუნო მტკიცებულებას სამართალდარღვევის მოცემულ დროსა და ადგილას, მოცემულ ვითარებაში გამოვლენის და ამ ფაქტის მონაწილე პირების შესახებ. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის არა სამართალდარღვევის გამოვლენის ადგილზე შეგნა წარმოადგენს პროცედურის არსებით დარღვევას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით კი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილების მიღებისას ასევე გამოვლეული არ ყოფილა ის გარემოება, სამართალდარღვევის ოქმი შედგენილ იქნა თუ არა სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენის ადგილას, თუ ოქმი შედგა სხვა ადგილას, როგორც ამას კასატორი აღნიშნავს, ორგანოს არ გამოიკვლევია ასევე სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დაირღვა თუ არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240.4 მუხლის დანაწესი, კერძოდ, სამართალდამრღვევს განემარტა თუ არა ამავე კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები, რაც აგრეთვე აღინიშნება ოქმში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინის-

ტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათოლად ცნოს იგი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათოლად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი – მოცემულ შემთხვევაში სადაც აქტის სამართლდარღვევად არაკვალიფიციური მიჩნევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც შპს „...“ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათოლად უნდა იქნეს ცნობილი სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა საკითხის ხელახალი განხილვისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ქ. თბილისის მერიამ საჩივრის ხელახლა განხილვისას სარწმუნოდ უნდა გამოიკვლიოს შპს „...“ არის თუ არა ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 152.3 მუხლით გათვალისწინებული სამართლდარღვევი პირი, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართლდარღვევის ჩადენისას გაცილებით მარტივია ფაქტის გამორკვევა სამართლდარღვევის ჩადენის ადგილზე, რამდენადაც სადაც გარემოების უშუალო მტკიცებულება (ვიდეოთვალი ან სხვ.) ან მოწმეთა მიერ მიღებული ახნსა-განმარტებების საფუძველზე შესაძლებელია სადაც ფაქტების დადგენა-გაანალიზება და მისი შეფასების საფუძველზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის მიღება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მერიას უნდა დაეკისროს სამართლნარმოებისას განეული ხარჯის სახით გადახდილი 275 ლა-

რის გადახდა შპს „...“ სასარგებლოდ, ხოლო სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 32.4; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 390-ე 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „...“ საკასაციო საჩივარი დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მაისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „...“ სარჩელი დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი თბილისის მერიის 2011 წლის 30 დეკემბრის №3115 განკარგულება და ქ. თბილისის მერიას დაევალოს საქმის გარემოებათა ხელახალი გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, კანონით დადგენილ ვადაში;

5. ქ. თბილისის მერიას დაეკისროს მოსარჩელის მიერ სამართლნარმოებაზე განცეული ხარჯების სახით გადახდილი 275 ლარის შპს „...“ სასარგებლოდ გადახდა;

6. ქ. თბილისის მერიას დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამშენებლო და საყოფაცხოვრებლო ნარჩენების დაყრის გამო დაჯარიმების პარონიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-785-769(კ-12)

5 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წყეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. ალავიძე**

დავის საგანი: ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტების
ბათილად ცნობა;

აღნერილობითი ნაწილი:

მოსარჩევე: შპს „...“; დირექტორი – თ.შ-ე

მოპასუხევები: საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი
რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების საა-
გენტოს ქვემო ქართლის სააგენტო;

სარჩელის სახე: – საქართველოს ადმინისტრაციული საპ-
როცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაცი-
ულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა;

სარჩელის საგანი:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურ-
სების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს
ქვემო ქართლის სააგენტოს 2011 წლის 11 მაისის ადმინისტრა-
ციული სახდელის დადების შესახებ №401432 დადგენილების
ბათილად ცნობა;

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსე-
ბის სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვე-
მო ქართლის სააგენტოს 2011 წლის 4 აპრილის №040935 ადმი-
ნისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობა;

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: 2011 წლის 14 აპრილს გარემოს დაცვის ინ-
სპექციის ქვემო ქართლის ბიუროს სწრაფი რეაგირების განყო-
ფილების სპეციალისტმა შეადგინა ადმინისტრაციული სამარ-
თალდარღვევის ოქმი №040935 შპს „...“ მიმართ, რადგან ავტო-
სამრეცხაოს შემოწმებისას ავტომანქანების რეცხვის შედეგად
წარმოქმნილი ქვიშისა და მიწის ნარჩენი ავტოსამრეცხაოს უკა-

ნა მხარეს იყო დაყრილი, რომლის მოცულობამ შეადგინა 1,5 კბ.მ.

2011 წლის 11 მაისს გარემოს დაცვის ქვემო ქართლის ბიუ-როს №401432 დადგენილებით შპს „...“ დაჯარიმდა 3000 ლარით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146¹-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მოსარჩელის განმარტებით, ზემოაღნიშნული ადმინისტრა-ციული აქტები მიღებულია კანონის დარღვევით, რადგან გარე-მოს დაცვის სამსახურს ოქმის შედგენისას არ განუმარტავს მი-სი უფლებები, არ დაუკათხავთ მოწმეები და კოორდინატებიც გაურკვეველი საფუძვლით აქვთ დადგენილი.

სამართლებრივი: მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გასაჩივრებუ-ლი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტე-ბი უნდა გაუქმდეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე.

მოპასუხის – საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების საა-გენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს წერილობითი შესაგებელი:

ფაქტობრივი: 2011 წლის 14 აპრილს ვიზუალური დათვალი-ერებით გამოვლინდა, რომ ავტოსამრეცხაოს საქმიანობის შე-დეგად წარმოქმნილ ნარჩენებს შპს „...“ ავტოსამრეცხაოს უკა-ნა მხარეს ყრიდა, რაზედაც შედგა ადმინისტრაციული სამარ-თალდარღვევის ოქმი №3040935.

2011 წლის 26 აპრილს ადმინისტრაციული სამართალდარ-ღვევის საქმის წარმოების მიმდინარეობისას, გარემოს დაცვის ინსპექციის ქვემო ქართლის ბიუროს თანამშრომლებმა დაბინ-ძურებულ ტერიტორიაზე, სატელიტური სანავიგაციო სისტემის საშუალებით დაბინძურებული ტერიტორიის მფლობელის გარ-კვევის მიზნით აიღეს კოორდინატები, მისი საჯარო რეესტრში გადაგზავნის შემდეგ, რუსთავის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 6 მაისის №69690 წერილით დადგინდა, რომ დაბინ-ძურებული ტერიტორია არ მოხვდა შპს „...“ კუთვნილ ტერიტო-რიაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე მიიჩნევს, რომ შპს „...“ სწორად დაჯარიმდა ადმინისტრაციული სამართალ-დაღვევათა კოდექსის 146¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

სამართლებრივი: მოპასუხის განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 278-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად არ არ-სებობს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-ტების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

საქმის გარემოებები:

შპს „...“ ქ. რუსთავეში, ... ქუჩის დასაწყისში ენევა სამენარმეო

საქმიანობას. კერძოდ, აქვს ავტოსამრეცხაო.

2010 წლის 12 ოქტომბერს გარემოს დაცვის ინსპექციის ქვე-მო ქართლის ბიუროს სწრაფი რეაგირების განყოფილების მთა-ვარი სპეციალისტის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვე-ვათა კოდექსის 146¹-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქტი №034006, მასზე, რომ შპს „...“ ავტოსამრეცხაოს ირგვლივ ტე-რიტორია დაბინძურებული იყო საყოფაცხოვრებო ნარჩენებით.

2010 წლის 1 ნოემბრის რუსთავის საქალაქო სასამართლოს დადგენილებით შპს „...“ ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამარ-თალდარღვევათა კოდექსის 146¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩამდენად, იგი გა-თვისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და მიეცა სიტყვიერი შენიშვნა.

სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სა-აგენტოს წარმომადგენლის მიერ 2011 წლის 14 აპრილს შპს „...“ ვიზუალური დათვალიერებით კელავ გამოვლინდა, შპს „...“ მი-ერ ავტოსამრეცხაოს მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურების ფაქტი, ავტომანქანების სარეცხი საშუალებების რეცხვის შე-დეგად წარმოქმნილი ქვიშისა და მინის ნარჩენებით, რაც შეად-გენდა 1,5 კვ.მ-ს. აღნიშნულზე შედგა ადმინისტრაციული სა-მართალდარღვევის ოქტი №3040935 და 2011 წლის 11 მაისს გა-რემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს №401432 დადგენილებით, შპს „...“ დაჯარიმდა 3000 ლარით, ად-მინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146¹-ე მუხ-ლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

რაიონული/საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/ სარეზოლუციო ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი (საჩივარი) არ დაკმაყო-ფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

შპს „...“ ქირავნობის საფუძველზე დაკავებული აქვს რუს-თავში, ... მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მინის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა, სადაც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, მოწ-ყობილი აქვს ავტომანქანის სამრეცხაო.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით შპს „...“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კო-დექსის 146¹-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვე-ვის ჩადენისათვის, თუმცა გათავისუფლდა ადმინისტრაციული

პასუხისმგებლობისაგან და სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნით.

2011 წლის 4 აპრილს შპს „...“ მიმართ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს თანამშრომლის მიერ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №040935 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის. კერძოდ, შპს „...“ გამოვლენილ იქნა რუსთავში, ... ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის ავტომანქანის რეცხვის შედეგად წარმოქმნილი ქვიშისა და მინის ნარჩენით დაბინძურებაში, რაც შეადგენდა 1,5მ³-ს.

2011 წლის 11 მაისს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს №401432 დადგენილების თანახმად, შპს „...“ ჯარიმის სახით დაეკისრა 3000 ლარის გადახდა.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:
სადავოა შპს „...“ მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

სასამართლოს შეფასება სადავო ფაქტებთან მიმართებაში: საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე შპს „...“ მიერ დაბინძურებულ იქნა ავტოსამრეცხაოს მიმდებარე ტერიტორია, (კოორდინატები X... და Y...), რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით არ წარმოადგენს კერძო საკუთრებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს მიაჩნია, შპს „...“ ჩაიდინა სამართალდარღვევა, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146¹-ს მუხლის მე-3 ნაწილით, ის ბრალეულია მის ჩადენაში და ექვემდებარება პასუხისმგებლობას და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს №401432 დადგენილების გამოცემისას გამოკვლეულ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

სასამართლოს დასკვნები – საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „...“ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 34-ე, მე-60¹, 96-ე მუხლებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10, 146¹-ე, 264-ე მუხლებით

აპელაციი: შპს „...“ დირექტორი – თ.შ-ე

მონინააღმდეგი მხარე: საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტო;

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის წარმომადგენლის განმარტებით, არასწორადა დადგენილი დაბინძურებული ტერიტორიის კონტინატები, ვინაიდან, მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა საქალაქო სასამართლოს სხდომაზეც დაადასტურა, რომ ჯიპიების ხელსაწყოს საშუალებით კოორდინატების გაზომვისას ადგილი აქვს ცდომილებას 3-8 მეტრის ფარგლებში. ამასთან, აპელანტის მითითებით, ტერიტორიაზე ავტომანქანის რეცხვისას ქვეშის ან მინის დაყრას ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივლისის განჩინებით შპს „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არ გაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელაციის მოტივები, პალატამ მიიჩნია, რომ მასში მითითებული გარემოებები არ ქმნიან საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს ფაქტობრივ და სამართლებ-

რივ გარემოებებთან დაკავშირებით და დამატებით მიუთითა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ქვემო ქართლის ბიუროს სწრაფი რეგისტრაციის განყოფილების მიერ 2011 წლის 14 აპრილს შპს „...“ გამოვლენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146¹-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის განმეორებით ჩადენა.

ალიშტნულ სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ იქნა დაბინძურებული ტერიტორიის კოორდინატები, რაზედაც 2011 წლის 26 აპრილს შედგა შესაბამისი აქტი, აქტს ხელი მოაწერა თავად შპს „...“ დირექტორმა თ. შ-ემ, რომელსაც საწინააღმდეგო შენიშვნები აზომვის დროს არ დაუფიქსირებია. აქტის შინაარსიდან გამომდინარე, დანაგვიანებული მინის ნაკვეთი არ მოხვდა უძრავი ქონების მესაკუთრის, ზ. შ-ის კუთვნილ ტერიტორიაზე, რაც დასტურდება ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ინფორმაციით, რომლის მიხედვით გარემოს დაცვის ინსპექციის მიერ აღებულ კოორდინატებზე X ... დავა ... არსებული ტერიტორია არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

სამართლებრივი: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

კასატორი: შპს „...“, დირექტორი – თ. შ-ე

მონინააღმდეგე მხარე: საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტო;

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 4 ივლისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკავშირება.

კასაციის მოტივები:

პროცესუალური: კასატორის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საქმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური: კასატორის განმარტებით, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ყოველგავარი მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე დაკისრა ადმინისტრაციული სახდელი, არ

დაუკითხავთ მოწმეები, არც ოქმის შედგენისას განუმარტავთ შპს „...“ დირექტორისათვის არანაირი უფლებები, ამასთან, სამართალდარღვევის ოქმში აღნიშნულია, რომ შპს „...“ დირექტორმა უარი განაცხადა ოქმზე ხელს მოწერაზე, კასატორის განმარტებით, კი ოქმი შედგენილი არ ყოფილა სამართალდარღვევის ადგილზე. ასევე გაურკვეველია, როს საფუძველზე დაადგინეს კომისარის X=...=... კასატორის მითითებით, არას-ნორად იქნა აღებული დაბინძირებული ტერიტორიის ზემოაღნიშნული კომისარის ფურცელზე ჯი-პი-ესის ხელსაწყოთი, ვინაიდან, აღნიშნული ხელსაწყო იძლევა დიდ ცდომილებას და ამას თავად მოპასუხეც ადასტურებს. შპს „...“ მიერ არ დანაგვიანებულა 634,5 კვ.მ ტერიტორია.

ამასთან, კასატორის განმარტებით, შპს მდებარეობს ... ქუჩაზე, სადაც 2010 წლიდან მიმდინარეობდა ქუჩის რეკონსტრუქცია და სამუშაოს შესრულების დროს ასფალტის ძველი საფარი იყრებოდა ხევის პირას ხრამში.

მოწინააღმდეგ მხარემ – ბუნებრივი რესურსების სააგენტომ წერილობითი მოსაზრებით მოითხოვა შპს „...“ საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა, იმ მოტივით, რომ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამდღვრები: (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მ.).

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორის შპს „...“ საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად როგორც პროცესუალური კასაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლითანობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიღდა იმ დასკვნამდე, რომ შპს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივლისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „...“ სარჩე-

ლი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს 2011 წლის 11 მაისის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ №401432 დადგენილება, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს 2011 წლის 4 აპრილის №040935 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალოს საქმის გარემოებების ხელახლა გამოკვლევის საფუძველზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და დავა არსებითად გადაწყვიტა მაშინ, როცა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე ოფიციალობის პრინციპის გამოყენებით სრულყოფილად არ არის მოპოვებული და გამოკვლეული საქმის გარემოებებთან დაკავშირებული მტკიცებულებები, ხოლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ობიექტური სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბება შეუძლებელია.

მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტომ (საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სამსახურის უფლებამონაცვლე) ისე გამოსცა 2011 წლის 11 მაისის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ №401432 დადგენილება, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს 2011 წლის 4 აპრილის №040935 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის საფუძველზე, რომ საერთოდ არ გამოუკვლევია აღნიშნული ოქმი შედგენილი იყო თუ არა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალადარღვევათა კოდექსისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვე-

ვაში გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ასევე, არსებითად არის დარღვეული მისი მომზადების კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის მიხედვით დავის გადაუწყვეტლად, აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

საქმის მასალების შესაბამისად, შპს „...“ ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე დაკავებული აქვს რუსთავში, ... ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა, სადაც ერევა სამენარმეო საქმიანობას, კერძოდ, აქვს ავტომანქანების სამრეცხაო.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით შპს „...“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146¹-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის-თვის, გათავისუფლდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობის-გან და მიეცა მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2011 წლის 11 მაისის №401432 დადგენილებით სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს 2011 წლის 4 აპრილის №040935 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის საფუძველზე, შპს „...“ დაჯარიმდა 3000 ლარით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146¹.3 მუხლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევები საქართველოში მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩამდენს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან

უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ამავე კოდექსის 146¹-ე მუხლით გათვალისწინებულია სანქცია ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ დასუფთავების წესების დარღვევისათვის, კერძოდ, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების, უვარგისი კონსტრუქციების, მასალების, ნივთების, მიწისა და კლდოვანი ქანების გზებზე, მდინარეებში, ტბებში და მათ ნაპირებზე, ფერდობებსა და ხევებში, პარკებში, ბალებში, სკვერებში, გაზონებში, ეზოებში, სპორტულ მოედნებზე, ავტოსადგომებთან, ბაზრებთან ან სხვა ადგილებში დაყრა, ნარჩენებისა და ნაგვის გატანის, გატანა-გადაზიდვისა და დასუფთავების წესების დარღვევა ინვესტიციური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით ინვესტიციური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 3 000 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული მუხლის საფუძვლზე, განმარტავს: იმისათვის, რომ ფიზიკური თუ იურიდიული პირის ქმედება ზემოაღნიშნული მუხლით დაკვალიფიცირდეს, სახეზე უნდა იყოს არამართლზომიერი ქმედების როგორც დასჯადის, შემადგენლობა, კერძოდ: ზუსტად უნდა იყოს დადასტურებული სამართალდამრღვევი ჩამდენი პირის ვინაობა, დაბინძურებული ტერიტორიის ფარგლები, კერძოდ, შედის თუ არა იგი ფიზიკური თუ იურიდიული პირის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაში.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსაპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტომ 2011 წლის 4 აპრილის №040935 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე ისე გამოსცა 2011 წლის 11 მაისის №401432 დადგენილება შპს „....“ დაჯარიმების თაობაზე, რომ საერთოდ არ გამოუკვლევია პქონდა თუ არა ნამდვილად შპს „....“ მიერ მისი მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურების ფაქტს ადგილი. სწორედ იქნა თუ არა დადგენილი დაბინძურებული ტერიტორიის კოორდინატები.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყვე-

ლა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დადგინდებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობა ან არარსებობა, პირის ბრალეულობა მის ჩადენაში და სხვა გარემოებები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს მონაცემები დგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით... და სხვა დოკუმენტებით. ამასთან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ერთ-ერთ უტყუარ მტკიცებულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და დამრღვევის დასჯა ემსახურება მმართველობის კანონიერებას, საჯარო წესრიგს, ხოლო პროცედურული მოქმედებების ჩატარების ვალდებულება – ეროვნისტურებულის – ადამიანის უფლების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფას. ასეთის იგნორირების პირობებში ირღვევა ადმინისტრაციული სამართლის ასევე უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი – კერძო და საჯარო ინტერესების პროცენტულობის პრინციპი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და მის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სპეციფიკური მმართველობის საქმიანობას წარმოადგენს. სამართალდარღვევის გამოვლენა იურიდიული ფაქტის დადგენა-დაფიქსირებას ნიშნავს, რაც შესაბამის იურიდიულ შედეგს იწვევს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება არსებითად განსხვავდება სხვა მმართველობით სფეროებში მიღებული გადაწყვეტილებისაგან, უპირველესად, მისი მომზადებისა და გამოცემის პროცედურის თვალსაზრისით.

ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად კვალი-

ფიკაცია დამოკიდებულია მომხდარი ფაქტის, სამართლის ნორმაში სწორედ ასეთად მიჩნეული ფაქტის, გარემოების სრულად და ზუსტად აღწერილთან თანადამთხვევაზე და შესაბამისობაზე, ანუ ქმედება ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კანონით ასეთად მიჩნეული ქმედების ნიშნების შემადგენლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ იმ პირობებში, როცა საქმის მასალებიდან დასტურდება, რომ სსპ ბუნებრივი რესურსების სააგრძოლოს (საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სამსახურის უფლებამონაცვლე) მიერ დადგენილება გამოიცა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების სრულად და სარწმუნოდ გამოკვლევის გარეშე, კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევია სწორად მოხდა თუ არა ჯიპი-ესის ხელსაწყოს საშუალებით დაბინძურებული ტერიტორიის კოორდინატების დადგენა, კოორდინატები აღებულ იქნა თუ არა შპს „....“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, თუ იგი აღებულ იქნა შპს-დან მოშორებით სხვა ტერიტორიაზე, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოს სარწმუნოდ არ გამოუკვლევია ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩადენილ იქნა თუ არა შპს „....“ მიერ და მის მიერ მოხდა თუ არა ტერიტორიის დაბინძურება, მით უფრო მაშინ, როცა 2010 წლის მარტის ბოლოდან მიმდინარეობდა ... ქუჩის რეკონსტრუქცია, კერძოდ, გამოიცვალა წყლის მილები და გზის საფარი, ანუ აღნიშნულ ქუჩაზე მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები და ტერიტორიის დაბინძურება შესაძლოა მომხდარიყო ამ სამუშაოების ჩატარების დროსაც, მით უფრო იმ პირობებში, როცა დასადგენია, რამდენად შესაძლებელია ავტომანქანის რეცხვის დროს წარმოქმნილი ნარჩენები შეადგენდეს 1,5 მ³. საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ხელახლა უნდა ჩატაროს ადმინისტრაციული წარმოება და გამოიკვლიოს შპს „....“ ნამდვილად არის თუ არა სადაცო შემთხვევაში სამართალდამრღვევი იურიდიული პირი, ასევე უნდა იმსჯელოს სწორად მოხდა თუ არა დაბინძურებულ ტერიტორიაზე კოორდინატების აღება, უნდა და გამოარკვიოს ჯიპი-ესის ხელსაწყოს მეშვეობით აღებული კოორდინატები ანუ ის კოორდინატები, რა კოორდინატებშიც დაჯარიმდა შპს „....“ აღებულ იქნა თუ არა იმ ტერიტორიაზე, იმ მისამართზე, სადაც მდებარეობს შპს „....“ და რაც მითითებულია სამართალდარღვევის ოქმში.

აქვე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლით სამართალდარღვევის ოქმისთვის დადგენილი რეკ-

ვიზიტებიდან და თავად სამართალდარღვევის ოქმის, როგორც იურიდიული დოკუმენტის მნიშვნელობიდან, გამომდინარეობს, რომ მისი შედგენა აუცილებელია სწორედ სამართალდარღვევის ადგილზე. სამართალდარღვევის ოქმით ფიქსირდება სამართალდარღვევის ფაქტი, გარემოებები, მონაწილე პირები და იმავდროულად იგი წარმოადგენს ერთ-ერთ და სარწმუნო მტკიცებულებას სამართალდარღვევის მოცემულ დროსა და ადგილას, მოცემულ ვითარებაში გამოვლენის და ამ ფაქტის მონაწილე პირების შესახებ. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის არა სამართალდარღვევის გამოვლენის ადგილზე შედგენა წარმოადგენს პროცედურის არსებით დარღვევას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილების მიღებისას ასევე გამოკვლეული არ ყოფილა ის გარემოება, სამართალდარღვევის ოქმი შედგენილ იქნა თუ არა სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენის ადგილას, თუ ოქმი შედგა სხვა ადგილას, როგორც ამას კასატორი აღნიშნავს, ორგანოს არ გამოუკვლევია ასევე სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დაირღვა თუ არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240.4 მუხლის დანაწესი, კერძოდ, სამართალდამრღვევს განემარტა თუ არა ამავე კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები, რაც აგრეთვე აღინიშნება ოქმში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებით მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს იგი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაუწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი – მოცემულ შემთხვევაში სადაც აქტის სამართალდარღვევად არაკვალიფიციური მიჩნევა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით მინიჭებულ უფლება-მოსილებას სასამართლო იყენებს იმ ვითარებაში, როცა სასა-მართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სა-დავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

აღნიშნული პროცესუალური შესაძლებლობა ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებულ მმარ-თველობის კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის სრულ-ფასოვან რეალიზაციას და მართლმსაჯულების ეფექტიან გან-ხორციელებას. იმ პირობებში, როცა ადმინისტრაციულ ორგა-ნოს საერთოდ არ მოუხდენია ფაქტობრივი გარემოებების დად-გენა – შეფასება, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში რიგ შემთხვევებში შეუძლებელი ხდება მათი გამოკვლევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამი-სად სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქ-მებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტი-ლების მიღების პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც შპს „...“ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ადმინისტრაციული საპროცესო კო-დექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, ბათილად უნდა იქნეს ცნო-ბილი სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და ად-მინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს გამოიკვლიოს საქ-მისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიღლოს ამ გარემოებათა საკითხის ხელახალი გან-ხილვისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ სსსკ-ის 53-ე მუხ-ლის თანახმად, სიიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უნდა დაეკისროს სამართალწარმოებისას სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 ლარის გადახდა შპს „...“ სასარგებლოდ, ხოლო სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწი-ფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 32.4; სამოქალა-ქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 390-ე 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 ივლისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი:
 - ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს 2011 წლის 11 მაისის ადმინისტრაციული სახდელის დადგების შესახებ №401432 დადგენილება;
 - ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ქვემო ქართლის სააგენტოს 2011 წლის 4 აპრილის №040935 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი;
- დაევალოს მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს საქმის გარემოებათა ხელახალი გამოკვლევის საფუძველზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კანონით დადგენილ ვადაში;
5. სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს დაეკისროს შპს „...“ მიერ სამართალწარმოებაზე განცეული შპს „...“ სასარგებლოდ ხარჯების სახით გადახდილი $(100+150+300)$ 550 ლარის გადახდა;
6. სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დაჯარიმება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის
აღგილის მიზრვების გამო**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელი**

№ბს-544-535(ქ-12)

2 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღნიშვნილობითი ნაწილი:

მოსარჩევები: გ. ბ-ი

მოპასუხევები: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციეს დეპარტამენტი; საქართველოს შინაგან
საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციეს დეპარტამენტის
თბილისის და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთა-
ვარი სამმართველო;

სარჩევის სახე: – საქართველოს ადმინისტრაციული საპ-
როცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაცი-
ულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა;

სარჩევის საგანი:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრუ-
ლო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთია-
ნეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 11 აგვისტოს №ბდ
967448 საჯარიმო ქვითრის ბათილად ცნობა;

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრუ-
ლო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთია-
ნეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 9 სექტემბრის №20/
26-7-8-1109 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრუ-
ლო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთია-
ნეთის მთავარი სამმართველოსათვის გ. ბ-ის სასარგებლოდ ზი-
ანის სახით – 302 ლარის ანაზღაურების დაკისრება;

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრუ-
ლო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მაცხეთა-მთია-

ნეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 2 ნოემბრის №ბდ967448 დადგენილების, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აკრძალვის თაობაზე, ბათილად ცნობა.

5. მოპასუხისათვის – სახელმწიფო ბაჟისა და საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი 690 ლარისა და 16 დღის განაცდურის ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 11 იანვრის განჩინებით ადმინისტრაციული საქმეები გ. ბ-ის სარჩელებისა გამო №3/6991-11 და №3/8931-11 გაერთიანდა ერთ წარმოებად და მიენიჭათ ნომერი №3/6991-11

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 11 აგვისტოს საკუთარი სატვირთო „მაზის“ მარკის ავტომანქანით მოძრაობდა ქ. თბილისში დილომი-9 და დილომი-10 მონაკვეთზე, სადაც მან მოძრაობისას დააზიანა გაზსადენი მილი. უბედური შემთხვევის თავიდან აცილების გამო განარიდა ავტოსატრანსპორტო სამუალება შემთხვევის ადგილიდან, რის გამოც შემთხვევის ადგილზე გამოძახებულმა საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორმა შეადგინა საჯარიმო ქვითარი №ბდ967448 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის და დააჯარიმა – 300 ლარით, ხოლო მანქანა გადაიყვანეს შპს „...“ სპეციალურ დაცულ ავტოსადგომზე.

მოსარჩელის მითითებით, მისი მართვის ქვეშ მყოფი სატრანსპორტო საშუალება შეესაბამება კანონით დაშვებულ ნორმებს და არის 4 მეტრის სიმაღლის.

დილომი-10-ის მონაკვეთზე შპს „...“ გაზსადენი მილის სიმაღლე სავალი ზედაპირიდან შეადგენს 3მ და 92 სმ-ს, რაც არ შეესაბამება „გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანების მოთხოვნებს, რის გამოც საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა გ. ბ-ს უკანონოდ ჩამოართვა ავტომანქანა და დააჯარიმა 300 ლარით.

2011 წლის 19 აგვისტოს გ. ბ-ის წარმომადგენელმა უ. მ-ემ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარ სამმართველოში გაასაჩივრა ადმინისტრაციული სამართლდარღვევის ოქმი დაჯარიმების თაობაზე. ქ. თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციეს მთავარი სამმართველოს 2011 წლის 9 სექტემბრის №20/26-7-8-1109 გადაწყვე-

ტილებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2011 წლის 2 ნოემბრის ქ. თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციეს მთავარი სამმართველოს №ბდ96448 დადგენილებით გ. ბ-ს აეკრძალა მართვის უფლება 24 თვის ვა-დით, იმ მოტივით, რომ მან დაარღვია საქართველოს ადმინის-ტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290.1 მუხლით გათვალისწინებული საურავისა და საჯარიმო თანხის გადახდის ვადა. აღნიშნული გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, რომლის 2011 წლის 21 ნოემბრის №20/7-1451 გადაწყვეტილებით საჩი-ვარი არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული გადაწყვეტი-ლება უკანონოა, ვინაიდან საჯარიმო თანხის გადახდის ვადა არ დაურღვევია, მას 2011 წლის 9 სექტემბრის ქ. თბილისის და მცხე-თა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს №20/26-7-8-1109 გადაწყვეტილებით დაკისრებული ჯარიმის გადახდა შეეძლო 2011 წლის 4 ნოემბრამდე. თბილისის საქალა-ქო სასამართლოს 2011 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით გ. ბ-ის შუამდგომლობა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამარ-თლებრივი აქტების ქ. თბილისის და მცხეთა-მთიანეთის მთავა-რი სამმართველოს 2011 წლის 9 სექტემბრის №20/26-7-8-1109 გადაწყვეტილების აღსრულებისა და №ბდ967448 საჯარიმო ქვითრით 300 ლარის გადახდის აღსრულების შეჩერების შესა-ხებ არ დაკმაყოფილდა, აღნიშნული განჩინება ჩაბარდა 2011 წლის 24 ოქტომბერს, რომელშიც მითითებული იყო, რომ მას განჩინების გასაჩივრება კერძო საჩივრით შეეძლო 12 დღის ვა-დაში, ანუ 2011 წლის 4 ნოემბრამდე, მან არ გამოიყენა გასაჩივ-რების უფლება და 2011 წლის 31 ოქტომბერს, 2011 წლის 4 ნო-ემბრამდე, ვადაზე ადრე გადაიხადა დაკისრებული ჯარიმა – 300 ლარი.

სამართლებრივი: მოსარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა საქართველოს ეკონომი-კური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/ 525 ბრძანების მე-6 მუხლის მე-13 პუნქტი, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი, 24-ე მუხლის 14-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, ადმინის-ტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის პირ-ველი პუნქტი, მე-18 მუხლი, ადმინისტრაციული საპროცესო კო-დექსის 22-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები; ზოგადი ად-მინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი, სამოქალაქო კოდექ-სის 120-ე მუხლი, ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლის მე-2 და მე-8 პუნქტები, 252-ე მუხლის

პირველი პუნქტი, 275-ე მუხლი.

მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციეს დეპარტამენტის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხემ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა წერილობითი შესაგებლით სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძვლით: მას შემდეგ რაც გ. ბ-მა დააზიანა შპს „...“ გაზგამტარი მილი, შემთხვევის ადგილიდან ისე გადაიყვანა სატრანსპორტო საშუალება, რომ არ დააფიქსირა სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობა. შესაბამისად დაჯარიმდა აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123-ე მუხლის პირველი ნაწილით (საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება), აღნიშნული საჯარიმო ქვითარი მოსარჩელემ გაასაჩივრა 2011 წლის 19 აგვისტოს და მოითხოვა მისი გაუქმება. აღმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 275-ე მუხლის შესაბამისად, საჯარიმო ქვითრის აღსრულება შეჩერდა საჩივრის განხილვამდე ქ. თბილისის და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 9 სექტემბრის №20/26-7-8-1109 გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და მოსარჩელე ვალდებული იყო გადახსადა ჯარიმა.

2011 წლის 17 ოქტომბრის შუამდგომლობა აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, აღნიშნული განჩინება მოსარჩელეს ჩაბარდა 2011 წლის 24 ოქტომბერს, განჩინებით მოსარჩელეს ექლეოდა უფლება მისი გადაცემიდან 12 დღის ვადაში გაესაჩივრებინა იგი კერძო საჩივრით, რაც არ ითვალისწინებდა იმას, რომ მას შეეძლო, დადგენილი ვადის დაურღვევლად, 4 ნოემბრამდე გადახსადა ჯარიმა.

მოპასუხის განმარტებით, ვინაიდან მოსარჩელემ ჯარიმა არ გადაიხსადა კანონით დადგენილ დროში, გ. ბ-ს კანონმდებლობის შესაბამისად დაეკისრა საურავი და აეკრძალა მართვის უფლება.

სამართლებრივი: მოპასუხე მიუთითებს საქართველოს ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსის მე-60¹, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123-ე და 275-ე მუხლებზე, საქართველოს კანონზე „საგზაო მოძრაობის წესების უსაფრთხოების შესახებ“ მე-20 და 29-ე მუხლებზე და მიიჩნევს, რომ, როგორც 2011 წლის 11 აგვისტოს №967448 საჯარიმო ქვითარი, ასევე 2011 წლის 9 სექტემბრის №20/26-7-8-1109 გადაწყვეტილება, რომელთა ბათილობასაც ითხოვს მოსარჩელე, შესაბამება კანონმდებლობას და არ არსებობს მათი

ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები.

საქმის გარემობები:

2011 წლის 11 აგვისტოს გ. პ-ი საკუთარი ავტომანქანით (სახელმწიფო ნომრით ..., მისაბმელი სახელმწიფო ნომრით ...) მოძრაობდა ქ. თბილისში, დიღომი-9 და 10-ის ხელმარცხნივ მშენებარე ბიზნეს ცენტრ ობიექტისაკენ. აღმაშენებლის ხევნიდან გადაუხვია რა ხელმარჯვნივ, დიღომი 9-ის დამრეც მონაკვეთზე, ჩვეულებრივად გაიარა გაზის მილსადენის ქვეშ, საიდანაც ხელმარცხნივ 70-80 მეტრის მოშორებით გავიდა დიღომი 10-ის მონაკვეთზე, სადაც ავტომანქანის მისაბმელზე განთავსებული კონტეინერის ზედაპირით დააზიანა გაზგამტარი მილი. მილის დაზიანების შემდეგ, იმის გამო, რომ მანქანას არ ჰქონდა ნაპერნკალსაქრობი მოწყობილობა ავტომანქანა 70-80 მეტრში განარიდა გაზამოფრქვევის ადგილს და თვითონ დაბრუნდა შემთხვევის ადგილას, სადაც უკვე იმყოფებოდნენ იქვე მდებარე შენობის დაცვის სამსახურის თანამშრომლები, რომლებსაც მომხდარზე ინფორმაცია უკვე გადაცემული ჰქონდათ გაზმომსახურების სამსახურისათვის, ხოლო თავად გამოიძახა საპატრულო პოლიცია.

მოსარჩელის განმარტებით, ადგილზე გამოცხადებულმა პოლიციის თანამშრომელმა აზომა მხოლოდ მილსადენის გვერდულის პერპენდიკულარული სიმაღლე და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლის შესაბამისად, (საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონანილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვების გამო) დააჯარიმა – 300 ლარით, ასევე ჩამოართვა სატრანსპორტო საშუალება და გადაიყვანა შემთხვევის ადგილიდან შპს „...“ სპეციალურ დაცულ ავტოსადგომზე, სადაც იმყოფებოდა 2011 წლის 27 აგვისტომდე.

თავის მხრივ, შპს „...“ შემთხვევიდან მეექვსე დღეს – 2011 წლის 16 აგვისტოს წარუდგინა 1787,26 ლარის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, თუმცა 2011 წლის 2 სექტემბერს აღნიშნული მოთხოვნა სიტყვიერად მოხსნა.

მოსარჩელის განმარტებით, შემოწმებით დადგინდა, რომ მისი ავტომანქანის სიმაღლე კონტეინერის ჩათვლით არ აღემატებოდა 4 მეტრს, ხოლო შპს „...“ გაზსადენის მილი განთავსებულია 3 მეტრზე და 92 სმ-ზე, რაც არ შეესაბამება საქართველოს „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №31-1/525 ბრძანებით დადგენილ მიწისზედა გაზსადენის მაღალ საყრდენზე გაყვანის მინიმალურ 5-მეტრიან სიმაღლეს, აღნიშნულის გამო მოსარჩელემ ადმინისტრა-

ციული საჩივრით მიმართა საქართველოს შს სამინისტროს საპატიო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამის სამმართველოს საჯარიმო ქვითრის გაუქმების თაობაზე, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 9 სექტემბრის №20/26-7-8-1109 გადაწყვეტილებით არ დაკამაყოფილდა.

ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, მას 2011 წლის 11 აგვისტოს №ბდ967446 ქვითრით დაკისრებული ჯარიმის გადახდა შეძლო 2011 წლის 4 ნოემბრამდე. მას აღნიშნული საჯარიმო ქვითარი გაასაჩივრა 2011 წლის 19 აგვისტოს, 2011 წლის 9 სექტემბრის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარმა სამმართველომ საჩივარი არ დააკმაყოფილა და გასაჩივრების უფლება განუსაზღვრა 1 თვის ვადით. მოსარჩელემ 2011 წლის 6 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა და მოითხოვა, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა დამცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 9 სექტემბრის №20/26-7-8-1109 გადაწყვეტილების ადმინისტრაციული სახდელის სახით – 300 ლარის დაკისრების თაობაზე ბათილად ცნობა, ასევე მისი გადახდის ვალდებულების საქმის განხილვის ვადით შეჩერება. საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით უარი ეთქვა ადმინისტრაციულ-სამმართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერებაზე, აღნიშნული განჩინება ჩაბარდა 2011 წლის 24 ოქტომბერს, სადაც მითითებული იყო, რომ 12 დღის ვადაში ანუ 2011 წლის 4 ნოემბრამდე შეძლო მისი გასაჩივრება კერძო საჩივრით. მოსარჩელის განმარტებით, თუ იგი გასაჩივრების უფლებას არ გამოიყენებდა, უნდა გადაეხადა ჯარიმა. მან 2011 წლის 31 ოქტომბერს, ანუ დადგენილ ვადაზე 4 დღით ადრე გადაიხადა ჯარიმა – 300 ლარი, მიუხედავად აღნიშნულისა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 2 ნოემბრის №ბდ967448 დადგენილებით ჯარიმის გადაუხდელობის გამო 24 თვით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

რაიონული/საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/ სარეზოლუციო:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით გ. ბ-

ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

2011 წლის 11 აგვისტოს გ. ბ-ი, მართავდა რა კუთვნილ „მაზის“ მარკის სატვირთო ავტომანქანას (სახელმწიფო ნომრით ..., მოსაბმელი სახელმწიფო ნომრით ...), ქ. თბილისში, დიღომი-10-ის საავტომობილო გზაზე, ავტომანქანის მისაბმელზე განთავსებული კონტეინერის ზედაპირით მოედო სიმაღლეზე გამავალ გაზგამტარ მილს, რის შედეგადაც მილი გატყდა. შეჯახების შემდეგ, ვინაიდან გატეხილი მილიდან გამოდიოდა გაზი, აფეთქების თავიდან ასაცილებლად მძლოლმა ავტომანქანა გადაიყვანა შემთხვევის ადგილიდან მოშორებით ისე, რომ არ მოუნიშნავს ავტომანქანის მდებარეობა შეჯახებისშემდეგ.

მოსარჩელის გამოძახების შედეგად საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. წპატრულ-ინსპექტორმა გ. თ-მა გ. ბ-ის მიმართ შეადგინა საჯარიმი ქვითარი №ბდ96448, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტზე და დააჯარიმა მოსარჩელე 300 ლარით.

ამავდროულად, ავტომანქანა გადაყვანილ იქნა შპს „...“ სპეციალურ დაცულ ავტოსადგომზე, სადაც იმყოფებოდა 2011 წლის 27 აგვისტომდე; ავტოსადგომიდან გამოყვანისას გ. ბ-მა გადაიხადა საფასური 302 ლარის ოდენობით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 9 სექტემბრის №20/26-7-8-1109 გადაწყვეტილებით გ. ბ-ის საჩივარი №ბდ96448 საჯარიმო ქვითრის ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელემ დაკისრებული ჭარიმა გადაიხადა 2011 წლის 31 ოქტომბერს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 2 ნოემბრის №ბდ96448 დადგენილებით გ. ბ-ს აეკრძალა მართვის უფლება 24 თვის ვადით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 21 ნოემბრის №20/7-1451 გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

2011 წლის 11 აგვისტოს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შემდეგ გ. ბ-მა მისი მართვის ქვეშ მყოფი სატვირთო ავტომანქანა გადაიყვანა შემთხვევის ადგილიდან და მიაფარა თვალ-

თახედვის არეს. საპატრულო პოლიციის ეკიპაჟს, ადგილზე გამოცხადებისას აკტომანქანა შემთხვევის ადგილის სიახლოეს არ შეუნიშნავს.

მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება:

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოძრაობის წესების დარღვევის არარსებობისა და აგრეთვე – სატვირთო აკტომანქანის თვალთახედვის არეში დატოვების თაობაზე მოსარჩელის ახსნა-განმარტება და განმარტა, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს მიზანმიმართული ყურადღება ახასიათებს, რაც პროფესიული საქმიანობის შინაარსით, საკუთარი საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი ვალის გაცნობიერებით არის განპირობებული. თვითმმთვლველ მოწმეთა თვალსაზრისით ამ ჯგუფის მიერ სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღება უკავშირდება მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას, თავიანთ პროფესიულ მოვალეობას ისინი ასრულებენ გარკვეულ გარემოებებზე, მოქმედებებზე, ობიექტებზე, ადამიანებზე გაცნობიერებულად მიზანმიმართული ყურადღების მეშვეობით. ასეთი თვითმმთვლველი აღქმის მაღალი ხარისხი, ჩვენების სისრულე, უკავშირდება იმას, რომ მუშაკმა წინასწარ, თუნდაც ზოგადად იცის აღსაქმელი სიტუაციის, მოვლენის არსი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, იმ პირის ახსნა-განმარტება, რომლის მიმართაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შესაძლოა ნაკარნახევი იყოს დარღვევის დაფარვის, მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის აცილების ან სხვა ქვენაგრძნობით, ამიტომ ასეთი პირის ჩვენება ყოველთვის უნდა შეჯერდეს საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებებთან.

სამართლებრივი შეფასება / კვალიფიკაცია/:

„საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტისა „დ“ ქვეპუნქტის თანახმად საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე მძღოლი ვალდებულია სავალი ნაწილის გათავისუფლების, დაშავებულის საკუთარი სატრანსპორტო საშუალებით სამკურნალო დაწესებულებაში მიყვანის აუცილებლობის შემთხვევაში, მოწმეთა თანდასწრებით, წინასწარ დააფიქსიროს სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობა, შემთხვევასთან დაკავშირებული ნაკვალევი და საგნები, მიიღოს ყველა საჭირო ზომა მათი შენარჩუნებისა და შემთხვევის ადგილის შემოსაზღვრისათვის. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ვალდებულება მოსარჩელეს არ შეუსრულებია, ისე გადაიყვანა მისი მართვის ქვეშ

მყოფი სატრანსპორტო საშუალება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის თვალთახედვის არედან.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება – გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით ან სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის ვადით. ზემოთ მითითებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ქმნის ამ სამართალდარღვევის შემადგენლობას, შესაბამისად – გასაჩივრებული საჯარიმო ქვითრით ზუსტად, კანონის საფუძველზე დაფიქსირდა ჩადენილი სამართალდარღვევა და სამმართველოც იხილავდა რა საჩივარს კანონიერ საჯარიმო ქვითართან დაკავშირებით, მოკლებული იყო შესაძლებლობას – გამოეცა 2011 წლის 9 სექტემბრის №20/26-7-8-1109 გადაწყვეტილებისაგან განსხვავებული შინაარსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123-ე მუხლის შენიშვნის პირველი პუნქტის თანახმად ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პირს დაერიცხება საურავი 500 ლარის ოდენობით, ხოლო 290-ე მუხლის 11-ლი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას ჯარიმა შეიცვლება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით 2 წლით; 290-ე მუხლის 11-ლი ნაწილის თანახმად ამ კოდექსის 123-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისას დამრღვევს უფლება აქვს დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლიდან ოცდაათ დღეში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობისას დამრღვევს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული ვადით ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალების (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის) მართვის უფლება. 290-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი დამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს ადგილზე დაჯარიმების შემთხვევაში – საჯარიმო ქვითრის მისთვის ჩაბარებიდან ოცდაათ დღეში. სასამართლოს განმარტებით, ზემოაღნიშნული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სამართალდამრღვევმა 123-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა საურავთან ერთად უნდა გადაიხადოს საჯარიმო ქვითრის შედგენიდან 60 დღის ვადაში. კონკრეტულ შემთხვევაში კი დადგენილია, რომ

გ. ბ-ს აღნიშნულ ვადაში ჯარიმა და საურავი არ გადაუხდია.

რაც შეეხება მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურებას, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან, სასამართლოს მიერ კანონიერადაა მიჩნეული გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მოსარჩელის მიმართ მართლსაწინააღმდეგო და პრალეული ქმედებების განხორციელების ფაქტი არ დგინდება, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში უსაფუძვლოა.

აპელანტი: გ. ბ-ი

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციეს დეპარტამენტი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციეს დეპარტამენტის ქ. თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამართველო

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტ გ. ბ-ის წარმომადგენლის განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 11 აგვისტოს №ბდ 967448 საჯარომ ქვითარში დაჯარიმების საფუძვლად მითითებული მიზეზი და სამართლებრივ საფუძვლად მითითებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლი ურთიერთნინააღმდეგობაშია, კერძოდ, აპელანტის განმარტებით, ოქმში მითითებულია, რომ თითქოს მან ვერ უზრუნველყო საგაბარიტო სიმაღლის უსაფრთხოება და ამიტომ შეეჯახა ჰაერში გამავალ მიღს. უდავოა, რომ მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის სიმაღლე ზუსტად თავსდება კანონით დადგენილ ჰარამეტრებში და იგი არ აღემატება 4 მ-ს, ხოლო ჰაერში გამავალი მიღი, რომლის სიმაღლე უნდა ყოფილიყო არანაკლებ 5 მეტრისა, ნორმიდან დაშვებულია 108 სმ-ით. აპელანტის განმარტებით, აღნიშნული მიღი ქუჩის გადაკვეთაზე ჰაერში საერთოდ არ უნდა გატარებულიყო და პროექტის შესაბამისად უნდა გადიოდეს მიწის ქვეშ გრუნტში 0.9 მ სიღრმეზე. აქედან გამომდინარე, აპელანტის განმარტებით, საპატრულო პოლიციის არგუმენტები უსაფუძვლოა, ამასთან, დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ გაზსადენის მიღის დაზიანების შედეგად აფეთქების

თავიდან აცილების მიზნით, მან სატრანსპორტო საშუალება შემთხვევის ადგილიდან გაიყვანა, აღნიშნულის აუცილებლობაზე მიუთითა თავად პატრულ ინსპექტორმა საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის სასამართლოს სხდომაზეც.

დავას არ იწვევს ის გარემოებაც, რომ მანქანის გადაყვანის შემდეგ თვითონ დაბრუნდა შემთხვევის ადგილსა და გამოიძახა საპატრულო პოლიცია, რომელსაც სადაცოდ არ გაუხდია მილითან ავტოკონტეინერის შეხების ადგილის პოზიცია. აპელანტის თვის გაუგებარია, თუ რატომ გახდა მისი ბრალეულობის გარემოებად შემთხვევის ადგილის მოუნიშვნელობა იმ დროს, როდესაც ეს ადგილი ანუ შეხების კონტაქტურობა დაფიქსირდა 392 სმ სიმაღლეზე.

აპელანტის შეფასებით, არასწორია საქალაქო სასამართლოს შეფასება, რომ მან დაკისრებული ჯარიმა გადაიხადა ვადის დარღვევით, ვინაიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით მისი შუამდგომლობა ინდივიდუალურ-აღმინისტრაციული სამართლებრივი აქტების ქ. თბილისის და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 9 სექტემბრის №20/26-7-8-1109 გადაწყვეტილების აღსრულებისა და №ბდ 967448 საჯარიმო ქვითრით 300 ლარის გადახდის აღსრულების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა, აღნიშნული განჩინება ჩაბარდა 2011 წლის 24 ოქტომბერს, რომელშიც მითითებული იყო, რომ მას განჩინების გასაჩივრება კერძო საჩივრით შეეძლო 12 დღის ვადაში, ანუ 2011 წლის 4 ნოემბრამდე, მან არ გამოიყენა გასაჩივრების უფლება და 2011 წლის 31 ოქტომბერს, 2011 წლის 4 ნოემბრამდე, ვადაზე ადრე გადაიხადა დაკისრებული ჯარიმა – 300 ლარი.

სამართლებრივი: აპელანტის განმარტებით, საქალაქო სასამართლომ არ გაამახვილა ყურადღება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევთა კოდექსის 270-ე და 275-ე მუხლებზე, რასაც შედეგად მოჰყვა გ. ბ-ისათვის მართვის უფლების აკრძალვა და დამატებით 550 ლარის საურავის დაკისრება.

მონინააღმდეგე მხარემ – შეს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა სააპელაციო შესაგებლით სააპელაციო საჩივარი არ ცნო და მიუთითა, რომ სადაცო ოქმი №ბდ967448 შედეგინილია კანონმდებლობის სრული დაცვით და არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2012 წლის 10 მაისის განჩინებით გ. ბ-ის საა-ბელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბი-ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-ლეგიის 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არ გაზიარების თაობაზე სააპე-ლაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელაციის მოტი-ვები, პალატამ მიიჩნია, რომ მასში მითითებული გარემოებები არ ქმნიან საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათ-ვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებას.

გასაჩივრებული განჩინების დასკვნების გაზიარების თა-ობაზე სასამართლოს მსჯელობა:

დადგენილი გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააპე-ლაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლებრივ დასკვნებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესა-ხებ და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ უსაფუძვლოა და შესაბამისად, არ არსებობს მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებ-რივი საფუძვლები. მოსარჩელის მიერ ვერც სააპელაციო სასა-მართლოს სხდომაზე იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულე-ბა, იმ გარემოებების დასადგენად, რომ სადაც ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულ იქნა კანონის მოთ-ხოვნათა ისეთი დარღვევით, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60^ტ მუხლის შესაბამისად, შეიძლებოდა გამხდა-რიყო მათი ბათილად ცნობის საფუძველი.

კასატორი: გ. ბ-ი

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს შინაგან საქმეთა სა-მინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; საქართვე-ლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დე-პარტამენტის ქ. თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამ-მართველო

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 10 მაისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივები:

პროცესუალური: კასატორის მითითებით გადაწყვეტილე-ბა იურიდიულად არ არის საქმარისად დასაბუთებული. გადაწ-

ყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სა-
მართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

მატერიალური: კასატორის მიმართ გამოიყენეს საქართვე-
ლოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123-
ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლითაც დადგენილია პასუხის-
მგებლობა სატრანსპორტო შემთხვევებში მონაწილე მძღოლის
მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვების გამო, რასაც მისი მხრი-
დან ადგილი არ ჰქონია. კასატორის განმარტებით, სატრანსპორ-
ტო საშუალების სახიფათო ადგილიდან გაყვანა სრულებით არ
ნიშნავს შემთხვევის ადგილის მიტოვებას. სააპელაციო სასა-
მართლომ არასწორად გამოიყენა ადმინისტრაციულ სამართალ-
დარღვევათა კოდექსის 123-ე მუხლი.

კასატორის მოსაზრებით, მას ბრალი დასდეს შემთხვევის
ადგილის არ მონიშვნის გამო, რაც საერთოდ არ არის დაფიქსი-
რებული ოქმში და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ-
დარღვევათა კოდექსის 123-ე მუხლით საერთოდ არ არის დას-
ჯალი, ამასთან, პოლიციის სამართველომ, დეპარტამენტმა და
სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ადმინისტრაციულ-სა-
მართალდარღვევათა კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწი-
ლი და უკანონოდ დაარიცხეს საურავი ჯარიმის გადაუხდელო-
ბის გამო, ამასთანავე აუკრძალეს მართვის უფლება ორი წლის
ვადით.

**საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის და-
საშვებობის პროცესუალური წანამძღვრები:** (საქართველოს
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორის გ. ბ-ის
საკასაციო საჩივრარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციული
საპროცესო კოდექსის 34.3 წანის სამძღვრებით გათვალის-
წინებულ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაო-
ბაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად როგორც აბსოლუტური
კასაცია.

მოწინააღმდეგე მხარემ – შეს საპატრულო პოლიციის დე-
პარტამენტმა და ქ. თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი
სამმართველომ საკასაციო საჩივრარი არ ცნეს და მოითხოვეს კა-
სატორისათვის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის
თქმა.

სამოტივაციო წანილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, სა-
კასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, მხარეთა ახ-
სნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული განჩინების და-

საბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიღა იმ დასკვნამდე, რომ გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 10 მაისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს, კერძოდ:

ბათოლად იქნეს ცნობილი: ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 11 აგვისტოს №ბდ 967448 საჯარიმო ქვითარი, მისი გამოცემის მომენტიდან; ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 9 სექტემბრის №20/26-7-8-1109 გადაწყვეტილება, მისი გამოცემის მომენტიდან; გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 2 ნოემბრის №ბდ 967448 დადგენილება, მისი გამოცემის მომენტიდან; დ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 21 ნოემბრის №20/7-1451 გადაწყვეტილება, მისი გამოცემის მომენტიდან; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოს დაეკისროს გ. ბ-ის სასარგებლოდ ზიანის სახით – 302 ლარის გადახდა; გ. ბ-ს დაუბრუნდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უკანონო ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე დაკისრებული ჯარიმა-საურავის სახით გადახდილი – 550 ლარი; მოპასუხებებს სოლიდარულად დაეკისროთ მოსარჩელის გ. ბ-ის მიერ სამართალნარმოებისას გაღებული სასამართლოს გარეშე ხარჯების – 50+50+50+100+150=400 ლარის (სახელმწიფო ბაჟის სახით) გადახდა მის სასარგებლოდ; მოპასუხებებს სოლიდარულად დაეკისროთ მოსარჩელის გ. ბ-ის მიერ სამართალნარმოებისას გაღებული სასამართლოს გარეშე ხარჯების – 690 ლარის მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო საჩივარის მოტივი – განსახილველ დავაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლით განსაზღვრული სამართალდარღვევის – საგზაო-სატრასპორტო შემთხვევის ადგილის მიტოვების კვალიფიკაციის კანონიერების საკითხი, რამაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით

შექმნა აბსოლუტური კასაციის წანამძღვრები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული, რამაც მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს რამდენად კანონშესაბამისად ხდება საპოლიციო ორგანოების მიერ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამოვლენისას საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა, დადგენა, შემთხვევის სამართალდამრღვევად მიჩნევა და ადეკვატური სამართლებრივი კვალიფიკაციის მიცემა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასებები და სასამართლო დასკვნები სასარგებლო იქნება, როგორც საპოლიციო ორგანოების, მოხელე პოლიციელების მმართველობითი საქმიანობისათვის, ასევე საგზაო-სატრანსპორტო ურთიერთობათა მონაწილეობის, რამდენადაც საპოლიციო სამართალი განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებულ ნაწილს, განსაზღვრავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უზრუნველყოფის ინსტრუმენტებს, პროცედურებსა და წესებს, ადგენს ქმედების ხასიათის მიხედვით დიფერენცირებულ შეფასებას და განსაზღვრავს პასუხისმგებლობის სახეთა სისტემას. ამდენად, აღნიშნული სამართლის ინსტიტუტების სწორი გაგება-გამოყენება უშუალოდ განაპირობებს ადამიანთა ყოფას, საზოგადოებრივი წესრიგის ხარისხსა და კულტურას.

ამავდროულად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების სწორი გამოკვლევა და კვალიფიკაცია უშუალო კავშირშია ადამიანის, როგორც მატერიალური, ასევე პროცედურული უფლებების უზრუნველყოფასთან, მმართველობის კანონიერებისა და კანონიერი ნდობის უფლების პრინციპების განხორციელებასთან.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა სახელმძღვანელო გახდება სახელმწიფოში არსებული ადმინისტრაციული ორგანოებისათვის და მათი პრაქტიკისათვის, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებში შესაბამისი სასამართლო განმარტება ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოებს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის – საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მიტოვება, კვალიფიკაცია მო-

ითხოვს ნორმათშემფარდებელი ადმინისტრაციული ორგანოების, ასევე კონკრეტული მოხელე-პოლიციელების მხრიდან მთელ რიგ პროცედურული მოქმედებების ადეკვატურ შესრულებას, სპეციალური ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევა-დადგენის გზით და კანონშესაბამის კვალიფიკაციას.

საკავალი სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ და-არღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2 და 394 „ე“ მუხლების მოთხოვნები; სასამართლომ დავა გადაწყვიტა ისე, რომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, სადაც ვ სამართალურთიერთობას არასწორად შეუფარდა სამართლის ნორმა, სასამართლო დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეში შეკრებილი მტკიცებულებების ობიექტური ანალიზისა და შეფასებიდან. აგრეთვე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობებში არ არის გაქარნებული აპელაციის მოტივები.

სადაც ვ სამართალურთიერთობა წარმოიშვა საქართველოს ად-მინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში, საპატრულო პოლიციის – ინსპექტორსა და მძღოლს (კასატორ გ. ბ-ს) შორის.

დავის გადაწყვეტილისას სასამართლომ გამოიყენა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის 20.7 მუხლი, თუმცა კანონის მუხლის შინაარსის ციტირება არ ნიშნავს მის მისადაგებას სადაც ვ სამართალურთიერთობისადმი, რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია და დაუსაბუთებია განსახილველი დავის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა-შეფასებისას მითითებული მუხლით გათვალისწინებული რომელი მოთხოვნა უგულებელყო მოსარჩევებმ, სადაც აქტით მოხდენილი კვალიფიკაცია გამომდინარებდა თუ არა ჩადენილი ქმედების ფაქტობრივი გარემოებების ობიექტური გამოკვლევისა და შეფასებიდან.

აგრეთვე, სასამართლომ ისე მიიჩნია კანონიერად გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 11 აგვისტოს №ბდ 967448 საჯარიმო ქვითარი, რომ არ გამოუკვლევია და არ შეუფასებია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1. მუხლის შეფარდების კანონიერება.

სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია აპელაციის მოტივებზე, კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარ-

ლვევად მიჩნეული ქმედება – საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება, იყო თუ არა სახეზე, ასევე, გ. ბ-ის მოქმედებაში იყო თუ არა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები.

სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ მისცა შეფასება თბილისის საქალაქი სასამართლოს განზოგადებულ მსჯელობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის შეფასებისას სამართალდამრღვევისა და პოლიციის მოხელის ჩვენებების სანდობასთან დაკავშირებით შესაბამისად, ბუნდოვანია სააპელაციო სასამართლო ეთანხმება თუ არა მას.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასება-განმარტების საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლის ბოლო წინადადებით გათვალისწინებული ქმედების – საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება, რომელიც განხევუთვნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კატეგორიას და მისი ჩადენა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემომითითებული ნორმის ჩამოყალიბებისას, კანონმდებელმა არ განსაზღვრა თუ რა ფაქტობრივი გარემოებები, ან მათი ერთობლიობა ჩაითვლება ქმედების სამართალდარღვევად კვალიფიკაციისათვის, რაც უდავოდ საკანონმდებლო ხარვეზად უნდა შეფასდეს. ასევე, ამ საკითხს არ ანესრიგებს არც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც შეავსებდა ხარვეზს. ამგვარ ვითარებაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნორმათშემთვარდებელი ადმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკას, თუ როგორ გამოიყენებენ აღნიშნულ ნორმას მმართველობითი ღონისძიებების განხორციელებისას. ასევე, ქვეყანაში საჯარო წესრიგისა და სამართლიანი მმართველობის უზრუნველყოფისათვის უმნიშვნელოვანესია სრულფასოვანი სასამართლო კონტროლის განხორციელება მართლმსაჯულების განმხორციელებელი სასამართლო ორგანოების მხრიდან, რომ დაცულ იქნეს კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი, რათა მიღწულ იქნეს მმართველობითი სამართლის უმთავრესი მიზანი: ადმინისტრაციულმა ორგანოებმა თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას უზრუნველყონ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, კანონის უზენაესობისა და საჯარო ინტერესების დაცვა.

საქმის მასალების მიხედვით, ფაქტობრივი გარემოებებით დადგენილია:

2011 წლის 11 აგვისტოს გ. ბ-ი, კუთვნილი „მაზის“ მარკის

სატვირთო ავტომანქანის (სახელმწიფო ნომრით ..., მოსაბმელი სახელმწიფო ნომრით ...) მართვისას, ქ. თბილისში, დილომი-10-ის საავტომობილო გზაზე, ავტომანქანის მისაბმელზე განთავსებული კონტეინერის ზედაპირით მოედო სიმაღლეზე გამავალ გაზგამტარ მილს, რის შედეგადაც მილი გატყდა. შეჯახების შემდეგ, ვინაიდან გატეხილი მილიდან გამოდიოდა გაზი, აფეთქების თავიდან ასაცილებლად მძლოლმა ავტომანქანა გადაიყვანა შემთხვევის ადგილიდან მოშორებით ისე, რომ არ მოუნიშნავს ავტომანქანის მდებარეობა შეჯახების შემდეგ.

მოსარჩელის გამოძახების საფუძველზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. ჭპატრულ-ინსპექტორმა გ. თ-მა გ. ბ-ის მიმართ შეადგინა საჯარიმო ქვითარი №ბდ 96448, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტზე და დაჯარიმა მოსარჩელე 300 ლარით.

ამავდროულად, ავტომანქანა გადაიყვანილ იქნა შპს „...“ სპეციალურ დაცულ ავტოსადგომზე, სადაც იმყოფებოდა 2011 წლის 27 აგვისტომდე; ავტოსადგომიდან გამოყვანისას გ. ბ-მა გადაიხადა საფასური 302 ლარის ოდენობით.

მოსარჩელემ დაკისრებული ჯარიმა გადაიხადა 2011 წლის 31 ოქტომბერს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 2 ნოემბრის №ბდ 96448 დადგენილებით გ. ბ-ს აეკრძალა მართვის უფლება 24 თვის ვადით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290.1 მუხლით გათვალისწინებული საურავისა და საჯარიმო თანხის გადახდის ვადის დარღვევის მოტივით.

აღნიშნულზე გ. ბ-მა ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, რომლის 2011 წლის 21 ნოემბრის №20/7-1451 გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაქმაყოფილდა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. ბ-ის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის სიმაღლე ზუსტად თავსდება კანონით დადგენილ პარამეტრებში და იგი არ აღემატება 4 მ-ს, ხოლო ჰაერში გამავალი მილი, რომლის სიმაღლე უნდა ყოფილიყო არანაკლებ 5 მეტრისა, ნორმიდან დაშვებულია 108 სმ-ით.

მოსარჩელემ სადაც გახადა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, მიიჩნია, რომ ოქმში აღნერილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, საჯარიმო ქვითარში დაჯარი-

მების საფუძვლად მითითებული მიზეზი და სამართლებრივ საფუძვლად მითითებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლი ურთიერთწინააღმდეგობაშია. ოქმში მითითებულია, რომ თითქოს მან ვერ უზრუნველყო საგაბარიტო სიმაღლის უსაფრთხოება და ამიტომ შეეჯახა პარტი გამავალ მიღს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებას არ განეკუთვნება.

საკასაციო სასამართლო წინამდებარე საქმის განხილვისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-626-596(კ-07) ზ. ნ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – თბილისის საპატრულო პოლიციეს მიმართ, ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა გამოვლენისა და ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების კანონიერებასთან მიმართებით, კერძოდ:

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევები საქართველოში მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება განესაზღვროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩამდენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი თავისი იურიდიული ბუნებით რეპრესიული ტიპის საკანონმდებლო აქტია, აღნიშნულისაგან პრინციპულად განსხვავებული, ანუ ადმინისტრაციასთან მიმართებაში მოქალაქეთა უფლებებზე დაფუძნებულ კანონმდებლობას წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომლის მიზანია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს განსაზღვრულ ფორმალურ წესს ადმინისტრაციული ორგანოსათვის, რომელიც დაცული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თაობაზე ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების გამოცემისას მათი სამართლებრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზ-

ლვრული პროცედურა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე გამოცემულ კანონქვემდებარე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საქართველოს შე მინისტრის 2005 წლის 4 აგვისტოს №792 ბრძანებით დამტკიცებულ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარიმო ქვითონისა და სატრანსპორტო საშუალების მისთვის დროებითი ნებართვის ფორმირების დამტკიცების, მათ შევსებასა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განმხილველ ორგანოში წარდგენის წესის შესახებ“ მე-3 მუხლი განსაზღვრავს საჯარიმო ქვითონის შევსების შესაძლებლობას და წესს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ იმ შემთხვევებში, როცა კოდექსის შესაბამისი მუხლით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ითვალისწინებს ჯარიმას, სამართალდარღვევა არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას, ხოლო სამისოდ უფლებამოსილი პირი ადგილზე განიხილავს სამართალდარღვევათა საქმეს და დამრღვევს ადგილზე შეუფარდებს სახდელს, მიუხედავად იმისა, დამრღვევი ეთანხმება თუ არა მის მიმართ გამოყენებულ პასუხისმგებლობის ზომას. ამავე ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია სამართალდამრღვევის უფლება, სურვილის შემთხვევაში საჯარიმო ქვითონის I ნაწილს დაურთოს ახსნა-განმარტება და შენიშვნები, სადაც კეთდება სათანადო ჩანაწერი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოკვლენა და მის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სპეციფიკურ მმართველობის საქმიანობას წარმოადგენს. სამართალდარღვევის გამოკვლენა იურიდიული ფაქტის დადგენა-დაფიქსირებას ნიშანავს, რაც შესაბამის იურიდიულ შედეგს იწვევს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება არსებითად გაანსხვავდება სხვა მმართველობით სფეროებში მიღებული გადაწყვეტილებისაგან, უპირველესად, მისი მომზადების და გამოცემის პროცედურის თვალსაზრისით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის მიხედვით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა პასუხობდეს ამავე კოდექსით განსაზღვრულ ადმინისტრაციული წარმოებისათვის (შესაბამისი სახით) დადგენილ წესს. კოდექსით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული წარმოების პროცედურა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი შეიცავს ადმინისტრაციული წარმოების განსაკუთრებულ სახეს ადმინის-

ტრაციული სანქციების დადებასთან დაკავშირებით. ამდენად, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კანონმდებელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსებში ადმინისტრაციული წარმოების განსხვავებულ სახეს, განსხვავებულ პროცედურას ამკვიდრებს, მმართველობითი ფუნქციის სპეციფიკიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დოქტრინის მიხედვით ყოველი პროცესუალური კანონმდებლობა აირეკლავს და ითვალისწინებს შესაბამისი დარგის მატერიალური კანონმდებლობის ინსტიტუტებს, პრინციპებს, მიზანს. ადმინისტრაციულ მართლმსაჯულების მეშვეობით პირი ახდენს თავის სუბიექტური უფლების სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობის რეალიზაციას, ხოლო სასამართლო ამონტებს ადმინისტრაციის მოქმედების კანონიერებას.

ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს".

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 11 აგვისტოს №ბდ 967448 საჯარიმო ქვითარი, როგორც კანონსანინააღმდეგო, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.1. მუხლის შესაბამისად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, შემდეგ გარემოებათა გამო: 1. სადავო აქტში აღნერილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, ოქმში მითითებული, რომ „გ. ბ-მა ვერ უზრუნველყო საგაბარიტო სიმაღლის უსაფრთხოება და შეეჯახა ჰაერში გამავალ მილს“, არ ჰპოვებს დადასტურებას საქმის მასალებით, პირიქით, დადგენილია, რომ გ. ბ-ის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის სიმაღლე ზუსტად თავსდება კანონით დადგენილ პარამეტრებში და იგი არ აღმატება 4 მ-ს, ხოლო ჰაერში გამავალი გაზის მილი, რომლის სიმაღლე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანების მიხედ-

ვით უნდა ყოფილიყო არანაკლებ 5 მეტრისა, ნორმიდან დაშვებულია 108 სმ-ით. ამდენად, აქტში დაფიქსირებული ფაქტობრივი გარემოება არ ემყარება შემთხვევის ადგილზე საქმის გარემოებების ყოველმხრივ და ობიექტურ გამოკვლევას, დადგენასა და შეფასებას, შესაბამისად, ნორმათ შეფარდების ფუნქცია განხორციელებულია სრულიად კანონსაწინააღმდეგოდ, ვინაიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებასთან მას საერთო არა აქვს.

2. აქტში აღნერილი მეორე ფაქტობრივი გარემოება – „მძღოლს ავტომანქანა შეჯახების ადგილის თვალთახედვიდან ჰყავდა გაყვანილი“ /ციტირებულია/, რაც შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციულ სამარ-თალდარღვევათა კოდექსის 123.1. მუხლის შეფარდების საფუძვლად, ექვემდებარება სამართლებრივ შეფასებას, თუ რამდენად კანონიერად დაკვალიფირდა კონკრეტული ქმედება ადმინისტრაციულ სამართლდარღვევად.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10-ე მუხლის, რომელშიც დეფინირებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება, განმარტავს: ქმედება, რომლითაც გამოხატულია პოზიტიური თუ ნეგატიური ფორმით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) კვალიფიცირდება, თუ სახეზეა შემდეგი ერთობლიობა: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამავე კოდექსით განსაზღვრულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები:

1. ადმინისტრაციული ქმედუნარიანობა /მუხლი 13. /;
2. აუცილებელი მოგერიება /მუხლი 18. /;
3. უკიდურესი აუცილებლობა /მუხლი 19. /;
4. შეურაცხადობა /მუხლი 20. /.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 234¹ მუხლით განისაზღვრა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე განხილვის წესი, კერძოდ: „ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმის განხილვა შესაძლებელია სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე, რაც გულისხმობს საქმის ყოველმხრივ,

სრულ და ობიექტურ გამორკვევას, მის გადაწყვეტას საქართველოს კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, ადგილზე ადმინისტრაციული სახდელის დადებას და საჯარიმ ქვითრის ჩაბარებას დამრღვევისათვის“.

ადმინისტრაციული სახდელის შემფარდებელი ადმინისტრაციული ორგანობის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის გამოვლენისას საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა, დადგენა, შემთხვევის მონაწილის სამართალდამრღვევად მიჩნევა, ადეკვატური სამართლებრივი კვალიფიკაციის მოხდენა და სამართალდამრღვევისთვის სანქციის შეფარდება აუცილებლად მოიცავს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების, ისევე, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან დამამდიმებელ გარემოებათა გამოკვლევა-დადგენასა და შეფასებას. სწორედ, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობის პირობებში შეიძლება პირს შეფარდოს ადმინისტრაციული სახდელი, რომლის დადების ზოგადი წესების თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით /მუხლი 33. 1/.

ხოლო, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით სახდელის დადებისას შეფასების საგანს წარმოადგენს – ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი პრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამდიმებელი გარემოებანი.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის დადება უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპის – კანონიერების პრინციპის ზედმინევნით დაცვის საფუძველზე.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განხორციელოს რაიმე მოქმედება.

აღნიშნული პრინციპი პირდაპირ გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას – სამართლებრივი ნორმის სიცხადის და სამართლებრივი შედეგების განვითარებადობის უზრუნველყოფის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, სადაც აქტში გამოყენებული სამართლებრივი ნორმა არ განსაზღვრავს თუ რა ფაქტობრივი გარემოებები, ან მათი ერთობლიობა ჩაითვლება ქმედების სამართალდარღვევად კვალიფიკაციისათვის, რაც პრობლემატურს ხდის მისი შეფარდებას კანონიერებასა და სამართლიანობას.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ძს-906-192-(კ-05) დ. ა-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ, ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს, კერძოდ, „სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი უზრუნველყოფს სამართლებრივ ნდობას, რაც თავის მხრივ, მოითხოვს კანონის ნორმების სიცხადეს. კანონმდებლობის „არაწინააღმდეგობრიობის“ პრინციპი კი განაპირობებს კანონმდებლობას, როგორც ჰარმონიულ ურთიერთობას, რომელიც თავისუფალი იქნება შიდა წინააღმდეგობისაგან. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი აწესებს კანონის ნორმების ერთმანეთთან ისე შესაბების ვალდებულებას, რომ ესა თუ ის მოქალაქე არ აღმოჩნდეს დაუცველი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვალეობისაგან. კანონშემოქმედებით საქმიანობის განხორციელებისას კანონმდებელი შეზღუდულია ნორმატიული, სოციალური, ლოგიკური, ენობრივი და სხვა ხსიათის შეზღუდვებით, კერძოდ, კანონმდებლის ნორმატიული შეზღუდვა კონსტიტუციიდან და სამართლებრივი სისტემის კონსტიტუციით დაცულ ნორმათა კომპლექსიდან გამომდინარეობს.“

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ასევე ეყრდნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს – საქმეზე მ. ნ-ე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში №2/2-389 ჩამოყალიბებულ განმარტებებს:

„საკონსტიტუციო სასამართლომ ხარისხის მიხედვითაც უნდა შეაფასოს სადაც ნორმები. თუ სასამართლო დაადგენს, რომ სადაც ნორმა უხარისხოა, დადგინდება კონკრეტული უფლების დარღვევაც. ხარისხის თვალსაზრისით კანონს წაეყენება

გარკვეული მოთხოვნები – ის უნდა იყოს ხელმისაწვდომი, გან-
ჭვრეტადი, არ იძლეოდეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენე-
ბის შესაძლებლობას“.

„დარღვეულია სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი,
რომელიც, თავის მხრივ, გამომდინარეობს სამართლებრივი სა-
ხელმწიფოს პრინციპიდან და გულისხმობს, რომ ნორმა უნდა
იყოს ნათელი და განსაზღვრულობის მოთხოვნებთან შესაბამი-
სი. ადამიანს უნდა შეეძლოს ზუსტად გაარკვიოს, თუ რას მო-
ითხოვს მისგან კანონმდებელი და მიუსადაგოს ამ მოთხოვნას
თავისი ქცევა. საკონსტიტუციო სასამართლომ, კონსტიტუცი-
ის სხვადასხვა ნორმებთან სადაც ნორმების შესაბამისობის
ანალიზისას, უნდა დაადგინოს, ხომ არ გამოუწვევია უფლების
დარღვევა ნორმის განუსაზღვრელობას“.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ადმინისტრაციულ სა-
მართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლის ბოლო წინადა-
დებით გათვალისწინებული ქმედების – საგზაო-სატრანსპორ-
ტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგი-
ლის მიტოვება, სამართალდარღვევად დადგენა ვერ პასუხობს
სამართლის ნორმის სიცხადის, განჭვრეტადობის, განსაზღვრუ-
ლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის სტანდარტს, რის გამოც
ნორმის გამოყენება-განმარტება ნორმათ შემთარღებელი ორ-
განობის მხრიდან შესაძლებელია უკიდურესად ფართო და გა-
უმართლებელი დისკრეციის საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს.
აღნიშნულის პრევენციისთვის აუცილებელია სასამართლო ორ-
განოებმა სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის უფლებამოსი-
ლებაზე დაყრდნობით დაადგინონ ნორმის ლოგიკური გამოყე-
ნება-განმარტების ფარგლები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ
სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლის ბოლო წინადა-
დებით გათვალისწინებული ქმედების – საგზაო-სატრანსპორ-
ტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგი-
ლის მიტოვება, განხილული უნდა იქნეს საგზაო-სატრანსპორ-
ტო კანონმდებლობის მოთხოვნების კონტექსტში, კერძოდ,
1999წლის 28 მაისის საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაო-
ბის უსაფრთხოების შესახებ“ მე-20 მუხლით დადგენილია მძღო-
ლის ზოგადი მოვალეობები, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვე-
ვის მონაწილე მძღოლის ქცევის სტანდარტი განსაზღვრულია
ამავე მუხლის მე-7-ე პუნქტით, რომლის მიხედვით: ა) დაუყოვ-
ნებლივ გააჩეროს (არ დაძრას ადგილიდან) სატრანსპორტო სა-
შუალება, ჩართოს საავარიო მამუქი სიგნალიზაცია.

დ) სავალი ნაწილის გათავისუფლების, დაშავებულის საკუ-

თარი სატრანსპორტო საშუალებით სამკურნალო დაწესებულებაში მიყვანის აუცილებლობის შემთხვევაში, მოწმეთა თანდასწრებით, წინასწარ დააფიქსიროს სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობა, შემთხვევასთან დაკავშირებული ნაკვალევი და საგნები, მიიღოს ყველა საჭირო ზომა მათი შენარჩუნებისა და შემთხვევის ადგილის შემოსაზღვრისათვის.

აღსანიშნავია, რომ არც მოცემული ნორმატიული აქტი არ განსაზღვრავს მძლოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვების კვალიფიკაციის განმსაზღვრელ გარემოებებს. ამგვარ ვითარებაში, როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლის ბოლო წინადადების, ასევე, კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-7-ე პუნქტის ა) ქვეპუნქტის მძლოლისთვის შეფარდება უნდა გამომდინარეობდეს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიზნებიდან და ეფუძნებოდეს ობიექტურად გამოკვლეულ და დაგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

1999 წლის 28 მაისის საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-7-ე პუნქტის ა) და დ) ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნები – მიზნად ისახავს და უზრუნველყოფს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ფაქტების ზუსტ და უტყუარად დაფიქსირებას, მონაწილეთა ბრალეულობის ხარისხის განსაზღვრას, დაშავებულის დახმარებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული ნორმებით კანონმდებელი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძლოლს, ავალებს რა შემთხვევის ადგილის ფაქტების ფიქსაციას, განიხილავს მას, როგორც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ობიექტური გამოკვლევისა და კვალიფიკაციის კანონიერების უზრუნველყოფის კეთილსინდისიერ თანამონაწილედ, რაც საპოლიციო ორგანოების საქმიანობისა და საჯარო წესრიგისა და კანონიერების დაცვაში ხელშეწყობას მოიცავს. თუმცა, ეს არ გამორიცხავს საგამონაკლისო, ატიპიურ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის არსებობას და მათ მიმართ იდენტური მიდგომები შესაძლებელია გაუმართლებელი აღმოჩნდეს.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სწორედ ამგვარ არაორდინალურ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ხოლო ჰოლიციის მოხელის სტანდარტულმა მიდგომამ, საბოლოოდ უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლის ბოლო წინადადებით გათვა-

ლისწინებული ქმედების – მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევაშის ადგილის მიტოვება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კატეგორიად უნდა დაკვალიფიცირდეს მძღოლის მოქმედების არაკეთილსინდისიერების, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ობიექტური გამოკვლევისა და კვალიფიკაციის კანონიერების უზრუნველყოფის, როგორც საჯარო ფუნქციის განხორციელებაში თანამონაწილეობის, თავის არიდების ობიექტურად დადასტურების პირობებში. მძღოლის მოქმედების შეფასებისას შესწავლილი და გამოკვლეული უნდა იქნეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობის ფაქტები. რა ამოძრავებდა მძღოლს შემთხვევის ადგილის მიტოვებისას, ჰქონდა თუ არა ადგილი იმგვარ იმგვარ იმგვარ გარემოებას, რა შემთხვევაშიც შეიძლება გამოირიცხოს მისი ბრალეულობის საკითხი, რამდენადაც პირის ბრალის გარეშე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემადგენლობა სახეზე არ არის.

მოცემულ შემთხვევაში, ქვემდგომმა სასამართლოებმა ისე შეაფასეს კანონიერად საპოლიციო ორგანოს მიერ გ. ბ-ის ადმინისტრაციულ სამართლდამრღვევად მიჩნევის საკითხი, რომ ვერ დაასაბუთეს, თუ რაში გამოიხატა მისი ბრალეულობა, ობიექტურად არ იქნა გამოკვლეული და შეფასებული შემთხვევის ადგილზე არსებული ვითარება, ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, რა მიზეზებმა განაპირობა მძღოლის მიერ სატრანსპორტო საშუალების შემთხვევის ადგილიდან გადაყვანა. საქმის მასალებით უტყუარადა დადგენილი, რომ მძღოლს გ. ბ-ს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილი არ მიუტოვებია, იგი დაელოდა პილიციის მისვლას ადგილზე. სიზუსტისთვის უნდა აღინიშნოს, რომ „ადგილი დატოვა“ სატრანსპორტო საშუალებამ მეორე (სათადარიგო) მძღოლის მეშვეობით. სასამართლოებს არ შეუფასებიათ, რომ გ. ბ-ის მართვის ქვეშ მყოფი სატრანსპორტო საშუალების შემთხვევის ადგილიდან გადაყვანა იყო თუ არა გამოწვეული მომეტებული საფრთხის – ბუნებრივი გაზის გაუონვის შესაძლო შედეგების (მაგ, აალება, აფეთქება და სხვა მსგავსი) თავიდან ასაცილებლად. შეეძლო თუ არა მძღოლს ამგვარ ექსტრემალურ ვითარებაში ობიექტურად განესაზღვრა მომეტებული საფრთხის მასშტაბი, მისი გადაწყვეტილება – განერიდებინა მატერიალური ქონება, სატრანსპორტო საშუალება მისი განადგურების, დაზიანების რისკის ზონიდან, გამომდინარეობდა მატერიალური ზიანის თავიდან აცილების, თუ შემთხვევის ადგილის ფაქტობრივი გარემოებების შეცვლის მიზნიდან. მძღოლის მოქმედების მიზნის განსაზღვრა უნდა დაემ-

ყაროს კონკრეტული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაცილის როლის გამორკვევასა და შეფასებას. დადასტურებულია, რომ შეჯახება გამოიწვია არა მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების, არამედ, ჰაერში გამავალი გაზის მილის სიმაღლის ნორმატიულად – საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტის დარღვევამ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 1999 წლის 28 მაისის საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის ა) ქვეპუნქტის დანწესის – მძღოლის ვალდებულების – დაუყოვნებლივ გააჩეროს (არ დაძრას ადგილიდან) სატრანსპორტო საშუალება, მიზანს წარმოადგენს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ფაქტების ზუსტი და უტყუარად დაფიქსირება, მონაწილეთა ბრალეულობის ხარისხის განსაზღვრა. მაშინ, როცა განსახილველი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ფაქტების დაფიქსირებისთვის ავტო-სატრანსპორტო საშუალების გადაყვანა არ წარმოადგენდა ხელშემშეღლ ან დამაბრკოლებელ გარემოებას, რამდენადაც შეჯახება მოხდა არა სხვა ავტო-სატრანსპორტო საშუალებასთან, არამედ, ჰაერში გამავალი გაზის მილთან. ასეთ ვითარებაში, მოხელე-პოლიციელის გამოსაკვლევ ფაქტებს სამართალდამრღვევის გამოსავლენად წარმოადგენს მილის და ავტო-სატრანსპორტო საშუალების სიმაღლის აზომვა მათი კანონით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. აღნიშნული პროცედურული მოქმედება ფაქტების მოპოვება-გამოკვლევის მეშვეობით, მიუხედავად მძღოლის თხოვნისა, მოხელე-პოლიციელს საერთოდ არ შეუსრულებია, სადაც აქტში ამგვარი რამ ასახული არ არის. ამდენად, ამ არასტანდარტული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მიმართ მოხელე პოლიციელმა გამოიყენა სტანდარტული, ორ ან რამდენიმე ავტო-სატრანსპორტო საშუალებების შეჯახებისთვის დამახასიათებელი ფაქტების გამოკვლევა-შეფასების მიდგომა, რაც სავსებით ლოგიკურად არაკანონზომიერი და გაუმართლებელია, არსებითად, თვისობრივად სხვა ტიპის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამოსაკვლევად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 123.1 მუხლის ბოლო წინადაღებით გათვალისწინებული ქმედების კვალიფიკაციისათვის პრინციპულია, გაირკვეს ნორმის ფუნქცია, რათა სამართალშეფარდების მომენტში სანქციამ შეასრულოს ნორმის შექმნის მიზანი.

საკასაციო სასამართლო მითითებული ნორმის ნამდვილი შინაარსის ანალიზიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვების სამართალდარღვევად მიჩნევის და მისი სანქცირების დადგენით, კანონმდებელი პასუხობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1-ლი მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოცანებს, რომლის მიხედვით ასეთს წარმოადგენს: „მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა ადზრდა საქართველოს კონსტიტუციის, მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ლირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების სულისკვეთებით“.

ავტოსაგზაო-შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება სწორედ რომ ენინააღმდეგება ქვეყანაში საჯარო წესრიგს, წარმოადგენს საერთო ცხოვრების წესების უპატივცემულობას, ხელს უშლის კანონიერების დაცვა-სა და განმტკიცებას.

აღნიშნული სამართალდარღვევის კვალიფიკაცია და მისი შეფარდება პირისთვის, შეუძლებელი და შესაბამისად, კანონ-საწინააღმდეგო იქნება პირის ბრალეულობის განსაზღვრის გარეშე. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნორმათშემფარდებელმა ორგანოებმა, კონკრეტულად მოხელე-პოლიციელებმა სამართალშეფარდების პროცესში უნდა გამოიკვლოონ და დაადგინონ შემთხვევის ადგილის მიტოვებისას მძღოლის ბრალეულობის (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა) საკითხი. საკასაციო სასამართლო ლოგიკურად მიიჩნევს, რომ მონაწილე მძღოლის ქმედება შესაძლებელია ამგვარად დაკვალიფირდეს იმ შემთხვევაშიც, როცა თავად ადგილზე რჩება, მაგრამ ავტო-სატრასპორტო საშუალებას შეუცვლის ადგილმდებარეობას (გადაყენებს, გაარიდებს ან სხვა ამგვარი), თუკი იგი ამას ჩაიდგენს ბრალეულად (განზრახ ან გაუფრთხილებლად), ე.ი. როცა ის შეგნებით მოქმედებს/უმოქმედობს ან ქარაფშუტულად ვარაუდობს ან არ ითვალისწინებს, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდეც გაერთვალისწინებინა თავისი მოქმედების/უმოქმედობის მავნე შედეგების დადგომის შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირის ბრალეულობის საკითხის გამორკვევა, შეფასება, დადგენა უმნიშვნელოვანესი და ურთულესი სამართლებრივი ღონისძიებაა, რის

გამოც ნორმათშემფარდებელი მოხელე პოლიციელები აღჭურვილი უნდა იყვნენ საფუძვლიანი იურიდიული ცოდნით, მაღალ დონეზე უნდა ფლობდნენ ფაქტობრივ გარემოებათა გამოკვლევის, დადგენის ტექნიკას, შესაბამის აუცილებელ სათანადო უნარ-ჩვევებს. აღნიშნულის მისაღწევად საქართველოს საპოლიციო ორგანოებმა უნდა გაატარონ მასშტაბური სამართლებრივი, ტექნიკური, პროფესიული სწავლების ინტენსიური ღონისძიებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული საპოლიციო ფუნქციების არაჯეროვანი შესრულება, რაც ადამიანის უფლებების დარღვევის მიზეზი ხდება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არც ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს და არც სასამართლოებს საერთოდ არ უმსჯელიათ გ. ბ-ის მოქმედების კვალიფიკაციისას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-19 მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების – უკიდურესი აუცილებლობის თაობაზე, აღნიშნულთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციული საჩივრის, ისე სარჩელისა და აპელაციის მოტივები დატოვებულია უპასუხოდ, სამართლებრივი მსჯელობისა და შეფასების გარეშე, რითაც დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავის, ხოლო სამართალწარმოებისას ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის პრინციპები და ნორმები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. ბ-ის სარჩელი დასაბუთებული და საფუძვლიანია, სადაც აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საპეტიციური ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების დროს საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ იქნა მოკვლეული ჯერობად. შესაბამისად, საქმის გარემოებების გამოკვლევა ჩატარებულია არასრულყოფილად. სადაც სამართალურთიერთობის-თვის შეფარდებული სამართლის ნორმა არ შეესაბამება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რის გამოც სადაც აქტი კანონსაწინააღმდეგოა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე კანონსაწინააღმდეგოა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 9 სექტემბრის 20/26-7-8-1109 გადაწყვეტილება. ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტისას დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავის

მოთხოვნები, რის გამოც იგი ექვემდებარება ბათილად ცნობას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.1. მუხლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შეპონტოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, სწორედ რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტამდე, კერძოდ, სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარმა სამმართველომ ჩაატარა რიგი პროცედურული მოქმედებები ფაქტორივი გარემოებების გამოსაკვლევად, სადაც აქტში არ არის მითითებული კონკრეტული გარემოებები, ფაქტები, რომელთა შეფასებისა და გამოკვლევის საფუძველზეც გამოიცა, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადაც ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1. მუხლის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული. კონკრეტულ შემთხვევაში, კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები უგულებელყოფილ იქნა სადაც გადაწყვეტილების გამოცემისას, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო გაღდებული იყო, შეეფასებინა და ემსჯელა, ადმინისტრაციული საჩივრის მოტივებზე, ხოლო არგაზიარების პირობებში დასაბუთებულად გაექარნყლე-

ბინა მათი იურიდიული უსაფუძვლობა.

საქმეში წარმოდგენილ სადაცო აქტში აღნერილია გ. ბ-ის არ-გუმენტები, მის არაპრალეულობასთან და უკიდურესი აუცი-ლებლობიოს ფარგლებში მოქმედების თაობაზე, რომელიც ზემ-დგომა ორგანომ არ გაიზიარა, თუმცა, რა ლოგიკით და საფუძ-ვლებით, გაუგებარია, ვინაიდან გადაწყვეტილება ასეთ მსჯე-ლობას არ შეიცავს. ასევე, დაუსაბუთებელია მსჯელობა მძღო-ლის მიერ შემთხვევის ადგილის მონიშვნასთან დაკავშირებით, რადგან ზემდგომა ორგანომაც ასევე, სტანდარტული მიდგო-მა გამოავლინა სრულიად ორიგინალურ შემთხვევასთან მიმარ-თებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემდგომი ადმინის-ტრაციული ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა-გადაწყვეტილას გააჩნია მეტი სამართლებრივი ვალდებულება, საჩივრის მიუკერძოებლად განხილვის პირობებში ობიექტური შეფასება მისცეს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გა-დაწყვეტილების კანონიერებას, გაანალიზოს სადაცო საკით-ხთან მიმართებით დამკვიდრებული პრაქტიკა, უზრუნველყოს მის სისტემაში კანონიერი სამართალშეფარდების სტანდარტის შემუშავება.

საკასაციო სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს მოსარ-ჩელის მოთხოვნას – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინის-ტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმარ-თველოს 2011 წლის 2 ნოემბრის №ბდ967448 დადგენილებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 21 ნოემბრის №20/7-1451 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, ამ ინდივიდუა-ლური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის სამართლებრივი საფუძვლის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილი-ისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 11 აგვისტოს №ბდ 967448 საჯარიმო ქვითორის, მისი გამოცემის მომენტიდან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 9 სექტემ-ბრის 20/26-7-8-1109 გადაწყვეტილების, მისი გამოცემის მო-მენტიდან კანონსაწინააღმდეგოდ მიჩნევის და ბათილად ცნო-ბის გამო.

შესაბამისად, დასაბუთებულია მოსარჩელის სხვა მოთხოვ-ნები – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრუ-ლო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთია-

ნეთის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოს დაეკისროს მის სასარგებლოდ ზიანის სახით – 302 ლარის გადახდა, ასევე, გ. ბ-ს დაუბრუნდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უკანონო ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე დაკისრებული ჯარიმა-საურაციას სახით გადახდილი – 550 ლარი, როგორც გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სამართლებრივი შედეგები, მათი გაუქმების გამო.

საკასაციო სასამართლოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამსკვიდრებისთვის აუცილებლად მიაჩნია სამართლებრივი შეფასება მისცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ მსჯელობა-სა და დასკვნას, კერძოდ, სასამართლომ არ გაიზიარა მოძრაობის წესების დარღვევის არარსებობისა და აგრეთვე – სატვირთო ავტომანქანის თვალთახედების არეში დატოვების თაობაზე მოსარჩელის ახსნა-განმარტება და განმარტა: „სამართალდამცავი ორგანოს ნარმომადგენელს მიზანმიმართული ყურადღება ახსიათებს, რაც პროფესიული საქმიანობის შინაარსით, საკუთარი საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი ვალის გაცნობიერებით არის განპირობებული. თვითმხილველ მოწმეთა ამ ჯგუფის მიერ სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღება უკავშირდება მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას, თავიანთ პროფესიულ მოვალეობას ისინი ასრულებენ გარკვეულ გარემოებებზე, მოქმედებებზე, ობიექტებზე, ადამიანებზე გაცნობიერებულად მიზანმიმართული ყურადღების მეშვეობით. ასეთი თვითმხილველის აღქმის მაღალი ხარისხი, ჩვენების სისრულე, უკავშირდება იმას, რომ მუშაკმა წინასწარ, თუნდაც ზოგადად იცის აღსაქმელი სიტუაციის, მოვლენის არსი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, იმ პირის ახსნა-განმარტება, რომლის მიმართაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შესაძლოა ნაკარნახევი იყოს დარღვევის დაფარვის, მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის აცილების ან სხვა ქვენაგრძნობით, ამიტომ ასეთი პირის ჩვენება ყოველთვის უნდა შეჯერდეს საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებებთან.“

აღნიშნული მსჯელობის შეფასებისას საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-1635-1589(კ-08) 6. პ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მი-

მართ, ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს, რომლითაც საკასაციო სასამართლომ სამართლებრივი შეფასება მისცა თუ რამდენად კანონიერად და ადეკვატურად მიუსადაგა სააპელაციო სასამართლომ სამართლის კონკრეტული ნორმის განმარტებისას (რამდენადაც სამართლის ამ ნორმის სწორ გაგება-გამოყენებასთან დაკავშირებით ნამსჯელი აქვს საკასაციო სასამართლოს), საკასაციო სასამართლოს ჩამოყალიბებული სამართლებრივი დასკვნები განსახილველი დავის გარემოებებს, ვინაიდან აღნიშნულ საქმეზე საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ამგვარი „ხელმძღვანელობა“ ასევე აზარალებს მართლმასაჯულების ავტორიტეტს, ამავდროულად არსებობს ასეთის გამეორების საშიმროებაც და მოითხოვს პრევენციული ზომის (ანუ შესაბამისი განმარტების) მიღებას, რათა ქვემდგომმა სასამართლოებმა უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები მათი გაზიარების შემთხვევაში კვალიფიციურად მიუსადაგონ განსახილველ დავის გარემოებებს. კერძოდ, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ: „სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება პრაქტიკულად აგებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების /საქმეზე ზ. ნ-შვილის საჩელისა გამო, მოპასუხე თბილისის საპატრულო პოლიციის მიმართ/ ძირითადი დასკვნების ციტირებაზე, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით განსაზღვრულ მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების თვალსაზრისით.

„პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასებებისა და დასკვნებით ხელმძღვანელობა მოითხოვს კასაციის არსის და ამოცანების ღრმა გააზრებას, ვინაიდან კასაცია არის სამართლებრივი საშუალება, რომლის საფუძველზეც ხდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმება მატერიალურ-სამართლებრივი დარღვევებისა და საპროცესო ხარვეზების /სამართლებრივი და ფაქტორივი შემოწმება/ კუთხით. კასაციის ამოცანებია კონკრეტული დავის ფარგლებში ცალკეული პირის სამართლებრივი დაცვა, ერთიანი სასამართლო პრაქტიკის (მართლმასაჯულების) უზრუნველყოფა და სამართლის განვითარება.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ კანონმდებელმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წანამდლვრების დადგენით განსაზღვრა სასამართლო ხელისუფლე-

ბის სისტემაში საკასაციო ინსტანციის სასამართლოს როლი და დანიშნულება: კონცეპტუალური სასამართლო, რომლის ფუნქცია გაცილებით მეტია, ვიდრე მართლმსაჯულების და სასამართლო კონტროლის განხორციელება.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარებისა და მოსამართლეთა 1997 წლის 20 ოქტომბერს ქ. პრაღაში გამართულ შეხვედრაზე თემაზე „უზენაესი სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო: როლის, უფლებამოსილებებისა და მოვალეობების ურთიერთდამოკიდებულება“ ჩამოყალიბებული დასკვნების მიხედვით: „უზენაესი სასამართლო, რომლის კონკრეტული მიზანია სამართლის დინამიკური, პროგრესირებადი და მაუნიფიცირებელი განმარტების უზრუნველყოფა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცებაში. ზოგადად, უზენაესი სასამართლოები უზრუნველყოფენ იმას, რომ გარანტირებული იყოს მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობა სხვა მოქალაქეებთან ან ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობაში“.

უზენაესი სასამართლოს როლზე მსჯელობისას საკასაციო სასამართლო ასევე ეყრდნობა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წლის 7 თებერვლის №R(95)5 რეკომენდაციის წევრ სახელმწიფოების მიმართ, რომლის IV თავის მე-7 მუხლის მიხედვით განისაზღვრა, რომ მესამე სასამართლოში საჩივრების წარდგენა დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ განსაკუთრებულ საქმებზე, რომელთა გადასინჯვაც დასაშვება მესამე ინსტანციის მიერ, მაგალითად, ისეთი საქმეები, რომლებმაც შეიძლება განავრცის სამართალი ან ხელი შეუწყოს სამართლის ერთგვაროვან ინტერპრეტაციას, ეს საქმეები შეიძლება აგრეთვე შეიზღუდოს იმ საჩივრებამდე, რომლებმაც საქმე ეხება საყოველთაო საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე სამართლის ნორმას.

საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი როლიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საკასაციო საჩივრის საფუძვლების განსაზღვრის წესებით შესაძლებელი უნდა გახდეს მართლმსაჯულების ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან ერთად ერთმანეთთან ჰარმონიაში მოიყვანოს ის მთავარი მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება კასაციას:

– ზოგადად, მართლწესრიგის დაცვა და მისთვის ხელის შეწყობა ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების მეშვე-

ობით და ამით სამართლებრივი სტაბილურობის შექმნა;

– ცალკეულ შემთხვევებზე გადაწყვეტილებების სამართლი-ანობა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემულია საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამი საფუძველი:

- ა) აბსოლუტური კასაცია;
- ბ) დივერგენტული კასაცია;
- გ) პროცესუალური კასაცია;

აბსოლუტური კასაციის შემთხვევაში კონკრეტული საქმე მოიცავს საპროცესო საფუძველს, რომელზედაც შესაძლებელია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის დებულებათა ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბება ან კანონის ხარვეზის აღმოფხვრა.

აგრეთვე, ისეთ შემთხვევაშიც, როცა თავიდან უნდა იქნეს აცილებული სასამართლო პრაქტიკაში მკვეთრი, უხეში განსხვავებისა დანერგვა, თუმცა გადამწყვეტია ისიც, თუ რა მნიშვნელობა აქვს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ერთიანი სასამართლო პრაქტიკისთვის. აღიარებულია, რომ სამართლის ნორმის განმარტებისას ან გამოყენებისას დაშვებული მატერიალური და ფორმალური შეცდომა მაშინ სცილდება ცალკეული შემთხვევების ფარგლებს და სერიოზულად ვნებს საზოგადო ინტერესებს, როდესაც ეს შეცდომა მასშტაბურია და არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მის საფუძველზე შეირყეს ნდობა მართლმასაჯულების მიმართ.

დივერგენტული კასაციის მიზანს წარმოადგენს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დაცვა გარკვეულ სამართლებრივი ნორმების განმარტებებისას. დივერგენტული კასაციის დაშვება ასევე ემსახურება სამართლებრივი ერთიანობის, სტაბილურობის და სამართლის თანასწორი გამოყენების დაცვას. ამავე დროს, სააპელაციო სასამართლოს მიერ განსხვავებული გადაწყვეტილების (განსხვავებული სამართლებრივი შეფასება, განმარტება) მიღებამ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს გააზრებულად, შეგნებულად ხდება და ჯეროვნად არის დასაბუთებული (რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს მართლმსაჯულების უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს განმარტება არასწორად მიაჩნია), შეიძლება ასევე ბიძგი მისცეს სამართლის შემდგომ განვითარებას. დივერგენტული კასაციის დაშვება ემსახურება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს შორის იურიდიული დისკუსიის შედეგის მნიშვნელოვანი ხასიათის განსაზღვრას.

პროცესუალური კასაციის შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს

დარღვევის მნიშვნელოვანი ხასიათი, რომელსაც შეეძლო არ-სებითად ემოქმედა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე /შედეგზე/.

კასაციის დაშვების ეს საფუძველი, პირველ რიგში მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მოხდა ძირითადი საპროცესო უფლებების დარღვევა, ასევე სსსკ-ის 394-ე მუხლში ჩამოთვლილი საკასაციო საჩივრის ყველა აბსოლუტური საფუძველი, რაც უდავოდ გავლენას ახდენს მართლმსაჯულების რეპუტაციაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ მექანიკურად მიუსადაგა სადავო სამართალურთიერთობას საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი განმარტება, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა-დადგენის გარეშე, რაც ლახავს პირის კანონით გარანტირებულ უფლებას სამართლიან სასამართლოზე.“

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული ზემოთ მოყვანილი სამართლებრივი მსჯელობა და დასკვნა, პრაქტიკულად წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებაში აღმინისტრაციულ საქმეზე №გს-626-596(კ-07) ზ. ნ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის – თბილისის საპატრულო პოლიციის მიმართ, ჩამოყალიბებული სამართლებრივი მსჯელობის: „საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირებისას, ვინაიდან კანონმდებელი არ ადგენს მოწმეთა აუცილებელ დასწრებას, ივარაუდება, რომ სამართალდარღვევის გამომვლენ პოლიციის მოხელეს გააჩნია შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩევევები, ადეკვატურად და ობიექტურად შეაფასოს კონკრეტული ფაქტი, ქმედება. აღნიშნული, რასაკვირველია არ გამორიცხავს სამართალდარღვევის გამომვლენის მიერ უზუსტობას, მიკერძოებას ან არაობიექტურ შეფასების კონკრეტული შემთხვევის დასაშვებობას (შესაძლებლობას)“, სრულიად არასწორ, თავისი არსით არასამოსამართლო და კანონშეუსაბამო ინტერპრეტაციას, რადგან საკასაციო სასამართლოს განზოგადებული ხასიათის მსჯელობა განვითარებულია ვარაუდის დონეზე, მათ შორის, მსჯელობაშივე დაშვებულია სამართალდარღვევის გამომვლენის მიერ უზუსტობის, მიკერძოების ან არაბიექტური შეფასების კონკრეტული შემთხვევის შესაძლებლობა, რის გამოც ყოველი კონკრეტული შემთხვევა უნდა შეფასდეს კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, და არანაირ ლოგიკური წაკითხვის პირობებში ზემოაღნიშნული

მსჯელობა არ შეიძლება ქვემდგომი სასამართლოების მიერ ტრანსფორმირდეს იმგვარი იმპერატიული ხასიათის, ლოზუნგის ტიპის დეკლარაციული შინაარსით, როგორიცაა: „სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს მიზანმიმართული ყურადღება ახასიათებს, რაც პროფესიული საქმიანობის შინაარსით, საკუთარი საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი ვალის გაცნობიერებით არის განპირობებული.“

ან კიდევ: „იმ პირის ახსნა-განმარტება, რომლის მიმართაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შესაძლოა წაკარნახევი იყოს დარღვევის დაფარვეს, მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის აცილების ან სხვა ქვენაგრძნობით, ამიტომ ასეთი პირის ჩვენება ყოველთვის უნდა შეჯერდეს საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებებთან.“

აღნიშნული განმარტებებით (რაც საკასაციო სასამართლოს ინფორმაციით (ქვემდგომი სასამართლოების პრაქტიკა), სამწუხაროდ, ერთჯერადი ხასიათის არ არის, ამდენად, არსებობს ასეთის გამეორების საშიშროებაც და მოითხოვს პრევენციული ზომის (ანუ შესაბამისი განმარტების) მიღებას, რათა ქვემდგომისა სასამართლოებმა უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები მათი გაზიარების შემთხვევაში ადეკვატურად და კვალიფიციურად მიუსადაგონ განსახილველ საქმეებს), ქვემდგომი სასამართლოები უხეშად არღვევენ ადმინისტრაციული და სამოქალაქო პროცესუალური სამართლის ფუნდამენტურ – მიუკერძოებლობის და მხარეთა თანასწორობის პრინციპებს.

ამგვარი სასამართლო შეფასებები, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში განვითარებული მსჯელობებითა და შეფასებებით მსგავსი „ხელმძღვანელობა“, სინამდვილეში წარმოადგენს იურიდიულ მანიპულაციას და საერთო არა აქცის საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი სტანდარტების გამოყენებასთან, რაც მთლიანობაში აზარალებს მართლმსაჯულების ავტორიტეტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელი დასაბუთებული და საფუძვლიანია და ექვემდებარება დაკმაყოფილებას. სსსკ-ის 53-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე მოპასუხეებს სოლიდარულად უნდა დაეკისროთ მოსარჩელის გ. ბ-ის მიერ სამართალწარმოებისას გალებული სასამართლო ხარჯების – $50+50+50+100+150=400$ ლარის (სახელმწიფო ბაჟის სახით) გადახდა მის სასარგებლოდ. ასევე, სსსკ-ის 37-ე მუხლის II ნაწილის და სსსკ-ის 53-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ მოსარჩელის გ. ბ-ის მიერ სამართალწარმოებისას გაღე-

ბული სასამართლოს გარეშე ხარჯების – 690 ლარის მოსარჩევის სასარგებლოდ გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 32; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ უ ვ ი ტ ა:

1. გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 10 მაისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი:
 - ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 11 აგვისტოს №ბდ 967448 საჯარიმო ქვითარი, მისი გამოცემის მომენტიდან;
 - ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 9 სექტემბრის 20/26-7-8-1109 გადაწყვეტილება, მისი გამოცემის მომენტიდან;
 - გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს 2011 წლის 2 ნოემბრის №ბდ 967448 დადგენილება, მისი გამოცემის მომენტიდან;
 - (დ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის 21 ნოემბრის №20/7-1451 გადაწყვეტილება, მისი გამოცემის მომენტიდან;
5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოს დაეკისროს გ. ბ-ის სასარგებლოდ ზიანის სახით – 302 ლარის გადახდა;
6. გ. ბ-ს დაუბრუნდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უკანონო ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე დაკისრებული ჯარიმა-საურავის სახით გადახდილი – 550 ლარი;
7. მოპასუხებს სოლიდარულად დაეკისროთ მოსარჩელის გ.

ბ-ის მიერ სამართალწარმოებისას გაღებული სასამართლო ხარჯების – $50+50+50+100+150=400$ ლარის (სახელმწიფო ბაჟის სახით) გადახდა მის სასარგებლოდ;

ბ-ის მიერ სამართალწარმოებისას გაღებული სასამართლოს გარეშე ხარჯების – 690 ლარის მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდა;

9. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაჯარიმება მცველის მომღვმენვის გარეშე დაცვითი საქმიანობის განხორციელებისთვის

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-497-490(კ-15)

22 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების
ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...“ თბილისის საქალაქო სასამართლოში შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი აღძრა.

სასარჩელო მოთხოვნა:

1. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2013 წლის 20 ნოემბრის №000601 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი;

2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2013 წლის 2 დეკემბრის №2460666 ბრძანება;

3. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა

სამინისტროს 2014 წლის 14 იანვრის №15 ბრძანება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „....“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: სადაცო საკითხის გადაუწყვეტად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 14 იანვრის №15 ბრძანება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შსს-მ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მარტის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტორებისა და მონიტორინგის სამართველოს ინსპექტირების განყოფილების თანამშრომელმა 2013 წლის 20 ნოემბერს განახორციელა შპს „....“ საქმიანობის შემოზღება „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში; შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ შპს „....“ მცველი რ. ჯ-ი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა მცველის მოწმობის გარეშე, რაც მიჩნეულ იქნა „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის დარღვევად და შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000601; აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ 2013 წლის 2 დეკემბერს გამოცემული იქნა №2460666 ბრძანება, რომლითაც შპს „....“ მცველის მოწმობის გარეშე დაცვითი საქმიანობის განხორციელებისათვის „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დაჯარიმდა 6 000 (ექვივი ათასი) ლარით; საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ რ. ჯ-სა და შპს „....“ შორის 2013 წლის 30 ოქტომბერს გაფორმე

ბული იყო შრომითი ხელშეკრულება და №კ-163 კონკრეტული ობიექტის დაცვის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით რ. ჯ-ს 2013 წლის 30 ოქტომბრიდან 2014 წლის 30 ოქტომბრამდე ევალებოდა ხელშეკრულებაში მითითებული ობიექტის დაცვა, დადგენილი პირობებისა და ინსტრუქციების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს აზრით, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში უტყუარად არ არის დადგენილი სამართალ-დარღვევის ფაქტი, ვინაიდან სრულად არ არის გამოკვლეული ყველა ის ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა სამართლებრივ კვალიფიკაციას შეეძლო მოეცა სამართალდარღვევის შემადგენლობა; კერძოდ, სამართალდარღვევის ოქმის მიხედვით მცველს არ გააჩნდა მცველის მოწმობა, რაც არ არის დადგენილი საქმის სხვა მტკიცებულებებით, ხოლო ის გარემოება, რომ მცველმა შემმოწმებლებს არ წარუდგინა მცველის მოწმობა, არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მას არ ჰქონდა მცველის მოწმობა, რაც ქმნიდა სამართალდარღვევის შემადგენლობას შპს „...“ მიმართ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართალდარღვევის ფაქტის გამოკვლევისას ადმინისტრაციულმა ორგანომ შეფასება უნდა მისცეს არა მხოლოდ შემმოწმებლების განმარტებებს, არამედ, მცველის რ. ჯ-ის, ასევე ობიექტის დაცვის სამსახურის სპეციალისტის, შპს „...“ დირექტორის განმარტებებსაც იმასთან დაკავშირებით, რომ მცველს რეალურად ჰქონდა მცველის მოწმობა, ამასთან მისი წარუდგენლობა განპირობებული იყო შემმოწმებლების მხრიდან არაკორექტული მოქმედებით, რასთან დაკავშირებითაც მნიშვნელოვნის გამოკვლეულ და შეფასებულ იქნეს საქმეზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილი დაცვის ობიექტის შემმოწმების პროცესის ამსახველ ვიდეოჩანაწერი, რომელზე ასახული მონაცემები იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ მცველის მოწმობა დევს შემთხვევის ადგილზე არსებულ მაგიდაზე; სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მტკიცება იმის შესახებ, რომ სამართალდარღვევის ფაქტის გამოსავლენად მნიშვნელოვანია მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების და შემთხვევის ადგილის შესახებ ვიდეოჩანაწერზე ასახული გარემოებების ერთობლიობაში გამოკვლევა-შეფასება, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით პასუხისმგებლობა დაწესებულია მცველის მოწმობის გარეშე დაცვითი საქმიანობის განხორციელებისათვის, რის გამოც უნდა გამოირიცხოს ზოგადად რ. ჯ-ის მიერ მცველის მოწმობის გარეშე საქმიანობა, ხოლო შემდეგ შეფასდეს – კონკრეტულ შემთხვევაში მისი მხრიდან მცვე-

ლის მოწმობის წარუდგენლობის მიუხედავად, არსებობდა თუ არა „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით კომპანიის სანქცირების საფუძველი.

აღნიშნული განჩინება შსს-მ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არას-ნორად განმარტა „კერძო დაცვითი საქმიანობის“ შესახებ კანონის 21-ე და 25-ე მუხლები. სასამართლომ ასევე არასწორად შეაფასა შემოწმების ვიდეოჩანაწერი, რადგან ჩანაწერში ჩანს, რომ მაგიდაზე დევს არა მცველის მოწმობა, არამედ სსიპ დაცვის პილიციის დეპარტამენტის №262250 ბრძანების დამტკიცებული ე.წ. „პეიჯი“. რ. ჯ-ი თავად ადასტურებს, რომ მცველის მოწმობა დარჩა სახლში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკამყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართლწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვებუნქტის საფუძველზე კი, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინსპექტორებისა და მონიტორინგის სამმართველოს ინსპექტორების განყოფილების თანამშრომელმა 2013 წლის 20 ნოემბერს განახორციელა შპს „...“ საქმიანობის შემოწმება „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ შპს „...“ მცველი რ. ჯ-ი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა მცველის მოწმობის გარეშე, რაც მიჩნეულ იქნა „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის დარღვევად და შედგა ადმინისტრაციული სამარ-

თალღდარღვევის №000601 ოქმი. ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევის ოქმის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმე-თა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა 2013 წლის 2 დეკემბერს გამოსცა №2460666 ბრძანება, რომლითაც შპს „...“ მცველის მოწმობის გარეშე დაცვითი საქმიანობის განხორციელებისათვის, „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვე-პუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დაჯარიმდა 6 000 ლარით.

განსახილველ საქმეზე სადავოა დაჯარიმების საფუძველი – საქმიანობის განხორციელება მცველის მოწმობის გარეშე. სა-სამართლო გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული აქტი სადა-ვო საკითხის გადაუწყვეტად იქნა ბათილად ცნობილი.

საკასაციო სასამართლო იყენებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის კვალიფიცი-ურად გამოყენებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ მი-თითებული მუხლით რეგლამენტირებული, სასამართლოსათვის მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილება – უარი თქვას სა-დავო საკითხის მოწესრიგებაზე და აქტის გამომცემ ადმინის-ტრაციულ ორგანოს დავალოს იმავე საკითხზე ახალი ინდივი-დუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა – არ წარმოადგენს უპირობო და შეუზღუდავ უფლებამოსილე-ბას.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყე-ნებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დად-გენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული საკითხი მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამი-სად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვე-ვაში ზემოაღნიშნული წინაპირობები არ იკვეთება.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამარ-თლოს მტკიცებას, რომ სამართალდარღვევის ოქმის მიხედვით მცველს არ გააჩნდა მცველის მოწმობა, რაც არ არის დადგენი-ლი საქმის სხვა მტკიცებულებებით, ხოლო ის გარემოება, რომ მცველმა შემმოწმებლებს არ წარუდგინა მცველის მოწმობა, არ

ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მას არ ჰქონდა მცველის მოწმობა.

„კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად მცველი ვალდებულია, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს თან იქონიოს მცველის მოწმობა, ხოლო თუ თან აქვს იარაღი – იარაღის შენახვის/ტარების ნებართვა (გარდა იმ სახეობის იარაღებისა, რომელზედაც ნებართვა არ გაიცემა). ამავე კანონის 24-ე მუხლის თანახმად კი, დაცვით საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განსაზღვრული წესით. დაცვითი საქმიანობის კონტროლის მიზნით კონტროლის განმახორციელებელი ორგანო ამონტებს დაცვითი ორგანიზაციის საქმიანობის შესაბამისობას ამ კანონის მოთხოვნებთან, ასევე ამონტებს დაცვითი ორგანიზაციისა და მცველის მიერ კანონის მოთხოვნების დაცვას და ამ კანონის მოთხოვნების დარღვევისათვის შესაბამის პასუხისმგებლობას აკისრებს დაცვით ორგანიზაციის, ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს.

აღნიშნული ნორმების საფუძველზე სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ამონტებს დაცვითი ორგანიზაციის და მცველის მიერ კანონის მოთხოვნების დაცვას, მათ შორის, მცველის მიერ „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლით მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რაც იმას ნიშნავს, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ამონტებს, დაცვითი საქმიანობის განხორციელებისას მცველს თან აქვს თუ არა მოწმობა. კანონის ეს დანაწესი ავტომატურად გულისხმობს მცველის ვალდებულებას, მოთხოვნის შემთხვევაში, შემონბებელს მოწმობა წარუდგინოს. სხვაგვარად ამ გარემოების შემონმება შეუძლებელია. ისეთ პირობებში, როდესაც შესამონებელი პირი მოწმობის წარდგენაზე უარს ამბობს და თან განმარტავს, რომ მოწმობა თან არ აქვს, შემონმებელს სრული საფუძველი აქვს მიიჩნიოს, რომ მცველი, იმ კონკრეტულ მომენტში, საქმიანობას შესაბამისი მოწმობის გარეშე ახორციელებს, რაც, ცხადია, არ გულისხმობს, რომ მას მოწმობა საერთოდ არ გარჩნია. შემონმებელს არ შეიძლება მოეთხოვოს, განჭვრიტოს, შესამონმებელ პირს მოწმობა თან ხომ არ აქვს და რაიმე მოტივით მის წარდგენაზე უარს ხომ არ ამბობს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შესამონმებელი ამის თაობაზე პირდაპირ მიუთითებს.

სააპელაციო სასამართლოს აზრით, ადმინისტრაციულმა ორ-

განომ შეფასება უნდა მისცეს არა მხოლოდ შემმოწმებლების განმარტებებს, არამედ, მცველის რ. ჯ-ის, ასევე ობიექტის დაცვის სამსახურის სპეციალისტის, შპს „...“ დირექტორის განმარტებებსაც იმასთან დაკავშირებით, რომ მცველს რეალურად ჰქონდა მცველის მოწმობა, ამასთან მისი წარუდგენლობა განპირობებული იყო შემმოწმებლების მხრიდან არაკორექტული მოქმედებებით. დაცვის ობიექტის შემმოწმების პროცესის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ მცველის მოწმობა დევს შემთხვევის ადგილზე არსებულ მაგიდაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნები არ გამომდინარებს საქმეში არსებული მტკიცებულებების ობიექტური შეფასებიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საქმის გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩეგნებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისა შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ეყმარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

საქმეში წარმოდგენილ ვიდეოჩანაწერში თავად რ. ჯ-ი განმარტავს, რომ მცველის მოწმობა სახლში დარჩა. სააპელაციო სასამართლო არ ასაბუთებს აღნიშნულის საპირისპიროდ რა მოსაზრებით უნდა მიენიჭოს უპირატესობა მცველის ახსნა-განმარტებას, სადაც ის განმარტავს, რომ მოწმობა ჰქონდა, მაგრამ არ წარადგინა შემმოწმებლის არაკორექტული მოქმედებების გამო. სადაც ვიდეოჩანაწერზე ასევე არ ჩანს გარკვევით, რა დოკუმენტი დევს მაგიდაზე, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინებით გაუგებარია, სააპელაციო სასამართლო როგორ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევია საკითხი სრულყოფილად და არსებობდა ადმინისტრაციულ აქტში მითითებულის საწინააღმდეგო ფაქტები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებს ადმინისტრაციულ აქტში მითითებული ფაქტების უსწორობას, შესაბამისად, გაუგე-

ბარია, დამატებით რა გარემოებები უნდა გამოიკვლიოს ადმინისტრაციულმა ორგანომ ან სააპელაციო სასამართლო როგორ მივიდა დასკვნამდე, რომ არსებობდა მოსარჩელის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები, რაც სადაც აქტის გამოცემისას არ იქნა მხედველობაში მიღებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპერაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ვინაიდან საქმეში არ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია, დავის ფაქტობრივი გარემოები კი დამატებით დადგენას არ საჭიროებს, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ვინაიდან სარჩელი არ კმაყოფილდება, ხოლო კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯების განაწილების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ უ ვ ი ლ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მარტის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. შპს „...“ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საპირალი

1. პასუხისმგებლობა უნებართვო მშენებლობის გამო

უძრავი ქონების დემონტაჟის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის განსაზღვრა	3
დაჯარიმება უნებართვო მშენებლობისათვის	12; 73
სამშენებლო სამართალდარღვევისთვის	
სანქციის დაკისრების სუბიექტი	26
ქ. თბილისის ტერიტორიაზე უნებართვო მშენებლობის გამო დაჯარიმება	41
პროექტის დარღვევით მშენებლობისთვის	
დაჯარიმების კანონიერება	56
დაჯარიმება უნებართვო მიშენების განხორციელებისათვის	95
მშენებლობის ნებართვაზე უარის გასაჩივრება	107
დაჯარიმება საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის	123

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

გამო დაჯარიმების კანონიერება	135
დაჯარიმება სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების ნარმოებისას ქ. თბილისის ტერიტორიის დაზიანების გამო	149
სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების	
დაყრის გამო დაჯარიმების კანონიერება	166
დაჯარიმება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მიტოვების გამო	181
დაჯარიმება მცველის მოწმობის გარეშე დაცვითი საქმიანობის განხორციელებისთვის	220